

# არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია

*გზამკვლევი პროგრამების შესამუშავებლად*


UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

UN WOMEN

# არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია

გზამკვლევი პროგრამების შესამუშავებლად

Empowered lives.
Resilient nations.

**მადლიერებას გამოვთქვამთ ტექსტზე მომუშავე ჯგუფის მიმართ:**

**წამყვანი ავტორი:**
ჯული ბალინგტონი

**თანაავტორები:**
გაბრიელ ბარდოლი და
გაბრიელა ბოროვსკი

**დიზაინი:**
DammSavage Inc

**რედაქტორი:**
მანუელა პოპოვიჩი

**დაიბეჭდა:**
Lowe-Martin Company Inc

**ფოტო გარეკანზე:**
გაერო/ლოგან აბასი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და არჩევნების ჩატარებაში დახმარების გაწევის საკითხებზე მომუშავე მრავალი სპეციალისტის იდეები, წინადადებები, გამოცდილება და ცოდნა.

პუბლიკაციის გამოცემა ჩაფიქრებული იყო გაეროს განვითარების პროგრამის საარჩევნო ციკლების ხელშეწყობის გლობალური პროგრამის (GPECS) ფარგლებში და მისი რეალიზება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. ნაშრომი ვერ გამოიცემოდა იმ ადამიანების გარეშე, რომლებმაც თავდაპირველი კონცეფციის განსავითარებლად იდეები მოგვაწოდეს და აღნიშნული ტექსტი მოამზადეს. მათ შორის არიან: ჯული ბალინგტონი, გაბრიელ ბარდოლი, ჰანა კოდი, ალეიდა ფერეირა, სუკი ბივერსი, სონია პალმიერი, ჯენიფერ პისკოპო და ჯეფ ფიშერი.

პუბლიკაციაში ასევე შესულია სხვა პირთა კომენტარები და გამოხმაურებები. გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მარტა ვალს და იუნკალ პლაცაოლა კასტანიოს. ასევე, საკუთარი მოსაზრებები გაგვიზიარეს ირუნ აგირეზაბალ კიიერამ, დინია ბენ რომდანემ, ვალენრინა ბიანჩინიმ, ტონი ენ ბროდბერმა, უმუტაი დაულეტოვამ, ქსენია დიასმა, ლურდეს გონზალესმა, ტანია ფარხამ, საიმონ ფინლიმ, ჯებე ფოსტერმა, ტატიანა ჯიტენევამ, ემილი კენიმ, ბეგონია ლასაგაბასტერმა, ჯეიმს ლიტლტონმა, ელის მოსკემ, ნაილ მაკენმა, მანუელა მაცინგერმა, როუზ მუტაიაზამ, ნილსენ პერესმა, სარა პეიტროპაოლიმ, ტომას როსინიოლმა, ნიკა საიდიმ, ელიზაბეტ სალგერომ, მორინ შონჯმა, რია ვესტერგაარდ პედერსონმა, ლი ზორიკმა და კოლეგებმა გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეყნის ოფისებიდან.

გაეროს განვითარების პროგრამა და გაეროს ქალთა ორგანიზაცია განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავენ იმ ღირებული იდეებისა და მასალებისთვის, რომლებიც მათ მიაწოდეს კოლეგებმა არჩევნების ჩატარებაში გაეროს დახმარების სააგენტოთაშორისო საკოორდინაციო მექანიზმში (ICMEA) გაერთიანებული სააგენტოებიდან და განყოფილებებიდან, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის არჩევნების ჩატარებაში დახმარების განყოფილებისა და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის თანამშრომელთა წვლილი.

აღნიშნული კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში გაწეული გულუხვი დახმარების წყალობით.

ISBN: 978-1-63214-097-5

© 2017 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს განვითარების პროგრამა. ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაციის ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს ან რომელიმე მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციის მოსაზრებებს.

ამ პუბლიკაციის გამოყენება შესაძლებელია კანონიერი არაკომერციული მიზნებისთვის გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისი მითითებით. ნებისმიერი სხვა სახის გამოყენება შესაძლებელია წერილობითი თხოვნის საფუძველზე, რომელიც ასევე წერილობითი ფორმით უნდა იყოს ნებადართული გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ. შინაარსის სრულად თუ ნაწილობრივ, ნაბეჭდი თუ ელექტრონული სახით ნებისმიერ გამოყენებას, მათ შორის ინტერნეტში ნებისმიერი სახით განთავსებას, თან უნდა ახლდეს მითითება გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და გაეროს განვითარების პროგრამაზე, როგორც მის თავდაპირველ გამომცემლებზე.

# წინასიტყვაობა

ქალებისა და კაცების თანასწორი მონაწილეობა პოლიტიკაში და ქალთა შესაძლებლობა, დაიკავონ ხელმძღვანელი თანამდებობები გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და სტაბილურობის არსებითი მნიშვნელობის ფაქტორად მსოფლიო მასშტაბით არის აღია-რებული. ამ მხრივ გარკვეული პროგრესი უკვე მიღწეულია: დღეს ბევრად მეტია იმ ქალების რაოდენობა, ვისაც სახელმწიფო თანამდებობები უკავია და საარჩევნო პროცესებში პერსო-ნალის, ამომრჩევლების, კანდიდატების ან კამპანიების მონაწილეთა სახითაა ჩართული. წარმომადგენლობისა და გავლენის ზრდის შედეგად, ქალებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, წა-მოჭრან ფიზიკურ პრობლემებთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა რეპრო-დუქციული უფლებები და ფიზიკური უსაფრთხოება, ასევე სოციალური საკითხები — ბავშვებზე ზრუნვა, კაცებთან თანასწორი შრომის ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება, პენსიები და განვი-თარებასთან დაკავშირებული უფრო ფართო საკითხები, მაგალითად, სიღარიბის შემცირება და მომსახურებების გაწევა.

თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობა კვლავაც ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაბრკოლებაა, რომელიც ხელს უშლის ქალებს საკუთარი პოლიტიკური უფლებების განხორციელებაში. ძალადობამ, შესაძლოა, მათ არჩევნებში მონაწილეობის ფაქტობრივი უფლება წაართვას და საზოგადოებას მოუტანოს შედეგები, რომლებიც წარმოქმნილი დემოკრატიული დეფიციტისას კიდევ უფრო დამძიმდება. ეს პრობლემა, მთელი პოლიტიკური სპექტრის მასშტაბით, პო-ლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა თუ განმახორციელებლებს სულ უფრო აღელ-ვებთ. მონაცემების ნაკლებობისა და ბევრ საზოგადოებაში გენდერულ ძალადობასთან და-კავშირებული სტიგმის არსებობის გამო, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ბოლო დრომდე ნაკლებად შესწავლილი საკითხი იყო. ეს გარემოება ყველა ქვეყანაში მცხოვრები ქალებისთვის წარმოადგენს ბარიერს, რომელსაც რასის, ასაკის, კლასობრივი კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, განათლების, ეთნიკური კუთვნილებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია კიდევ უფრო ამძიმებს. იგი სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს და მოითხოვს ქმედებებს, რომლებიც მიზნად არჩევნების დროს ქალებზე ძალადობის მასშტაბის შესწავლას, მასზე რეაგირებასა და, საბოლოო ჯამში, ამ პრობლემის თავიდან აცილებას ისახავს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს განვითარების პროგრამა აღნიშნულ გლობალურ ფენომენს აქტიურად იკვლევენ და პარტნიორებთან ერთად მუშაობენ, რათა ამ ძალიან რე-ალური პრობლემას სათანადო ყურადღება მიაპყრონ და ის კვლევითი პროგრამებისთვის ახალ სფეროდ ჩამოაყალიბონ.

პროგრამების შემუშავებისკენ მიმართულ წინამდებარე სახელმძღვანელოში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით არსებული ცოდნის სრულ მიმოხილვას და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ცნების განმარტებას გთავაზობთ, რაც მომავალში განსახორციელებელი პრევენციული ზომების შეთანხმებასა და მათზე კონცენტრირებაში დაგვე-ხმარება. ამ დოკუმენტში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის კონკრეტულ ფორმებს,

მათ შორის ამ ფენომენის მასშტაბს, სახეებს, მსხვერპლს, ძალადობის ჩამდენებსა და შედეგებს წარმოგიდგენთ, ასევე, განვსაზღვრავთ იმ ქმედებებს, რომლებიც ამ ფენომენთან დაკავშირებით საარჩევნო ციკლის თითოეულ ეტაპზე შეიძლება განხორციელდეს.

სახელმძღვანელოში განხილულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შოკის მომგვრელი მაგალითები მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ამ ფენომენის თავიდან აცილებისა და მასზე რეაგირების ინოვაციური ზომები. სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ პირთათვის, რომელთაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და შემცირებისთვის მოქმედება შეუძლიათ, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და იმ მხარეებისთვის, რომლებიც არჩევნების დროს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის, ადამიანის უფლებათა განხორციელების მონიტორინგისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე პროგრამების შემუშავებას უწევენ დახმარებას. ასევე, დოკუმენტი განკუთვნილია პოლიტიკური პარტიების წევრებისთვის, კერძოდ, პარტიათა ხელმძღვანელებისთვის, საარჩევნო ორგანოებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, ქალთა ჯგუფებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირებისთვის. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა პოლიტიკური და საარჩევნო სპექტრების ყველა დონის მონაწილის პასუხისმგებლობაა და ამ მიზნის მიღწევა ყველასთვის მომგებიანი იქნება.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო ამ სფეროს პრაქტიკოსებისთვისაც სასარგებლო იქნება. არჩევნების მთელი ციკლის განმავლობაში ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებისკენ მიმართული ზომების განხორციელების მოწოდების შედეგად, იგი ხელს შეუწყობს მომავლის იმგვარი ხედვის დამკვიდრებას, რომელშიც ქალებს პოლიტიკასა და არჩევნებში სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ, უფრო დაბალანსებული საზოგადოება კი მშვიდობისა და კეთილდღეობის მიღწევას შეძლებს.



ფუმზილე მლამბო-ნგკუკა



აკიმ სტაინერი

# სარჩევი

წინასიტყვაობა 5

აკრონიმები 10

შესავალი 11
I. სახელმძღვანელოს მიმოხილვა 12
II. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე საგანგებო რეაგირება? 13
III. ნორმატიული ბაზა 15
IV. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამართლებრივი ჩარჩო 20

ნაწილი A 25

1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სირთულე 26

2. განმარტებები30 29
2.1 ქალთა მიმართ ძალადობა 29
2.2. არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობა 31
2.3. ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკისა და არჩევნების კონტექსტში 33

3. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სახეები 35
3.1. ფსიქოლოგიური ძალადობა 35
3.2. ფიზიკური ძალადობა 37
3.3. სექსუალური ძალადობა 39

4. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი 43
4.1 არსებული მონაცემები 43
4.2. არჩევნების დროს ძალადობის მსხვერპლი ქალები 45
4.3. ვინ არიან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენნი? 53

5. არჩევნების დროს ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის მიზეზები და შედეგები 61
5.1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზები 61
5.2. არჩევნების დროს ქალების მიმართ ძალადობის შედეგები 63

ნაწილი B: არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის ღონისძიებები 67

ღონისძიება № 1:
არჩევნების დროს ქალების მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა და მასშტაბის გაზომვა 71
1.1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა 72
1.2. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელთა დადგენა 78
1.3. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონაცემების შეგროვების შესაძლებლობები არსებული ინიციატივების მეშვეობით 81

ღონისძიება № 2:
არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების ინტეგრირება არჩევნებზე დაკვირვებასა და ძალადობის მონიტორინგში 92
2.1. არჩევნებზე დაკვირვების მისიები 92
2.2. შიდა დაკვირვება და ადრეული შეტყობინების სისტემები 94
2.3. არჩევნების დროს ძალადობაზე მონიტორინგის ინსტრუმენტები 96
2.4. ქალთა სათათბირო ცენტრები და არჩევნებთან დაკავშირებული კონფლიქტების პრევენცია 100

ღონისძიება № 3:
კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის 104
3.1. საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩოს გამოყენება 104
3.2. საკანონმდებლო რეფორმა ეროვნულ დონეზე 111
3.3. კანონების განხორციელება 120
3.4. საარჩევნო ადმინისტრაციის პროტოკოლები პრევენციისა და აღსრულებისთვის 124
3.5. ქცევის კოდექსების გამყარება კანონმდებლობით 126

ღონისძიება № 4:
არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და შემცირება საარჩევნო მექანიზმების გამოყენებით 129
4.1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის რისკების შეფასება და რუკაზე გამოსახვა 130
4.2. ამომრჩევლებისა და კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურები 131
4.3. პოლიტიკური კამპანიის პერიოდი 132
4.4. ტრენინგი და საზოგადოების ინფორმირების პროგრამები 133
4.5. კენჭისყრის დღე და არჩევნებისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები 136
4.6. თანამშრომლობა პოლიციასა და უსაფრთხოების ძალებთან 139
4.7. არჩევნების შემდგომი პერიოდი 142

ღონისძიება № 5:
პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და შემცირებისთვის 144
5.1. ქცევის კოდექსების დაცვა 145
5.2. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დებულებების ჩართვა პარტიის შიდა რეგულაციებში და მონიტორინგის განხორციელება 147
5.3. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აკრძალვა კანდიდატების დასახელების პროცესში 148
5.4. პოლიტიკური დაფინანსება 149
5.5. ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ 150
5.6. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის ჩართვა პარტიის მონიტორინგის ღონისძიებებში 151
5.7. არჩეული ქალების მხარდაჭერა 152

ღონისძიება № 6:
ცნობიერების ამაღლება და ნორმების ცვლილება 153
6.1. ინფორმირებულობის ამაღლება კამპანიების მეშვეობით 154
6.2. მასმედიასთან მუშაობა 156
6.3. კანონმდებლებისა და საპარლამენტო ქსელების ჩართვა 157
6.4. კაცებისა და ვაჟების ჩართვა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების ძალისხმევებში 159

ბიბლიოგრაფია 162

# აკრონიმები

| | |
|---|---|
| ACOBOL | მუნიციპალურ საბჭოებში შემავალ ქალთა ასოციაცია (ბოლივია) |
| BRIDGE | რესურსების გაზრდა დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროებში |
| CEDAW | კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ |
| CONAPRED | დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ეროვნული საბჭო (მექსიკა) |
| CPRW | კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ |
| CSO | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია |
| CSW | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა სტატუსის კომისია |
| DFS | საველე დახმარების დეპარტამენტი |
| DPA | პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი |
| DPKO | სამშვიდობო ოპერაციათა დეპარტამენტი |
| ECLAC | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური კომისია ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებისთვის |
| ECOSOC | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭო |
| EMBs | საარჩევნო ორგანოები |
| EOM | არჩევნების სადამკვირვებლო მისია |
| ERM | საარჩევნო რისკების მართვა |
| EU | ევროკავშირი |
| EVAW | ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა |
| EVER | არჩევნების დროს ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება და რეგულირება |
| EWS | ადრეული გაფრთხილების სისტემა |
| GBV | გენდერული ძალადობა |
| GPECS | გაეროს განვითარების პროგრამის საარჩევნო ციკლების ხელშეწყობის გლობალური პროგრამა |
| HRW | Human Rights Watch |
| ICCPR | სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი |
| ICT | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები |
| IDASA | დემოკრატიის ინსტიტუტი აფრიკაში |
| IDEA | დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი |
| IFES | საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი |
| INE | ეროვნული საარჩევნო ინსტიტუტი (მექსიკა) |
| IPU | საპარლამენტთაშორისო კავშირი |
| IRI | საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი |
| LTO | გრძელვადიანი დამკვირვებელი |
| MP | პარლამენტის წევრი |
| NCA | ეროვნული საკონსტიტუციო ასამბლეა (ზიმბაბვე) |
| NDI | საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი |
| OAS | ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია |
| OAU | აფრიკული ერთობის ორგანიზაცია |
| OSCE | ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) |
| POECI | არჩევნებზე დამკვირვებელი საერთაშორისო ორგანიზაციების პლატფორმა (კოტ დივუარი) |
| RSS | დაკვირვების რეგიონული სისტემა |
| SAARC | სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია |
| SAP | სამხრეთ აზიის პარტნიორობა |
| SDG | მდგრადი განვითარების მიზნები |
| TSMs | დროებითი სპეციალური ზომები |
| UDHR | ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია |
| UN | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია |
| UN DESA | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი |
| UN Women | გაეროს ქალთა ორგანიზაცია |
| UNDP | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა |
| UNESCO | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია |
| UNFPA | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი |
| UNGA | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა |
| UNIFEM | იხ. UN Women |
| UNSC | გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო |
| USAID | აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო |
| VAW | ქალთა მიმართ ძალადობა |
| VAWE | არჩევნების დრო ქალთა მიმართ ძალადობა |
| VAWP | ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში |
| WHO | ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია |
| WSR | ქალთა სიტუაციური ცენტრი |

# შესავალი

დღესდღეობით სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფი ქალების რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს 2017 წელს მსოფლიოში პარლამენტის წევრი 10,500-ზე მეტი ქალი იყო, რაც პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის 23%-ს აღემატება.[1] მილიონობით პოლიტიკოსი ქალი პოლიტიკურ საქმიანობაში ადგილობრივ დონეებზეა ჩართული და თითოეულ არჩევნებში რომელიმე პოლიტიკურ თანამდებობაზე კანდიდატად სულ უფრო მეტი ქალი რეგისტრირდება. ამას გარდა, ქვეყნების უმეტესობაში ამომრჩევლების სახით არჩევნებში უამრავი ქალი მონაწილეობს. რაოდენობრივი თვალსაზრისით, არჩევნებში ქალების მონაწილეობა კაცებისას არ ჩამოუვარდება. სულ უფრო მეტი მათგანი მუშაობს საარჩევნო პროცესის მმართველ ორგანოებში, მათ შორის საარჩევნო შტაბების წევრებად და უბნების თანამშრომლებად.

დამაიმედებელი წარმატებების მიუხედავად, პეკინის 1995 წლის სამოქმედო პლატფორმაში დასახული საერთაშორისო მიზნის — სახელმწიფო თანამდებობს შორის „გენდერული ბალანსის“ დამყარების — მისაღწევად ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ქალებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამდებობების დაკავებისას კვლავაც მრავალი სირთულე ხვდებათ.[2] ქალს იშვიათად ირჩევენ გუბერნატორად, მერად ან ადგილობრივი დონის სხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 2017 წელს, მთელ მსოფლიოში, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის თანამდებობა ქალებს მხოლოდ 16 ქვეყანაში ეკავათ.[3]

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობას ბევრი ფაქტორი აბრკოლებს, ყველაზე შემაშფოთებელი მაინც პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა საგრძნობი მატებაა. პოლიტიკაში ქალთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა ზოგიერთი ადამიანის მიერ ტრადიციული გენდერული როლებიდან გადახვევად აღიქმება და ძალთა ტრადიციული გადანაწილებისა და არსებული მდგომარეობისთვის საფრთხედ მიიჩნევა. თითქმის ყველა ქვეყანაში პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა მატება მოსდევს. აღნიშნული გარემობა სხვადასხვა სახით ვლინდება: შევიწროებისა და აგრესიის ესკალაციით სხვადასხვა მედია საშუალებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილე ქალების დაშინებითა და მათ მიმართ სექსუალური თუ ფიზიკური ძალადობით, ქალი პოლიტიკოსების იძულებით, წავიდნენ პოლიტიკიდან და კანდიდატი ქალების საზოგადოებრივი განხილვა-გაკიცხვით, როდესაც ყურადღება მახვილდება მათ გარეგნობაზე და არა გამოცდილებასა თუ მათ მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკაზე. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ქალების მიმართ ძალადობის ყველაზე ექსტრემალურ

1 საპარლამენტთაშორისო კავშირი, 2016 წ. PARLINE-ის *მონაცემთა ბაზები*; საპარლამენტთაშორისო კავშირი და გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2017 წ. „პოლიტიკაში მონაწილე ქალების რუკა“ (*Map on Women in Politics*).

2 იხ. შემდეგ მისამართზე: http://www.undocs.org/en/E/CN.6/2015/3 და A/HRC/23/50.

3 გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემი, რომელიც გაეროსთან არსებული მუდმივი წარმომადგენლობების მიერ მოწოდებულ მონაცემებს ემყარება.

შემთხვევებში ზოგიერთი ქალი საკუთარი პოლიტიკური უფლებების განხორციელების გამო მოუკლავთ კიდეც. დღესდღეობით პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ქალთა მიმართ ძალადობა ქალთა პოლიტიკური უფლებების რეალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დაბრკოლებაა.[4]

პოლიტიკურმა ძალადობამ თავი ბევრ კონტექსტში შეიძლება იჩინოს, მაგრამ საარჩევნო პერიოდში მას ქალებისთვის განსაკუთრებით უარყოფითი შედეგები მოაქვს. შესაძლოა, არჩევნების დროს პოლიტიკურმა დაძაბულობამ და სასტიკმა კონკურენციამ ხელი შეუწყოს პოლიტიკაში მონაწილე ქალთა დაუცველობას: კაცებთან შედარებით ისინი უმეტეს შემთხვევებში არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან, ამიტომ საარჩევნო პროცესიდან მათი გამოთიშვა უფრო ადვილია.[5] ისეთი ტაქტიკები, როგორებიცაა ფიზიკური თავდასხმა, დაშინება და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ქალებისკენაც არის ხოლმე მიმართული და კაცებისკენაც, მაგრამ მას გენდერული თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული შედეგები მოაქვს. თუმცა, არსებობს გენდერული ძალადობის ზოგიერთი ფორმა, რომლებიც კონკრეტულად ქალებზეა მიმართული.[6] არჩევნების დროს პოლიტიკური ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ზომები ამ მნიშვნელოვან გენდერულ ასპექტებს უნდა ითვალისწინებდეს.

## I. სახელმძღვანელოს მიმოხილვა

წინამდებარე სახელმძღვანელო იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაფართოებასა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე მუშაობენ. სახელმძღვანელოში აღწერილია არჩევნებში მონაწილე ქალთა მიმართ ძალადობის კონკრეტული შემადგენელი კომპონენტები, მათ შორის ძალადობის სახეები, გამოყენებული ტაქტიკა და მსხვერპლთა თუ მოძალადეთა მახასიათებლები. ასევე, უკვე არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემოთავაზებულია ამ ფენომენის პრევენციისა და შემცირების სხვადასხვა საშუალება. წარმოდგენილია აღნიშნულ სფეროში არსებული პრაქტიკა და განხილულია ის პოლიტიკური თუ პროგრამული რეაგირება რაც ტექნიკური დახმარების გამწევ ორგანიზაციებს, მათ შორისგაეროს განვითარების პროგრამას, გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და გაეროს სხვა სააგენტოებს გამოადგება. ამას გარდა, აღწერილია სხვადასხვა რეგიონში გამოყენებული განმარტებებისა და მეთოდების მაგალითებიც. სახელმძღვანელო რაიმე კონკრეტულ მიდგომას არ აწესებს და ადასტურებს, რომ პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იქნება. ის, რაც ერთ ადგილასა და გარკვეულ დროს იყო ეფექტიანი, შეიძლება ანალოგიურად ეფექტიანი სხვა კონტექსტში არ გამოდგეს. სახელმძღვანელო ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ნაწილ A-ში მოცემულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და აღწერილია ამგვარი ძალადობის ფორმები. ასევე, მოცემულია ცნობები

---

4 ციტირებულია: გაეროს ქალთა ორგანიზაცია/Purna Sen, 2016. „პოლიტიკაში მონაწილე ქალთა მიმართ ძალადობის გლობალური პერსპექტივა“ *(Global Perspectives on Violence against Women in Politics)*. პრეზენტაცია კონფერენციაზე“№Not–TheCost: Stopping Violence against Women in Politics”, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ, მარტში, ნიუ-იორკში გაიმართა.

5 ციტირებულია: გაეროს განვითარების პროგრამა, 2012. საცნობარო დოკუმენტი ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, მომზადებული ჯეფ ფიშერის მიერ. არ გამოქვეყნებულა.

6 გაბრიელ ბარდოლი/საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, 2011. „გავხდეთ ნოვატორები: გენდერისა და არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის გათვითცნობიერება“ (Breaking the Mold: Understanding Gender and Electoral Violence). ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, IFES.

მსხვერპლებისა და მოძალადეების შესახებ. არჩევნების დროს ძალადობის ჩვეულებრივი განმარტება ყურადღებას ამახვილებს ამ ფენომენის გენდერულ ასპექტებზე და ადგენს იმ ქმედებებს, რომლებიც საარჩევნო პროცესების დროს კონკრეტულად ქალებზეა ორიენტირებული. ნაწილი B არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებისკენ მიმართულ პოლიტიკასა და პროგრამულ რეაგირებას მიმოიხილავს. არსებულ საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ეს ნაწილი გვთავაზობს სახელმძღვანელო მითითებებს პოლიტიკისა თუ პროგრამების შემუშავებისთვის და დეტალურ სამოქმედო საკითხებს პოლიტიკის შემმუშავებლებისა და პრაქტიკოსებისათვის, რათა მათ შეძლონ და მთელი საარჩევნო ციკლის განმავლობაში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირება, პრევენცია და მასზე რეაგირება მოახდინონ.

## II. რატომ არის ასე მნიშვნელოვანი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე საგანგებო რეაგირება?

არჩევნები წარმოადგენს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც წარმომადგენლობითი დაწესებულებების ჩამოყალიბება და ხმის უფლების განხორციელება ხდება. იგი უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა და აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. არჩევნებში მთელი მოსახლეობის მონაწილეობის ხელშეწყობა კი მმართველობის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ყოველ წელს მთელ მსოფლიოში ეროვნული საპარლამენტო არჩევნები 40-დან 55-მდე ქვეყანაში ტარდება. საარჩევნო პროცესების დროს საზოგადოებაში ხშირად სოციალური და პოლიტიკური განსხვავებები ჩნდება, ძალადობის რისკი კი იზრდება. არჩევნები შეიძლება განხილული იყოს, როგორც პარტიებს შორის იდეოლოგიური კონფლიქტის მედიაციის საშუალება, თუმცა, ასევე, ეს პროცესი შესაძლოა იწვევდეს სხვადასხვა სახის ძალადობას, ზოგჯერ დამანგრეველსაც კი და ამით ახდენდეს დემოკრატიული პროცესებისა და მთლიანად ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარების დესტაბილიზაციას იწვევდეს. ბევრ ქვეყანაში საარჩევნო კონფლიქტი დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს.[7] თუ კონფლიქტის პრევენციისა და მართვისთვის სწორი სტრატეგია და რეალური პროგრამები არ განხორციელდა, საარჩევნო პროცესები შესაძლოა იმგვარი ძალადობისა და დაშინების საფუძველი გახდეს, როდესაც კონფლიქტი პოლიტიკური ტაქტიკის სახით, არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების მიზნით გამოიყენება, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას მოახდენს არჩეული მთავრობის ლეგიტიმურობაზე.[8] ეს ფაქტორი განსაკუთრებით ეხება გარდამავალი ეკონომიკისა და კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებს, თუმცა ძალადობა არჩევნების დროს მხოლოდ ამ კონტექსტებით არ შემოიფარგლება.

ამგვარად, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა კვლევასა და რეაგირებას საჭიროებს. არჩევნების შედეგების დიდმა მნიშვნელობამ და შემდგომში ძალადობრივი კონფლიქტის წარმოშობის პოტენციალმა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებისთვის სერიოზული შედეგები შეიძლება მოიტანოს. მიუხედავად იმისა,

---

7 აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2010 წ. „არჩევნების დროს უსაფრთხოების ჩარჩო, ტექნიკური სახელმძღვანელო დემოკრატიისა და მმართველობის სფეროს მოხელეებისათვის“ *(Electoral Security Framework, Technical Guidance Handbook for Democracy and Governance Officers)*,ივლისი, გვ. 2.

8 იქვე.

რომ ქალები ქვეყნების უმეტესობაში ხმის უფლების მქონე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტს წარმოადგენენ, არჩევნების დროს ძალადობის კვლევები, როგორც წესი, არ ითვალისწინებს გენდერულ პრობლემებსა და ძალადობის იმ ფორმებს, ხასიათსა თუ შედეგებს, რომლებსაც ქალები, კაცებისგან განსხვავებით, საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში აწყდებიან. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა განსაკუთრებით დამაზიანებელი არჩევნებში მონაწილე ქალებისთვისაა, რადგან ამ სახის ძალადობა ღრმად ფესვგადგმული სოციალური და კულტურული ნორმების, მიკერძოებული შეხედულებებისა და დისკრიმინაციის შედეგს წარმოადგენს. რასის, ასაკის, კლასის, შეზღუდული შესაძლებლობის,[9] განათლების, ეთნიკური კუთვნილებისა და გენდერის ერთობლიობამ შეიძლება პირობები დისკრიმინაციის ურთიერთგადამკვეთი ფორმების წარმოქმნისთვის შექმნას და არჩევნების დროს ქალები ძალადობის სამიზნეებად აქციოს.

## ადამიანის უფლებები და განვითარება

ფართოდ აღიარებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს ქალთა უფლებების თუ ძირითადი თავისუფლებების დარღვევასა და მდგრადი განვითარების შემაფერხებელ პრობლემას. ეს ფაქტი ასახულია კიდეც 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგში, კერძოდ, მდგრადი განვითარების მე-5 და მე-6 მიზნებში.[10] გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ქალთა ორგანიზაცია და მათი პარტნიორები აცნობიერებენ, რომ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა მდგრადი განვითარების პროცესში არსებით როლს ასრულებს. ისინი უკვე მრავალი წელია ამ პრობლემაზე ქვეყნების, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე მუშაობენ. მათ კონკრეტულ შედეგებსაც მიაღწიეს და ცოდნა თუ გამოცდილება დააგროვეს, თუმცა შეფასების, ანგარიშგების, პრევენციისა და რეაგირების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აღიარების, განსაზღვრის, კონტროლის, მასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური თუ პროგრამული ზომების შემუშავებისთვის მრავალი მიზეზი არსებობს. ძალადობა, რომელიც ხელყოფს ნებისმიერი მოქალაქის ხმის უფლებას, წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა ან გამოხატოს და დაიცვას პოლიტიკური შეხედულება თუ აზრები, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევას წარმოადგენს. მთელ მსოფლიოში ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დარღვევაა. მსოფლიოში ყოველი მესამე ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, გარკვეულ მომენტში, პარტნიორის მხრიდან ფიზიკურ და/ან სექსუალურ ან უცხო პირის მხრიდან სექსუალურ ძალადობას

9 ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს ძალადობის რისკი უფრო მეტად ემუქრებათ და სხვა ქალებთან შედარებით, ისინი ძალადობის დამატებით ფორმებს განიცდიან. იხ. ინგრიდ ვან დერ ჰეიჯეინი, ნეემაჰ აბრაჰამსი და ჯეინ ჰარისი, 2016 წ. „ძალადობის დამატებითი შრეები: გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის გადაკვეთა ფიზიკური უნარშეზღუდულობის (ეს სწორი ფორმულირებაა, ეს სიტყვა?) მქონე ქალების მიერ გამოცდილ ძალადობაში სამხრეთ აფრიკაში“ *(Additional Layers of Violence: The Intersections of Gender and Disability in the Violence Experiences of Women with Physical Disabilities in South Africa)*. Journal of Interpersonal Violence.

10 მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი – „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება“ – უზრუნველყოფს მყარ საფუძველს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალადობის აღმოფხვრისთვის. იხ. გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი, „მდგრადი განვითარების მიზნების ცოდნის პლატფორმა“ *(Sustainable Development Goal Knowledge Platform)*.

განიცდის.[11] კონფლიქტის დროს და კრიზისის შემდგომ გენდერული ძალადობის ბევრი ფორმა, განსაკუთრებით კი სექსუალური ძალადობა, კვლავ ყველაზე სერიოზულ და რთულ გამოწვევას წარმოადგენს ადამიანის უფლებების, უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისა და განვითარებისთვის.[12] ძალადობა დამღუპველ ზეგავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნის წინსვლაზე და ხელს უშლის თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობის მიზნების მიღწევას.[13]

ამას გარდა, მთელ მსოფლიოში ქალები არჩევით თანამდებობებზე ნაკლებად არიან წარმოდგენილები. პოლიტიკური ძალადობის გამო, მათთვის ეს თანამდებობები ხელმიუწვდომელია. პოლიტიკიდან ქალების გამორიცხვა პრაქტიკაში დემოკრატიული განვითარების დაბრკოლებას გულისხმობს. კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობა ხელს უწყობს პოლიტიკურ დღის წესრიგში ახალი საკითხების წამოჭრას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქალები „ყურადღებას ამახვილებენ ისეთ სოციალურ საკითხებზე, როგორებიცაა ბავშვებზე ზრუნვა, თანასწორი ანაზღაურება, დეკრეტული შვებულება და პენსიები. იმგვარ ფიზიკურ პრობლემებზე, როგორებიცაა რეპროდუქციული უფლებები, ფიზიკური უსაფრთხოება და გენდერული ძალადობა, ასევე, განვითარებაზე, რაც ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, სიღარიბის დაძლევასა და მომსახურებების მიწოდებას გულისხმობს“.[14] გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში ქალთა ჩართვა ამ პროცესებს აუმჯობესებს და ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას, ინკლუზიურ დემოკრატიასა და მდგრად განვითარებას. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების არასაკმარისად ჩართვა წარმოქმნის დეფიციტს დემოკრატიაში, რაც აშკარად ჩანს „სახელმწიფოთა უუნარობაში, გადაწყვიტონ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მუდმივი, მრავალი პრობლემა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მილიტარიზმი და ძალადობის კულტურა კონფლიქტებისა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდებში, სადაც უპირველეს მსხვერპლად ქალები გვევლინებიან“.[15]

## III. ნორმატიული ბაზა

### მონაწილეობა პოლიტიკასა და საარჩევნო პროცესებში

პოლიტიკასა და საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა კარგადაა ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური უფლებების შესახებ დეკლარაციებსა და შეთანხმებებში, გაეროს მოხსენებებში, რეზოლუციებსა და სამოქმედო გეგმებში, ასევე, არჩევნების ჩატარებაში დახმარებასთან დაკავშირებულ

11 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კვლევის დეპარტამენტი, ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მედიცინის სკოლა და სამედიცინო კვლევების დარგში სამხრეთ აფრიკული კავშირი, 2013 წ. „ქალთა მიმართ ძალადობის გლობალური და რეგიონული ციფრები: ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და არაინტიმური პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის გავრცელება და ზემოქმედება ჯანმრთელობაზე“ *(Global and Regional Estimates of Violence against Women: Prevalence and Health Effects of Intimate Partner Violence and Non-partner Sexual Violence)*.

12 გაეროს განვითარების პროგრამა, 2009ხ. „სახელმძღვანელო დოკუმენტი: გენდერული ძალადობა კრიზისულ და კრიზისის შემდგომ სიტუაციებში“ *(Guidance Note: Gender-Based Violence in Crisis and Post-Crisis Settings)*, ნოემბერი.

13 გაერო, 1995. პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, რომლებიც მიღებულია ქალებთან დაკავშირებულ საკითხებზე გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე.

14 ჯული ბალინგტონი/საპარლამენტთაშორისო კავშირი, 2008. „თანასწორობა პოლიტიკაში: პარლამენტებში ქალებისა და კაცების გამოკითხვა“ *(Equality in Politics: A Survey of Women and Men in Parliaments)*, ჟენევა.

15 §52 A/HRC/23/50.




*მაღალი რანგის ხელმძღვანელი ქალების ფორუმი აფრიკის ტრანსფორმაციისთვის, 2017 წ.*

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში.[16] პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ქალთა სრული და რეალური მონაწილეობა ემყარება დისკრიმინაციის არარსებობისა და პოლიტიკური უფლებების თანასწორი განხორციელების პრინციპებს, რომლებიც დადგენილია 1948 წელს მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. დეკლარაციის მე–2 მუხლში ნათქვამია, რომ „ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება." არჩევნების კონტექსტში ძალადობა საფრთხეს უქმნის ამ უფლებებს. ძალადობას შეუძლია მოქალაქეებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში განსაზღვრულ იმ სხვა ძირითად თავისუფლებებზე წვდომაც შეუზღუდოს, როგორებიცაა, არჩევნებში კანდიდატად ან ამომრჩევლად მონაწილეობის უფლება (21–ე მუხლი), გამოხატვის თავისუფლება (მე–19 მუხლი), გადაადგილების თავისუფლება (მე–13 მუხლი),მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მე–20 მუხლი).[17] ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ამ უფლებათა შეზღუდვით ძალადობამ საფრთხე შეუქმნას საარჩევნო პროცესისა და მისი შედეგებისადმი ნდობას, ასევე, არჩევნების ზოგად სარწმუნოობასა და აღიარებას.[18]

„ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ" კონვენციასა (1952 წ.) და სხვა რეგიონულ კონვენციებში მკაფიოდაა გაცხადებული, რომ პოლიტიკურ უფლებათა განხორციელება რაიმე განსხვავებაზე, მაგალითად, სქესზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.[19] 1979 წელს მიღებული კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის

---

16 გაერო/პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი, 2013 წ. „არჩევნებსა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა არჩევნების კუთხით გაეროს დახმარების მეშვეობით" *(Promoting Women's Electoral and Political Participation through UN Electoral Assistance)*, დირექტივა, 24 დეკემბერი, გვ. 3.

17 ციტირებულია: გაერო/პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი, 2016 წ. პოლიტიკის დირექტივა „არჩევნების დროს ძალადობის პრევენციისა და შემცირების შესახებ" *(Policy Directive on Preventing and Mitigating Election–related Violence)*.

18 იქვე.

19 ეს ნაწილი უმეტესწილად ემყარება გაეროს განვითარების პროგრამის/გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2015 წლის დოკუმენტს „ინკლუზიური საარჩევნო პროცესები: სახელმძღვანელო არჩევნების მმართველი ორგანოებისთვის გენდერული თანასწორობისა და ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით" *(Inclusive Electoral Processes: a Guide for Electoral Management Bodies on Promoting Gender Equality and Women's Participation)*, ნიუ–იორკი.




*საპრეზიდენტო არჩევნები ტიმორ-ლესტეში*

შესახებ“ ადასტურებს ქალების უფლებას „დაიკავონ სახელმწიფო პოსტები, აგრეთვე, შეასრულონ ყველა სახელმწიფო ფუნქცია სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე“. უფრო კონკრეტულად კი მე-7 მუხლი ადგენს:

„მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღსაკვეთად. კერძოდ, ქალებს კაცთა თანასწორად უზრუნველყოფენ უფლებით:

ა) *ხმა მისცენ ყველა არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმში და არჩეულ იყვნენ ყველა საჯარო არჩევით ორგანოში;*

ბ) *მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში და იკავებდნენ სახელმწიფო თანამდებობებს. აგრეთვე, სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე ახორციელებდნენ ყველა სახელმწიფოებრივ ფუნქციას.“*[20]

კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მონაწილე სახელმწიფოებს კიდევ ერთ პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს: მიიღონ სათანადო ზომები ნებისმიერი ამგვარი დისკრიმინაციის ფაქტის აღმოსაფხვრელად, მათ შორის დროებითი სპეციალური ზომები. მიუხედავად იმისა, რომ დროებითი სპეციალური ზომები ხშირად არჩეულ თანამდებობებზე ქალთა რაოდენობის გაზრდის საშუალებად განიხილება, შეიძლება, ისინი გამოყენებული იყოს მე-7 მუხლის სრულად განსახორციელებლად; სპეციალური პროგრამებისა თუ ქმედებების დასამკვიდრებლად იმ დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც ქალებს საარჩევნო პროცესებში მონაწილეობისას ხვდებათ და რომლებიც დისკრიმინაციის, ძალადობისა თუ დაშინების შედეგია.

20 გაეროს გენერალური ასამბლეა, 1979 წ. A/RES/34/180. კონვენცია „ქალთაც მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

ქალთა უფლება, სრულად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გაეროს რეზოლუციებისა და დეკლარაციების ქვაკუთხედს წარმოადგენს. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1990/15 რეზოლუცია, (E/RES/1990/15) პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (1995 წ.), ქალთა სტატუსის კომისიის 2006 წლის შეთანხმებული დასკვნები (E/2006/27-E/CN.6/2006/15), ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ უშიშროების საბჭოს 1325(2000) რეზოლუცია თუ ქალებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ გენერალური ასამბლეის 66/130(2011) რეზოლუცია მთავრობებს თანმიმდევრულად მოუწოდებენ, განახორციელონ ზომები ყველა დონის არჩევით და დანიშნულ სახელმწიფო თანამდებობებზე ქალთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდისთვის, რათა მიიღწეს ქალებისა და კაცების დაბალანსებული წარმომადგენლობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, პოზიტიური ზომების მეშვეობით.[21] უშიშროების საბჭოს N 1325 რეზოლუცია საგანგებოდ მოუწოდებს ყველა მხარეს, განახორციელონ სპეციალური ზომები შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში ქალებისა და გოგოების გენდერული ძალადობისგან დასაცავად.[22]

უფრო კონკრეტულად კი, ქალებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის 66/130(2012) რეზოლუცია ყველა სახელმწიფოს მოქმედებისკენ მოუწოდებს. ასევე, იგი მოუწოდებს გაეროს სისტემასა და სხვა ორგანიზაციებს, მეტი დახმარება გაუწიონ სახელმწიფოებს მათ მიერ ეროვნულ დონეზე განხორციელებულ ძალისხმევაში, რათა:

*(i) მოხდეს არჩევით თანამდებობებზე მყოფ და პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატ ქალებზე ძალადობის, თავდასხმისა თუ შევიწროების შესახებ შეტყობინებათა გამოძიება. ამ სახის დანაშაულისადმი დამყარდეს ნულოვანი ტოლერანტობა და, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, ამ დანაშაულზე პასუხისმგებელი პირების პასუხისგებაში მისაცემად განხორციელდეს ყველა საჭირო ზომა.*

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ქალთა დისკრიმინაციის საკითხებზე გაეროს სამუშაო ჯგუფის 2013 წლის ანგარიშში (A/HRC/23/50), რომელიც ადამიანის უფლებათა საბჭოს წარედგინა, „ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისკენ მიმართული ზომების გააქტიურების აუცილებლობაზე, მათ შორის დაუსჯელობასთან საბრძოლველად ყოვლისმომცველი ეროვნული სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებაზე, სამართლებრივი დაცვისა და კომპენსაციის სათანადო საშუალებების უზრუნველყოფაზე, დისკრიმინაციის მრავალი, ურთიერთგადამკვეთი და მძიმე ფორმების გათვალისწინებით.“

2013 წლის №30 ზოგად რეკომენდაციაში – „კონფლიქტების პრევენციაში, კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში ქალების შესახებ“ — „ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა“ განაცხადა, რომ „მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა კანდიდატებისა და ამომრჩევლების სახით ქალთა თანასწორი მონაწილეობის, ასევე,

21 გაეროს განვითარების პროგრამა / გაერო-ს ქალთა ორგანიზაცია, 2015 წ.
22 გაეროს უშიშროების საბჭო, 2000 წ., S/RES/1325.1325-ე რეზოლუცია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების კუთხით შეუძლებელი იქნება, თუ სათანადო ზომების მიღება არ მოხდება", მათ შორის, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება გარემო, რომელშიც ამომრჩეველი და პოლიტიკური კანდიდატი ქალების მიმართ სახელმწიფო თუ კერძო პირების მხრიდან ძალადობას ადგილი არ ექნება (პუნქტი 72). ამასთან, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, „გაატარონ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ძალადობის ყველა იმ ფორმის მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ქალთა მონაწილეობას, მათ შორის საუბარია სამთავრობო და არასამთავრობო ჯგუფების მხრიდან იმ ქალთა მიმართ მიზანმიმართულ ძალადობაზე, რომლებიც არჩევნებში კანდიდატების სახით მონაწილეობენ, ან იმ ქალებზე, რომლებიც საკუთარ ხმის მიცემის უფლებას ახორციელებენ" (პუნქტი 73(ვ)).[23]

2015 წელს, მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიღებამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფოებს კიდევ ერთი ბიძგი მისცა, რათა რეაგირება მოახდინონ და გენდერულ დისკრიმინაციასა და ქალთა მიმართ ძალადობას შეებრძოლონ.[24] მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი – „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება" მოიცავს №5.5 ამოცანას: „პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ქალთა სრული და რეალური მონაწილეობისა და მათთვის ლიდერობის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა".

## ქალთა მიმართ ძალადობა

ადამიანის უფლებებზე დამყარებული ფართო სამართლებრივი ბაზა ცხადყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ნაკისრ ვალდებულებას – თავიდან აიცილოს, რეაგირება მოახდინოს და აღმოფხვრას ქალთა მიმართ ძალადობა. ამ ბაზას რამდენიმე ინსტრუმენტი უდევს საფუძვლად. კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობას პირდაპირ არ ახსენებს, თუმცა №12 და №19 ზოგად რეკომენდაციებში განმარტებულია, რომ კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობასაც ეხება და მასში მონაწილე სახელმწიფოებისთვის დეტალური რეკომენდაციებია მოცემული. 1993 წელს, ადამიანის უფლებათა საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონფერენციაზე, ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევად აღიარეს, ვენის დეკლარაციასა და სამოქმედო პროგრამაში კი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საგანგებო მომხსენებლის დანიშვნის შესახებ მოწოდება გაჟღერდა.[25] ამ გარემოებამ ხელი შეუწყო 1993 წელს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციის მიღებას. აღნიშნული დეკლარაცია პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს პირდაპირ ეხება და ასახავს ჩარჩოს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ქმედებისთვის.[26] პეკინის დეკლარაციასა და სამოქმედო პლატფორმაში ძალადობის აღმოფხვრა თორმეტი პრიორიტეტული მიმართულებიდან ერთ-ერთია. 2013 წელს „ქალთა სტატუსის კომისიამ" „ქალებისა და გოგოების მიმართ

23 ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №30, 2013 წ. http://www.ohchr.org/documents/hrbodies/cedaw/gcomments/cedaw.c.cg.30.pdf

24 იხ. გაეროს გენერალური ასამბლეა, 2015 წ., A/RES/70/1. „ჩვენი მსოფლიოს გარდაქმნა: მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030 წლისთვის", 25 სექტემბერი.

25 http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/CONF.157/23.

26 გაეროს გენერალური ასამბლეა, 1993 წ. /RES/48/104. დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, 20 დეკემბერი, http://www.un.org/documents/ga/res/48/a48r104.htm

ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და პრევენციის შესახებ“ შეთანხმებული დასკვნები გამოსცა, 1998 წელს — „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ“, ხოლო 2007 წელს – „გოგოების მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოფხვრის შესახებ“. 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფარგლებში ამოცანა №5.2 საგანგებოდ ეხება „ყველა ქალისა და გოგოს მიმართ საზოგადოებრივ თუ კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ადამიანებით ვაჭრობისა და სექსუალური თუ სხვა სახის ექსპლუატაციის აღმოფხვრას“. ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობას ეხება ასევე მდგრადი განვითარების მიზანი №11: „ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიურ, უსაფრთხო, მდგრად და ეკოლოგიურად მდგრად ადგილებად ქცევა“ და მდგრადი განვითარების მიზანი №16: „მდგრადი განვითარების მიზნით, მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მშენებლობის ხელშეწყობა, ყველა ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფა და ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ფართო მონაწილეობაზე დაფუძნებული ინსტიტუტების შექმნა“.

უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეისა და ადამიანის უფლებათა საბჭოს ბევრ რეზოლუციაში, რომლებშიც ყურადღება ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემაზეა გამახვილებული,ამსაკითხისმოსაგვარებლად სახელმწიფოთა ვალდებულებები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და მოცემულია მოწოდება ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრებისკენ სახელმწიფო თანამდებობაზე არჩეულ თუ თანამდებობის კანდიდატი ქალებისადმი ძალადობის მიმართ. გარდა იმ რეზოლუციებისა, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისკენ მიმართული საქმიანობის გააქტიურების შესახებ წელიწადში ორჯერ გამოიცემა (A/C.3/69/L.19), მიღებულია რეზოლუციები იმ სხვადასხვა თემატურ საკითხთან დაკავშირებით, როგორებიცაა ქალებითა და გოგოებით ტრეფიკინგი, მიგრანტ მშრომელ ქალებზე ძალადობა, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების, ე.წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილი დანაშაულების, ქალებისა და გოგოების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მქონე ტრადიციული თუ მიღებული პრაქტიკის, ასევე, ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული მსოფლიო მასშტაბის ძალისხმევის გააქტიურება.

ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების ყოველმხრივი, თანმიმდევრული და შეთანხმებული მიდგომების დასამკვიდრებლად რეგიონულ დონეზე მრავალი მცდელობა განხორციელებულა. მათგან ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტია. ასეთ ინსტრუმენტებს განეკუთვნება „ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ ინტერამერიკული კონვენცია“ („ბელემ დო პარა“), „ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის“ ოქმი „აფრიკაში ქალთა უფლებების შესახებ“ (მაპუტუს ოქმი) და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენცია“ (სტამბოლის კონვენცია), რომელიც ძალაში 2014 წლის აგვისტოში შევიდა (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ზომა №2).

## IV. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამართლებრივი ჩარჩო

გაეროს სისტემის დღის წესრიგში წევრ სახელმწიფოთა იმ ძალისხმევის მხარდაჭერას, რომელიც ინკლუზიური პოლიტიკური პროცესების უზრუნველყოფისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა

მონაწილეობის ხელშეწყობისკენაა მიმართული, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. გაეროს სააგენტოები და პერსონალი ვალდებულნი არიან, პატივი სცენ გაეროს ნორმატიულ ბაზაში ჩამოყალიბებულ, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ უფლებებსა თუ სტანდარტებს და ხელი შეუწყონ მათ განხორციელებას. გაეროს სისტემის ნაწილი გარკვეულ როლს თამაშობს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაში, გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობაში, საარჩევნო პროცესების დროს დახმარების გაწევასა და არჩევნების პროცესთან დაკავშირებული ძალადობის შემცირებაში.

1997 წელს გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭოს მიიღო „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა სტრატეგიასა და პროგრამაში გენდერული საკითხების გათვალისწინების" (გენდერულ საკითხთა მეინსტრიმინგის) სტრატეგია – „ქალსა და კაცზე ნებისმიერ სფეროში და ყველა დონეზე დაგეგმილი ქმედების, მათ შორის საკანონმდებლო, პოლიტიკური თუ პროგრამული ქმედებების შედეგების ზეგავლენის შეფასების" მეშვეობით.[27] 2012 წელს უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელთა საკოორდინაციო საბჭომ მოიწონა „გაეროს სისტემური პოლიტიკა გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების სფეროში", როგორც გაეროს სისტემის სტრატეგიებისა და პროგრამების ფარგლებში გენდერული თანასწორობისა თუ ქალთა გაძლიერების მიზნის მიღწევისკენ და გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1997/2 შეთანხმებული დასკვნების განხორციელებისკენ მიმართული საშუალება. შესაბამისად, გაეროს ერთიან პოლიტიკასა და პროგრამებში, მათ შორის არჩევნების პროცესებში დახმარებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინკლუზიური მონაწილეობის სფეროებშიც ქალებსა და კაცებზე განხორციელებული ზემოქმედების შეფასება უნდა შევიდეს.

ყველა ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა ან დაადასტურა აღნიშნული შეთანხმებების მიღება, ვალდებულია, განახორციელოს ისინი. ბოლო პერიოდში, ამ მიზნით, მათი დახმარებისთვის რეგიონულ და ქვეყნის დონეებზე ბევრი რამ კეთდება. ეს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კონვენციის განხორციელების შესახებ ანგარიშების მომზადებაში ქვეყნების დახმარებას მოიცავს. გენერალური მდივნის 2006 წელს გამოცემულ კვლევაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე: „სიტყვიდან საქმისკენ"*(Study of the Secretary General on Ending Violence against Women — From Words to Action)* მთავრობებისთვის ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასთან მიმართებაში დეტალური დასკვნები და რეკომენდაციებია წარმოდგენილი. 2013 წელს ქალთა სტატუსის კომისიამ ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და პრევენციის შესახებ შეთანხმებული დასკვნები მოამზადა. ისინი ამ სფეროში ვალდებულებების შესასრულებლად მკაფიო სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

არჩევნების ჩატარებაში გაეროს მხრიდან გაწეული დახმარება რეგულირდება პოლიტიკის ჩარჩოთი, რომელიც გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის პოლიტიკურ საკითხებში (პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტი) მიერ განისაზღვრება, გამოიცემა და ვრცელდება. გაეროს მიერ არჩევ-

27 http://www.un.org/womenwatch/daw/followup/main.htm

ნების ჩატარებაში დახმარების გაწევამდე ორი წინაპირობა უნდა შესრულდეს: 1. გაეროს მიერ არჩევნების ჩატარებაში გაწეულ მთელ დახმარებას საფუძვლად უშიშროების საბჭოს ან გენერალური ასამბლეის მანდატი, ან წევრი სახელმწიფოს, ან ტერიტორიის ოფიციალური თხოვნა უნდა ედოს; 2. გენერალური მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში გაეროს შესაბამის განყოფილებებთან კონსულტაციით, საჭიროებათა შეფასება უნდა ჩაატაროს. ეს პოლიტიკური ჩარჩო გაეროს ნორმატიულ ბაზას ემყარება და სახელმძღვანელოა გაეროს იმ ყველა ერთეულისთვის, რომელიც არჩევნების ჩატარებაში დახმარების გაწევის პროცესშია ჩართული. გაეროს სისტემა შემდეგი დირექტივებითა და პრინციპებით ხელმძღვანელობს:

- *პოლიტიკის დირექტივა არჩევნების დროს ძალადობის პრევენციისა და შემცირების შესახებ (2016 წ.),* რომელიც მიზნად არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის მიზეზების უკეთ გაგებას ისახავს და უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომელზე დაყრდნობითაც გაეროს სტრუქტურული ერთეულები არჩევნების დროს ძალადობის საკითხებზე მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას.

- *პოლიტიკის დირექტივა საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ არჩევნების ჩატარებაში გაეროს დახმარების მეშვეობით (2013 წ.),* რომელიც ადგენს მკაფიო სტრატეგიებსა და ამოსავალ წერტილებს არჩევნების ჩატარების დახმარების პროცესში გენდერულ საკითხთა მეინსტრიმინგისთვის (იხ. ქვეთავი 2.1.5 ჩარევის მასშტაბის შესახებ).[28]

- *პოლიტიკის დირექტივა გაეროს მიერ არჩევნების ჩატარებაში გაწეული დახმარების პრინციპებისა და სახეების შესახებ (2012 წ.),* რომელიც ყურადღებას ამახვილებს არა მარტო „ტრადიციულად მარგინალიზებული ჯგუფების, კერძოდ, ქალებისა და უმცირესობების, მონაწილეობისა და წარმომადგენლობის“ მნიშვნელობაზე, არამედ კონკრეტული ქვეყნის კონტექსტში გენდერულად სენსიტიური ზომების პოტენციური სარგებლის შეფასების შემდეგ, სთავაზობს ამ ქვეყანას, რომ გაეროს დახმარებამ, სხვა საკითხებთან ერთად, „საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებული სპეციფიკური ზომები, დროებითი სპეციალური ზომები და უფრო გრძელვადიანი პროგრამები“ მოიცვას.

- *სახელმძღვანელო პრინციპები არჩევნებთან დაკავშირებით გაეროს საჭიროებათა შეფასებისთვის (2012 წ.),* რომელთა დახმარებითაც მიიღება გადაწყვეტილება, გაუწევს თუ არა გაერო დახმარებას არჩევნების ჩატარებაში და რა სახის იქნება ეს დახმარება. ამგვარი შეფასებები ანალიზსა და რეკომენდაციებს უნდა მოიცავდეს, რათა „უზრუნველყოფილი იყოს გენდერულ საკითხთა მეინსტრიმინგი არჩევნების ჩატარებაში გაეროს მიერ გაწეული ყველა დახმარების პროცესში და მოხდეს ქალთა მონაწილეობისა და წარმომადგენლობის ხელშეწყობისთვის

---

28 იხ., აგრეთვე, „ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში საარჩევნო პროცესებში ქალთა როლის გაძლიერების შესახებ“, სამშვიდობო ოპერაციათა დეპარტამენტი/საველე დახმარების დეპარტამენტი – პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი, 2007 წლის ოქტომბერი, რომელშიც კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში არჩევნების ჩატარებისთვის გაწეულ დახმარებაში გენდერული თანასწორობის კომპონენტის შეტანის აუცილებლობა საგანგებოდაა ხაზგასმული.

პრიორიტეტის მინიჭება“ (მაგალითად, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მონაცემთა შეგროვებისთვის გენდერულ საკითხთა საკონტროლო ჩამონათვალი გამოიყენება).

გაეროს სისტემის ერთიანი პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკა იძლევა საფუძველს გაეროს მონაწილეობისთვის, რათა მოთხოვნისა და დამტკიცების შემთხვევაში, გაეროს არჩევნებში დახმარების პროგრამები აღიარებდნენ და რეაგირებდნენ არჩევნების დროს ქალთა მიმართ იმ ნებისმიერი სახის ძალადობაზე, რომელიც მიზნად ქალთა თანასწორი მონაწილეობისთვის დაბრკოლების შექმნას ისახავს. არჩევნების ჩატარებაში დახმარების გაწევისას გაერო ითვალისწინებს, რომ ერთიანი მოდელი ან პრობლემის გადაწყვეტის უნივერსალური საშუალება არ არსებობს. რეკომენდაციები ქვეყნების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტის ყოველმხრივ ანალიზსა და საჭიროებათა საფუძვლიან განხილვას უნდა ეყრდნობოდეს. განსახილველად წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა შესაძლო ვარიანტი და მათი სავარაუდო შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ გაერო ზოგადად წესებს არ უნდა ადგენდეს, ეს არ ნიშნავს, რომ მას არჩევნებთან დაკავშირებით არ შეუძლია თხოვნის წარმომდგენი სახელმწიფოსთვის მისი საერთაშორისო და რეგიონული ვალდებულებების, ნორმებისა და პრინციპების შესრულების, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის საჭიროების შესახებ რჩევების მიცემა, რაც საარჩევნო პროცესისადმი ნდობას გაზრდიდა.

გაეროს განვითარების პროგრამაც და გაეროს ქალთა ორგანიზაციაც იმ სტრატეგიული გეგმებით ხელმძღვანელობენ, რომლებიც ითვალისწინებს, როგორც არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის, ისე ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით სასურველი მიზნების მიღწევას. გაეროს განვითარების პროგრამა არჩევნების ჩატარებას მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში საშუალოდ ორ კვირაში ერთხელ ეხმარება. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა და არჩევნების ჩატარებაში დახმარების გაწევა არა მარტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილე ან ამომრჩეველი ქალების დარღვევებისა და ძალადობის შიშისგან დაცვას, არამედ პოლიტიკური პარტიების წახალისებასაც გულისხმობს, რათა მათ, ადამიანისა და ქალთა უფლებების დაცვის პლატფორმის ფარგლებში, ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას.


STATE L.A/1
01
03
03
01
03
03



# ნაწილი A

## არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მიმოხილვა


1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სირთულე 26

2. განმარტებები 29
   2.1 ქალთა მიმართ ძალადობა 29
   2.2 არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობა 31
   2.3 ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკურ ცხოვრებასა და არჩევნების დროს 33

3. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სახეები 35
   3.1 ფსიქოლოგიური ძალადობა 35
   3.2 ფიზიკური ძალადობა 37
   3.3 სექსუალური ძალადობა 39

4. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი 43
   4.1 არსებული მონაცემები 43
   4.2 ვინ არიან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლები? 45
   4.3 ვინ არიან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენები? 53

5. მიზეზები და შედეგები 61
   5.1 რატომ ხდება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას? 61
   5.2 რა შედეგები მოაქვს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას? 63

# 1

# არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის სირთულე

არჩევნების დროს ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის მნიშვნელობის მიუხედავად, ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა. ამის მიზეზი კვლევებსა და პოლიტიკაში ანგარიშებისა და მონაცემთა ნაკლებობა, ასევე საკითხში გაუთვითცნობიერებულობა და გენდერული ძალადობის მიმართ ბევრ საზოგადოებაში არსებული სტიგმაა. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ანალიზისა და მისი პრევენციისკენ მიმართულ მცდელობებს რამდენიმე დაბრკოლება ეღობება:

**არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მკაფიო განმარტებების არქონა, რასაც სტანდარტული მაჩვენებლების არარსებობაც ემატება.** მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო მეტი ქალი იღებს მონაწილეობას და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა სულ უფრო თვალშისაცემი ხდება, მისი მასშტაბის გასაზომად საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტებები და მაჩვენებლები არ არსებობს. ტრადიციულად, არჩევნების დროს ძალადობის აღქმა გენდერულ საკითხებს, ქალთა დაშინებასა და მათზე ფსიქოლოგიური ძალადობას არ ითვალისწინებდა[29] ვინაიდან ძალადობის ეს ფორმები უფრო შეფარულია და ხშირად მათ პირადი ხასიათი აქვთ, ისინი არჩევნების დროს ძალადობის განხილვისას ყურადღების მიღმა რჩება. თუმცა, არჩევნების დროს ძალადობის ყველა ფორმის გაცნობიერების გარეშე, შეუძლებელია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის სრულად განსაზღვრა, ამ ფენომენის გავრცელებისა თუ სიხშირის მაჩვენებლების შემუშავება და მისი შემცირებისკენ მიმართული სტრატეგიის ზემოქმედების განსაზღვრა. ყოველივე ამის გარეშე კი პრობლემის გადაწყვეტის რაიმე გზების შემოთავაზება რთულია.

**გავრცელებისა და სიხშირის გასაზომად მონაცემთა არარსებობა.** სტანდარტული მაჩვენებლების არარსებობის გამო, მონაცემთა შეგროვება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებისა და მსოფლიოს მასშტაბით იმ ქალების წილის შესახებ, რომლებსაც ამგვარი ძალადობა ეხებათ, სისტემატურად არ ხდებოდა. როგორც წესი, ეროვნულ დონეზე

29 ბარდოლი / საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, 2011.




*ამომრჩეველი ბიულეტენით. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, 2015 წ.*

არჩევნების დროს ძალადობის შემთხვევათა დოკუმენტირებისას,[30] გენდერული ფაქტორი გათვალისწინებული არ არის. აღნიშნულ მონაცემებში ძალადობის გენდერული ფორმების შეტანა და აღიარება არ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ მონაცემთა სისტემატიური შეგროვება არ მიმდინარეობს. შედეგად, ამ საკითხის შესახებ ცოდნა არასრულია.

**ქალთა მიმართ ძალადობის სტანდარტული განმარტებებისა და პროგრამების შემუშავებისას ამ ფენომენის პოლიტიკური ასპექტი უგულებელყოფილი იყო.** არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში გენდერული ფაქტორი აღიარებული არ იყო და ქალთა მიმართ ძალადობის კვლევებში ამ ფენომენის პოლიტიკური ასპექტი არ ყოფილა სათანადოდ გათვალისწინებული. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვების რაოდენობრივი მიდგომები ძალზე სპეციფიკურ მეთოდოლოგიურ და ეთიკურ მოთხოვნებს გულისხმობს, რომელთა შესრულება ხშირად რთულია. მათთვის პოლიტიკური ასპექტის დამატება აშკარა პრაქტიკულ და კონცეპტუალურ სირთულეებს ქმნის.

**ქალთა მიმართ ძალადობისა და არჩევნების დროს ძალადობის მსხვერპლების მიერ შემთხვევათა შეუტყობინებლობა.** ამ ფენომენთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დაზარალებულები ხშირად ძალადობის შემთხვევებს სათანადო ორგანოებს არ ატყობინებენ. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის შესახებ შეუტყობინებლობა კარგად ნაცნობი პრობლემაა და გამონაკლისი არც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაა. დუმილის

30 იხ., მაგალითად, არჩევნებზე დაკვირვება და მონიტორინგი, ასევე, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის არჩევნების დროს ძალადობის საკითხების შესახებ ინფორმირებისა და რეგულირების პროექტი. *მონაცემები მთელი მსოფლიოს მასშტაბით 13 არჩევნებზე მომხდარი შემთხვევების შესახებ, 2002 — 2012 წლები.* www.ifes.org

კულტურა იმითაცაა განპირობებული, რომ ხშირად ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენები დაუსჯელები რჩებიან. იმ მიზეზების გარდა, რომელთა გამოც ქალები მათ მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ სათანადო ორგანოებს არ ატყობინებენ, შესაძლოა, კანდიდატმა ქალებმა მათ მიმართ განხორციელებული მუქარისა და ფიზიკური თავდასხმის შემთხვევები იმიტომაც დამალონ, რომ „სუსტები" ან პოლიტიკისთვის შეუსაბამოები არ გამოჩნდნენ.

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიკერძოებული შეხედულებები ამ საკითხის გაშუქებისას.** საზოგადოების ინფორმირებასა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებისკენ მიმართულ ზომებს ხელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული, მიკერძოებული გენდერული სტერეოტიპები უშლის. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობა და მისი შეუტყობინებლობა ნიშნავს, რომ მედიის მიერ ამ ფენომენის სათანადოდ გაშუქება ან გამოძიება არ ხდება, ხოლო არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს გადაფარავს ხოლმე არჩევნების დროს ფიზიკური ძალადობის ის ამბები, რომელთა გადამოწმება უფრო ადვილია. ამას გარდა, ქალები მედიასაშუალებებში ჩვეულებრივ ნაკლებად არიან ხოლმე ახალი ამბების რედაქტორები, პროდიუსერები და მენეჯერები. უმეტესად კაცები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა წარმოადგენს ახალ ამბავს და როგორ უნდა მოხდეს ყოველდღიურ პროგრამებში ახალი ამბების წარმოდგენა.

**ძალადობასთან საბრძოლველად პოლიტიკური ნების არარსებობა.** ძალადობასთან საბრძოლველად პოლიტიკური ნების არარსებობა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის, ამ ფენომენის განმარტებისა და მასზე რეაგირების პროცესში მთავარ პრობლემას წარმოადგენს. „პოლიტიკური ნების არარსებობა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლისთვის არაადეკვატური რესურსების გამოყოფასა და იმგვარი პოლიტიკური თუ სოციალური გარემოს შექმნის უუნარობაში აისახება, რომელშიც ქალთა მიმართ ძალადობის შეწყნარება არ ხდება."[31] ამ პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო ნების არარსებობა იმ მანკიერ წრეს ქმნის, რომელშიც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა უმოქმედობას იწვევს, ხოლო არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ნების არარსებობა დუმილისა და ინფორმაციის ნაკლებობის კულტურას ამყარებს.

31 გაეროს გენერალური ასამბლეა, 2006. A/61/122/Add.1. „ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის სიღრმისეული შესწავლა: გენერალური მდივნის მოხსენება". 6 ივლისი.

# 2

# განმარტებები

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის განმარტებისას ჩვენ ვეყრდნობით შემდეგ პოსტულატებს: ა) გენდერული ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა ზემოქმედებას ახდენს ქალებზე პოლიტიკურ ცხოვრებაზე, თუმცა ამ მოვლენის შეფასებისას ამ დრომდე პოლიტის სფერო გათვალისწინებული არ ყოფილა;[32] ბ) პოლიტიკასა და არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის შესახებ კვლევები და პროგრამები მონაცემთა შეგროვებისას, განმარტებისას და ანალიზისას გენდერულ საკითხებს არ ითვალისწინებდნენ, თუმცა არსებობს არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის ძალზე სპეციფიკური ფორმები, რომლებიც გენდერული ფაქტორითაა განპირობებული. არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის სტანდარტული განმარტებებისთვის გენდერული საკითხების დამატება და, კაცებთან შედარებით, ქალთა მიმართ ძალადობის კონკრეტული ფორმების, ხასიათისა და შედეგების გათვალისწინება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებისა და განმარტებისთვის მყარ საფუძველს იძლევა.

## 2.1 ქალთა მიმართ ძალადობა

**ქალთა მიმართ ძალადობა** პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კაცებსა და ქალებს შორის ძალთა ისტორიულად უთანასწორო განაწილების მანიფესტაციას წარმოადგენს. მას ძალაუფლებითა და ქალებზე კონტროლით სარგებლობა და ბოროტად გამოყენება ახასიათებს. ის წარმოადგენს დისკრიმინაციის ფორმას, რომელიც სერიოზულად არღვევს და ხელყოფს ქალებისა და გოგოების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ძირითადი თავისუფლებით სარგებლობას.[33] გაეროს დეკლარაციაში „ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ," რომელიც 1993 წლის 20 დეკემბრის 48/104 რეზოლუციითაა მიღებული, ქალთა მიმართ ძალადობა განმარტებულია, როგორც „*გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი ქმედება*, რომელიც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს ქალებისთვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა, მათ შორის ამგვარი ქმედებებით მუქარა, ასევე, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში."[34]

32 ნაწილი B-ს 1.2 ქვეთავში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ცხრა ძირითად მაჩვენებელზე.

33 გაეროს კომისია ქალთა სტატუსის შესახებ, 2013. *მოხსენება 57-2 სესიის მუშაობის შესახებ.* დამატება № 7, 4–15 მარტი.

34 აქცენტი ავტორებისეულია. გაეროს გენერალური ასამბლეა, 1993. მუხლი 1.

**გენდერული ძალადობა** გულისხმობს ძალადობას, რომელიც მიმართულია ადამიანის წინააღმდეგ მისი გენდერული იდენტობისა და საზოგადოებასა თუ კულტურაში მის როლთან დაკავშირებული მოლოდინის გამო.[35] მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ადამიანის აზრით, გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა არის ტერმინი, რომელიც უფრო ზუსტად მოიცავს გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის შედეგად მომხდარ დარღვევებს, პოლიტიკასა და არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის კონტექსტში ჩვენ ვიყენებთ ტერმინს – „ქალთა მიმართ ძალადობა" და არა პირველ, უფრო ფართო ტერმინს, რადგანაც გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა მოიცავს ისეთ დარღვევებსაც (მაგალითად, ბავშვთა ქორწინება ან ბავშვებზე სექსუალური ძალადობა), რომლებსაც ჩვენს თემასთან კავშირი შეიძლება არ ჰქონდეს.[36]

## ქალთა მიმართ ძალადობა სამ კონტექსტში ხდება: ოჯახის, თემისა და სახელმწიფოს დონეებზე.

**ოჯახი** არის ადგილი, სადაც ქალთა მიმართ ძალადობა ყველაზე ხშირია. სწორედ ოჯახში ხდება ხოლმე ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის შემთხვევები (მათ შორის მეუღლის მიერ გაუპატიურება, ასევე კონტროლის ფორმები – ეკონომიკური კონტროლი, იზოლირება და თავისუფლების იძულებით აღკვეთა, მუქარა და შეურაცხყოფა). არსებული მონაცემებით, მთელ მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული სახე ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობაა.[37] ოჯახი „ამზადებს თავის წევრებს საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის, აყალიბებს გენდერულ სტერეოტიპებსა და სქესთა შორის შრომის განაწილებასთან დაკავშირებულ წარმოდგენებს". შესაბამისად, იგი ან ამკვიდრებს, ან ცვლის იმ გენდერულ ურთიერთობებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ძალადობას.[38]

**თემი** წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოს, სადაც ქალთა მიმართ ძალადობა ვლინდება. თემს, რომელიც, ოჯახის მსგავსად, მავნე სოციალურ და კულტურულ ნორმებსა თუ სხვადასხვა პრაქტიკას იზიარებს, შეუძლია, დაამკვიდროს საზოგადოებაში ქალთა უთანასწორო განაწილება და შეიწყნაროს, მოითმინოს ან დაამკვიდროს ქალთა მიმართ ძალადობა. სოციალური და კულტურული ნორმები თუ პრაქტიკა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის გასამართლებლად არასდროს უნდა იყოს გამოყენებული. თემის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის მაგალითებია: სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური შევიწროება და დაშინება სამსახურში, სასწავლო და რელიგიურ დაწესებულებებში, სექსუალური შევიწროება სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, მაგალითად, ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სოციალური გარიყვა, როგორებიცაა გაგდება ან გაუცხოება, ასევე, ისეთი მავნე პრაქტიკა,

---

35 გაეროს ქალთა ორგანიზაცია. მონაცემთა გლობალური ბაზა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. http://evaw-global-database.unwomen.org/en/about

36 გარდა ამისა, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ვრცელდება კანდიდატების, ამომრჩევლების, დამკვირვებლების, პერსონალისა და ა.შ. სახით მონაწილე ქალებზე, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ზრდასრული ადამიანები არიან. გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა ასევე მოიცავს ბიჭებისა და გოგოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს, ისინი კი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პირდაპირი ობიექტები არ არიან. ქალების მიმართ ძალადობა კი, თავისი განმარტების თანახმად, ქალებს ეხება.

37 Winrock International, 2001. *„ოჯახში ძალადობისა და ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია", ტრენინგის სახელმძღვანელო*. კიევი, უკრაინა.

38 იქვე.

როგორებიცაა ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება და ადრეული, ბავშვთა და იძულებითი ქორწინება.[39]

ქალთა მიმართ ძალადობის ჩადენაში **სახელმწიფოსაც** შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს; მას ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის ჩადენა და/ან ხელშეწყობა თავისი წარმომადგენლების, ან დისკრიმინაციული სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონების, ან მათი არაეფექტიანი აღსრულების მეშვეობით შეუძლია.[40] სახელმწიფომ ქალთა მიმართ ძალადობა შეიძლება უშუალოდ, მაგალითად, ეროვნული შეიარაღებული ძალების ან პოლიციის წარმომადგენლების მეშვეობით განახორციელოს, ან ძალადობის ირიბი სახით განმახორციელებლად იქცეს, თუ ქალთა მიმართ ძალადობას არაოფიციალურ დონეზე (მაგალითად, ოჯახსა და თემში) არ აღკვეთს. რადგანაც სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნქციას პირადი ცხოვრებისა და ღირსების დამცველი ნორმების დაწესება წარმოადგენს, გენდერული ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული ზომები სწორედ მან უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს.[41] ასევე, მოძალადეთა კატეგორიას მიეკუთვნებიან დამნაშავეები, აჯანყებულები თუ შეიარაღებული მოქალაქეები, ვინაიდან, გარკვეულ გარემოებებში, ქალთა მიმართ ძალადობა ომის წარმოებისა და ეთნიკური დომინირების ფორმებია.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ადგილებში შეიძლება ხდებოდეს, არსებული მონაცემების უმეტესობა ცხადყოფს, რომ ქალთა მიმართ ძალადობას კერძო/პირად სფეროში აქვს ადგილი. მსოფლიოს მასშტაბით, კაცთან ინტიმური ურთიერთობის გამოცდილების მქონე ყოველი ათი ქალიდან სამს პარტნიორის მხრიდან თავისი ცხოვრების რომელიღაც მომენტში ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა; ზოგ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი ყოველი ათი ქალიდან შვიდს შეადგენს.[42] ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ასევე, თემში ძალადობის ზოგიერთი სახის დაფარული ხასიათის გამო, ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოებისთვის ისტორიულად უჩინარი იყო.

## 2.2. არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობა

გაეროს პოლიტიკის დირექტივა არჩევნების დროს ძალადობის პრევენციისა და შემცირების შესახებ (2016 წ.) არჩევნების დროს ძალადობას განმარტავს, როგორც პოლიტიკური ძალადობის ფორმას, „რომელიც ხშირად არჩევნების შედეგებსა და, შესაბამისად, პოლიტიკური ძალაუფლების განაწილებაზე ზემოქმედების მოსახდენად გამოიყენება“. ასევე, დირექტივაში აღნიშნულია, რომ არჩევნების დროს ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს ფიზიკური ძალადობის ან აგრესიის სხვა ფორმებით, მათ შორის იძულებით ან დაშინებით. შეიძლება, მას ადგილი ჰქონდეს საარჩევნო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის კენჭისყრამდე ან კენჭისყრის დროს, ასევე, შედეგების და-

39 დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ გაერო. 2006 წ. „*ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა: სიტყვიდან საქმისკენ*“. გენერალური მდივნის კვლევა. გვ. 47.
40 იქვე. გვ. 52.
41 Winrock, 2001.
42 ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და თანაავტორები, 2013 წ.

თვლისა და გამოქვეყნების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის ძალადობა საარჩევნო პროცესზეა კონცენტრირებული, მისი არსებობა ხშირად ნიშნავს, რომ პოლიტიკური წყობა ადეკვატურად ვერ არეგულირებს ან ვერ აწონასწორებს კონკურენტულ პოლიტიკურ ინტერესებს.[43]

გაეროს განვითარების პროგრამა არჩევნების დროს ძალადობას განმარტავს, როგორც იძულების ან ფიზიკური ზიანის მიყენების იმგვარ ქმედებას ან მუქარას, რომელიც ჩადენილია საარჩევნო პროცესზე ზემოქმედების მოსახდენად ან საარჩევნო კონკურენციის ფარგლებში. როდესაც ძალადობა საარჩევნო პროცესზე ზემოქმედების მოსახდენადაა ჩადენილი, შესაძლოა, ძალადობას ჰქონდეს ხმის მიცემაში დაბრკოლების, ხელის შეშლის ან ჩაშლის სახე და მან შეიძლება ზეგავლენა შედეგებზე მოახდინოს, ანუ საარჩევნო მარათონში გამარჯვებულები განსაზღვროს ან რეფერენდუმზე წამოჭრილ საკითხებზე თანხმობა ან უარი უზრუნველყოს.[44]

## არჩევნების დროს ძალადობას ხუთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი აქვს:

1. არჩევნების დროს ძალადობას გამოვლინებათა ფართო სპექტრი ახასიათებს, მათ შორის ხმის მიცემის პროცესში ხელის შეშლა და ამ პროცესის ჩაშლა, ასევე, იძულება, დაშინება და ამომრჩევლებზე, პოლიტიკურ მომხრეებსა და არჩევნების ორგანიზატორებზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ზიანის მიყენების მუქარა.
2. არჩევნების დროს ძალადობა გამოიყენება პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, რომელიც მოძალადეების მიხედვით განსხვავებულია. მოძალადეები კი შეიძლება იყვნენ სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიების თუ ისეთი სხვა ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულები არიან არჩევნების შედეგებით.[45]
3. არჩევნების დროს ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს საარჩევნო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე: ამომრჩეველთა რეგისტრაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის დროს, კენჭისყრის დღეს, შედეგების გამოცხადებამდე ან მთავრობის ფორმირებამდე.[46]
4. არჩევნების დროს ძალადობის სტანდარტული განმარტებები გენდერულ ასპექტებს არ ითვალისწინებს. არჩევნების დროს ძალადობის არსებული დეფინიციების განზრახვა არ არის გენდერულ მოტივაციისა და ქალების შეგნებულად გამოტოვება, მაგრამ განმარტებაში ამ ასპექტზე ყურადღების გაუმახვილებლობა, პოლიტიკურ კონტექსტში ძალადობის ფორმების შესახებ ანგარიშგებისას ხელს უწყობს კაცებზე ორიენტირებული, ანუ გენდერული თვალსაზრისით არასენსიტიური შეხედულებისა და ანალიზის წარმოებას.
5. არჩევნების დროს ძალადობასთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზის უმეტესი ნაწილი საზოგადოებრივ სფეროზეა კონცენტრირებული და უგულებელყოფს ძალადობის იმ შესაძლო ფორმებს, რომლებიც პირად, ანუ საოჯახო წრეში ვლინდება. საზოგადოებრივ სფეროში ძალადობის გენდერული ხასიათის გათვალისწინება არ ხდება და ოჯახსა და თემში ქალებზე ძალადობის პოლიტიკური ასპექტი საზოგადოებისთვის უმეტესწილად უცნობი რჩება.

43 გაერო / პოლიტიკურ საქმეთა დეპარტამენტი, 2016. გვ. 4.
44 გაეროს განვითარების პროგრამა, 2009ა. „არჩევნები და კონფლიქტის პრევენცია: სახელმძღვანელო ანალიზისთვის, დაგეგმვისა და პროგრამების ჩამოყალიბებისთვის", გვ. 4, და გაეროს განვითარების პროგრამა, 2012.
45 გაეროს განვითარების პროგრამა, 2012.
46 იქვე.

## 2.3. ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკისა და არჩევნების კონტექსტში

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის უფლება ფართო ნორმატიული ბაზითაა გამყარებული და მისი რეზიუმირება შეიძლება „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტით. იგი მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს ყველა საჭირო ზომის მიღებას, რათა მათ უზრუნველყონ ქალების უფლება, მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში (და განხორციელებაში) და დაიკავონ სახელმწიფო პოსტები, იყვნენ საჯარო სამსახურში სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე. „პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ქალების“ განმარტება გულისხმობს ქალებს, რომლებიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით სხვადასხვა ფორმის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობენ, მათ შორის ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე არჩეული თუ დანიშნული თანამდებობის პირების, პოლიტიკური პარტიების წევრების, საარჩევნო კანდიდატების, ამომრჩევლების, საარჩევნო პერსონალის, პოლიტიკური აქტივისტებისა და ორგანიზატორების სახით.[47] საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილე ქალები, შესაძლოა, იყვნენ დანიშნული თანამდებობის პირებიც, მაგალითად, მინისტრები, მოხელეები (მუნიციპალური, ადგილობრივი / რეგიონული / ეროვნული დონეების), ასევე საზოგადოებრივი საბჭოების, დაწესებულებების, კომისიებისა და პროფესიული კავშირების წევრები, თემის ლიდერები და უფლებადამცველები.

საერთაშორისო დონეზე არ არსებობს შეთანხმებული განმარტება, თუ რას წარმოადგენს „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა“, თუმცა სხვადასხვა ორგანიზაციამ და სამეცნიერო წრეებმა ამ საკითხზე მუშაობა დაიწყეს.[48] რადგანაც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ხელს პოლიტიკური უფლებების რეალიზაციას უშლის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის განმარტებას საფუძვლად ადამიანის უფლებებზე დამყარებული მიდგომა უდევს:

**პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს გენდერული ნიშნით ძალადობის იმგვარ ქმედებას ან მისი ჩადენის მუქარას, რომელიც იწვევს ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს ან ტანჯვას ქალებისთვის და ხელს უშლის მათ, საზოგადოებრივ ან პირად ცხოვრებაში განახორციელონ და ისარგებლონ საკუთარი პოლიტიკური უფლებებით, მათ შორის ხმის უფლებით, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებით, ხმის საიდუმლოდ მიცემის უფლებით, კამპანიის თავისუფლად წარმოების უფლებით, გაერთიანებისა და შეკრების უფლებით და შეხედულებისა და გამოხატვის თავისუფლებით. ამგვარი ძალადობა ოჯახის წევრმა, თემის წარმომადგენელმა ან სახელმწიფომ შეიძლება ჩაიდინოს.[49]**

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის თავიდან აცილება და მათზე ქმედითი რეაგირება, მიუხედავად იმისა – ოჯახის წევრის მიერაა იგი ჩადენილი, თემის წარმომადგენლის, იმავე ან სხვა პოლიტიკური პარტიის წევრის, უცხო პირის თუ სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ, სახელმწიფოს ვალდებულებაა.[50]

---

47 დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ გაეროს ქალთა ორგანიზაცია / დერიკ მარკო, 2011. „სახელმძღვანელო აფრიკაში ქალებს შორის პოლიტიკური ძალადობის მართვისა და პრევენციისთვის“ *(A Toolkit for Managing and Preventing Political Violence against Women (PVAW) in Africa)*. არ გამოქვეყნებულა.

48 დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კამპანია “Not the Cost”: https://www.ndi.org/not-the-cost

49 ჯული ბალინგტონი, 2016. „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა: როგორ მივაღწიოთ ამ მიზანს?“ *(Turning the Tide on Violence against Women in Politics: How Are We Measuring Up?)*. წარმოდგენილი იყო პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის 24-ე მსოფლიო კონგრესზე. პოზნანი, პოლონეთი, 23-28 ივლისი.

50 სუკი ბივერსი, 2016 წ. მიმოწერა ავტორთან (ბალინგტონთან). ივნისი.

ზემოთ მოცემული განმარტების თანახმად, **არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის ფორმას, რომელიც მიზნად ისახავს ქალების მიერ არჩევნების კონტექსტში მათი პოლიტიკური უფლებებით რეალიზებაზე ზემოქმედების მოხდენას.** აღნიშნული გულისხმობს ქალთა მონაწილეობას კანდიდატების, ამომრჩევლების, აქტივისტების, პარტიების მომხრეების, დამკვირვებლების, საარჩევნო ორგანოების თანამშრომლების ან სახელმწიფო თანამდებობის პირების სახით.

**შესაძლოა, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობამ** ხელი შეუშალოს ქალებს არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობაში, პოლიტიკური თანამდებობისთვის საარჩევნო მარათონში გამარჯვებაში, ასევე, ხელი შეუშალოს მათ ხმის მიცემაში ან დასაჯოს ისინი საარჩევნო პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის. ამგვარი ძალადობის აქტებს შეიძლება ჰქონდეთ ფსიქოლოგიური, ფიზიკური და სექსუალური ხასიათი და მოიცვან საარსებო საშუალების მოსპობა, დაშინება, ფიზიკური ან სექსუალური აგრესია, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის იძულება და მკვლელობა.[51] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აქტები შეიძლება ხორციელდებოდეს ოჯახის, თემის ან სახელმწიფოს დონეებზე, საჯარო ან კერძო სფეროებში. ნებისმიერ ამ კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობის აქტები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობად იქცევა, თუ ისინი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობასა და მათ მიერ პოლიტიკური უფლებების განხორციელებაზე.

ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნების დროს, მისთვის დამახასიათებელი თვისებების გამო, დამოუკიდებლად უნდა იყოს შესწავლილი: იგი გულისხმობს გარკვეულ დაზარალებულ პირებს, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობისთვის გენდერის ნიშნით იდევნებიან, ძალადობის ჩამდენ კონკრეტულ პირებს თავდასხმის კონკრეტული მოტივებით ძალადობის მკაფიო ფორმებსა და მეთოდებს, კონკრეტულ – საჯარო, და კერძო ადგილებსა და შედეგებს.

51 გაერო, 2006.

# 3

# არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სახეები

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას ადგილი მაშინ აქვს, როდესაც ქალის მიმართ ხორციელდება ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური თავდასხმა, რათა ხელი შეუშალონ ქალს და/ან დასაჯონ ის საარჩევნო უფლებების რეალიზაციისთვის. შესაძლოა, არჩევნების დროს ძალადობა განხორციელდეს ქალებზე, რომლებიც არიან კანდიდატები, პარტიის მომხრეები, ამომრჩევლები და კანდიდატების ოჯახის წევრები. ძალადობის ჩამდენები შეიძლება იყვნენ პოლიტიკური მხარეები, საზოგადოების წევრები ან კერძო პირები. წინამდებარე თავში თითოეულ ამ ასპექტს განვიხილავთ.

## 3.1. ფსიქოლოგიური ძალადობა

არსებული მონაცემებით, ფსიქოლოგიური ძალადობა და დაშინება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე ხშირი ფორმებია (იხ. ცხრილი 1). ფსიქოლოგიური ძალადობაშეიძლებაგანისაზღვროს,როგორც „ქცევა, რომელიც მიზნად დაშინებასა თუ დევნას ისახავს და გამოიხატება მიტოვების მუქარით ან შევიწროებით, სახლში ჩაკეტვით, თვალთვალით, ბავშვებზე მეურვეობის ჩამორთმევის მუქარით, ნივთების დამტვრევით, იზოლირებით, სიტყვიერი აგრესიითა და მუდმივი დამცირებით.“[52]

### რა ფორმებით გამოიხატება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა?

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებიდან ყველაზე მრავალფეროვანი და გავრცელებული ფსიქოლოგიური ძალადობაა. იგი მოიცავს ფიზიკური ანგარიშსწორების ღია მუქარასა და ყველა ჯგუფის, მათ შორის კანდიდატების, პარტიების მომხრეების, ამომრჩევლებისა და არჩევნების ორგანიზატორების, შევიწროებას. სოციალური იზოლაციის, განქორწინებისა და გაგდების შეფარული თუ ღია მუქარის გამო, ქალებმა შეიძლება უარი თქვან არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაზე, ზოგადად ხმის მიცემაზე ან საახლობლოს/ოჯახის სასურველი კანდიდატის წინააღმდეგ ხმის მიცემაზე. ფსიქოლოგიური ზიანი ამცირებს ადამიანს, არცხვენს მას და ახდენს მის

52 გაეროს ქალთა ორგანიზაცია. „ტერმინთა სიტყვარი პროგრამების შემუშავების არსებითი ნაწილებიდან და მონიტორინგისა და შეფასების ნაწილებიდან“ *(Glossary of Terms from Programming Essentials and Monitoring and Evaluation Sections)*. ცოდნის ვირტუალური ცენტრი ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად.

დემორალიზებას. მუქარა ხშირად წინ ფიზიკურ ძალადობას უსწრებს.

ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმების მსგავსად, ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება ოჯახში, თემსა და საჯარო სივრცეში, მათ შორის ინტერნეტსივრცეშიც ხდებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის გავრცელების მასშტაბისა და სიხშირის შესახებ მონაცემები არ არსებობს, ერთეული მტკიცებულებები და არსებული კვლევები გვაჩვენებს, რომ ამგვარი შემთხვევების უმეტესობა შინაურ გარემოში ხდება. ფსიქოლოგიური ძალადობა სულ უფრო ხშირად ვლინდება ინტერნეტსივრცესა და საზოგადოებრივ ფორუმებზე, მათ შორის ისეთ სოციალურ ქსელებში, როგორებიცაა Facebook თუ Twitter და ასევე, მობილური ტელეფონების მეშვეობით. ფსიქოლოგიურ ძალადობას არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის თითქმის ყველა ჩამდენი მიმართავს ხოლმე. ქალი შეიძლება ახლოს იცნობდეს ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენს, მაგალითად, მაშინ, როდესაც მოძალადეები არიან ოჯახის წევრები, რელიგიური ორგანიზაციისა თუ თემის წარმომადგენლები, რათა მათ ხელი შეუშალონ ქალის მონაწილეობას ან პირიქით, აიძულონ მას არჩევნებში მონაწილეობა. ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება ჩაიდინონ იმ მხარეებმაც, რომლებსაც მსხვერპლი პირადად არ იცნობს, მაგალითად, სახელმწიფომ, პოლიტიკურმა პარტიებმა და შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა.

მაგალითად, პაკისტანში, 2015 წლის მაისში, ქვედა დირის ოლქში საპარლამენტო არჩევნების დროს ხმის უფლების მქონე 53 000 ქალიდან კენჭისყრაში მონაწილეობა ვერცერთმა მოახერხა.[53] შეტყობინებების მიხედვით, „მეჩეთებში ქალებს აფრთხილებდნენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ, საარჩევნო უბნებს კი ხელკეტებით შეიარაღებული კაცები იცავდნენ, რომლებიც იმ მცირე რაოდენობის ქალებს, რომლებიც არჩევნებზე მაინც მივიდნენ, საარჩევნო უბანზე შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ“.[54] ქალების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ოჯახის წარმომადგენელი კაცები არ აძლევდნენ მათ პოლიტიკურ თავყრილობებზე დასწრების ნებას, უარს ეუბნებოდნენ ოჯახში არჩევნების ან პოლიტიკის განხილვაზე და არჩევნებში ხმის მიცემას უკრძალავდნენ.“[55]

53 გაეროს ქალთა ორგანიზაცია პაკისტანში, 2016. „პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა: პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა“ *(Creating an Enabling Environment for Women's Political Participation: Ending Violence against Women in Political and Electoral Processes)*. არ გამოქვეყნებულა.

54 ჯონ ბუნი, 2015. „პაკისტანის ზოგიერთ ნაწილში ქალებს კენჭისყრაში მონაწილეობის შესაძლებლობა არ ეძლევათ“ *(Women Barred from Voting in Parts of Pakistan)*.B: The Guardian. 29 მაისი.

55 სირაჯუდინი, 2015. PK-95: „ხანმოკლე გამარჯვება იმედიანი ამომრჩეველი ქალებისთვის ქვედა დირში“ *(A Short-Lived Victory for Hopeful Female Voters in Lower Dir)*. B: Dawn, 18 ივნისი.

| ძალადობის ობიექტი | არჩევნების დროს ქალთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის სახე | ძალადობის პოტენციური ჩამდენი |
| --- | --- | --- |
| **კანდიდატები და პრეტენდენტები** | • სიტყვიერი შეურაცხყოფა და თავდასხმა<br>• ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა, იძულება და დაშინება საარჩევნო მარათონზე უარის თქმის იძულების მიზნით<br>• განქორწინების მუქარა ან ეკონომიკური იძულება<br>• ეკონომიკური იძულება ან ფინანსური დახმარების შეწყვეტის მუქარა<br>• სოციალური მარგინალიზაცია<br>• ხმების გავრცელება და საზოგადოებაში შიშის დათესვა<br>• ოჯახის, საარჩევნო შტაბისა და ბიზნესის მიმართ მუქარა<br>• მედიაში უარყოფითი გაშუქება<br>• ინტერნეტით დევნა და დაშინება<br>• შანტაჟი, მუქარა და მორალური შევიწროება დამსაქმებლის ან რელიგიური ლიდერის მიერ | • ოჯახის წევრები<br>• ინტიმური პარტნიორი / მეუღლე<br>• თემები და ამომრჩევლები<br>• ტრადიციული და / ან რელიგიური ლიდერები<br>• ახალგაზრდული ჯგუფები<br>• პოლიტიკური პარტიის წევრები და მომხრეები<br>• სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა წარმომადგენლები<br>• არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები<br>• შეიარაღებულ ფორმირებათა წარმომადგენლები<br>• კანდიდატები<br>• ამომრჩევლები<br>• არჩევნებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები<br>• არჩევნებზე დამკვირვებლები<br>• მედია და ჟურნალისტები |
| **ამომრჩევლები** | • სიტყვიერი შეურაცხყოფა და თავდასხმა<br>• ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა, იძულება და დაშინება პოლიტიკურ უფლებათა განხორციელებაში ხელის შეშლის მიზნით<br>• მეუღლის ან მშობლების მხრიდან ზეწოლა პოლიტიკურ არჩევანთან დაკავშირებით<br>• სასურველი კანდიდატის თავს მოხვევა / ოჯახური კენჭისყრა<br>• უარი ხმის მისაცემად სახლიდან წასვლაზე<br>• ნათესავების უარი, მიხედონ ბავშვებს, რათა დედა ხმის მისაცემად წავიდეს<br>• ეკონომიკური იძულება ან დასჯა | |
| **პოლიტიკური მომხრეები და აქტივისტები** | • სიტყვიერი შეურაცხყოფა პოლიტიკური შეხედულებების გამო<br>• ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა და დაშინება<br>• ხმების გავრცელება და რეპუტაციის შელახვა<br>• მორალური შევიწროება დამსაქმებლის ან რელიგიური ლიდერის მიერ | |
| **საარჩევნო ორგანოების თანამშრომლები, დამკვირვებლები და სახელმწიფო თანამდებობის პირები** | • ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა და დაშინება<br>• დამსაქმებლის მხრიდან დასჯის მუქარა / ეკონომიკური იძულება<br>• დაცინვა და შერცხვენა<br>• მორალური შევიწროება უხუცესის ან რელიგიური ლიდერის მიერ | |

## 3.2. ფიზიკური ძალადობა

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის კიდევ ერთ გავრცელებულ ფორმას ფიზიკური ძალადობა წარმოადგენს. იგი მოიცავს ფიზიკური ძალის განზრახ გამოყენებას მოკვლის, ტრავმის ან ზიანის მიყენების პოტენციალით. ფიზიკური ძალადობა მოიცავს, მაგრამ არა მხოლოდ, ხელის კვრას, წაქცევას, ხელის უხეშად მოკიდებას, დახრჩობას, შენჯღრევას, სილების გარტყმას, დარტყმას, დაწვას, დაბმას ან საკუთარი

სხეულის ზომის ან ძალის გამოყენებას სხვა პირის მიმართ, ასევე, იარაღის ან სხვა ნივთის გამოყენებას ან გამოყენების მუქარას.[56] ამას გარდა, ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს მოტაცებითა და თვითნებური დაკავებით, ცემით, ჩაქოლვით, ფიზიკური მიტოვებით ან საცხოვრებელი სახლიდან გაგდებით.

## რა ფორმებში გამოიხატება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ფიზიკური ძალადობა?

ფიზიკური ძალადობა მიმართულია კანდიდატი, ამომრჩეველი, აქტივისტი და საარჩევნო ორგანოების თანამშრომელი ქალების მიმართ. ამომრჩევლების ან მოწინააღმდეგე პარტიებისა და კანდიდატების დევნის მიზნით, ამ სახის ძალადობა შეიძლება გამოიყენონ როგორც სახელმწიფო, ისე პოლიტიკურმა აქტორებმა. ფიზიკურ ძალადობას იყენებენ ამომრჩევლებიც და რიგითი მოქალაქეებიც, მათ შორის მეუღლეები და ოჯახის წევრები, რათა არჩევნებში მონაწილეობის გამო ქალებზე შური იძიონ.

ფიზიკური ძალადობა ყველა დონეზე, მათ შორის ოჯახში, თემსა და საჯარო სივრცეში, ხდება, თუმცა ყველაზე თვალშისაცემი იგი საჯარო ადგილებშია. მაგალითად, კამპანიის წარმოებისას, შეხვედრებსა და ტრენინგებზე, ასევე, კანდიდატების მიერ კამპანიის ფარგლებში კარდაკარ სიარულისას. ამ სახის ძალადობა შეიძლება შეგვხვდეს დაწესებულებებშიც, მაგალითად, პოლიტიკური პარტიების ოფისებში, საარჩევნო ორგანოებში, საარჩევნო უბნებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. ფიზიკური ძალადობის გამოვლენა ჩვეულებრივი ამბავია ძალადობის ჩამდენი ყველა პირისთვის, თუმცა იგი განსაკუთრებით ხშირი მეტოქე პოლიტიკურ პარტიებს შორისაა. არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ფორმის, მათ შორის ფიზიკური ძალადობის, მასშტაბი დღესდღეობით სათანადოდ დოკუმენტირებული არ არის, თუმცა, სავარაუდოდ, საგრძნობია. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმა მკვლელობაა.

2014 წელს ლიბიაში ქალთა მოძრაობის ლიდერი სალვა ბუგაიგისი მაშინ მოკლეს, როდესაც იგი საყოველთაო არჩევნების დროს ხმის მისაცემად მიდიოდა.[57] 2015 წელს ერაყში გაერომ გაავრცელა გაფრთხილება, რომ „განათლებულ, პროფესიონალ ქალებს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კენჭს იყრიან“, ბანდფორმირებათა წევრების მხრიდან მკვლელობის საფრთხე განსაკუთრებით ემუქრებათ.[58]

---

56 გაეროს ქალთა ორგანიზაცია. „ტერმინთა სიტყვარი პროგრამების შემუშავების არსებითი ნაწილებიდან და მონიტორინგისა და შეფასების ნაწილებიდან“ *(Glossary of Terms from Programming Essentials and Monitoring and Evaluation Sections).*

57 კრის სტივენი, 2014. „ლიბია შოკშია ადამიანის უფლებათა აქტივისტის სალვა ბუგაიგისის მკვლელობის გამო“ *(Libya in Shock after Murder of Human Rights Activist Salwa Bugaighis).*B: The Guardian, 26 ივნისი.

58 სემუელ სმითი, 2015. „გაერო: ISIS ხოცავს განათლებულ ქალებს, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს“ *(UN:ISIS Killing Educated Women, Especially Politicians).*B: Christian Post

| ძალადობის ობიექტი | არჩევნების დროს ქალთა მიმართ ფიზიკური ძალადობის სახე | ძალადობის პოტენციური ჩამდენი |
|---|---|---|
| **კანდიდატები და პრეტენდენტები** | • მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა<br>• ცემა, თავდასხმა, ფიზიკური თავდასხმა და სხეულის დაზიანება<br>• ფიზიკური ზიანის მიყენება და დაშინება საარჩევნო მარათონზე ან პოლიტიკაზე უარის თქმის იძულების მიზნით<br>• თვითნებური დაკავება ან მოტაცება<br>• თავდასხმა და წამება<br>• ქონების მოპარვა<br>• ოჯახისა და საარჩევნო შტაბის წევრებისთვის ზიანის მიყენება ან მათზე ძალადობა | • ოჯახის წევრები<br>• ინტიმური პარტნიორი / მეუღლე<br>• თემები და ამომრჩევლები<br>• ახალგაზრდული ჯგუფები და ბანდფორმირებათა წევრები<br>• პოლიტიკური პარტიის წევრები და მომხრეები<br>• არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები<br>• სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა წარმომადგენლები<br>• კანდიდატები<br>• ამომრჩევლები<br>• არჩევნებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები<br>• არჩევნებზე დამკვირვებლები |
| **ამომრჩევლები** | • ფიზიკური თავდასხმა მიზნობრივ ჯგუფებზე<br>• თვითნებური დაკავება და დაპატიმრება<br>• ფიზიკური ძალადობა ამომრჩევლის არჩევანის გამო<br>• ცემა, თავდასხმა, ფიზიკური თავდასხმა და სხეულის დაზიანება<br>• რეგისტრაციისა თუ კენჭისყრის ადგილებამდე მისვლაში ფიზიკური დაბრკოლება | |
| **პოლიტიკური მომხრეები და აქტივისტები** | • ჯგუფური შეტაკებები<br>• პროტესტანტთა ძალადობრივი დაშლა<br>• ძალადობა პარტიებს შორის და თავად პარტიებში<br>• ცემა, თავდასხმა, ფიზიკური თავდასხმა და სხეულის დაზიანება<br>• თვითნებური დაკავება | |
| **საარჩევნო ორგანოების თანამშრომლები, დამკვირვებლები და სახელმწიფო თანამდებობის პირები** | • ფიზიკური თავდასხმა<br>• ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა და დაშინება<br>• ქონების მოპარვა | |

## 3.3. სექსუალური ძალადობა

მართალია, სექსუალური ძალადობის აღიარება იშვიათად ხდება და ხშირად მისი დოკუმენტირება რთულია, ძალადობის ეს ფორმა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სახით ღიად გამოიყენება.[59] სექსუალური ძალადობა მოიცავს ნებისმიერ სქესობრივ აქტს თანხმობის გარეშე, სქესობრივი აქტის დამყარების მცდელობას, არასასურველ კომენტარებს ან ტრეფიკინგის აქტებს, ან სხვა, ნებისმიერ ქმედებას, რომლებიც მიმართულია ადამიანის სექსუალობის წინააღმდეგ და ჩადენილია ნებისმიერი პი-

59 გაეროს განვითარების პროგრამა, 2012.

რის მიერ, მსხვერპლთან ურთიერთობის მიუხედავად, ნებისმიერ ადგილას, მათ შორის, სახლში და სამსახურში (თუმცა არა მხოლოდ).[60]

## რა ფორმებით გამოიხატება არჩევნების დროს ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა?

სექსუალური ძალადობა მოიცავს სექსუალური ხასიათის თავდასხმას, სექსუალურ შეურაცხყოფას, სექსუალურ შევიწროებასა და გაუპატიურებას. სექსუალური ხასიათის მუქარა და თავდასხმები შეიძლება მოხდეს როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად სფეროში. პირად სფეროში სექსუალურ ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ქალი ქმრის ან საახლობლო წრის პოლიტიკურ შეხედულებებს არ იზიარებს, ან როდესაც, სახელმწიფო თანამდებობის მოპოვების სურვილის გამო, ტრადიციული როლების დარღვევას ცდილობს. უკიდურესი გენდერული უთანასწორობის პირობებში და მნიშვნელოვანი გენდერული ძალადობის ზოგიერთ კონტექსტში საარჩევნო პერიოდის დაძაბულობამ და ღელვამ შეიძლება სექსუალური ძალადობის შემთხვევათა გახშირებას პროვოცირება ქალთა პოლიტიკური შეხედულებებისგან ან პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობისგან დამოუკიდებლადაც გაუწიოს. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმას გაუპატიურება წარმოადგენს. სექსუალური ძალადობა შეიძლება იყოს შემთხვევითი, „რომელიც დაკავშირებულია კანონისა და მართლწესრიგის ზოგად შესუსტებასთან და ყველა სახის კრიმინალის აღზევებასთან“[61] არჩევნების გამო წარმოქმნილი უწესრიგობის პირობებში და, ასევე, ეს აქტი შესაძლოა იყოს მიზანმიმართული, როდესაც იგი მიზნად ოპონენტის დამცირებას ან დემორალიზებას ისახავს.

ინტიმური პარტნიორის მხრიდან გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა გამოვლინებები ოჯახში თითქმის ყოველთვის ხდება, როგორც ქალების პოლიტიკურ არჩევანზე ან პოლიტიკური ცხოვრებაში მონაწილეობაზე კონტროლის საშუალება. ამავდროულად, სექსუალური ძალადობა უცხო პირების (ბანდფორმირებათა წევრების, პოლიციისა და ა.შ.) მხრიდან ხშირად საჯაროდ ხდება. ის შეიძლება მოხდეს შეხვედრების ადგილას, საარჩევნო უბნებზე, ქუჩაში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში და მოიცავს თავდასხმას, შევიწროებასა და საჯარო პოლიტიკური ღონისძიებების დროს გაუპატიურებასაც კი. ასეთ შემთხვევაში მიტინგებში ქალთა მონაწილეობისა და მათ მიერ საკუთარი აზრის გამოხატვისთვის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორს სექსუალური ძალადობა წარმოადგენს.[62]

სექსუალური ძალადობა საჯარო სივრცეში, სხვადასხვა პარტიისა და თავად პარტიების წარმომადგენელთა შორის სექსუალური შევიწროების მსგავსად, ხშირად სამხედროებისგან, პოლიციელებისა და პოლიტიკური ღონისძიებების სხვა მონაწილეებისგან მომდინარეობს. მაგალითად, 2009 წელს კენიაში არჩევნების შემდგომ პერიოდში ძალადობის შედეგად საცხოვრებელი ადგილი 35 000 კენიელმა დატოვა. ზოგიერთი დევნილი გოგო

---

60 გაეროს ქალთა ორგანიზაცია. „ტერმინთა განმარტება პროგრამების შემუშავების არსებითი ნაწილებიდან და მონიტორინგისა და შეფასების ნაწილებიდან“ *(Glossary of Terms from Programming Essentials and Monitoring and Evaluation Sections).*

61 მუტონი ვანიეკი, 2008. „გაკვეთილები კენიიდან: ქალები და არჩევნების შემდგომი ძალადობა“ *(Lessons from Kenya:Women and the Post-Election Violence).*B: Feminist Africa.

62 SG Bulletin.

და ქალი დახმარების გამწევი ორგანიზაციების მოხალისეებსა და უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალურ წარმომადგენლებს ყოველდღიური მოხმარების ნივთებისა და დაცულობის სანაცვლოდ სექსუალურ მომსახურებას სთავაზობდა. ამას გარდა, ბანაკებში, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, სხვა სახის სექსუალური ძალადობის შემთხვევებს ჰქონდა ადგილი.[63] ნაირობის ქალთა საავადმყოფოს მონაცემებით, არჩევნების შემდგომ პერიოდში[64] საავადმყოფოში სექსუალური ძალადობით, განსაკუთრებით კი გაუპატიურებით დაზარალებული სამჯერ მეტი ქალი შევიდა, ვიდრე წინა პერიოდში. ასევე, ზიმბაბვეში 2008-2009 წლებში „... პოლიტიკური კუთვნილების გამო დევნილ ყველა ასაკის ქალებს სამსახურიდან და სახლიდან იტაცებდნენ, აუპატიურებდნენ, აწამებდნენ და წამების საიდუმლო ცენტრებში სცემდნენ. შეტყობინებების მიხედვით, 2008 წლის მაისიდან ივლისის ჩათვლით სახელმწიფოს მხრიდან სანქციის მქონე ჯგუფების წევრებმა 2000-ზე მეტი ქალი და გოგო გააუპატიურეს“.[65]

63 ვანიეკი, 2008.
64 იქვე.
65 B: RAU, 2009. „გაიგონეთ ჩვენი ხმა: ამბობენ პოლიტიკური ძალადობით დაზარალებული ზიმბაბველი ქალები“ *(Hear Us — Zimbabwean Women Affected by Political Violence Speak Out)*. B: TheHub, 4 მაისი, ციტირებულია გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, 2012.

<table>
<tr><th>ძალადობის ობიექტი</th><th>არჩევნების დროს ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფორმა</th><th>ძალადობის პოტენციური ჩამდენები</th></tr>
<tr><td>კანდიდატები და პრეტენდენტები</td><td><ul><li>არასასურველი სექსუალური ხასიათის მოპყრობა ან სექსუალური ურთიერთობის მოთხოვნა პოლიტიკურ კონტექსტში</li><li>სექსუალური ხასიათის ვერბალური ან ფიზიკური ქცევა ან სექსუალური ხასიათის ჟესტები</li><li>სექსუალური თავდასხმა და გაუპატიურება (ოჯახის წევრის ან უცხო პირის მიერ)</li><li>სექსუალური შევიწროება</li><li>სექსუალური ხასიათის ვერბალური ან ფიზიკური ქცევა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარზე (მაგალითად, თანამდებობის პირად კენჭისყრაზე ან წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე)</li><li>სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც შეიძლება აღქმული იყოს, როგორც შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი იმ ქალების მიმართ, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური უფლებების რეალიზებას ახდენენ</li><li>სექსუალური ექსპლუატაცია, მაგალითად, მოწყვლადი მდგომარეობის, ძალაუფლებრივ მდგომარეობაში განსხვავების, ან ნდობის ბოროტად გამოყენება, ან ბოროტად გამოყენების მცდელობა სექსუალური მიზნებით, მათ შორის სხვა ადამიანის სექსუალური ექსპლუატაციიდან ფულადი ან პოლიტიკური სარგებლის ნახვით</li></ul></td><td rowspan="4"><ul><li>ოჯახის წევრები</li><li>ინტიმური პარტნიორი / მეუღლე</li><li>თემები და ამომრჩევლები</li><li>ტრადიციული და / ან რელიგიური ლიდერები</li><li>ახალგაზრდული ჯგუფები</li><li>პოლიტიკური პარტიის წევრები და მომხრეები</li><li>არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები</li><li>უშიშროების ორგანოთა წარმომადგენლები</li><li>არჩევნებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები</li></ul></td></tr>
<tr><td>ამომრჩევლები</td><td><ul><li>არასასურველი სექსუალური ხასიათის მოპყრობა ან სექსუალური ურთიერთობის მოთხოვნა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკურ პროცესში ამომრჩეველთა თავისუფლად მონაწილეობის უნარზე</li><li>სექსუალური თავდასხმა ან შევიწროება, მათ შორის საარჩევნო უბნებზე ან სარეგისტრაციო ოფისებში</li><li>პოლიტიკურად მოტივირებული გაუპატიურება, რომელიც გამოიყენება ამომრჩეველ ქალთა კონტროლის, დაშინების, დამცირების და მათთვის ხმის უფლების ჩამორთმევის იარაღად</li><li>სექსუალური ხასიათის ვერბალური ან ფიზიკური ქცევა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარზე</li></ul></td></tr>
<tr><td>პოლიტიკური მომხრეები და აქტივისტები</td><td><ul><li>სექსუალური თავდასხმა ან შევიწროება მიტინგებზე ან კამპანიების წარმოების ადგილებში</li><li>ნებისმიერი სექსუალური ხასიათის მოპყრობა ან სექსუალური ურთიერთობის მოთხოვნა პოლიტიკურ კონტექსტში</li></ul></td></tr>
<tr><td>საარჩევნო ორგანოების თანამშრომლები, დამკვირვებლები და სახელმწიფო თანამდებობის პირები</td><td><ul><li>სექსუალური თავდასხმა ან შევიწროება საარჩევნო უბნების თანამშრომლებზე</li><li>ნებისმიერი სახის სექსუალური ექსპლუატაცია ან სქესობრივი კავშირი დამხმარე თანამშრომელს, მაგალითად, საარჩევნო უბნის ან სარეგისტრაციო ოფისის თანამშრომელსა და იმ პირს შორის, რომელსაც მომსახურება ეწევა, მაგალითად, ამომრჩეველს ან კანდიდატს შორის.</li></ul></td></tr>
</table>

# 4

# არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი

ამ თავში განხილულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა, მისი გავრცელება და სიხშირე, ასევე, იდენტიფიცირებულები არიან ძალადობის აღნიშნული კონკრეტული ფორმის მსხვერპლი და ჩამდენები.

## 4.1 არსებული მონაცემები

არჩევნების დროს ძალადობის შესახებ მონაცემთა სტანდარტული ნაკრებები გენდერული ნიშნით კლასიფიცირებული ძირითადად არ არის, ამიტომ ისინი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სრულ სურათს ვერ წარმოაჩენენ. ეს ნიშნავს, რომ არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობის მნიშვნელოვანი ნაწილი დოკუმენტირებული არ არის. ამას გარდა, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საყოველთაოდ აღიარებული განმარტებისა და მისი გაზომვისთვის საჭირო მაჩვენებლების არარსებობა გულისხმობს, რომ ეროვნულ, რეგიონულ ან გლობალური დონეებზე შეგროვებული სისტემატური მონაცემები არ არსებობს.

შეზღუდული მონაცემების მიუხედავად, კვლევები აჩვენებს, რომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში ფართოდ გავრცელებულია. დღესდღეობით სახელმწიფოებს შორის ერთადერთი შედარებითი კვლევა არსებობს, რომელმაც შეადარა არჩევნების დროს ძალადობის 2000-ზე მეტი შემთხვევა. ისინი 2006-2010 წლების პერიოდში 6 ქვეყანაში მოხდა. აღნიშნული კვლევის სქესის მიხედვით კლასიფიცირებული მონაცემების მიხედვით, არჩევნების დროს ძალადობის აქტების თითქმის 40%-ში დაზარალებულები ქალები იყვნენ.[66] თუმცა, სავარაუდოდ, ამ ფენომენის რეალური გავრცელება 40%-ზე საგრძნობლად მეტია, ვინაიდან კვლევას არ გაუთვალისწინებია ქალთა მიმართ ძალადობის მთელი სპექტრი, მათ შორის ძალადობა პირად სივრცეში (მაგალითად, პარტნიორის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ ხმის მისაცემად სახლიდან წასვლის აკრძალვა, პოლიტიკურად მოტივირებული სექსუალური ძალადობა ან ფსიქოლოგიური ძალადობა).

---

66 ბარდოლი / საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, 2011. ძალადობის შემთხვევები გამოვლინდა არჩევნების დროს ძალადობის გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური განმარტების შესაბამისად, ამიტომ ძალადობის სექსუალური და სხვა გენდერული ფორმები იდენტიფიცირებული არ ყოფილა.

ქალი პარლამენტარების მიმართ ძალადობის ბოლოდროინდელმა კვლევამ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმის – ფსიქოლოგიური ძალადობის შემაშფოთებელი დონე გამოავლინა. ამ ფორმის ძალადობა ყველა ქვეყნიდან და რეგიონიდან კვლევის რესპონდენტთა 81.8%-ს განუცდია. ფსიქოლოგიური ძალადობის გაცხადებული შემთხვევებიდან გამოკითხულთა 44.4%-მა განაცხადა, რომ საპარლამენტო ვადის განმავლობაში მათ სიკვდილით, გაუპატიურებით, ცემით ან მოტაცებით დამუქრებიან.[67]

იმ ძალადობის სახეების სიხშირე, რომლებსაც ქალები არჩევნების დროს აწყდებიან, სრულებით განსხვავდება ძალადობის იმ სახეებისაგან, რომლებსაც კაცები განიცდიან. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების კონტექსტში ქალებზე ფიზიკური ძალადობა ნამდვილად ხორციელდება, მათ მიმართ ძალადობას ყველაზე ხშირად ფსიქოლოგიური ან სექსუალური ხასიათი აქვს.[68] კვლევამ აჩვენა, რომ ქალები კაცებზე სამჯერ იშვიათად განიცდიან პირდაპირ ფიზიკურ თავდასხმას, მაგრამ კაცებზე სამჯერ უფრო ხშირად ხდებიან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლები.[69] აღნიშნული მოწმობს, რომ არჩევნების დროს ქალები, კაცებთან შედარებით, სრულიად სხვა ტიპის ძალადობას აწყდებიან. ქალთა მიმართ ძალადობის ისეთი ფორმები გამოიყენება, რომლებიც საკუთარი და ახლობლების უსაფრთხოებისა და სოციალური განდევნის შიშს, მათ მორალურ თვისებებსა და თავდაჯერებულობაზე თავდასხმებს ეფუძნება. ამას გარდა, უფრო ხშირია ქალების სექსუალური შევიწროება მათსავე პოლიტიკურ პარტიებში ან სექსუალური ხასიათის დამცირება, მაგალითად, იმის გამო, რომ მათგან სქესობრივ ურთიერთობას ელიან. ეს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბის სრულად გასაგებად აუცილებელია, რომ გავცდეთ საჯარო შეტყობინებებს და ის შემთხვევებიც გავითვალისწინოთ, რომლებსაც ოჯახსა და თემში აქვს ადგილი და რომელთა ოფიციალურად შეტყობინება არ ხდება. არსებული მონაცემებით, ზოგადად ქალთა მიმართ ძალადობის (ანუ არა აუცილებლად არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის) უმეტესი ნაწილი ოჯახში ხდება. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ის შემთხვევები, რომელთა დოკუმენტირება ოფიციალური საშუალებებით იშვიათად ხდება, ყველაზე ხშირად ადამიანებს შორის ზეპირად გადაიცემა. მათ აღნიშნავენ არჩევნებზე დამკვირვებლები, საარჩევნო ორგანოების თანამშრომლები და თემების წარმომადგენლები და არა პოლიციისა და საავადმყოფოების, ან მედიის ოფიციალური წყაროები.[70] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები კონკრეტულ ადგილებში, მაგალითად, საარჩევნო ოლქებში ხდება, სადაც ხმათა მცირე განსხვავება აღინიშნება და სადაც კენჭს ქალი და კაცი კანდიდატები იყრიან, ასევე, ტრადიციულ ან კონსერვატიულ რაიონებში, სადაც ქალები კამპანიას აწარმოებენ, ან ადგილებში, სადაც შეიარაღებული დაჯგუფებები არსებობს.[71]

---

67 საპარლამენტთაშორისო კავშირი, 2016ხ. „სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა ქალი პარლამენტარების მიმართ“ *(Sexism, Harassment and Violence against Women Parliamentarians)*. http://www.ipu.org/pdf/publications/issuesbrief-e.pdf

68 ბარდოლი / საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, 2011.

69 იქვე. კვლევის შედეგების მიხედვით, არჩევნების დროს ქალების მიმართ ძალადობის ყველა აქტის 32% ფსიქოლოგიური ძალადობის აქტებია, განსხვავებით 9%-ისგან მამაკაცების შემთხვევაში. და პირიქით, ფიზიკურ ძალადობას განეკუთვნება მამაკაცების მიმართ ძალადობის ყველა აქტის 34%, განსხვავებით მხოლოდ 9%-ისგან ქალების შემთხვევაში.

70 იქვე.

71 გაეროს განვითარების პროგრამა, 2012.

## ცხრილი 1: არჩევნების კონტექსტში კაცებისა და ქალების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის პროპორციული განაწილება (2006-2010)[72]

### არჩევნების კონტექსტში ძალადობის სახეები

ძალადობის შემთხვევათა განაწილება კაცებსა და ქალებში




*შენიშვნა: ცხრილში მოცემულია არჩევნების კონტექსტში კაცებისა და ქალების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის პროპორციული განაწილება. აღნიშნულ მონაცემებში ფიზიკური ძალადობის სხვა ფორმებიდან არ არის გამოყოფილი სექსუალური ძალადობა. ქვეყნები: გაიანა, 2006 წ.; ბანგლადეში, 2006 და 2007 წ.წ.; აღმოსავლეთი ტიმორი, 2007 წ.; ნეპალი, 2007 და 2008 წ.წ.; ბურუნდი, 2010 წ.; და გვინეა, 2010 წ.*

## 4.2. არჩევნების დროს ძალადობის მსხვერპლი ქალები

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პოტენციური მსხვერპლი არჩევნებით დაინტერესებული ყველა ქალია, კერძოდ კი ამომრჩევლები, კანდიდატები, პოლიტიკური პარტიების მომხრეები, წინასაარჩევნო კამპანიებში მომუშავეები, საარჩევნო შტაბების წევრები, არჩევითი თანამდებობის პირები და მასმედიის წარმომადგენლები.

**არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შედეგად დაზარალებულთა და ძალადობის ჩამდენთა რაოდენობის შესახებ უტყუარი მონაცემების არარსებობის გამო, ეს ქვეთავი განსახილველი თეზისების დასადასტურებლად არაოფიციალურ ცნობებს ეფუძნება.**

არჩევნებისას ქალები ძალადობის მსხვერპლები ან გარემოებების, ან საკუთარი განზრახვების შედეგად შეიძლება გახდნენ. არჩევნებთან დაკავშირებული მასობრივი

72 იქვე. ცხრილში მოცემულია არჩევნების კონტექსტში კაცებისა და ქალების მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის პროპორციული განაწილება. აღნიშნულ მონაცემებში ფიზიკური ძალადობის სხვა ფორმებიდან არ არის გამოყოფილი სექსუალური ძალადობა.

მღელვარება, უწესრიგობა, თავდასხმები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებით, მოსახლეობის მასშტაბური გადაადგილება, ძალადობრივი დანაშაულების რაოდენობის საერთო ზრდა და არასტაბილურობა ზოგჯერ ქალებსაც და კაცებსაც განურჩევლად ეხებათ. ეს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ირიბი ფორმებია, რადგან ისინი, სქესის ან პოლიტიკურ კონტექსტში გენდერული მოტივების გამო, კონკრეტულად ქალებისკენ არაა მიმართული. თუმცა, მათი აღიარება საჭიროა, რადგან ისინი ქალებს, კაცებთან შედარებით, განსხვავებულად და სხვა ხარისხით ეხება. საბოლოო ჯამში კი, ხელს უშლის ქალების პოლიტიკური უფლებების განხორციელებას. ზოგჯერ ამ ფორმებს „არჩევნების დროს გენდერულად დიფერენცირებულ ძალადობას“[73] უწოდებენ.

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის *პირდაპირი ფორმები* მოიცავს თავდასხმებს, რომლებიც პირდაპირ მიმართულია ქალების წინააღმდეგ, მათი მონაწილეობისთვის განზრახ ხელის შეშლის ან მანიპულირების და/ან მათი დაქვემდებარებული სტატუსის განმტკიცების მიზნით. ზოგჯერ მათ გენდერულ ან გენდერულად მოტივირებულ პოლიტიკურ ძალადობას[74] უწოდებენ. ამ სახელმძღვანელოში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პირდაპირი ფორმები განიხილება.

## ქალი ამომრჩევლები

ქალი ამომრჩევლები, რომლებიც ქვეყნების უმრავლესობაში ელექტორატის ნახევარზე მეტს შეადგენენ, არჩევნების კონტექსტში ძალადობის ზოგად სამიზნეებად მოიაზრებიან. ქალი ამომრჩევლების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა – რეგისტრაციის პერიოდში, საარჩევნო უბნებზე, ოჯახებში თუ სამოქალაქო ჩართულობის სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით – მიზნად ისახავს, დაარწმუნოს ისინი, რომ უარი თქვან საარჩევნო სიაში რეგისტრაციაზე, ხმის მიცემაზე, მიტინგებსა და პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობაზე, აგრეთვე, გავლენა მოახდინოს ხმის მიცემისას მათ არჩევანზე ან დასაჯოს ისინი საკუთარი არჩევანის გამჟღავნებისთვის (რაც, ისევ და ისევ, მომავალში მათი პოლიტიკური აქტივობის თავიდან აცილებისკენაა მიმართული). მაგალითად, 2016 წელს ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში აღნიშნული იყო, რომ პაკისტანში არჩევნების დროს, კაცებთან შედარებით, ქალების რეგისტრაციის დაბალი დონის ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორი ქალთა მიმართ ძალადობაა.[75] ქალთა მიმართ ფიზიკური ძალადობის საფრთხე და ქვეყნის მრავალ ნაწილში უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული სახიფათო სიტუაცია ქალებისთვის საარჩევნო უბნების წვდომას ზღუდავს. პაკისტანის საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 2013 წლის არჩევნებზე დაახლოებით 800 საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა შორის ქალების წილი 10%-ზე ნაკლები იყო, პროვინცია ბელუჯისტანის ზოგიერთ რაიონში კი არჩევნებში მონაწილეობა ქალი ამომრჩევლების მხოლოდ 2.9%-მა მიიღო.[76] 2009 წლის არჩევნებზე ავღანეთში ქალები ექსტრემისტული ძალადობის მსხვერპლები გახდნენ, რის შედეგადაც ქალთა 650-ზე მეტი საარჩევნო უბანი არ გახსნილა, განსა–

73 გაბრიელ ბარდოლი, 2016. „გენდერზე დაფუძნებული განსხვავებები და მოტივაციები პოლიტიკურ ძალადობაში“ *(Gender-Based Distinctions and Motivations in Political Violence). B: Voices, Votes and Violence: Essays on Selected Dynamics of Electoral Authoritarianism.* მონრეალის უნივერსიტეტი. აგრეთვე იხ. გაბრიელ ბარდოლი, ელინ ბიარნეგარდი და ჯენიფერ პისკოპო, უნდა გამოქვეყნდეს (აქ უკვე გამოქვეყნებულია, მგონი და პირდაპირ 2017 წელი უნდა იყოს) 2017 წელს.

74 იქვე.

75 გაეროს ქალთა ორგანიზაცია პაკისტანში, 2016

76 იქვე.




*ქალი საარჩევნო უბანში თავისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემამდე. კოტ დივუარი*

კუთრებით კი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში. თალიბები ავრცელებდნენ ე.წ. „ღამის წერილებს“, რომლებშიც იმუქრებოდნენ, რომ თითებს მოაჭრიდნენ ყველას, ვისაც ამომრჩევლის მონიშვნა ექნებოდა (იმის მოწმობა, რომ ადამიანმა ხმა მისცა) – ქალები ამ ძალადობის სამიზნეები იყვნენ.[77]

ამას გარდა, ოჯახური ხმის მიცემის გზით ქალებს, აიძულებენ, რომ მათ ხმა პირადი არჩევანის საწინააღმდეგოდ მისცენ. ოჯახური ხმის მიცემა, ფართო გაგებით, იმ სიტუაციას გულისხმობს, როდესაც ოჯახის უფროსები (მეტწილად კაცები) ხმის მიცემისას ოჯახის სხვა წევრების არჩევანზე ახდენენ გავლენას. ასეთი პრაქტიკა გავრცელებულია იმ ადგილებში, სადაც ოჯახებს ტრადიციული სტრუქტურა აქვთ.[78] ოჯახური ხმის მიცემისას ქალს არ შეუძლია ხმის საკუთარი არჩევანის შესაბამისად მიცემა: კულტურული კონტექსტის გამო, მისგან ელიან, რომ იმ კანდიდატს ან პარტიას მისცემს ხმას, რომელსაც ქმარი ან მამა ირჩევს. ოჯახური ხმის მიცემა ქალს შეიძლება თავს იძულების ან დაშინების გზით, მათ შორის განქორწინების მუქარით მოახვიონ. 2015 წელს ტანზანიაში აღინიშნა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კაცები ხმის მისაცემად წასულ ქალებს ემუქრებოდნენ, რის შედეგადაც ზოგიერთ მათგანს საკუთარი ხმის მიცემის უფლების გამოყენების შეეშინდა.[79] იმ წელს ტანზანიის ქალთა პარტიათაშორისმა პლატფორმამ (TWCP), რომელიც არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგს ატარებდა, ჩამტარებელი გამოქვეყნებულ ანგარიშში მოიყვანა ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის შემთხვევები, რომელთა მიზეზი ქმრების, ოჯახების და/ან საზოგადოების შეხედულებებისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები იყო:

77 Ms. Magazine,2009. „ქალთა მოჭრილი თითები ავღანეთში არჩევნების დროს ძალადობისას“ *(Women's Fingers Cut Off in Afghan Election Violence). B: Feminist Wire,* 24 აგვისტო, ციტირებულია გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, 2012.
78 გაეროს განვითარების პროგრამა/გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2015.
79 IRI, 2015. „ტანზანიის ეროვნული არჩევნების გენდერული შეფასება“ *(Tanzania National Elections Gender Assessment),* 25 ოქტომბერი. გვ. 14.

ოჯახის წევრები ართმევდნენ ქალებს ამომ-რჩევლის ბარათს, კაცები სხვა კანდიდატის მხარდაჭერისთვის სცემდნენ ქალებს, ქმრები, ძმები და ვაჟიშვილები აიძულებდნენ მათ, რომ ხმა თავსმოხვეული კანდიდატისთვის მიეცათ, ზოგიერთ შემთხვევაში კი ქმრები ხმას ცოლების ნაცვლად აძლევდნენ ვითომ იმის გამო, რომ მათ წერა-კითხვა არ იცოდნენ.[80]

ოჯახური ხმის მიცემის ფენომენი იმ კულ-ტურებში არსებობს, რომლებშიც კაცებისთვის სამარცხვინოდ მიიჩნევა, თუ მათი ოჯახის წევრი ქალები ხმას სხვა კანდიდატს აძლევენ და არა მას, რომელსაც ის თავად უჭერს მხარს. ზოგჯერ ქალებს აფრთხილებენ, რომ ოჯახის ნების საწინააღმდეგოდ ხმის მიცემა ცოდვაა და მას შეიძლება ფიზიკური დასჯა, განქორწინება, სოციალური იზოლირება და მშობლის უფლებების დაკარგვაც კი მოჰ-ყვეს.[81] მაგალითად, 2016 წელს პაკისტან-ში ჩატარებულმა ერთ-ერთმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ხშირად ქალებისვის ხელ-შემშლელ ფაქტორებ ტრადიციები, ტომობ-რივი თუ ოჯახური კავშირები და ოჯახში კაცებზე ეკონომიკური დამოკიდებულება წარმოადგენდა.[82] სწორედ ამიტომ, ისინი კაცების, კლანისა და ოჯახის უფროსების სურვილების შესაბამისად ხმის მიცემისკენ იხრებოდნენ (ოჯახური ხმის მიცემა).[83] გა-დაწყვეტილებას, თუ ვის უნდა მისცენ ხმა, მრავალი პაკისტანელი ქალის ნაცვლად კაცები, ოჯახები და/ან საზოგადოების წევ-რები იღებენ. მცირე შემოსავლის მქონე ბევრ ოჯახში, ოჯახის მიერ გარკვეული პარტიის ან კანდიდატისთვის ხმის მიცემის იძულების მიზნით, კაცებს შეიძლება ანაზღაურება შეს-თავაზონ ან შურისძიებით დაემუქრონ.[84] ამას გარდა, ბევრგან ქალებს (და კაცებსაც) ეჭვი ეპარებათ ფარული კენჭისყრის კონფი-დენციალურობაში, რის გამოც ისინი მითი-თებების საწინააღმდეგოდ ხმის მიცემას ვერ ბედავენ.

## ქალი კანდიდატები და პრეტენდენტები

არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ ძა-ლადობა ხშირად იმ ქალების წინააღმდეგაა მიმართული, რომლებიც არჩევნებში კენჭს იყრიან ან თანამდებობის პრეტენდენტები არიან. ქალი კანდიდატები ძალადობის წინაშე მოწყვლადები არიან, რადგან, კაცებისგან განსხვავებით, მათ სოციალური ქსელებისა თუ პოლიტიკური დაფინანსების სისტემე-ბის ნაკლები მხარდაჭერა აქვთ.[85] თანაც ისინი გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის რისკს მეტად ექვემდებარებიან. მათ შეი-ძლება სახელისუფლებო წრეებში ნაკლები გავლენიანი კავშირი ან დაცვის შესაძლებ-ლობის მქონე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ნაკლები წვდომა ჰქონდეთ. შესაძლოა, სახელმწიფოს უსაფრთხოების ძალები ან სამართლებრივი სისტემები არ ცნობდნენ ძალადობის იმ ფორმებს, რომ-ლებსაც ეს ქალები განიცდიან, არ ჰქონდეთ რეაგირების შესაძლებლობა ან სურვილი.

80 სარა ნეგრაო, 2017. „ტანზანიელი ქალების მიერ 2015 წლის არჩევნებში განცდილი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი, შემსუბუქება და მაზე რეაგირება“ *(Monitoring, Mitigating and Responding to Violence Against Women during Elections (VAWE) Experience of UN Women Tanzania in the 2015 General Elections)*. წარმოდგენილი იქნა რატგერსის უნივერსიტეტის იგლტონის ინსტიტუტის კონფერენციაზე *Resisting Women's Political Leadership:Theories, Data, Solutions*, ნიუ-ბრასუიკი, ნიუ-ჯერსი, აშშ, 2017 წლის 22-26 მაისი.

81 გაეროს განვითარების პროგრამა/გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2015.

82 გაეროს ქალთა ორგანიზაცია პაკისტანში, 2016.

83 ქსავიერ ჯინი. „მონაცემებიამომრჩეველთა ინფორმირების პაკისტანში ჩატარებული კამპანიიდან“ *(Evidence from a Voter Awareness Campaign in Pakistan)*. მსოფლიო ბანკი. წარმოდგენილი იყო ბანგკოკში ზემოქმედებისა და პოლიტიკის საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე.

84 გაეროს ქალთა ორგანიზაცია პაკისტანში, 2016.

85 ჯული ბალინგტონი და მიურიელ კახანე, 2014. „ქალები პოლიტიკაში: დაფინანსება გენდერული თანასწორობის მისაღწევად“ *(Women in Politics:Financing for Gender Equality).B: Funding of Political Parties and Election Campaigns: A Handbook on Political Finance.* IDEA.სტოკჰოლმი.

## ქალი კანდიდატების მიმართ ძალადობის შემთხვევები:

- **კენიაში** ქალი კანდიდატები არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობას ხში-რად განიცდიან. ერთმა პარლამენტარმა ქალმა აღნიშნა, რომ „კენიის პარლამენტის წევრობის კანდიდატი ქალებისთვის ყველაზე დიდი ხარჯი ის სადღეღამისო დაცვაა, რომელიც გაუპატიურების საფრთხისა და დაშინების გავრცელებული ტაქტიკის გამო, აუცილებელია.[86] პარლამენტარობის კანდიდატმა სხვა ქალმა განცხადა, რომ, მას კანდიდატურის წამოყენების შემდეგ სცემეს და რომ „მუდამ თან დააქვს დანა და აცვია ორი კოლგოტი, რათა გაუპატიურების მცდელობისას მეტი დრო ჰქონდეს დახმარების სათხოვნელად ყვირილისთვის". იგი აღნიშნავს, რომ „პოლიტიკური თანამდებობების პრეტენდენტი ქალების მიმართ ძალადობა შეურაცხყოფას, ცემას, გატაცებასა და სიკვდილის მუქარას მოიცავს".[87]
- **მექსიკაში** 2015 წელს ჩატარებულმა არჩევნებმა ყურადღება არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით მიიქცია. სამოქალაქო ორგანიზაციებმა დოკუ-მენტურად ასახეს ქალი კანდიდატების გაუპატიურების, შანტაჟის, სექსუალური შევი-წროებისა და თავდასხმის, მკვლელობის, ცემისა და წამების შემთხვევები. ქალი კანდიდატების მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის გამო, საჩივრების გაზრდილმა რიცხვმა სენატს უბიძგა, რომ მას ეროვნული საარჩევნო ინსტიტუტისა (INE) და დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ეროვნული საბჭოსადმი (CONA-PRED) დაუყოვნებლივი ზომების მიღებისკენ მოეწოდებინა. ამ მოწოდების საპასუხოდ INE-მ და CONAPRED-მა „სახელმძღვანელო სახელმწიფო ქმედებისთვის: არჩევნები დისკრიმინაციის გარეშე" *(Guide for Public Action:Elections without Discrimination)* შეიმუშავეს.[88]
- **პაკისტანში** თანამდებობის პირად არჩეულმა ან საარჩევნო კანდიდატმა რამდენიმე ქალმა 2013 წლის არჩევნების შემდეგ ინტერვიუში მათ წინააღმდეგ მიმართული დაშინების, ცილისწამების, რეპუტაციის შელახვისა და კაცი კანდიდატის სასარგებლოდ წინასაარჩევნო მარათონიდან მათ გასვლასთან დაკავშირებული ცრუ განცხადებების შესახებ ისაუბრეს. ქალმა კანდიდატებმა აღნიშნეს, რომ მათი ოჯახების წევრ კაცებს ემუქრებოდნენ ან ფულს სთავაზობდნენ, რათა ქალ კანდიდატს საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა. ინტერვიუში საუბარი იყო, რომ ქალი კანდიდატებისა და პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა სექსუალური მომსა-ხურების მოლოდინი, ფიზიკური ანგარიშსწორებისა და სიკვდილის მუქარაა.[89]
- **ზიმბაბვეში** არჩევნების მხარდამჭერის ქსელის მიერ 2015 წელს მომზადებულ ანალიტიკურ ბარათში აღნიშნულია, რომ ქალი კანდიდატები არჩევნებში მათი მონაწილეობის მთავარ წინააღმდეგობად ძალადობის შიშსა და ვიქტიმიზაციას ასახელებდნენ. ამას გარდა, პოლიტიკური საქმიანობით დაკავებულ ქალებს „მსუბუქ ყოფაქცევას, უხეშობას, რესპექტაბელური ქალისგან მოსალოდნელი დახვეწილობის არქონას" აბრალებდნენ და ამგვარად მათ ნეგატიურად წარმოჩენას ცდილობდნენ. რამდენიმე ქალმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური და საარჩევნო წამოწყებების გამო, მათ გამუდმებით სექსუალურად ავიწროებენ.[90]

86 კენიის პარლამენტის წევრის ფიბი ასიეს სიტყვები. ციტირებულია სუანი ჰანტში, 2007. „მივცეთ ქალებს მართვის შესაძლებლობა" (Let Women Rule). B: Politics and Society, მაისი/ივნისი.

87 მერი ოკუმუს სიტყვები, ციტირებულია Hunt-ში, 2007.

88 დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. INE და თანაავტორები, *2016. Protocolo para Atender la Violencia Política Contra las Mujeres.* მეხიკო; და SEGOB / CONAPRED, 2016. *Guía para la Acción Pública: Elecciones sin discriminación.* მეხიკო.

89 გაეროს ქალთა ორგანიზაცია პაკისტანში, 2016.

90 ZESN, 2015. „პოლიტიკის დოკუმენტი: გამოწვევები ზიმბაბვეს არჩევნებში გენდერული წონასწორობის დამყარების პროცესში" *(Policy Brief: Challenges in Attaining Gender Balance in Elections in Zimbabwe)*. http://www.zesn.org.zw/wp-content/uploads/2016/10/policybrief.pdf

ქალი კანდიდატები არჩევნების დროს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ხშირად თავს იზოლირებულად გრძნობენ. 2008 წლის ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ნეპალში ქალი კანდიდატები პოლიტიკაში სხვა ქალების მიმართ ძალადობის შესახებ ცნობებს იშვიათად იღებენ. ამ კვლევამ აჩვენა, რომ 117 გამოკითხული ქალი კანდიდატიდან 82%-მა აღიარა, რომ არ აქვს ინფორმაცია იმ სხვა ქალი კანდიდატების შესახებ, რომლებიც ძალადობის რაიმე ფორმას შეჯახებიან.[91] ეს განსაკუთრებით ეხება ერთ წელზე ნაკლები პოლიტიკური გამოცდილების მქონე ქალ კანდიდატებს, რაც იმით აიხსნება, რომ „შემთხვევების უმრავლესობაში ქალებს არწმუნებენ, 'უფრო დიდი სიკეთის' ან 'ოჯახის რეპუტაციის დაცვის' მიზნით, საკუთარი გრძნობები დათრგუნონ".[92] ნეპალის მასმედიაში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა საკმარისად არ შუქდება და ამ პრობლემის შესახებ საზოგადოებაც ინფორმირებული არ არის. საბოლოოდ, ეს ტენდენციები იზოლაციას აძლიერებს და არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ მიჩქმალვის კულტურას ასაზრდოებს, რაც, თავის მხრივ, დაშინების შესაძლებლობასა და შიშის გრძნობას ზრდის.

## პოლიტიკური მომხრეები და წინასაარჩევნო კამპანიებში ჩართული ქალები

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ობიექტები პოლიტიკური პარტიების მომხრეები და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული ადამიანებიც არიან.[93] შესაძლოა, პარტიების მხარდამჭერ ქალებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მაგალითად, კამპანიის ფარგლებში გამართულ მიტინგებზე, მსვლელობებსა და შეკრებებზე დაესხან თავს. ასევე, როდესაც ქალები ჩართულები არიან წინასაარჩევნო კამპანიებში, მეუღლეების / პარტნიორების, ოჯახების ან საახლობლოს მოსაზრებებისგან განსხვავებული პოლიტიკური აზრების დაცვის მიზეზით, მათ კერძო სივრცეშიც შეიძლება დაესხან თავს. მაგალითად, 2010 წელს ავღანეთის საპარლამენტო არჩევნების დროს წინასაარჩევნო მარათონიდან გასვლის იძულების მიზნით, მოქმედი პარლამენტარის - ქალი კანდიდატის, წინასაარჩევნო კამპანიის ათი აქტივისტი მოიტაცეს. ხუთი მათგანი მოგვიანებით გაათავისუფლეს, დანარჩენი ხუთი კი მოკლეს.[94]

## არჩევნებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები და საარჩევნო უბნების თანამშრომლები

სექსუალური შევიწროებისა და გენდერულად მოტივირებული თავდასხმების საშუალებით ქალების მიმართ სექსიზმისა და ძალადობის გამოვლინებამ, შესაძლოა, ქალებს არჩევნების კონტექსტში რომელიმე საჯარო თანამდებობის (მაგალითად, საარჩევნო ორგანოში ან სამინისტროში) შესრულების საშუალება მოუსპოს. ეს პრობლემა საარჩევნო ორგანოებში მომუშავე ქალებს, საარჩევნო უბნების თანამშრომლებს, საარჩევნო კომისიების წევრებს, სახელმწიფო მოხელეებს (მუნიციპალურ, საოლქო ან ეროვნულ დონეებზე) და არჩევნებზე დამკვირვებლებსაც ეხება. სამუშაო ადგილზე

91 სამხრეთ აზიის პარტნიორობა / დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2008. „ქალები, წარმომადგენლობა და ძალადობა: ნეპალში დამფუძნებელი საკრებულოს არჩევნების შესწავლა" *(Women, Representation and Violence: Exploring Constituent Assembly Election in Nepal)*. აგვისტო.

92 იქვე.

93 გაეროს განვითარების პროგრამა, 2012

94 *BBC News*, 2010. „ავღანეთის ქალი პარლამენტარის მოტაცებული თანამშრომლები მოკლულები იპოვეს" *(Kidnapped Workers for Afghan Female MP Found Dead)*. 29 აგვისტო.

არსებული კულტურა რომელიმე თანამშრომლის დისკრიმინაციას, განსაკუთრებით გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას, მუქარასა და დევნას არ უნდა უშვებდეს. 2008 წელს ყირგიზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქალი თავმჯდომარე მის მიმართ მუქარისა და მაშინდელი პრეზიდენტის ვაჟის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა. თავის განცხადებებში მან აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ვაჟი მას ლანძღავდა და ემუქრებოდა.[95]

საარჩევნო ორგანოები მოვალეობების შესრულების დროს, გარემოებების შესაბამისად, საარჩევნო უბნების თანამშრომელთა დასაცავად ზომებს უნდა ატარებდნენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესში უშუალოდ ჩართულები არიან, ხმის მიცემის დღეს მუშაობენ და მოქმედებენ ტრადიციული ან კონსერვატიული განწყობის იმ რეგიონებში, რომლებშიც ქალებს გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ. მაგალითად, 2004 წელს ავღანეთში თალიბებმა დაბომბეს ავტობუსი, რომელსაც ქალები ამომრჩეველთა რეგისტრაციის ადგილზე გადაჰყავდა. გაეროსა და ავღანეთის ერთობლივ საარჩევნო ორგანოში მომუშავე ორი ქალი მოკლეს, დაჭრეს საარჩევნო უბნის ცხრა თანამშრომელი და ორი ბავშვი.[96]

## ქალები, რომლებსაც პოლიტიკური თანამდებობები უკავიათ

ქალთა მიმართ ძალადობა საარჩევნო ციკლის ყველა ეტაპსა და სხვადასხვა სფეროში ვლინდება, მათ შორის არჩევნების შემდგომ პერიოდშიც, როდესაც არჩეული ქალები საკანონმდებლო ორგანოში თანამდებობებს იკავებენ. აღნიშნულ მოვლენას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასაც უწოდებენ. ამგვარი ძალადობა მიზნად ისახავს, ხელი შეუშალოს ქალებს გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მოსვლაში, მანდატით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში, საკანონმდებლო ორგანოში ხელმძღვანელ თანამდებობებზე პრეტენზიის გაცხადებასა და პარლამენტის სხდომებზე დასწრებაში, აგრეთვე, აიძულოს მათ, ვადაზე ადრე გადადგომა; პარლამენტში ან კომიტეტებში მოახდინოს ამ ქალების გარიყვა თუ შესაძლებლობების შეზღუდვა და აიძულოს ისინი, აღარ წამოაყენონ კანდიდატურები. შესაძლოა, ძალადობა მიმართული იყოს პოლიტიკური საქმიანობის მომიჯნავე როლების შემსრულებელ ქალებზე, მაგალითად, პარლამენტის პერსონალსა და სტაჟიორებზე. ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა ხშირად იმიტომ ხდება, რომ ისინი კაცების ტრადიციული ძალაუფლებისა და ჩამოყალიბებული სტატუს – კვოსთვის პოტენციურ საფრთხედ განიხილებიან. [97]

95 GenderStan, 2008. „ყირგიზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქალი თავმჯდომარე მუქარის შედეგად გადადგა" *(Female Head of Kyrgyz Central Election Commission Resigns over Threats)*. სექტემბერი.
96 დავუდ ვაფა, 2004. *Blast Kills 2 Female Poll Workers in Afghanistan.B: Reuters,* 27 ივნისი.
97 პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ბალინგტონი, 2016; ელინ ბიარნეგარდი, 2016; მონა ლენა კრუკი, 2017; ჯენიფერ პისკოპო, 2016.

## ქალი პოლიტიკოსების მიმართ გამოვლენილი ძალადობის მაგალითები:

- **ავსტრალიის** ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ჯულია გილარდის გამოცდილება იმ სექსუალური ძალადობის სიმბოლოდ იქცა, რომელსაც ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგულარულად განიცდიან. 2012 წელს პარლამენტში სექსიზმისა და ქალთმოძულეობის თემაზე გამოსვლისას გილარდმა ამხილა სექსიზმი, რომელსაც ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში განიცდიან. მან განაცხადა, რომ ქალები ძალადობის ან გაუპატიურების მუქარას „თითქმის ყოველდღიურად ელოდებიან". 2016 წელს გილარდმა აღნიშნა: „მე მართლა ვფიქრობ, რომ სექსიზმის პრობლემა, კერძოდ კი სექსიზმი ლიდერი ქალისადმი, ჩვენი დროის ერთ-ერთი რეალური გლობალური პრობლემაა. ამ თემაზე ჩემს გამოსვლას გადაჭარბებად არ ვაფასებ. პირიქით, ვფიქრობ, რომ ის მხოლოდ ზღვაში წვეთია."[98]
- **ბოლივიაში** 2010 წლის აპრილში ხუანა კვისპე ანკორაიმესი (ლა-პასის დეპარტამენტი) მუნიციპალიტეტის მრჩევლად აირჩიეს. იგი მოვალეობის შესრულებას 31 მაისიდან შეუდგა. მან ვადის დასაწყისშივე განაცხადა, რომ საბჭოს წევრების მხრიდან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი გახდა, რამდენიმე საჩივარი შეიტანა და აღნიშნა, რომ პოლიტიკური უფლებების განხორციელებაში ხელი შეუშალეს და თანამდებობიდან მოხსნეს. 2012 წლის 13 მარტს, თანამდებობაზე აღდგენიდან 32 დღის შემდეგ, ხუანა კვისპე მოკლეს. ამ ტრაგედიამ, სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფი ქალების სხვა ბევრ საჩივართან ერთად, 2012 წლის 28 მაისს ქალთა მიმართ დევნისა და პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის (№ 243) მიღება გამოიწვია.
- **ბოლივიაში** მუნიციპალურ საბჭოებში შემავალ ქალთა ასოციაციის (ACOBOL) მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ „დევნისა და თავდასხმების [ასოციაციის მიერ რეგისტრირებული] ყველა შემთხვევის 36% მიმართული იყო ქალი მრჩევლების იძულებისკენ, რათა ისინი გადამდგარიყვნენ და ადგილები მამრობითი სქესის კანდიდატის ან მისი მოადგილისთვის გაეთავისუფლებინათ. საჩივრების 20% ფიზიკურ ძალადობას ეხება, 19% კი ქალებისთვის სახელმწიფო მუნიციპალური კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებაში ხელის შეშლის მიზნით დევნასა და ზეწოლას. [შედეგად] ქალი მრჩევლები საკუთარ კანდიდატურას მეორე ვადით ასარჩევად იშვიათად აყენებენ".[99]
- **იტალიაში** დეპუტატთა პალატის სპიკერმა ლაურა ბოლდრინიმ არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა დაასახელა და გენდერულ ძალადობაში ბრალეული პირები საჯაროდ დაგმო. ამ ქმედების შემდეგ იგი ათასობით ქალთმოძულის მხრიდან შეურაცხყოფის, მუქარისა და დამამცირებელი ფოტოების მიღების შესახებ საუბრობდა.[100]
- **პერუში** ფლორა ტრისტანის ცენტრის მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მუნიციპალური და რეგიონული მმართველობის ორგანოებში არჩეული ყოველი ხუთი ქალიდან ორი მერების, მრჩევლებისა და რეგიონული თავმჯდომარეების მხრიდან

98 ჯონ მორგანი, 2016. „ჯულია გილარდი ებრძვის სექსიზმს ქალის ლიდერების მიმართ" (*Julia Gillard on Tackling Sexism against Female Leaders).B: Times Higher Education.*

99 ფრანცჩავესი, 2009. „ბოლივია: პოლიტიკა – სარისკო საქმიანობა ქალებისთვის" *(BOLIVIA:Politics, a Risky Business for Women). B: Inter Press Service*, 27 ოქტომბერი.

100 ლიზი დეივისი, 2014. „ლაურა ბოლდრინი: იტალიელი პოლიტიკოსი გაუპატიურების მუქარაზე მაღლა დგება" *(Laura Boldrini:The Italian Politician Rising above the Rape Threats).B: The Guardian*. 9 თებერვალი.

პოლიტიკურ დევნას განიცდიდა. ზოგ შემთხვევაში გამოყენებული იყო ფიზიკური თავდასხმები, სიკვდილის მუქარა, საარსებო ფინანსური სახსრების ჩამორთმევა, ასევე, სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ძალადობა.[101]

- **ტუნისში** დამფუძნებელ საკრებულოში არჩეული ქალების მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ პარლამენტის წევრ რამდენიმე ქალს დევნა განუცდია: „მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში დეპუტატები საკუთარ ურთიერთობებს პატივისცემაზე დაფუძნებულს უწოდებენ, პარლამენტის წევრი კაცებიცა და ქალებიც მდედრობითი სქესის დეპუტატების მიმართ ნეგატიური სტერეოტიპებისა და კომენტარების, სიტყვიერი დევნისა და აგრესიული ქცევის არსებობის შესახებ საუბრობენ. ამას გარდა, მთელი პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელი ქალი დეპუტატები ამბობენ, რომ მათი არჩევანი ან ტანსაცმლის სტილი დაუფარავად და დამამცირებელი ფორმით განიხილება. სხვა რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მასმედიაში გამოქვეყნებული იყო მათი გაყალბებული ფოტოები და სხვა კრიტიკული კომენტარები“.[102]
- **ზიმბაბვეში** 2013 წლის საკონსტიტუციო რეფორმით მიღებული დარეზერვებული მანდატების მექანიზმით არჩეული ქალები სიტყვიერ დევნასა და საჯარო დაცინვას განიცდიდნენ.[103]

## 4.3. ვინ არიან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენნი?

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობრივი მოქმედებების ჩამდენ პირთა მოტივების გამოვლენასა და გაგებას ძალადობის პრევენციასა და შემცირებაში საკვანძო როლი აქვს.

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენები პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო მხარეებად შეიძლება დავყოთ. სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიული ერთეულები ძალადობას ძირითადად პოლიტიკურ დონეზე ახორციელებენ, საზოგადოებრივ დონეზე დამნაშავეებს კი წარმოადგენენ: ოჯახისა და თემის წევრები, ტრადიციული და რელიგიური ლიდერები, ბანდები ან სხვა სოციალური ქსელების წარმომადგენლები და მასმედია. დამნაშავეები ნებისმიერი სქესის შეიძლება იყვნენ, თუმცა მათ უდიდეს უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ.[104] ერთი საერთაშორისო კვლევის თანახმად, ქალების მიერ ჩადენილი ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები არჩევნების კონტექსტში ჩადენილი ძალადობის აქტების მხოლოდ 4%-ია, არჩევნების დროს ქალებისა და კაცების ერთობლივი მონაწილეობით ჩადენილი ქალთა მიმართ ძალადობის აქტები კი 20%-ს შეადგენს.[105] დამნაშავეები ერთდროულად სხვადასხვა კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნებოდნენ, მაგალითად, შეიძლება, პარტიის წევრი სახელმწიფო მოღვაწე ან ოჯახის წევრი იყოს.

დამნაშავე პირის სტატუსის მიუხედავად, სახელმწიფო პასუხისმგებელია ქალთა

101 ფლორა ტრისტანი: *Centro de la Mujer Peruana, 2015. Las Mujeres Rurales Dijeron NO a la Violencia de Genero.* 27 ноября.
102 საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, 2012. *Tunisia's National Constituent Assembly Gender Assessment.* გვ. 9.
103 ინფორმაცია წარმოადგინა მორინ შონჯმა, ზიმბაბვეში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა.
104 ბარდოლი / საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, 2011.
105 იქვე.

ძალადობის ყველა ფორმის გამოვლენისგან დაცვაზე, ძალადობის ჩამდენთა დასჯაზე, დაზარალებულთათვის დახმარებისა და მომსახურების გაწევაზე. ეს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მართვის ყველა სექტორის, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოს, სასამართლო სისტემისა და სახელმწიფო მოხელეთა მონაწილეობას გულისხმობს. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა და სახელმწიფოებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, ჩაატარონ სათანადო შესწავლა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მათ შორის შეაფასონ ფაქტობრივი და პოტენციური შედეგები ადამიანის უფლებებისთვის, ჩართონ შეფასებებში დასკვნები და მათთან დაკავშირებით გაატარონ აუცილებელი ზომები, გააკონტროლონ ამ ზომების ზემოქმედება და წარმოადგინონ ანგარიშები, თუ როგორ ხდება აღნიშნულ ზემოქმედებაზე რეაგირება.

| პოლიტიკური აქტორები | საზოგადოებრივი აქტორები | სახელმწიფო აქტორები |
|---|---|---|
| • პოლიტიკური პარტიების ლიდერები<br>• საარჩევნო კანდიდატები<br>• პოლიტიკური პარტიების წევრები<br>• პოლიტიკური მომხრეები<br>• წინასაარჩევნო კამპანიების მუშაკები<br>• პარტიების შეიარაღებული აქტივისტები | • ამომრჩევლები<br>• ოჯახის წევრები<br>• ინტიმური პარტნიორი/მეუღლე<br>• თემის მოსახლეობა ან ჯგუფები<br>• რელიგიური ან ტრადიციული ლიდერები<br>• მასმედია<br>• დამქირავებლები და თანამშრომლები<br>• კრიმინალური ელემენტები, მათ შორის, არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები<br>• ახალგაზრდული ჯგუფები | • სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოების წარმომადგენლები (პოლიცია, შეიარაღებული ძალები)<br>• სახელმწიფო ორგანიზაციები (აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო ხელისუფლება)<br>• არჩევნებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, საარჩევნო ორგანოებისა და არჩევნების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოების თანამშრომლები<br>• სახელმწიფო ხელისუფლების ჩამნაცვლებელი ძალები (ბოევიკები, ბანდები, მეამბოხეები, კერძო დაცვა) |

## პოლიტიკური აქტორები

არჩევნების დროს პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ყველაზე ხშირად ძალადობენ ლიდერები, კანდიდატები, წევრები, მომხრეები და წინასაარჩევნო კამპანიის მუშაკები. ქვეყნების უმრავლესობაში პოლიტიკური პარტიის წევრობა არჩევითი თანამდებობის მიღწევის ძირითადი საშუალებაა. ბევრი პარტია ქალ კანდიდატებს აქტიურად ახალისებს და მხარს უჭერს, მაგრამ ხშირად პოლიტიკური პარტიები (და მათი ლიდერები ან წევრები) ქალთა პოლიტიკური წინსვლისთვის დიდ წინააღმდეგობებს ქმნიან. პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების რაოდენობა არჩევნების დროს იზრდება და ამ ძალადობის მიზანი მათთვის პოლიტიკური მისწრაფებების რეალიზებაში ხელის შეშლაა. ეს ძალადობა შეიძლება ხდებოდეს პოლიტიკური პარტიის შიგნით (შიდაპარტიული ძალადობა) ან მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებს შორის (პარტიათაშორისი ძალადობა).

არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ შიდაპარტიული ძალადობისას პოლიტიკურმა პარტიებმა შეიძლება იმ ქალთა მიმართ იძალადონ, რომლებიც კენჭს ამ პარტიების სახელით იყრიან და მათივე წევრები არიან. შესაძლოა, ეს, გარემოება ზოგადად ქალთა თანასწორობისადმი ან კანდიდატურის წამოსაყენებლად პარტიაში მათი შეყვანის აუცილებლობით გამოწვეული სიღრმისეული წინააღმდეგობის შედეგი იყოს. ის შესაძლოა გამოვლინდეს გენ-

დერული კვოტების შემოღების ან შეზღუდული რაოდენობის ადგილებისთვის შიდაპარტიული კონკურენციის დროს. მაგალითად, პირველადი არჩევნების დროს ან პარტიულ სიებში ქალი კანდიდატების ადგილების განსაზღვრისას. ქალი კანდიდატებისა და ამომრჩევლების მიმართ ძალადობის აქტებს პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერი ბანდფორმირებებიც შეიძლება ახორციელებდნენ. არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ პარტიათაშორის ძალადობას, როგორც წესი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიების ლიდერები და წევრები ახორციელებენ. ფიზიკური ძალადობის აქტების გარდა, პარტიათაშორისი ძალადობა, ჩვეულებრივ, კანდიდატების შვილებისთვის ზიანის ან სხვა ზარალის მიყენების მუქარებს შეიცავს, მათ შორის, მუქარებს პირადი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.

## პოლიტიკურ გარემოში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენთა მაგალითები:

- **ნეპალში** „ქალ კანდიდატებს ოპოზიციური პარტიების წევრები დევნიდნენ. წინასაარჩევნო პროცესის დროს აღინიშნა ფიზიკური ძალადობისა და ამ ქალების მიმართ გახშირებული მუქარების შემთხვევები. ...რამდენიმე შემთხვევაში ქალ კანდიდატებსა და მათ დაცვას სხვა პარტიების წევრები დაესხნენ თავს.“ [106]
- **პაკისტანში** ხუთი ძირითადი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელებმა ოფიციალური შეთანხმება გააფორმეს, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად, ქალებს არ მისცემდნენ კანდიდატურის წამოსაყენებლად საბუთების შეტანის ან არჩევნებზე ხმის მიცემის უფლებას. ამას გარდა, ხელმომწერი მხარეები იმუქრებოდნენ, რომ დაიწყებდნენ კამპანიას, რათა ქალებს, რომლებმაც საკუთარი კანდიდატურები დაასახელეს, მოეხსნათ ისინი და აფრთხილებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, შეეწყვიტათ არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ქალების მობილიზება და მხარდაჭერა. ამავდროულად, მათ მეჩეთების რამდენიმე დადგენილება და რელიგიური ბრძანება გამოსცეს, რათა დაემტკიცებინათ, რომ ქალების მონაწილეობა ეწინააღმდეგება ისლამს და ისინი ქალების საარჩევნო უბნებში მისვლასა და ხმის მიცემას ხელს ძალის გამოყენებითაც შეუშლიდნენ. შედეგად, ქალი კანდიდატები და მათი ოჯახის წევრები, წინასაარჩევნო მარათონიდან გასვლის იძულების მიზნით, დევნასა და ზეწოლას განიცდიდნენ.[107]
- **პარაგვაიში** ქალი კანდიდატის განცხადებით, პარტიის სხვა წევრების მხრიდან მრავალგზის შეურაცხყოფის გამო, მას პარტიის დატოვება მოუხდა. შეურაცხყოფა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მან კანდიდატთა სიაში ალტერნატიული კანდიდატის სახით ჩართვაზე უარი თქვა. როდესაც კანდიდატთა სიაში მოხვედრის შესაძლებლობის მისაღებად იგი სხვა ფრაქციაში შევიდა, ყოფილი კოლეგები მას მოღალატეს უწოდებდნენ და საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაში ხელი შეუშალეს.[108]
- **ზამბიაში** პოლიტიკური პარტიები, მოწინააღმდეგეებზე თავდასხმისა და დაშინების მიზნით, ახალგაზრდების ორგანიზებულ ბანდებს იზიდავენ. ბოლო წლებში ეს ბანდები ოპოზიციის ლიდერის, ედიტ ნავაკვის გაუპატიურებით არაერთხელ იმუქრებოდნენ. სოფლებში ისინი ადგილობრივ ბაზრებში ფარდულების მფლობელ ქალებს ემუქრებოდნენ, რომ თუ ხმას კონკრეტულ პარტიას არ მისცემდნენ, საარსებო სახსრებს დააკარგვინებდნენ.[109]

106 სამხრეთ აზიის პარტნიორობა/დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2008.
107 იქვე.
108 *Queremos Paridad, 2015. Three Historias de Mujeres que Han Luchado por Espacios en sus Propios Partidos*. 11 აგვისტო.
109 შატულა კამპო, 2012. „ზამბია: მე გაუპატიურების შიშით ვცხოვრობ“ *(Zambia:I Live in Fear of Being Raped).B: Times of Zambia,* 14 ნოემბერი, ციტირებულია გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, 2012.

## საზოგადოებრივი აქტორები

საზოგადოების მხრიდან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენები შეიძლება იყვნენ: ქალ კანდიდატთან მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანები – ქმარი, მამა ან ოჯახის სხვა წევრები, ამომრჩევლები თუ პარტიების მომხრეები, რელიგიური ლიდერი კაცები, ან სოფლის თუ ტომის ლიდერები. ეს მხარეები ძალადობის ისეთ მიზანმიმართულ აქტებს ახორციელებენ, რომლებსაც ხშირად ძალიან პირადული ხასიათი აქვთ. მათ შორისაა: გაუპატიურება, სოციალური იზოლირება ან სახლიდან გასვლის აკრძალვა. რელიგიურ ან ტრადიციულ ლიდერებს ან ქალის ადგილობრივი თემის წევრებს შეუძლიათ განახორციელონ ძალადობის აქტები, რათა მას თავს პოლიტიკური არჩევანი მოახვიონ, ან ხელი შეუშალონ არჩევნებში მონაწილეობაში.

## საზოგადოებრივი გარემოს მხრიდან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენთა მაგალითები:

- **კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში** პრეზიდენტობის კანდიდატმა მისცა ჩვენება, რომელშიც აღნიშნა, რომ მან, საკუთარი კანდიდატურის წამოყენების შემდეგ ქმრის, რელიგიური ლიდერისა და ოჯახის მხრიდან დაშინება და ფიზიკური ძალადობა განიცადა. საზოგადოებრივი კამპანიის ჩატარების გამო, ოჯახი და რელიგიური ლიდერი მას „მეძავს" უწოდებდნენ და საბოლოოდ აიძულეს, რომ „ქორწინებას, შვილებსა და პოლიტიკურ ამბიციებს შორის არჩევანი გაეკეთებინა". ოჯახის მიმართ განხორციელებული მუქა-რების გამო, ქალი იძულებული გახდა, რომ შვილები საზღვარგარეთ გაეშვა. მას ოჯახსა და ყოფილ ქმართან კავშირი აღარ აქვს.[110]
- **სალვადორში** ქალი კანდიდატები ოჯახის წევრებისა და/ან ინტიმური პარტნიორების მხრიდან არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საუბრობდნენ. მათ ეს ძალადობა არჩევნებში კანდიდატურის წამოყენების გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასახელების შემდეგ განიცადეს. ზოგიერთს კი ემუქრებოდნენ, ხელს უშლიდნენ ან ღიად უკრძალავდნენ არჩევნებში მონაწილეობას.[111]
- **მოლდავეთში** 2016 წელს პრეზიდენტობის კანდიდატის მაია სანდუს ავტორიტეტი მოლდა-ვეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიდერმა ეჭვქვეშ დააყენა, როდესაც მიანიშნა, რომ სანდუ უზნეოა, რადგან 44 წლის ასაკში დაოჯახებული არ არის და შვილები არ ჰყავს.[112]
- **პაკისტანში** ხმის მისაცემად მისულმა ქალებმა, შესაძლოა, ძალადობა საკუთარი თემის მხრიდან განიცადონ. 2015 წლის მუნიციპალური არჩევნებისას, ქვეყნის ჩრდილო-და-სავლეთში, საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მხოლოდ ერთი ქალი გამოცხადდა. ქალებისთვის ხმის მიცემის ამკრძალავი ადგილობრივი პაქტების გამო, როგორც ჩანს, ის 70-ზე მეტი წლის პერიოდში იყო პირველი ქალი, რომელმაც ხმა მისცა. იგი ამბობდა, რომ „უეცრად საზოგადოებისგან გარიყული გახდა". ეროვნული საზოგადოებრივი რა-დიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ამომრჩეველმა განაცხადა, რომ როდესაც თანა-სოფლელებს ხმის მიცემის შესახებ პირველად უთხრა, მას ურჩიეს „ამის შესახებ ხმა აღარასოდეს ამოეღო" .[113]

---

110 გაბრიელ ბარდოლი, 2012. პირადი ინტერვიუ ავტორთან (ბალინგტონი), 17 ოქტომბერი.

111 მორენა ჰერერა, მიტზი არიასი და სარა გარსია, 2012. *Hostilidad y violencia política: Desvelando realidades de mujeres autoridades municipales. Sistematización de experiencias de violencia política que viven mujeres electas en gobiernos municipales en El Salvador. ONU Mu-jeres*, სანტა-დომინგო.

112 ჩარლზ რეკნაგელი, 2016. „მოლდოვაში რეპუტაციის შელახვა, მართლმადიდებელი ეკლესია მეორე ტურის დაწყებამდე მიზანში იღებს პროევროკავშირის კანდიდატს" *(In Moldova, Smears, Orthodox Church Target Pro-EU Candidate Ahead Of Runoff).RadioFreeEurope. https://www.rferl.org/a/moldova-sandu-smears-orthodox-church-pro-eu-candidate-russia/28108474.html*

113 ციტირებულია პაკისტანში გაეროს ქალთა ორგანიზაციის დოკუმენტიდან, 2016.

- **აშშ-ში** ბოლო 40 წლის განმავლობაში ჩატარებული მრავალი კვლევა თანმიმდევრულად აჩვენებს, რომ „კაცი კანდიდატებისგან განსხვავებით, ქალ კანდიდატებზე საუბრისას მასმედია ხშირად უფრო კონცენტირებულია მათ გარეგნობაზე, პიროვნულ თვისებებზე, ოჯახებზე და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მათ პოზიციებზე. განსხვავებებმა, რომლებიც სექსისტური ენის ფარგლებს სცდება, შესაძლოა, ქალი კანდიდატის ავტორიტეტი შეარყიოს."[114]

საზოგადოებრივი აქტორების მხრიდან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმები ნაკლებად პირადულ ხასიათს ატარებს, მაგრამ არანაკლებ სახიფათოა. მასმედიასა და ჟურნალისტებს შეუძლიათ აქტიური ქალების შესახებ ცილისწამება გაავრცელონ.[115] მედიაში არასაკმარისი გაშუქება ხელს უწყობს დაუსჯელობისა და მიჩქმალვის იმ ატმოსფეროს, რომელიც ხშირად არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას ახლავს თან. ქალი კანდიდატების მიმართ ძალადობის მაპროვოცირებელი შეიძლება იყოს ცრუ შეტყობინებები და/ან მათი რეპუტაციის შელახვის მცდელობები (რეპუტაციის შელახვა).[116] ამას გარდა, მედიას შეუძლია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პროვოცირება კანდიდატი ან თანამდებობაზე არჩეული ქალების დამცირებით მათი ტანსაცმლის, გარეგნობის, ცხოვრების წესისა და ა.შ. გამო. ქალი კანდიდატების შესახებ ასეთი ჭორების გავრცელებით მასმედია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის წინაპირობებს ქმნის, რადგან აქეზებს სახელმწიფო და არჩეულ თანამდებობაზე მყოფი ქალებისადმი ზიზღს, მიკერძოებასა და მტრობას. ამას გარდა, ახალი მედია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის Facebook-ის ან Twitter-ის მსგავსი ქსელები, ქალებზე თავდასხმის დამატებით პლატფორმასა თუ შესაძლებლობებს იძლევა და სერიოზული შედეგების მქონე გლობალური პრობლემა ხდება.[117] ერთი კვლევის თანახმად, ქალები ინტერნეტში კაცებზე 27-ჯერ უფრო ხშირად განიცდიან ძალადობას.[118] ცოტა ხნის წინ რამდენიმე ქალმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ მათ ინტერნეტში მათ ესხმიან და დევნიან ხოლმე, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში.[119]

---

114 რეიჩელ ჯოი ლარისი და როზალი მეჯიო, 2012. „ქალთა მედიაცენტრის მედიასახელმძღვანელო ქალი კანდიდატებისა და პოლიტიკოსების გენდერულად ნეიტრალური გაშუქების შესახებ" *(The Women's Media Center Media Guide to Gender Neutral Coverage of Women Candidates and Politicians).*

*115* გაეროს განვითარების პროგრამა, 2012.

116 იქვე.

117 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა და ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირი, 2015. „კიბერძალადობა ქალებისა და გოგოების მიმართ: მსოფლიო მოწოდება გამოფხიზლებისკენ" *(Cyber Violence against Women and Girls: A World-Wide Wake-Up Call).* გაეროს ფართო დიაპაზონის კავშირის კომისიის ანგარიში ციფრული განვითარების სამუშაო ჯგუფისთვის.

118 იქვე, გვ. 15.

119 იხ. iKNOW Politics, 2016. „ქალები პოლიტიკაში და კიბერთავდასხმები გაერთიანებულ სამეფოში" *(Women in Politics and Cyber Abuse in the United Kingdom).* ჯესი ოპოიენი, 2016. „სიძულვილთან გამკლავება: ქალები პოლიტიკაში მნიშვნელოვან სექსისტურ სიძულვილს აწყდებიან" *(Handling Hate:Women in Politics Face a Remarkable Amount of Sexist Vitriol).* B: The Capital Times, 11 მაისი.




*ილ დე ლა გონავის (ჰაიტი) მცხოვრებნი თემის საარჩევნო ოფისში უფლებამოსილი ამომრჩევლების სიაში საკუთარ გვარებს ეძებენ.*

## სახელმწიფო აქტორები

შესაძლოა, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაში მთავარი დამნაშავეები სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ. ძალადობის ჩამდენებად შეიძლება მოგვევლინონ, მაგალითად, ეროვნული შეიარაღებული ძალები, პოლიცია და დაზვერვის სამსახურები. ასევე, შესაძლებელია, რომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას ხელს უწყობდნენ არჩევნებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, საარჩევნო უბნების თანამშრომლები და არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მუშაკები. არჩევნების შემდეგ კი ძალადობის ჩამდენები შეიძლება პოლიტიკური თანამდებობის პირები და პარლამენტის წევრები იყვნენ. შესაძლოა, ქალთა მიმართ ძალადობაში აქტიურად ან პასიურად ხელისუფლების ყველა შტო მონაწილეობდეს: აღმასრულებელიც, საკანონმდებლოცა და სასამართლოც. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენ სახელმწიფო აქტორებს, შესაძლოა, გამოკვეთილად დისკრიმინაციული დღის წესრიგი ჰქონდეთ ან კონკრეტული სქესის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენებით საბოტაჟური მოქმედება მოაწყონ.[120]

უშიშროების ძალების ტაქტიკამ ზიანი შეიძლება ქალებსაც მიაყენოს და კაცებსაც; მაგალითად, პროტესტის გამომხატველი ქალები პოლიტიკური მარშების ჩახშობისას შეიძლება პოლიციის სისასტიკის შედეგად დაზარალდნენ. თუმცა, მიტინგებსა და პოლიტიკურ დემონსტრაციებში მონაწილე ქალები ხშირად პირდაპირი სამიზნეები ხდებიან და შესაძლოა, რომ მათ სექსუალური და გენდერული ნიშნით პოლიტიკური ძა-

120 გაერო. 2009. „გვინეაში 2009 წლის 28 სექტემბერს მომხდარი ფაქტებისა და გარემოებების დამდგენი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის ანგარიში" *(Report of the International Commission of Inquiry Mandated to Establish the Facts and Circumstances of the Events of 28 September 2009 in Guinea)*. გაერო S/2009/693, დანართი.

ლადობის საშინელი ფორმები განიცადონ. მაგალითად, 2009 წლის 28 სექტემბერს, გვინეაში, კონაკრიში ჩადენილი ძალადობისას 167 ადამიანი დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა. მათ შორის სულ მცირე 109 ქალი იყო. ისინი ჯერ გააუპატიურეს ან მათ წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის სხვა აქტები ჩაიდინეს, ან სექსუალური მონობისთვის გამოიყენეს.

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დიდი პრობლემაა და ხშირად ქალთა მიმართ ძალადობის უფრო ზოგად გამოვლინებებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, ამავდროულად, ის არჩევნების უსაფრთხოების საკითხსაც წარმოადგენს. ამომრჩეველი ქალების წინააღმდეგ ძალადობა ხშირად საარჩევნო ორგანოებისა და უსაფრთხოების ორგანოების იმ უუნარობის შედეგია, რომლიც მათ არჩევნების დროს კონკრეტული საფრთხეებისგან ქალების დაცვის კუთხით აქვთ. მან შეიძლება საარჩევნო პროცესის ამ მონაწილეების მხრიდან პირდაპირი თავდასხმებისა და დაშინების ფორმაც მიიღოს. გადაჭედილი საარჩევნო უბნები, ამომრჩეველთა გრძელი, ქალებისა და კაცებისთვის განკუთვნილი საერთო რიგები, კანდიდატებს შორის ხმების მცირე განსხვავებისას არსებული დიდი დაძაბულობა და ხმის მიცემის დღისთვის დამახასიათებელი სხვა გარემოებები საარჩევნო უბნებში ხმის მისაცემად მისულ ქალებზე სექსუალური ძალადობისა და თავდასხმების მიზეზი შეიძლება გახდეს. საარჩევნო უბნების ცუდად მომზადებულმა თანამშრომლებმა, რომლებიც პასუხს ისეთ კრიტიკულ მომენტებზე აგებენ, როგორებიცაა იმ ამომრჩეველ ქალთა ვინაობის შემოწმება, რომლებიც ჩადრს ატარებენ, ან მარკირება (რაც შესაძლოა ფიზიკურ კონტაქტს გულისხმობდეს), შესაძლოა ამომრჩეველ ქალებს საფრთხე აგრძნობინონ ან დააშინონ ისინი.

არჩევნების შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებმა ან მათმა მუშაკებმა, უმოქმედობით ან ძალადობის ხელშემწყობი ქცევით, შესაძლოა, ირიბად ან პირდაპირ ხელი შეუწყონ ძალადობას. ქალებმა შეიძლება განიცადონ ძალადობა მათი კოლეგების მხრიდან იმ დაწესებულებებში, სადაც მუშაობენ, მათ შორის პარლამენტში, ადგილობრივ საბჭოებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. სექსიზმი, სექსუალური შევიწროება და პარლამენტის წევრი ქალების რეპუტაციაზე თავდასხმები, რომლებიც ამ დაწესებულების შიგნით ხდება, ხელს უშლის მათ მონაწილეობას და შესაძლოა, რომ აღნიშნულმა მოვლენებმა ამ ქალებს ვადამდელი გადადგომისკენ უბიძგოს ან მეორე ვადით არჩევის მოტივაცია გაუქროს. რამდენიმე ქვეყანაში პარლამენტის კაცი წევრები საჯაროდ არცხვენდნენ ქალ კოლეგებს დააიძულეს ისინი, რომ გადამდგარიყვნენ, ამას გარდა, ისინი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით ემუქრებოდნენ სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფ ქალებს.

## პოლიტიკურ დაწესებულებებში ძალადობის ჩამდენი სახელმწიფო აქტორების მაგალითები:

- **კანადაში**, 2016 წელს, პარლამენტის წევრმა მიშელ რემპელმა საჯაროდ ამხილა სექსიზმის ის შემთხვევები, რომლებსაც თავად შეეჯახა. მიკერძოებული დამოკიდებულების მაგალითებს შორის რემპელმა დაასახელა კაცი კოლეგების მხრიდან მისი გაჩუმება, ზედმეტ ემოციურობაში დადანაშაულება და არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა თუ კომენტარები.[121]
- **საფრანგეთში,** 2016 წელს, საფრანგეთის მთავრობის 17 ყოფილი ქალი მინისტრი ერთობლივი განცხადებით გამოვიდა და აღნიშნა, რომ ისინი აღარ გაჩუმდებიან ფრანგულ პოლიტიკაში არსებული სექსუალური შევიწროების შესახებ. მათ პირობა დადეს, რომ პოლიტიკური ძალაუფლების კულუარებში კოლეგების მხრიდან „ყველა სექსისტურ გამონათქვამს," „უადგილო ჟესტებსა და ქცევას" გამოაქვეყნებდნენ.[122] სხვა ქალებმა საჯაროდ ამხილეს „ყოველდღიური სექსუალური შევიწროება, გამოხატული არასასურველი შეხებით თუ სექსისტური კომენტარებითა და თავდასხმებით, რომლებსაც ქალები ჯერ კიდევ განიცდიან პარლამენტში მამრობითი სქესის პოლიტიკოსების მხრიდან."[123]
- **ისრაელში,** 2016 წელს, ქნესეთის შემადგენლობის წევრმა ორმა ქალმა საკანონმდებლო ორგანოში განცდილი სექსუალური შევიწროებისა და თავდასხმების შესახებ ისაუბრა. პარლამენტარმა მერავ ბენ არიმ განაცხადა: „ის ფაქტი, რომ ქნესეთში ერთადერთი ქალი ვარ, უსიამოვნო სიტუაციებში მაგდებს... ადამიანები ზოგჯერ არასათანადო კომენტარებს აკეთებენ.[124]
- **შოტლანდიაში** 2016 წლის ანგარიშის მიხედვით გლაზგოს საბჭოს შემადგენლობაში შემავალმა ექვსმა ქალმა განაცხადა, რომ მაჩოიზმისა და სამუშაო ადგილზე არაჯანსაღი ატმოსფეროს გამო, გადადგომას აპირებენ. ერთ-ერთმა მრჩეველმა ქალმა საბჭო აღწერა, „როგორც ადგილი, სადაც დრო გაიყინა, 1970-იან წლებში გაჩერდა."[125]
- **პერუში** ლიმას ყოფილმა მერმა სიუზანა ვილიარანმა საჯაროდ ამხილა უხეში და ბოროტი თავდასხმები თუ მუქარები, რომლებსაც ის თანამდებობაზე ყოფნისას იღებდა და რომელთა მიზანი, მისი თქმით, იყო „რეპუტაციის შელახვა და ჩვენება, რომ ეს ის ადგილი არ არის, სადაც ჩემნაირ ქალს პოლიტიკისა და ძალაუფლების კაცური სამყაროს დანგრევა შეუძლია".[126]

---

121 მიშელ რემპელი, 2016. „დაუპირისპირდი შენს სექსიზმს" *(Confront your Sexism). B: National Post,* 18 აპრილი.
122 ლუ ლორშაიდერი, 2016. „ყოფილი ფრანგი მინისტრები პოლიტიკაში სექსუალურ დანაშაულს ებრძვიან " *(French Ex-ministers Take on Sexual Misconduct in Politics).*„ამერიკის ხმა", 15 მაისი.
123 ანჟელიკ კრისაფისი, 2016. „ჩვენ ვეღარ გავჩუმდებით: ბრაზმა ამოხეთქა საფრანგეთის რესპუბლიკაში სექსიზმის გამო" *(We Can No Longer Stay Silent:Fury Erupts over Sexism in French Politics).B: The Guardian,* 13 მაისი.
124 მაქს ბირაკი, 2016. „თითქმის 32-ვე პარლამენტარ ქალს ისრაელში სექსუალური შევიწროება ან დევნა განუცდია" *(Almost All of Israel's 32 Women in Parliament Have Been Sexually Harasses or Assaulted). B: Washington Post,* 31 მაისი.
125 მერიემ ტრაბელსკი, 2016. „ლეიბორისტთა საბჭოს ქალი წევრების ნახევარი გლაზგოში „მაჩოების" საბჭოს ტოვებს" *(Half of Labour's Female Councillors in Glasgow to Quit 'Macho' Council). B: iKNOW Politics,* 16 ივნისი.
126 ლიზ ფორდი, 2016. „პერუდან კოსოვომდე, პარლამენტარი ქალები მიზნად პოლიტიკაში ქალთა დევნის აღმოფხვრას ისახავენ" *(From Peru to Kosovo, Female MPs Aim to End Abuse of Women in Politics).B: The Guardian*, 24 მარტი.

# 5

# არჩევნების დროს ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის მიზეზები და შედეგები

ტრადიციულად, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა კაც პოლიტიკოსებთან დაკავშირებული ქალების (მეუღლეების, დედებისა და ქალიშვილების) წინააღმდეგ ფართოდ გამოიყენებოდა და მიზნად ამ პოლიტიკოსთა დაშინებასა და შეჩერებას ისახავდა.[127] თუმცა, როგორც მომდევნო თავში იქნება აღწერილი, თანამედროვე მსოფლიოში სიტუაცია შეიცვალა.

## 5.1 არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზები

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა გლობალური მოვლენაა, რომელიც პოლიტიკაში ქალების დამოუკიდებელი მონაწილეობის შეჩერებისა და მისთვის ხელის შეშლისკენაა მიმართული. ის საჯარო თუ კერძო ცხოვრებაში ქალების *პოლიტიკური უფლებების* განხორციელებას უშლის ხელს. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას საფუძვლად გენდერული მოტივები და დისკრიმინაცია უდევს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალები ტრადიციულ როლებს უპირისპირდებიან და პოლიტიკურ საქმიანობას იწყებენ. ერთმა კანადელმა კანონმდებელმა ეს მოვლენა ასე შეაჯამა: „რეალობა ისაა, რომ მთელ მსოფლიოში საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავებული ქალები გამუდმებით განიცდიან დაშინებას, მუქარებს, დასჯასა და დაცინვას, მათ აიძულებენ გაჩუმებას, ზოგიერთ შემთხვევაში კი აწამებენ, აუპატიურებენ და კლავენ. *ამ მუქარებისა და ზოგჯერ სიკვდილის გამომწვევი ქმედებების საფუძველს ქალების მიმართ ისტორიულად დამკვიდრებული დისკრიმინაციული კანონები, ნორმები და პრაქტიკა წარმოადგენს.* საჯარო სამსახური, საზოგადოებრივი დისკუსიები და სახელმწიფო მმართველობა კაცების განსაკუთრებული პრეროგატივა არ არის.“[128] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ძალადობის კიდევ ერთი ფორმაა, რომლის მიზანიც ქალების დამორჩილებაა.

---

127 ბარდოლი / საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, 2011.

128 კურსივი ავტორისეულია. ნაჰანი ფონტენი, მანიტობას საკანონმდებლო კრების წევრი, საკანონმდებლო კრების წინაშე ჯო კოქსისადმი მიძღვნილ გამოსვლაში. ციტირებულია ლაურა გლოვაკი, 2016. *Manitoba MLA Speaks Out about Violence against Women in Politics. B: CBS News*, 20 ივნისი.

ქალები პოლიტიკაში გენდერულ ძალადობას იმიტომ აწყდებიან, რომ საარჩევნო პროცესში მათი მონაწილეობა საფრთხეს უქმნის ხელისუფლების სტრუქტურებში კაცების დომინირებულ მდგომარეობას. ეს მათთვის მიკუთვნებული გენდერული როლებიდან გადახვევისთვის განკუთვნილი გარკვეული სასჯელია, ამიტომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ზოგიერთი ფორმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეაქცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების გავლენის ზრდაზე.[129] გენდერული მოტივები მოიცავს ქალებისთვის დამოუკიდებლად ხმის მიცემისა თუ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაში ხელის შეშლას და არჩეული ქალების გადადგომის იძულებას. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ხელს უშლის ქალებს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებაში, წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარებაში, პოლიტიკური შეხედულებების იმგვარად გამოხატვაში, რომ მათ შურისძიების ან საკუთარ ოჯახებში, თემებსა და საზოგადოებაში უარყოფითი შედეგების არ ეშინოდეთ.[130] პოლიტიკაში ქალების მონაწილეობის მნიშვნელობისა და მათი რაოდენობის მატებასთან ერთად, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესაბამისი ზრდა შეინიშნება. მაგალითად, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი კვლევით, რომელიც ნეპალში ჩატარდა, დადგინდა, რომ პროფესიონალი და განათლებული ქალების მიმართ უფრო მეტი ძალადობრივი შემთხვევები აღინიშნება. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ძალადობის ხასიათი ქალი კანდიდატების პიროვნებასა და საქმიანობასთანაა დაკავშირებული".[131]

### მძაფრი რეაქცია კონსტიტუციურ პარიტეტზე მექსიკაში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნებისას

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ზოგიერთი ჩამდენისთვის ძალადობის მოტივი კანდიდატურის წამოყენებაში ქალებისთვის ხელის შეშლა ან კანდიდატურის მოხსნის იძულებაა, რაც მიზნად პატრიარქალური პოლიტიკური წყობილების შენარჩუნებას ისახავს. 2015 წელს, მექსიკაში, ადგილობრივი არჩევნების წინ, სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელმა ქალებმა (პოლიტიკოსებმა, ფემინისტურმა ორგანიზაციებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და ქსელებმა, ექსპერტებმა და მეცნიერებმა) დაგმეს ქალი კანდიდატების მიმართ ძალადობის გახშირება, რაც, მათი აზრით, წარმოადგენდა რეაქციას კონსტიტუციის იმ დებულებაზე, რომელიც კანდიდატებს შორის პარიტეტს მოითხოვდა (50% ქალები). ძალადობის მკვეთრი ზრდა არის საფასური, რომელსაც ქალები არჩევნებში კანდიდატებად მონაწილეობის გადაწყვეტილების გამო იხდიან პოლიტიკის იმგვარ სამყაროში, რომელშიც კაცები დომინირებენ.[132]

129 ასევე იხ. კრუკი, 2017.
130 გაეროს ქალთა ორგანიზაცია / პურნა სენიის მასალების მიხედვით, 2016.
131 სამხრეთ აზიის პარტნიორობა/დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2008.
132 ანაელი გარსია მარტინესი, 2015. *Reportaje – Reacciónviolentadelpatriarcadocontralaparidad.B: Cimacnoticias,* მეხიკო, 3 აგვისტო.

არჩევნები მექსიკის 17 შტატში გაიმართა და ყველა მათგანში ქალმა კანდიდატებმა ძალადობის სრულიად განსხვავებული ფორმები განიცადეს, მათ შორის, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფიზიკური ძალადობა, წინასაარჩევნო აგიტაციისას მასმედიასა და სოციალურ ქსელებში სექსისტური კომენტარები, ფიზიკური და სექსუალური ძალადობა, მოტაცება და მკვლელობის მუქარები. ზოგიერთი ქალი, კანდიდატურის მოხსნის იძულების მიზნით, მედიაში შეურაცხყოფას, თაღლითობასა და კორუფციაში ცრუ ბრალდებებს იტანდა. ამ აქტების ჩამდენთა შორის იყვნენ თანამდებობის პირი და კანდიდატი კაცები, მამრობითი სქესის კონკურენტებთან დაკავშირებული კაცთა შეიარაღებული ჯგუფები, თემების ლიდერები და პოლიტიკური პარტიების წევრები.[133]

ზოგიერთ ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული კვოტების შესახებ კანონების მიღებისა და ამოქმედების შედეგად გაიზარდა. ეს კანონები საარჩევნო სიებში კანდიდატების სახით წარმოდგენისა და საკანონმდებლო ორგანოში დარეზერვებული ადგილების დახმარებით ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას გულისხმობს. ერთ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კენიაში კაცმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა და კანდიდატებმა „დაარღვიეს 2010 წელს მიღებულ კონსტიტუციაში დადგენილი პოზიტიური მოქმედების პრინციპი: ისინი კვოტების დაუცველობის, კანდიდატურის წამომყენებელი ქალების დაცინვის, ძალადობისა და დაშინების გზით ხელს უშლიდნენ ქალების არჩევნებში მონაწილეობას. ოლქების საკრებულოებში გენდერული კვოტების საფუძველზე დანიშნულ ქალებს „ბონგის სათვალეს“ (დამატებით სათვალეს) უწოდებენ, საკრებულოებში ისინი არ სარგებლობენ ისეთი პატივისცემით, როგორც სხვა წევრები“.[134] მეტიც, კვოტების ან დარეზერვებული ადგილების საფუძველზე არჩეული ქალების არჩევის სისწორეს უფრო გულდასმით ამოწმებენ, ვიდრე „თავისუფალ“ ადგილებზე არჩეული ადამიანებისას. ისინი უფრო ხშირად არიან სექსიზმის, დაცინვისა[135] და შეურაცხყოფის სამიზნეები, საზოგადოებისა და მასმედიის მხრიდან უფრო მკაცრად განიკითხებიან, რაც საფრთხეს უქმნის არჩეული ლიდერის როლში მათ ლეგიტიმურობას. მაშინ, როდესაც პირდაპირი გენდერული ძალადობის ფესვები მიზოგინიაშია, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ირიბი ძალადობა ხშირად საზოგადოებაში არსებული გენდერული უთანასწორობის შედეგია. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ირიბი ძალადობა (ანუ არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის განსხვავებული ტიპები, რომლებიც კაცებსა და ქალებს სხვადასხვანაირად ეხება) ხშირად იმის გამო წარმოიშობა, რომ, როგორც წესი, კაცებსა და ქალებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განსხვავებული ადგილები უკავიათ. ეს ადგილები და როლები არჩევნების დროს ძალადობის ტიპსა და დაზარალებულთა კატეგორიაში გენდერულ განსხვავებას იწვევს.[136] მაგალითად, როდესაც ქალი კანდიდატები არ არიან ან მათი

133 იქვე.
134 ტამ ო'ნილი და პილარ დომინგო, 2016. „ქალები და ძალაუფლება: ლიდერობისა და ზეგავლენის წინაშე არსებული ბარიერების გადალახვა“ (Women and Power: Overcoming Barriers to Leadership and Influence). ანგარიში, ODI.
135 იქვე.
136 ბიარნეგარდი, 2016; კრუკი, 2017; პისკოპო, 2016.

რაოდენობა მცირეა, მაშინ ცოტანი არიან ის ქალი კანდიდატებიც, რომლებიც არჩევნების კონტექსტში ძალადობას განიცდიან. თუმცა თუ პოლიტიკური ძალადობა საჯარო სივრცეში ვლინდება, მაგალითად, ბაზრებში ან სკოლებში, სადაც უმეტესად ქალები მიდიან, მთავარი მსხვერპლებიც ქალები არიან. ანალოგიურად, საზოგადოებაში მათი ძალაუფლებრივი ადგილის გამო, სექსუალურ ძალადობასა და დაშინებას ქალები უფრო ხშირად განიცდიან. მაგალითად, მალდივებზე ჩატარებული ერთი კვლევის თანახმად,[137] არჩევნების დროს ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა ოპოზიციის პროვოცირებისა და დაშინების და არა ქალების პოლიტიკური არენიდან განდევნის, მიზნით ხდება. თუმცა ის ფაქტი, რომ ძალადობის ჩამდენი პირები უფრო სექსუალურ თავდასხმებს და არა ძალადობის სხვა ფორმებს იყენებენ, ძალადობის გამოყენებაში გენდერულ განსხვავებებს ასახავს.

## 5.2. არჩევნების დროს ქალების მიმართ ძალადობის შედეგები

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის, ასევე, მათ ოჯახებსა და თემებზე უფრო ფართო ზემოქმედების გარდა, აუცილებელია პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესზე არჩევნების კონტექსტში ქალთა მიმართ ძალადობის კონკრეტული ზემოქმედების გათვალისწინებაც. ზოგადად, არჩევნების დროს ძალადობას შემდეგი ყველაზე გავრცელებული შედეგები მოაქვს:

### არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებული შედეგები:

- არჩევნებზე კანდიდატურის წამომყენებელი და პოლიტიკური თანამდებობის პრეტენდენტი ქალების რაოდენობის შემცირება
- გარკვეულ ადგილებში პოლიტიკური კამპანიების არიდება
- პოლიტიკური პარტიების კამპანიებში ქალთა გამოჩენის შეზღუდვა
- წინასაარჩევნო მარათონისას ქალთა ფოკუსირება დარეზერვებულ ადგილებზე და არა თავისუფალ ადგილებზე (იმ ქვეყნებში, სადაც ქალებისთვის დარეზერვებული ადგილები გამოიყენება)
- არჩეული ქალების რაოდენობის შესაძლო შემცირება
- არჩეული ქალების იძულებითი გადადგომა
- ნაკლები ქალი განიხილავს პოლიტიკური კარიერის შესაძლებლობას ან ნაადრევად ანებებს თავს კარიერას
- სირთულეები საარჩევნო ორგანოების ან უბნების პერსონალის შემადგენლობაში ქალების მიზიდვის კუთხით
- კაცებთან შედარებით, ხმის მისაცემად დარეგისტრირებული ქალების რიცხვის შემცირება
- კაცებთან შედარებით, ხმის მისაცემად მისული ქალი ამომრჩევლების შემცირება
- საარჩევნო უბნების დახურვა
- პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნო კამპანიების ფარგლებში ჩატარებული შეკრებების შეჩერება
- პოლიტიკური აქტივობის შემცირება
- ხმის მისაცემად ამომრჩეველთა მისვლის შემცირება
- არჩევნების გადადება
- მოსახლეობის გადაადგილება

137 ბიარნეგარდი, 2016.

A ნაწილში მოცემულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის განმარტება და აღწერა. აგრეთვე, გამოვლენილია ნეგატიური შედეგები, მათ შორის იმ ქალებისთვის, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური უფლებების განხორციელებისკენ მიისწრაფვიან. მიზანმიმართული თავდასხმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალების მიერ თანამდებობაზე კანდიდატურის წამოყენებისგან თავშეკავებასა და წინასაარჩევნო მარათონიდან გასვლის ან არჩევის შემდგომ გადადგომის იძულებაში. ქალთა პოლიტიკური აქტივობის დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობამ პოლიტიკაში ქალების ჩართვას სერიოზულად შეიძლება შეუშალოს ხელი. შესაძლოა, ძალადობამ საარჩევნო უბნებზე და საარჩევნო პერსონალის მიმართ ქალებს არ მისცეს საარჩევნო პროცესების მართვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში მონაწილეობის საშუალება, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამცირებს არჩევნებში ქალების მონაწილეობასა და საარჩევნო პროცესზე მათ წვდომას. თემისა და ოჯახის დონეზე ძალადობა ქალებისთვის პოლიტიკური არჩევანის თავზე მოხვევასა და სამოქალაქო თავისუფლებათა დარღვევას იწვევს. ეკონომიკური დანაკარგები, გადაადგილება და დაშინება ბარიერებს უქმნის ქალების მონაწილეობას და სულ უფრო აშორებს მათ გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი დემოკრატიული პროცესებისგან. ამ სახელმძღვანელოს B ნაწილში წარმოდგენილია ქალთა პოლიტიკურ აქტიურობაზე არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შედეგების შემსუბუქების რეკომენდაციები და მოწინავე გამოცდილება.



UN Women/Ashutosh Negi




# ნაწილი B

## არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის ღონისძიებები


1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა და მასშტაბის გაზომვა 71

2. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის ჩართვა არჩევნებზე დაკვირვებისა და ძალადობის მონიტორინგის პროცესებში 92

3. საკანონმდებლო და პოლიტიკის რეფორმა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით 104

4. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია საარჩევნო ღონისძიებების გზით 129

5. პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად 144

6. ცნობიერების ამაღლება და ნორმების შეცვლა 153

# მატრიცა 1:

## არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ღონისძიებები

| ღონისძიება | წინასაარჩევნო პერიოდი |
|---|---|
| **1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა და მასშტაბის გაზომვა**<br>*(მაგალითად, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ეროვნული პროგრამები, ძალადობის მონიტორინგის პროგრამები)* | • არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აღრიცხვა საარჩევნო ორგანოსა და არჩევნების უსაფრთხოების შეფასებებში<br>• მაჩვენებლების შემუშავება და დადგენა<br>• ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვის არსებული მაჩვენებლებისა და ინსტრუმენტების კორექტირება ან განვითარება<br>• მდგრადი განვითარების მიზნების (რომლებთანაც მას შეიძლება კავშირი ჰქონდეს) მონიტორინგში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვის შესაძლებლობის განხილვა<br>• ე.წ. „ქრაუდსორსინგის"(ინტერნეტის მეშვეობით პრობლემის კვლევისა და გადაწყვეტისთვის დიდი რაოდენობის ხალხის მოზიდვა) შესაძლებლობებისა და მონაცემთა ვიზუალიზაციის ინსტრუმენტების გამოყენების განხილვა |
| **2. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვა არჩევნებზე დაკვირვებაში და ძალადობის მონიტორინგი**<br>*(მაგალითად, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, არჩევნებზე დამკვირვებლები, ქალთა სიტუაციური ცენტრის პარტნიორები)* | • არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვა არჩევნებზე საერთაშორისო და შიდა დაკვირვების პროცესებში<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვა არჩევნების დროს ძალადობის შესახებ ადრეული გაფრთხილების სისტემებში<br>• გენდერული პრობლემატიკის ჩართვა არჩევნების დროს ძალადობის მონიტორინგის არსებულ ინსტრუმენტებში<br>• გასაზომი მაჩვენებლების დადგენა<br>• გენდერული პრობლემატიკის ჩართვა დამკვირვებელთა მოსამზადებელ კურსებში<br>• ქალთა სიტუაციურ ცენტრებსა და სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის სხვა პროგრამებში (ანუ არჩევნებსა და ადამიანის უფლებათა დაცვაზე დაკვირვებაში) არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონიტორინგისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა<br>• მონაცემთა შეგროვებისა და მათზე ანგარიშგების ჰარმონიზებული ინსტრუმენტების შემუშავება |
| **3. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით, კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმა**<br>*(მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოები, საარჩევნო ორგანოები, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები, სასამართლო ინსტანციები, პოლიტიკური პარტიები)* | • ისეთი კანონებისა და პოლიტიკის მიღება, რომლებშიც განმარტებულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა და უზრუნველყოფილია მისგან დაცვა<br>• ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის სფეროში არსებული კანონმდებლობის დახვეწა და მასში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ დებულებების შეტანა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, საარჩევნო ორგანოს ოქმებისა და დებულებების მიღება<br>• საარჩევნო კოდექსებისა და პოლიტიკოსების ქცევის კოდექსების დახვეწა მათში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული დებულებების შეტანის მიზნით<br>• გენდერული პრობლემატიკის სფეროში მომზადების უზრუნველყოფა პოლიციის თანამშრომლების, არბიტრების, მოსამართლეების, იურისტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და იმ სხვა პირებისთვის, რომლებსაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინებებზე რეაგირება შეუძლიათ |
| **4. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და შემცირება საარჩევნო მექანიზმების საშუალებით**<br>*(მაგალითად, საარჩევნო ორგანო, პროფილური სამინისტრო, უშიშროების სექტორი/პოლიცია)* | • საარჩევნო ორგანოების მიერ რისკების მონიტორინგისა და შეფასების ყველა ღონისძიებაში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აღრიცხვის უზრუნველყოფა<br>• საარჩევნო ორგანოების თანამშრომელთა მომზადება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობისა და მასზე რეაგირების ღონისძიებებზე<br>• ოჯახური ხმის მიცემის შემცირებისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე, ხმის მიცემის კონფიდენციალურობისა და ოჯახური ხმის მიცემის შესახებ ამომრჩევლების ინფორმირება<br>• საარჩევნო ორგანოში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი განყოფილების შექმნა<br>• ქალი კანდიდატების დაცვის უზრუნველყოფა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში პოლიციისა და უშიშროების ძალების მომზადება<br>• პოლიციის სტრუქტურებში, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ქალთა რაოდენობის ზრდა |
| **5. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და შემცირების მიზნით, პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობა** | • ყველა პოლიტიკურ პარტიასთან საინფორმაციო-განმარტებითი სამუშაოს ჩატარება<br>• პარტიის წევრებს შორის კანონით განმტკიცებული ქცევის კოდექსების დაცვისა და ცნობიერების გაზრდის უზრუნველყოფა<br>• აუცილებლობის შემთხვევაში, ქცევის საკუთარი კოდექსების მიღება<br>• პოლიტიკური პარტიების წესებისა და წესდებების გადახედვა მათში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული დებულებების შესატანად<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით პარტიული პოლიტიკისა და პრაქტიკის მონიტორინგი და დანერგვა<br>• კანდიდატების შერჩევისა და პოლიტიკური მიზნებისთვის დაფინანსების წვდომის გამჭვირვალე წესების უზრუნველყოფა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემების ჩართვა ამომრჩეველთა მომზადების კურსებსა და სასწავლო მასალებში<br>• პოლიტიკური პარტიების წახალისება, გააკეთონ ერთობლივი საჯარო განცხადებები ქცევის წესებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების შესახებ<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის მიზნით, პარტიის წარმომადგენლების / დამკვირვებლების მომზადება |
| **6. ცნობიერების ამაღლება და ნორმების შეცვლა**<br>*(მაგალითად, კანონმდებლები და საპარლამენტო ქსელები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მასმედია,კაცები, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები)* | • არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ჩატარება<br>• სასწავლო პროგრამების გადახედვა მათში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გასათვალისწინებლად<br>• საინფორმაციო-განმარტებითი მასალების დახვეწა მათში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გასათვალისწინებლად<br>• მედიასაშუალებების დათანხმება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გაშუქების შესახებ<br>• მედიასაშუალებებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემების გაშუქების უნარების გაზრდა |

# არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა

| არჩევნების პერიოდი | არჩევნების შემდგომი პერიოდი |
| --- | --- |
| • მონაცემთა შეგროვება და შემოწმება<br>• მონიტორინგის ინსტრუმენტებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის ჩართვა | • შეგროვებულ მონაცემთა ანალიზი<br>• მონაცემთა გაერთიანება და მათზე ანგარიშგება<br>• ხარვეზების დადგენა და აუცილებლობის მიხედვით მაჩვენებელთა კორექტირება<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვა ანგარიშებსა და არჩევნების შემდეგ მიღებულ დასკვნებში |
| • დაკვირვების ინსტრუმენტებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის ჩართვა<br>• არჩევნების დამკვირვებელთა ჯგუფებში გენდერული ბალანსის დაცვაზე ორიენტირება<br>• არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ანგარიშგების ოპტიმიზაცია | • მონაცემთა გაერთიანება და მათზე ანგარიშგება<br>• ხარვეზების დადგენა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება<br>• გენდერულ პრობლემატიკასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ჩართვა დამკვირვებელთა ანგარიშგებასა და დასკვნებში |
| • ქალებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული მართლმსაჯულებისა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ უსაფრთხო / კონფიდენციალური შეტყობინების მექანიზმების დანერგვა | • არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან მიმართებაში კანონებისა და პოლიტიკის გამოყენების უზრუნველყოფა<br>• კანონებისა და პოლიტიკის გადახედვა და აუცილებელი შესწორებების შეტანა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული დავების განხილვა<br>• ქალების პოლიტიკური უფლებების დარღვევისა და პოლიტიკაში ქალების დევნისთვის გამოძიებისა და პასუხისგებაში მიცემის უზრუნველყოფა<br>• ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების არსებულ სამსახურებში დაზარალებულთა დახმარების ახალი რესურსების ადაპტაცია და ინტეგრაცია |
| • ხმის მიცემის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა<br>• არჩევნების დღის დაგეგმვა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემების გათვალისწინებით (კაცებისა და ქალებისთვის განცალკევებული საარჩევნო უბნები, ქალებისგან შემდგარი დაცვის პერსონალი, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში სათანადოდ მომზადებული პოლიციის თანამშრომლების გაზრდილი რისკის რაიონებში განთავსება, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში სათანადოდ მომზადებული საარჩევნო უბნების თანამშრომლები<br>• კაცებისა და ქალებისთვის განცალკევებული საარჩევნო უბნები, თუ ეს საჭიროა ძალადობის ან ოჯახების მხრიდან ქალებზე ზეწოლის შესამცირებლად<br>• მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილ საარჩევნო უბნებზე ქალებისგან შემდგარი პოლიციის რაზმის განთავსება<br>• საარჩევნო უბნების თანამშრომელთა დაცვის უზრუნველყოფა | • არჩევნების შემდგომ მიმოხილვებში გენდერული პრობლემატიკის ჩართვა<br>• გენდერულ ნიადაგზე ჩადენილი სამართალდარღვევების დასჯა |
| • პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებად ქალების მეტი რაოდენობის მოზიდვა | • არჩეული ქალების მიერ მათი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებაში მხარდაჭერის უზრუნველყოფა<br>• იუზრუნველყოფა, რომ არცერთი ქალი არ აიძულონ, რათა მან თანამდებობა კაცების სასარგებლოდ დატოვოს |
| • მედიასაშუალებებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემების გაშუქების უნარების ზრდა<br>• მედიასაშუალებების მონიტორინგი გენდერულ ნიადაგზე მიკერძოების გამოვლენის მიზნით<br>• მოკავშირეებად და გავლენიან მომხრეებად კაცების მოზიდვა | • მიღებული გაკვეთილების ანალიზი<br>• საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი პირების ინფორმირების მიზნით, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში სამოქალაქო აღზრდის პროგრამების დანერგვა<br>• მედიაში არაადეკვატური გაშუქებისთვის სასჯელის შემოღება<br>• საკანონმდებლო და საპარლამენტო ქსელებთან ურთიერთქმედება |

Empowered lives.
Resilient nations.

B ნაწილში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ამჟამად არსებული საუკეთესო პრაქტიკაა განხილული. მასში შემოთავაზებულია ის მიზნობრივი პროგრამები და სტრატეგიები, რომლებიც საარჩევნო ციკლის განსაზღვრულ ეტაპებზე, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ან აღმოფხვრის მიზნით შეიძლება განხორციელდეს. ეს წინადადებები წარმოდგენილია, რათა დახმარება გაუწიოს და ინფორმაცია მიაწოდოს გაეროს განვითარების პროგრამას, გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და გაეროს სხვა სააგენტოებს, ასევე, იმ პარტნიორებს, რომლებიც არჩევნების ჩატარებაში დახმარების, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებზე მუშაობენ.

სწორედ ამ მიზნით წარმოვადგენთ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ან აღმოფხვრის მოქმედების მატრიცას – ინსტრუმენტს, რომელიც საარჩევნო ციკლის ეტაპებისა და ამ სტრატეგიების რეალიზაციის სხვადასხვა მონაწილის როლების მიხედვით არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ან აღმოფხვრის 6 ძირითად ღონისძიებას განსაზღვრავს. მატრიცა პროგრამული ღონისძიებების ფართო ჩამონათვალს შეიცავს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მისი პრევენციის მიზნით, კონტექსტის შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთვის.

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის განმარტებისა და საცნობარო ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც A ნაწილშია წარმოდგენილი, B ნაწილში მოწინავე პრაქტიკა განიხილება და შემოთავაზებულია შემდეგი 6 ღონისძიების ფარგლებში შესაძლებელი პროგრამები და პოლიტიკა:

1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვა და გაზომვა
2. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვა არჩევნებზე დაკვირვებაში და ძალადობის მონიტორინგი
3. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმა
4. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და შემცირება საარჩევნო მექანიზმების საშუალებით
5. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და შემცირების მიზნით პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობა
6. ცნობიერების ამაღლება და ნორმების შეცვლა




*საარჩევნო უბანი, ავღანეთი.*

# ღონისძიება № 1:
## არჩევნების დროს ქალების მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა და მასშტაბის გაზომვა

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის დადგენისა და გაზომვის სირთულის მიუხედავად, პრაქტიკოსი სპეციალისტები, მკვლევარები და დაინტერესებული მხარეები თანხმდებიან, რომ ეს მოვლენა უნდა დადგინდეს, გაკონტროლდეს და აღმოიფხვრას.[138] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირების და პრევენციისთვის კრიტიკული მნიშვნელობის პირველი ნაბიჯი მონაცემთა შეგროვება და მათი დოკუმენტურად ასახვაა. აღნიშნულის დახმარებით შესაძლებელი გახდება ამ მოვლენის დადგენა და გაზომვა, მისი სტრუქტურისა და კავშირების გაგება და მის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო ღონისძიებების განხორციელება. ამ დრომდე არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ჩრდილში რჩებოდა და უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი დოკუმენტირების სისტემური ღონისძიებების არარსებობა იყო. ზემოთ წარმოდგენილ მატრიცაში მოცემული პროგრამული გადაწყვეტების შემუშავებისთვის გავრცელებისა და სიხშირის შესახებ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. იდეალურ შემთხვევაში, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებლები ამ მოვლენის სიხშირისა (შემთხვევათა რაოდენობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, არჩევნების პერიოდში) და გავრცელების (მოსახლეობის წილი, რომელსაც შემთხვევები შეეხო) გაზომვისთვის დროში დინამიკის გათვალისწინებით უნდა გამოიყენებოდეს.[139]

წინამდებარე თავში შემოთავაზებულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვისა და მონიტორინგის ვარიანტები, მათ შორის:

- მონაცემების დოკუმენტურად ასახვის მიზნობრივი გამოყენება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ცხელი წერტილებისა და სახეების გამოსავლენად, მათ შორის ქვეყნებისა და რეგიონული პროფილების, საარჩევნო ორგანოებისა და უსაფრთხოების ზოგადი შეფასებების გზით
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელთა დადგენა
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული ინიციატივების, მონიტორინგისა და ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვის, მდგრადი განვითარების მიზნებისა და ე.წ. „ქრაუდსორსინგის“ დახმარებით მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობების გამოყენება

138 ბალინგტონი, 2016.
139 იქვე.

## 1.1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვა უზრუნველყოფს საფუძველს ინფორმირებული ჩარევის დაგეგმვისა და შემუშავებისთვის. ამავდროულად, ის არჩევნებში ქალების მონაწილეობის შესწავლის, ცხელი წერტილებისა და ძალადობის სახეების გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების შესაბამისი ღონისძიებების წამოწყების საშუალებას იძლევა.

მონაცემების დოკუმენტურად ასახვამ უნდა გაარკვიოს, თუ როგორ გამოიყენება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ქალების, როგორც ამომრჩევლების, კანდიდატების, პარტიათა მომხრეების, საარჩევნო უბნების თანამშრომლების, დამკვირვებლების, ჟურნალისტების ან სახელმწიფო თანამდებობის პირების, მიერ ამომრჩევლის უფლების გამოყენების შესაჩერებლად, დასაძლევად ან ხელის შესაშლელად. მონაცემთა დოკუმენტურად ასახვის ნებისმიერი ღონისძიება უნდა მოიცავდეს არჩევნებში ქალების მონაწილეობის ამჟამინდელი სიტუაციისა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პოტენციალის შესწავლას. მას შეიძლება ამ მოვლენის შესაძლო შემცირების საუკეთესო ხერხების განხილვაც ახლდეს თან. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვა საარჩევნო ციკლის ყველა ეტაპს უნდა მოიცავდეს — პერიოდებს არჩევნებამდე, არჩევნების დროს და არჩევნების შემდეგ — რადგან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები შესაძლოა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ როდის ხდება ისინი. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვისას:

### არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მომხდარი და/ან მიმდინარე შემთხვევები:

- **რა?** არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები იყო ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ სექსუალური ხასიათის? რა ფორმები მიიღო მან, მაგალითად, თავდასხმა, დაშინება, შევიწროება, მკვლელობა?
- **სად?** სად მოხდა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევა — ოჯახში, თემში თუ სახელმწიფოს დონეზე, საზოგადოებრივ თუ კერძო სივრცეში? როგორია მიმდინარე პოლიტიკური ვითარება მომავალი არჩევნების თვალსაზრისით?
- **ვინ?** ვინ იყო არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მთავარი ჩამდენი? როგორი იყო მისი მოტივები?
- **ვის წინააღმდეგ?** ვინ იყო არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლი?
- **რა მოქმედებები მოჰყვა?** იყო თუ არა რაიმე საჩივრები, სასჯელი, პასუხისგებაში მიცემა?

### სამართლებრივი, პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოები:

- რაში მდგომარეობს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მოვალეობები? რატიფიცირებულია თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების სფეროში (მაგალითად, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი)? ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მათი დაცვის რა კანონები და პოლიტიკა არსებობს, მათ შორის არჩევნების კონტექსტში? რომელი დაწესებულებები არიან პასუხისმგებელნი ამ საკითხებზე – საარჩევნო ორ-

განოები, საარჩევნო ტრიბუნალები, პროფილური სამინისტროები?

- არსებობს თუ არა პოლიტიკური პარტიების, თავდაცვისა და უშიშროების ძალების და/ან არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პერსონალის ქცევის კოდექსები?
- რომელი უფლებები ირღვევა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შედეგად?

მონიტორინგი:

- წარმოებს თუ არა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საერთო მონიტორინგი? ვინ არის მასზე პასუხისმგებელი?
- არსებობენ თუ არა ქალების კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც უფრო ხშირად განიცდიან ძალადობას? როგორია მათი დამახასიათებელი ნიშნები? არსებობს თუ არა ძალადობის კონკრეტული მოდელი, რომელსაც ეს ჯგუფები განიცდიან?
- ეროვნულ დონეზე არსებობს თუ არა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვის უკვე შეთანხმებული მაჩვენებლები?
- არსებობენ თუ არა ორგანიზაციები, რომლებიც უკვე მონაწილეობენ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვებასა და მონიტორინგში? რომლები? გაიარეს თუ არა მათ გენდერულ საკითხებზე მომზადება?
- რა გვასწავლა წინა არჩევნების მონიტორინგმა?
- მიღებულია თუ არა ზომები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის?
- მიღებულია თუ არა ზომები იმ ქალების მხარდასაჭერად, რომლებიც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას განიცდიან?
- ტარდება თუ არა მასმედიის მონიტორინგი არჩევნების გენდერული თვალსაზრისით გაშუქების შესაფასებლად?

### ა. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვა ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვისთვის წყაროდ შეიძლება გამოყენებული იყოს ქვეყნების შიდა და რეგიონული თემატური კვლევები, რომლებიც, როგორც წესი, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს შეიცავს. მონაცემთა დოკუმენტურად ასახვის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავებული იყოს (განვითარების ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებისა და სამეცნიერო ანალიზის ჩათვლით) და მონაცემთა მრავალ სახეობას იყენებდეს, მაგრამ კვლევები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ხასიათის, მიზეზებისა და შედეგების გასარკვევად უამრავ ინფორმაციას იძლევა.[140]

140 იქვე.

## ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვის მაგალითები

- 2016 წელს პაკისტანში **გაეროს ქალთა ორგანიზაციის** ადგილობრივმა წარმომადგენლობამ ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის პრობლემების შესახებ კვლევა გამოაქვეყნა. მასში განსაკუთრებული ყურადღება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას დაეთმო. კვლევის მიზანი იყო პაკისტანში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ტიპების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობდა პაკისტანის საარჩევნო კომისიისა და სხვა ძირითადი მხარეების მიერ განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმების საშუალებით სათანადო პოლიტიკური ღონისძიებების გატარებას.
- 2011 წელს **გაეროს განვითარების პროგრამამ** აზიაში, კერძოდ ინდოეთში, ნეპალსა და პაკისტანში, არჩევნების დროს ძალადობის შესასწავლად ქვეყნების შიდა თემატური კვლევები ჩაატარა.[141] მათში ნაჩვენებია, თუ როგორ მკვიდრდება და ხორციელდება ძალადობა აზიის რეგიონში სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში.
- სანტა-დომინგოში, დომინიკის რესპუბლიკაში, **გაეროს ქალთა ორგანიზაციის** სასწავლო ცენტრმა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობისადმი მიძღვნილი კვლევითი პროექტი შეიმუშავა, რომლითაც მხარი დაუჭირა ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების თემაზე კიტოს შეთანხმების (2007) განხორციელებას. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, მთავრობამ აიღო „ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, ასევე, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი, არჩეული ან დანიშნული ქალების პოლიტიკური და ადმინისტრაციული დევნის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრისთვის საკანონმდებლო ღონისძიებებისა და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების" ვალდებულება. პროექტში შევიდა ოთხი ემპირიული კვლევა და კოსტა რიკაში (2011),[142] სალვადორში (2012),[143] ეკვადორსა (2012)[144] და ბოლივიაში (2012) პოლიტიკური ძალადობისა და დევნის შესახებ მონაცემები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ პრობლემის გადაჭრისთვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების გაფართოებას.[145]
- 2014 წელს **გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და სოციალური კვლევების ცენტრმა** (ინდოეთი) პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის რეგიონული კვლევა ჩაატარეს (ინდოეთში, ნეპალსა და პაკისტანში). მისი მიზანი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ხასიათის, მასშტაბისა და მიზეზების, კერძოდ კი, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობისა და მისი მიზეზების გამოვლენა იყო. ამავდროულად, კვლევა მიზნად

141 კვლევა მოიცავდა ბანგლადეშს, ინდოეთს, ინდონეზიას, ნეპალს, პაკისტანს, ფილიპინებსა და ტაილანდს. იხ. გაეროს განვითარების პროგრამა, 2011. „აზიაში არჩევნების დროს ძალადობის გაცნობიერება" *(Understanding Electoral Violence in Asia)*.

142 ანა ხესილია ესკალანტე და ნინეტ მენდესი, 2011. *Sistematización de experiencias de acoso político que viven o han vivido las mujeres que ocupan puestos de elección popular en el nivel local.ONU Mujeres-INAMU-SOLIDAR.*

143 ერერა, არიასი და გარსია, 2012.

144 მარია არბოლედა, 2012. *Levantado el velo: Estudio sobre acoso y violencia política en contra de las mujeres autoridades públicas electas a nivel local en Ecuador. ONU Mujeres-AMUNE.*

145 მარია ეუჯენია თუ ეუჰენია? როხასი, 2012. *Acoso y violencia política en contra de mujeres autoridades públicas electas en los gobiernos locales — municipales en Bolivia. ONU Mujeres-ACOBOL-AECID.*

ისახავდა საკონსულტაციო სემინარის დახმარებითა და შედეგების შემსუბუქებისკენ მიმართული მოწინავე პრაქტიკის გამოვლენისა თუ გავრცელების გზით ცნობიერების ამაღლებას.[146]

- **ParlAmericas-მა** აამოქმედა ვიდეოპროექტი "Mapping Gender-Based Political Harassment: Parliamentarians Speak Out" (გენდერული ნიშნით პოლიტიკური დევნის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვა: პარლამენტარები ხმას იმაღლებენ). ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოყოფილი იყო ინტერაქტიული სივრცე, სადაც მთელი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ასევე, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ქალ პარლამენტარებს შეეძლოთ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე მოწმეების ჩვენებები განეთავსებინათ, რადგან „პოლიტიკაში **გენდერულ** ნიადაგზე ძალადობა და დევნა ის გავრცელებული პრობლემებია, რომლებსაც მთელი ნახევარსფეროს ქალი პარლამენტარები აწყდებიან".[147]

## ბ. საარჩევნო ორგანოების მიერ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა

ცხელი წერტილების გამოვლენის, შემსუბუქებისა და მონიტორინგის შესაბამისი მექანიზმების აღმოსაჩენად საარჩევნო ორგანოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების აღნუსხვა შეუძლია. მაგალითად, ძალადობის უმაღლესი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის კატეგორიისა და რეგიონების გამოვლენის მიზნით, **ინდოეთის საარჩევნო კომისიამ** მოწყვლადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვა ჩაატარა. კვლევა მიზნად ისახავდა, გამოევლინა „დაშინების ან მიუღებელი გავლენის თუ ნებისმიერი სახის ძალის გამოყენებით, საარჩევნო უფლების განხორციელების საშუალების უსამართლოდ წართმევის, ან ხმის მიცემისას გარკვეული არჩევანის გაკეთების იძულების რისკის ქვეშ მყოფი ნებისმიერი ამომრჩეველი ან ამომრჩეველთა კატეგორია, მიუხედავად იმისა, ცხოვრობენ ისინი გეოგრაფიულად იდენტიფიცირებად ადგილას თუ არა".[148] მონაცემების დოკუმენტურად ასახვა მოიცავს მოწყვლად შინამეურნეობებსა და ოჯახებს, ასევე მოწყვლადობისა და აუცილებელი მოქმედებების მოკლე მიმოხილვას. კვლევა უნდა დაამტკიცონ სექტორების ოფიცრებმა და მაგისტრებმა და მას ხელი უნდა მოაწერონ რაიონული საარჩევნო ოლქის თანამშრომლებმა.[149] მოწყვლადი სექტორების გამოვლენით კვლევას შეუძლია გამოააშკარაოს იმ ქალების კატეგორია, რომლებიც არჩევნების დროს რისკის ქვეშ არიან და მიაწოდოს საარჩევნო ორგანოს ინფორმაცია მოსახლეობის პოტენციურად მოწყვლადი ჯგუფების დაცვის ეფექტიანი ხერხების შესახებ.[150]

---

146 გაეროს ქალთა ორგანიზაცია და სოციალური კვლევების ცენტრი, 2014. „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა: ინდოეთში, ნეპალსა და პაკისტანში ჩატარებული კვლევა"*(Violence against Women in Politics: A Study Conducted in India, Nepal and Pakistan)*. ინდოეთი.

*147 ParlAmerica, 2017. „გენდერული ნიშნით პოლიტიკური დევნის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვა: ლაპარაკობენ პარლამენტარები" (Mapping Gender-Based Political Harassment: Parliamentarians Speak Out). http://www.parlamericas.org/en/group-of-women/political-harassment-map.aspx*

148 გაეროს განვითარების პროგრამის / გაეროს ქალთა ორგანიზაციის მასალების მიხედვით, 2015.

149 ინდოეთის საარჩევნო კომისია, 2011. № 464/Instructions/EPS/2011. ნიუ-დელი, 5 მარტი.

150 გაეროს განვითარების პროგრამა / გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2015.

## გ. უსაფრთხოების ზოგადი შეფასება

პირებმა, რომლებიც არჩევნების უსაფრთხოების ზოგად შეფასებას ახორციელებენ, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვა შეიძლება საკუთარ ანგარიშებში ჩართონ, რადგან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნების კონტექსტში ძალადობის რისკების უფრო ფართო ანალიზის ფარგლებში უნდა იყოს განხილული და დოკუმენტირებული.[151]

არჩევნების უსაფრთხოების შეფასებაში შეიძლება საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მონაწილეობდნენ.[152] მაგალითად, 2013 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ მოამზადა სახელმძღვანელო *"Best Practices in Electoral Security"* („საუკეთესო პრაქტიკა არჩევნების უსაფრთხოებაში"), რომელიც მისივე „არჩევნების უსაფრთხოების ჩარჩოს" დამხმარე დოკუმენტად გამოიყენება. ამ დოკუმენტში კონტექსტის, კონფლიქტის ისტორიული ფაქტორებისა და ოთხ ქვეყანაში დაინტერესებული მხარეების თავდაპირველი ანალიზის მეთოდოლოგიაა გადმოცემული.[153] უსაფრთხოების ეს შეფასებები ქვეყნებმა იმ მოწინავე პრაქტიკის დასადგენად გამოიყენეს, რომლის დანერგვაც პოლიტიკურ ორგანიზაციებს, უშიშროების ორგანოებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მასმედიასა და არაკომერციულ ორგანიზაციებს მთელი საარჩევნო ციკლის განმავლობაში არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამების შესამუშავებლად შეუძლიათ. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახელმძღვანელო ასკვნის, რომ არჩევნების მიმდინარეობისას ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის პრევენცია უსაფრთხოების ძირითად პრობლემას წარმოადგენს:

> *„არჩევნების დროს ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის პრევენციის მოწინავე პრაქტიკის გამოვლენის მიზანი არჩევნების დროს ძალადობისას ქალების განსაკუთრებული მოწყვლადობის აღიარებაა. პროგრამების შემუშავებისას ეს მოწყვლადობა უნდა იყოს გათვალისწინებული. ქალთა მიმართ ძალადობის წინა ანალიზში განიხილებოდა ძალადობა, რომელიც ოჯახის, თემისა და სახელმწიფოს კონტექსტში ხდება. ეს სახელმძღვანელო მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ არჩევნები, მათი პოტენციურად კონფლიქტური ხასიათისა და არჩევნების დროს ქალთა მოწყვლადობის გამო, შეიძლება განხილული იყოს, როგორც მეოთხე კონტექსტი."* [154]

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახელმძღვანელოში დადგენილია, რომ სამიზნეებს შეიძლება წარმოადგენდნენ არა მარტო კანდიდატი ქალები, არამედ ის ქალებიც, რომლებიც სახელმწიფო თანამდებობის პირები, არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები... და ამომრჩევლები არიან.[155] არჩევნების უსა-

151 იხ. გაეროს პოლიტიკის დირექტივა არჩევნების დროს ძალადობის პრევენციისა და შემსუბუქების შესახებ *(UN Policy Directive on Preventing and Mitigating Election-related Violence)* და არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული რისკის ანალიზის თანდართული ინსტრუმენტები.

152 გაეროს განვითარების პროგრამის მასალების მიხედვით, 2012.

153 ავღანეთი, გვატემალა, მექსიკა და ფილიპინები. იხ. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, იანვარი, 2013. „საუკეთესო პრაქტიკა არჩევნების უსაფრთხოებაში: სახელმძღვანელო დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და მმართველობის სფეროებში პროგრამების შესამუშავებლად" *(Best Practices in Electoral Security:A Guide for Democracy, Human Rights and Governance Programming)*, გვ. 9.

154 აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2013. გვ. 6.

155 იქვე, გვ. 34.

ფრთხოების სხვა შეფასებაში, რომელიც ასევე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარდა, გამოვლინდა, რომ კოლუმბიასა და ბანგლადეშში ძალადობის რისკის ქვეშ ქალები უფრო არიან, ვიდრე კაცები.[156] ამ დასკვნებმა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უბიძგა, გაეცა რეკომენდაცია, რომ ამ ქვეყნებში, საარჩევნო უბნებზე, „გენდერულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებზე რეაგირებისთვის" გაზრდილიყო ქალების შემადგენლობით პოლიციის დასწრება.[157]

ამდენად, არჩევნების უსაფრთხოების იმგვარი შეფასებების ჩატარებით, რომლებიც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას ითვალისწინებს, ქვეყნებს შეუძლიათ, უკეთ განსაზღვრონ ის განსხვავებული როლები, რომლებშიც ქალებმა შესაძლოა ძალადობა განიცადონ. ეს ქვეყნებსა და თემებს არჩევნების ციკლის განმავლობაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და შემსუბუქების უფრო ხარისხიანი პროგრამების შემუშავების საშუალებას აძლევს.

| რაოდენობრივი გაზომვები | ხარისხობრივი გაზომვები |
|---|---|
| მეთოდები:<br>• გამოკითხვები<br>• მონაცემთა დოკუმენტურად ასახვის ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი | მეთოდები:<br>• გასაუბრებები / ფოკუსური ჯგუფები<br>• ღია შეკითხვების შემცველი გამოკითხვები<br>• ზეპირი ისტორიები<br>• ეთნოგრაფია<br>• მონაწილეობაზე დამყარებული აქტიური კვლევა<br>• წარმოდგენების კვლევა |
| მაჩვენებლები:<br>• ცალკეული შემთხვევების სიხშირე<br>• თავდასხმების განსხვავებული ტიპების სიხშირე (მაგალითად, ფიზიკური ზიანის, ზიანის მიყენებისა და სექსუალური ძალადობის მუქარა)<br>• დაზარალებული ქალის ტიპი (მაგალითად, ამომრჩეველი, კანდიდატი, საარჩევნო უბნის თანამშრომელი და ა.შ.) | მაჩვენებლები:<br>• მოსაზრებები მოცემულ კონტექსტში ხმის მიცემისთვის დაბრკოლებების შესახებ<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობისადმი კაცებისა და ქალების დამოკიდებულება და მოსაზრებები<br>• ქალების მიერ წინასაარჩევნო კამპანიამდე, კამპანიის წარმოების დროსა და მის შემდეგ განცდილი არჩევნების დროს ძალადობის გამოცდილება |

156 აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, მარტი 2010. „არჩევნების უსაფრთხოების შეფასება: ბანგლადეში, ზიმბაბვე და კოლუმბია" *(Electoral Security Assessment:Bangladesh, Zimbabwe, and Colombia)*.
157 იქვე, გვ. 31.

## 1.2. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელთა დადგენა

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი მონიტორინგისთვის აუცილებელია ზუსტი და ფართოდ შეთანხმებული მაჩვენებლების დადგენა. მაჩვენებლები წარმოადგენს კრიტერიუმებს, ანუ საზომებს – მანიშნებლებს, ფაქტებს, ციფრებს, მოსაზრებებს ან აღქმებს – რომლებიც დროთა განმავლობაში ცვლილებებზე დაკვირვების საშუალებას იძლევა.[158] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებელთა დადგენა კრიტიკულად მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია, რადგან ამ მაჩვენებლების მიხედვით მიღებული სტატისტიკური მონაცემები „ამაღლებს ცნობიერებას, იძლევა ცვლილებებისკენ ბიძგსა და უზრუნველყოფს პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების, ასევე სტრატეგიებისა და ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების საფუძველს“.[159] ასევე, მაჩვენებლები გვეხმარება ჩარევის პრიორიტეტული სფეროების დადგენაში, უკეთესი დაგეგმვის უზრუნველყოფაში, ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით დაწესებულებათა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფასა და მონაცემთა შეგროვების საშუალებით ცვლილებების სტიმულირებაში.[160]

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ხასიათი ქვეყნის, რეგიონისა და დროის მიხედვით იცვლება, ამიტომ გაზომვების ჩატარებისას აუცილებელია ეროვნული კონტექსტისა და გენდერული უთანასწორობის ხასიათის გათვალისწინება. იდეალურ შემთხვევაში გაზომვების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს:




*ტუნისი, არჩევნები, კენჭისყრის დღე.*

158 Imp-Act, 2005. „ინდიკატორების შერჩევა და გამოყენება სოციალური ქმედების ეფექტიანი მართვისთვის“ *(Choosing and Using Indicators for Effective Social Performance Management).B: Imp-Act Practice Notes*, № 5. ბრაიტონი: IDS.

159 ბირგიტა ჰედმანი, ფრანჩესკა პერუჩი და პეხრ სუნდსტიომი, 1996. „გენდერულად ორიენტირებული სტატისტიკა: ცვლილების ინსტრუმენტი“ *(Engendering Statistics:A Tool for Change)*, ორებრო,შვედეთის სტატისტიკის სამმართველო. გვ. 9.

160 იუსტინა დემეტრიადესი, 2007. „გენდერული ინდიკატორები: რა, რატომ, როგორ?“ (*Gender Indicators:What, Why, How?)*

- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელება, ანუ კვლევით მოცულ საერთო პოპულაციაში დაზარალებულთა წილი;
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სიხშირე, ანუ დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში მომხდარი შემთხვევებისა რაოდენობა;
- სააღრიცხვო პერიოდები, როგორიცაა საარჩევნო ციკლის განსაზღვრული ინტერვალი, ან დროის ხანგრძლივი პერიოდი.[161]

მაჩვენებლები შესაძლოა იყოს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი და იზომებოდეს განსხვავებულ (ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ, გლობალურ) დონეებზე და დროის განსხვავებულ პერიოდებში (მაგალითად, საარჩევნო ციკლის კონკრეტულ ეტაპზე). რაოდენობრივი მაჩვენებლები შეიძლება მოიცავდეს ცალკეული შემთხვევების სიხშირეს ან ძალადობის სხვადასხვა ტიპის (მაგალითად, ფიზიკური თავდასხმების, ზიანის მიყენების ან სექსუალური ძალადობის მუქარას) სიხშირეს განსხვავებული მსხვერპლებისთვის (ამომრჩევლებისთვის ან კანდიდატებისთვის) სხვადასხვა ჯგუფიდან (ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიხედვით) და სხვა ასპექტებს. თვისებრივი მაჩვენებლები და კვლევის მეთოდები შეიძლება რაოდენობრივ კვლევებს ავსებდეს და სიტუაციის უფრო სრულ ასახვას უზრუნველყოფდეს. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სათანადო მაჩვენებლების დადგენის შემდეგ შესაძლებელია იმაზე დაფიქრება, თუ როგორ შეიძლება მათი ინტეგრირება პოლიტიკური ძალადობის ან არჩევნების კონტექსტში ძალადობის მონიტორინგის არსებულ გაზომვებთან ან ქალთა მიმართ ძალადობის ადრე არსებულ მაჩვენებლებთან.

ქვემოთ, №2 ცხრილში, წარმოდგენილია ძალადობის ის ძირითადი სახეები და მაჩვენებლები, რომლებიც განხილული იყო ამ სახელმძღვანელოს A ნაწილში. ვინაიდან არსებობს რამდენიმე მაჩვენებელი, რომელთა გაზომვა საარჩევნო ციკლის სხვადასხვა ეტაპზეა შესაძლებელი, მათი პრიორიტეტულობა ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. ასევე, აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავის იდენტიფიცირების საკითხისა და ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ქალების კონკრეტული ჯგუფების საკითხის გათვალისწინება.

161 ბალინგტონი, 2016.

## ცხრილი 2: არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვისა და მონიტორინგის საკონტროლო წერტილებისა და მაჩვენებლების მაგალითები

| წინასაარჩევნო პერიოდი * | არჩევნების პერიოდი * | არჩევნების შემდგომი / არჩევნებს შორის პერიოდი* |
|---|---|---|
| # ფიზიკური ძალადობის შემთხვევები<br># შემთხვევები, როდესაც ქალს არ მისცეს დარეგისტრირების საშუალება<br># კანდიდატი, ამომრჩეველი და ა.შ. ქალის მკვლელობის მცდელობა<br># კანდიდატი, ამომრჩეველი და ა.შ. ქალის მკვლელობა<br># სიტყვიერი დაშინების, დევნის ან აბუჩად აგდების შემთხვევები<br># ქალების მიმართ გაუპატიურების, სექსუალური თავდასხმების ან შევიწროების შემთხვევები<br># ქალების ცილისწამების/რეპუტაციის შელახვის შემთხვევები<br># შემთხვევები, როდესაც ქალი კანდიდატები აიძულეს, გასულიყვნენ წინასაარჩევნო მარათონიდან<br># ქალების თვითნებურად დაკავების შემთხვევები და დაკავების ხანგრძლივობა<br># ქალების მოტაცების შემთხვევები<br># სოციალურ ქსელებში ქალების მიმართ მტრული შეტყობინებების განთავსების შემთხვევები<br># მასმედიაში ქალების უარყოფითად წარმომჩენი სტატიებისა და რეპორტაჟების გამოქვეყნება<br># ქალი კანდიდატების ოჯახის წევრების მკვლელობები ან მათზე ფიზიკური თავდასხმები<br># ქალი კანდიდატების საარჩევნო შტაბის თანამშრომლებზე ფიზიკური თავდასხმების შემთხვევები | # ოჯახური ხმის მიცემის / იძულებითი ხმის მიცემის შემთხვევები<br># შემთხვევები, როდესაც ქალს არ მისცეს ხმის მიცემის საშუალება<br># ტრადიციული ან რელიგიური ლიდერების მიერ ქალებისთვის ხმის მიცემის ამკრძალავი ბრძანებების გაცემის შემთხვევები<br># არჩევნების დღეს ქალების დევნის ან მათზე თავდასხმების შემთხვევები<br># ქალების დაშინების ან მათი მისამართით მუქარების შემთხვევები | # ქალის გადადგომის იძულების შემთხვევები<br># ქალების მიმართ სექსუალური შევიწროების შემთხვევები<br># გენდერულ ნიადაგზე ქალებზე თავდასხმისა და მათ მიმართ უხეში მოპყრობის შემთხვევები<br># მასმედიაში ლიდერი ქალების ნეგატიურად წარმომჩენი სტატიებისა და რეპორტაჟების გამოქვეყნების შემთხვევები<br># არჩევით თანამდებობაზე მყოფი ქალების მიმართ ინტერნეტში მტრული თავდასხმებისა და აბუჩად აგდების შემცველი შეტყობინებების განთავსების შემთხვევები<br># შემთხვევები, როდესაც არჩეულ ქალს მისივე პარტია დაქვემდებარებული პოლიტიკური როლის შესრულებას აიძულებს |

**მონაცემებს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია დაზარალებული ქალისა (მაგალითად, ვინ არის ის – ამომრჩეველი, კანდიდატი, არჩევნებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი, ჟურნალისტი და ა.შ.) და ძალადობის ჩამდენის შესახებ.*

## 1.3. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონაცემების შეგროვების შესაძლებლობები არსებული ინიციატივების მეშვეობით

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის მონაცემები გვთავაზობს მტკიცებულებას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს პრობლემის დოკუმენტირების, შეჩერებისა და დაგმობისთვის.[162] შესაბამისად, მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია და მონიტორინგის სისტემა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სრული სურათის შედგენისა და შეფასებისთვის აუცილებელია. იმის მიუხედავად, რომ არჩევნებზე ძალადობის მონიტორინგი, ზოგადად, ათწლეულის განმავლობაში ვითარდებოდა და მის მიმართ ინტერესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) საშუალებების დანერგვით ძალიან გაიზარდა, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი მაინც გამოწვევას წარმოადგენს, რადგანაც „ის კვლევისა და მონიტორინგის ორ პარალელურ არეალს შორისაა: პოლიტიკურ და საჯარო სფეროებში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმირებულობა, შეტყობინება და მონიტორინგი არ არსებობს, ამავდროულად, პოლიტიკური და საარჩევნო ძალადობის გენდერული განზომილება ნაკლებადაა გაგებული და ცნობილი.[163] მონიტორინგის ბევრი არსებული მოდელი საჯაროდ გადამოწმებად მონაცემებს (როგორიცაა პოლიციის და საავადმყოფოს ანგარიშები და ა.შ.) და თვითმხილველ მოწმეებს ეყრდნობა, რაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგს, მისი მგრძნობიარე და ხშირად ინტიმური გარემოს გამო, განსაკუთრებულ გამოწვევებს უქმნის.

არსებობს მონიტორინგის რამდენიმე მოდელი, რომელთა მეშვეობით პრაქტიკოსებს შეუძლიათ, მოცემულ ქვეყანაში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისთვის მონაცემთა ნაკრების შემუშავება. ქვემოთ ჩამოთვლილია მონაცემების შეგროვების ამჟამინდელი პრაქტიკა, რომელსაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის პოტენციალი აქვს:

- **ა.** ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საზომებისა და მონაცემების შეგროვება (მაგალითად, კვლევების ან სამსახურებიდან მიღებული ადმინისტრაციული ჩანაწერების მეშვეობით), რომლებიც მთავრობებისა და სტატისტიკის ეროვნული ბიუროების მიერ ხორციელდება, სამოქალაქო საზოგადოებასთან, აკადემიურ წრეებსა და სხვა, შესაბამის მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- **ბ.** მდგრადი განვითარების მიზნებში მოცემული შესაძლებლობები;
- **გ.** ქრაუდსორსინგი და მონაცემების ვიზუალიზაციის ინსტრუმენტები;
- **დ.** საპილოტე კვლევები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით. (არჩევნების მონიტორინგი, მათ შორის არჩევნებზე დაკვირვების მისიები და ქალთა სათათბირო ცენტრები, მომდევნო სექციაშია განხილული, ღონისძიება №2).

### ა. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის გაზომვა და მონიტორინგი

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა საერთაშორისო პრიორიტეტია. ბოლო 20 წლის განმავლობაში, საერთაშორისო დეკლარაციებისა და შეთანხმებების შედეგად, ამ საკითხის მიმართ ცნობიერება ამაღლდა[164], რამაც ქალთა მიმართ ძალადობასთან და-

162 UNDP, 2012.
163 Ballington, 2016.
164 იხილეთ: UNGA, 1993; UN, 1995; UN CSW, 2013; და ყველაზე ბოლოს გამოქვეყნებული Agenda 2030 for Sustainable Development, 2015.

კავშირებით სტანდარტიზებული გაზომვებისა და მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების განვითარება გამოიწვია. თუმცა, როგორც "ა" ნაწილშია ხაზგასმული, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მონიტორინგს პოლიტიკური და საარჩევნო სფეროები გამორჩა. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ადრე არსებულ მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე მიმართული ღონისძიებების ინტეგრირებას შეუძლია კიდევ ერთი გზა შემოგვთავაზოს, რომლითაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი მოხდება. აღნიშნული შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს და ნაკლები წინააღმდეგობა გამოიწვიოს, ვიდრე ახალი ინსტრუმენტების დანერგვამ – ტაქტიკა, რომელსაც მონიტორინგის ამაღლება შეუძლია მონაცემთა შეგროვების უკვე არსებული რესურსების მაქსიმუმამდე გაზრდით.

2011 წელს სტატისტიკის კომისიამ *ქალთა მიმართ ძალადობის ცხრა ძირითადი ინდიკატორი* გამოავლინა და დაამტკიცა, რასაც 2014 წელს, გაეროს სტატისტიკის განყოფილების მიერ, ამ სტატისტიკის წარმოებისთვის სახელმძღვანელოს შემუშავება მოჰყვა.[165] აღნიშნული ძირითადი ინდიკატორის, ასევე, ამგვარ გაზომვებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხების გასათვალისწინებლად, 2015 წელს, პეკინის დეკლარაციის და სამოქმე_დო პლატფორმის განხორციელების 20-წლის მიმოხილვაში, ქვეყნებს მოუწოდეს, რომ უფრო მეტი ძალისხმევა მიემართათ მონაცემების შეგროვებისა და შეტყობინებისთვის *ქალთა მიმართ ძალადობის ძირითადი ინდიკატორების შესაბამისად.*[166]

სამწუხაროდ, ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვას პოლიტიკურ თუ საარჩევნო კონტექსტში *ქალთა მიმართ ძალადობის შეთანხმებული ინდიკატორებიდან* არცერთი არ ითვალისწინებს, რაც იმას უსვამს ხაზს, რომ ეს კონკრეტული საკითხი ნაკლებად ჩანს და მის ირგვლივ მობილიზება არასაკმარისია.[167] ეს შესაძლოა, იმითაც იყოს გამოწვეული, რომ პოლიტიკასა და არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბი აღნიშნულ ინდიკატორებზე შეთანხმების დროს დღევანდელზე ნაკლები იყო, ან იმიტომ, რომ საზოგადოება მას უფრო ნაკლებად აცნობიერებდა.[168] თემის უფრო ფართოდ გაზომვის მიზნით, კვლევებში, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის სიხშირეს იკვლევს, განხილული უნდა იყოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესაბამისი შეკითხვების ან ვარიანტების დამატება იმ პასუხებში, რომლებიც „დამნაშავეს" ან „შემთხვევის ადგილს" ეხება. თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობის ინდიკატორების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ეს შესაძლოა, ზედმეტად ბევრ გამოწვევასთან იყოს დაკავშირებული.[169]

ქალთა მიმართ ძალადობის საზომებისა და ინდიკატორების შემუშავებიდან სასარგებლო ინფორმაციის შეგროვება შეიძლება, რაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საზომების შემუშავებისთვისაც ინფორმაციის მომცემი იქნება. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული მოწოდება გაკეთდა მონაცემების შეგროვებისა და

165 მითითებულია პუბლიკაციაში: Ballington, 2016. P. 8. ასევე იხილეთ UN Department of Economic and Social Affairs, 2014. ST/ESA/STAT/SER.F/110. Guidelines for Producing Statistics on Violence against Women: Statistical surveys.

166 იგივე. იხილეთ ასევე UN Women, 2015. Summary Report: The Beijing Declaration and Platform for Action Turns 20.

167 Ballington, 2016.

168 იგივე.

169 იქვე, გვ. 9.

კვლევის მიმართ, რაც საერთაშორისო რეზოლუციების მეშვეობით, წევრი ქვეყნების მიერ დადგინდა. ამას გარდა, გაზომვისთვის საჭირო, გასაგები მეთოდებისა და ეთიკური მოთხოვნებით, დადგენილია შეთანხმებული ინდიკატორების მინიმალური ნაკრები, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში შეგროვებული მონაცემების სანდოობისა და შედარების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლადაა მნიშვნელოვანი.[170]

## ბ. გენდერულ ნიადაგზე ძალადობის მონიტორინგის ინსტრუმენტები

გენდერულ ნიადაგზე ძალადობის მონიტორინგის არსებულ ინსტრუმენტებს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგისთვის საფუძვლის შექმნა შეუძლიათ. მაგალითად, მრავალი პარტნიორისგან შემდგარი *„გენდერული ძალადობის ინფორმაციის მართვის სისტემა“* „მრავალწახნაგოვანი ინიციატივაა, რომლის მეშვეობითაც ჰუმანიტარულ სფეროში მოქმედ პირებს შესაძლებლობა აქვთ, გამოეხმაურონ გენდერული ძალადობის შემთხვევებს, რათა ეფექტიანად და უსაფრთხოდ შეაგროვონ, შეინახონ, გააანალიზონ და გააზიარონ ის მონაცემები, რომლებიც გენდერული ძალადობის მსხვერპლებისგან მიიღეს“.[171] სისტემაში შედის: ინსტრუმენტი, რომელიც გენდერული ძალადობის ექვსი ტიპის მიხედვით ძალადობის კლასიფიკაციისთვის გამოიყენება, რათა გენდერული ძალადობის განმარტებების სტანდარტიზება მოხდეს; ორი ფორმა, რომელიც გენდერული ძალადობის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად გამოიყენება და შემთხვევის ჩასაწერი მონაცემთა ბაზა, რომლის შექმნის მიზანი მონაცემების შეგროვების, გაერთიანებისა თუ ანალიზის გამარტივება და გაუმჯობესებაა. ამგვარი, კარგად შედგენილი ინსტრუმენტები კარგ მაგალითებს გვთავაზობს, თუ როგორ უნდა მოხდეს მონაცემების შეგროვება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.

## გ. მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული შესაძლებლობები

მდგრადი განვითარების მიზნები აღიარებს იმ საფრთხეს, რომელსაც ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული თანასწორობისა და მდგრადი განვითარების, განსაკუთრებით კი 5.2. მიზნის მიღწევის მიმართ ქმნის: *„ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა კერძო და საჯარო სექტორებში, ადამიანებით ვაჭრობის, ასევე, სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის ჩათვლით,“* ასევე, სხვა მიზნის ქვეშ გათვალისწინებულ სხვა ამოცანებთან დაკავშირებით.[172] მონიტორინგის ძალისხმევა პრევალენტობის შესახებ სანდო და შედარებად მონაცემებს მოითხოვს, რაც გლობალურ დონეზე შეთანხმებული სტანდარტების მიხედვით უნდა შეგროვდეს, როგორც ეს მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ინდიკატორის ჩარჩოშია გათვალისწინებული.[173] მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ განხორციელდა გარკვეული ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილიყო შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობასთან

170 იგივე.

171 UNFPA, UNHCR, UNICEF et al. *Gender-Based Violence Information Management System*. http://www.gbvims.com/what-is-gbvims/

172 UN DESA. *Sustainable Development Goal Knowledge Platform*. იხილეთ დღის წესრიგის მე-11 მდგრადი განვითარების მიზანი (სამიზნე 11.7) და 16 (სამიზნეები 16.1 და 16.2) ბმულზე: https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld

173 Ballington, 2016. გლობალური ინდიკატორების ჩარჩო უწყებათაშორისი და ექსპერტების ჯგუფის მიერ შემუშავდა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების მიმართ (IAEG-SDGs) და შეთანხმდა, როგორც პრაქტიკული ათვლის წერტილი, გაეროს სტატისტიკის კომისიის 47-ე სესიაზე, რომელიც 2016 წლის მარტში გაიმართა. კომისიის ანგარიში, რომელშიც გლობალური ინდიკატორების ჩარჩო შედიოდა, ცნობად იქნა მიღებული ECOSOC-ის მიერ, 70-ე სესიაზე, რომელიც 2016 წლის ივნისში გაიმართა. იხილეთ: UN ECOSOC, 2016. E/CN.3/2016/2/Rev.1. *Report of the Inter-Agency and Expert Group on Sustainable Development Goal Indicators*. Statistical Commission 47th session, 8-11 March.




*ქალი ხმას აძლევს ესპანეთის საყოველთაო არჩევნებში*

დაკავშირებულ ინდიკატორებსა და ქალთა მიმართ ძალადობის იმ ძირითად ინდიკატორებს შორის, რომლებიც 2011 წელს მიიღეს.

მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ინდიკატორების სისტემა ორ ინდიკატორს მოიცავს ინტიმური პარტნიორის მიერ ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის პრევალენტობის მიმართ და ასევე, არაინტიმური პარტნიორების მხრიდან ბოლო 12 თვის განმავლობაში განხორციელებული სექსუალური ძალადობის მიმართ. აღნიშნული ინდიკატორების მიზანია, კონკრეტული სამიზნის პროგრესის მონიტორინგი ყველა ქალისა და გოგოს მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისთვის (სამიზნე 5.2). ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სხვა ინდიკატორები – მაგალითად, ფიზიკური და სექსუალური შევიწროების პრევალენტობა სქესისა და შემთხვევის ადგილის მიხედვით (სამიზნე 11.7), განზრახ მკვლელობის მსხვერპლთა რაოდენობა სქესის მიხედვით (სამიზნე 16.1) და იმ ახალგაზრდა ქალების და კაცების პროპორცია, ვინც სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი 18 წლის ასაკამდე გახდა (სამიზნე 16.2) – ასევე, ამ ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს და ძალადობის სხვა ფორმების შეფასების შესაძლებლობას ქმნის, საჯარო სივრცეებში ძალადობის ჩათვლით.[174]

როგორც *„ქალთა მიმართ ძალადობის ძირითადი ინდიკატორების“* შემთხვევაში, მდგრადი განვითარების მიზნების შემოთავაზებული ინდიკატორებიდან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგს ერთმნიშვნელოვნად არცერთი ითვალისწინებს, თუმცა, რა თქმა უნდა, გულისხმობს მას. მაგალითად, სამიზნე 5.2 და 11.7 შესაძლებლობას ქმნის, რომ მოპოვებული იყოს მონაცემები საჯარო სივრცეებში ძალადობის შესახებ. ინდიკატორი 5.2.2. არაპარტნიორი პირისგან სექსუალური ძალადობის შესახებ და ინდიკატორი 11.7.2. ფიზიკური და სექსუალური შევიწროების შესახებ მონაცემების ჩაშლას მოითხოვს

174 Ballington, 2016.

შემთხვევის ადგილის მიხედვით, რომელშიც პოლიტიკური სფეროც შეიძლება შევიდეს. ამას გარდა, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ არსებული ინდიკატორი 5.1.1 ძალადობის ფორმის შეტყობინებას მოითხოვს (მაგ. ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური), რომელიც შესაძლოა, გაფართოვდეს და კონტროლის დამყარების მიზნით ჩადენილი ქმედებები მოიცვას, რაც პოლიტიკურ ცხოვრებასა და საჯარო სექტორში ქალების წინააღმდეგაა მიმართული.[175] მასში შეიძლება შევიდეს, მაგალითად, ის შემთხვევებიც, როდესაც ქალებს პარტნიორები ხმის მიცემას უკრძალავენ, ან არწმუნებენ, რომ კონკრეტული არჩევანი გააკეთონ.

## დ. ქრაუდსორსინგი და მონაცემების ვიზუალიზაცია

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გაზომვის მიზნით, ქრაუდსორსინგის მონაცემებითა და ღია წყაროს მონაცემების ვიზუალიზაციის ინსტრუმენტებით შესაძლებელია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ვიზუალიზაციის პლატფორმის შექმნა, რაც მონაცემების შეგროვების გზაზე, პრობლემის მასშტაბის დადგენის და მისი გადაჭრისთვის პირველი ნაბიჯია.

არჩევნების დროს ძალადობის ვიზუალურად გამოსახვის ყველაზე ფართოდ აღიარებული ინსტრუმენტია ღია წყაროზე დაფუძნებული რუკის შედგენის პლატფორმა „უშაჰიდი" (Ushahidi), რაც სუაჰილის ენაზე „მოწმეს" ან „ჩვენებას" ნიშნავს და რომელიც თავდაპირველად კენიაში, 2008 წელს შეიქმნა. მისი საფუძველია „ხალხის ჯგუფიდან მიღებული" მონაცემები, რომლებიც ზოგადად საზოგადოებისგან ტექსტური შეტყობინებებით, ტვიტერით, ფეისბუქით, იუთუბით, სატელეფონო ზარებით, ელ. ფოსტით და ა.შ. გროვდება. ეს მონაცემები ვებპლატფორმაზე გადაიცემა და საჯაროდ ხელმისაწვდომ რუკებზე, მაგალითად, გუგლის რუკაზე (Google Maps) აისახება. პლატფორმა მონაცემებზე დაფუძნებულ უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას გვთავაზობს და მონაწილეობის შესაძლებლობას უქმნის ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეიძლება ძალადობისა და უსამართლობის გაპროტესტების სხვა საშუალება არ ჰქონდეს. მაგალითად, იგი აშშ-ში, 2016 წელს, 58-ე საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ამომრჩევლების დაშინების ბრალდებების მონიტორინგისთვის გამოიყენეს, რაშიც კენჭისყრის დღეს ამომრჩევლების შევიწროებაც შედიოდა.[176] საზოგადოებიდან მიღებული ამგვარი მონაცემები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების მონიტორინგის პოტენციალს ქმნის, განსაკუთრებით მაშინ, თუ შეტყობინებულ მონაცემებში აღნიშნულია სქესი, ან საარჩევნო პერიოდში ქალთა მიმართ ძალადობის სპეციფიკური ტიპები გამოვლინდა.

ეგვიპტეში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემები ქრაუდსორსინგის მეშვეობით გროვდებოდა. სექსუალური შევიწროების შესახებ ქრაუდსორსინგით მიღებული მონაცემები შესაბამისი რუქის „ჰარასმეფის" (Harassmap) მეშვეობით ვლინდება. იგი მონაცემების რუკებზე აღსანიშნად იმავე სახის პლატფორმას იყენებს, რომლებსაც უშაჰიდი და ფართოდ გავრცელებული პრობლემის შესახებ სიღრმისეულ წარმოდგენას ქმნის. სექსუალური შევიწროების შემთხვევების შესახებ გზავნილის გადაცემა ონლაინ ან ტექსტური შეტყობინებით, ელ. ფოსტით, ტვიტერით ან ფეისბუქით შეიძლება. გადამოწმების შემდეგ შეტყობინება წითე-

175 Juncal Plazaola Castano, July 2016, პირადი ინტერვიუ.
176 Nat Manning, 2016. "USA Election Monitor: Of the People, By the People," *Ushahidi*, 1 November; UNDP, 2012. P. 38.

ლი წერტილის სახით აღინიშნება, ეგვიპტის რუკაზე განთავსდება და პრობლემის შესახებ ნათელ, ვიზუალურ სურათს ქმნის.[177] ადამიანებს შეუძლიათ, ყველასთვის მარტივად ხელმისაწვდომ ვებგვერდზე, ნებისმიერ წერტილზე დაწკაპებით, თითოეული შეტყობინების ტექსტი ნახონ. შემდგომ პროექტებში კი შედის საზოგადოებრივი და პარტნიორული აქტივობები, სოციალური მედიის შესახებ ინფორმირებულობა და ბლოგები, რომლებიც სექსუალური შევიწროების წინააღმდეგაა მიმართული.

### Harassmap-ზე შემთხვევების შესახებ მონაცემების აღნიშვნისა და ვიზუალურად გამოსახვის მაგალითი.




*წყარო: http://harassmap.org/en/what-we-do/the-map/*

აღნიშნულის მსგავსად, 2016 წლის აგვისტოს მონაცემებით, ლიბანში ერთ-ერთი ჯგუფი ჰარასთრეკერის (HarassTracker) რუკის ბეტა-ტესტირებას ახორციელებს, რომელიც სექსუალური შევიწროებისა და თავდასხმის შესახებ შეტყობინებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ნებაყოფლობით აგროვებს.[178] ამასთან, პლატფორმა ონლაინ შეტყობინების ინსტრუმენტიცაა, რომლის დახმარებითაც ადამიანებს, რომლებმაც სექსუალური შევიწროება გამოსცადეს ან დაინახეს, შეუძლიათ, რუკაზე ადგილი მონიშნონ და ინფორმაცია მიაწოდონ სექსუალური შევიწროების იმ ტიპის შესახებ, რომლის მოწმენიც გახდნენ.[179]

თუმცა, ამ დრომდე არც უშაჰიდი (Ushahidi), არც ჰარასმეფი (Harassmap) და არც ჰარასთრეკერი (HarassTracker) არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს თვალსაჩინოდ არ ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არჩევნების დროს ქალთა

177 Hina Ansari, 2013. “Could Mobile Technology Combat Sexual Harassment?” *Huffington Post: The Blog*, 11 February.
178 See http://harasstracker.org/
179 Jack Moore, 2016. “Female Entrepreneurs Launch Online Sexual Harassment Tracker in Beirut.” *Newsweek*, 25 February.

მიმართ ძალადობის მონიტორინგს გვპირდებიან, გამოწვევები მაინც არსებობს. მაგალითად, ქრაუდსორსინგით მიღებული მონაცემები გადამოწმებას არ ექვემდებარება. ამასთან, სარეზერვო სისტემის არარსებობის შემთხვევაში, მათზე ზემოქმედება შესაძლებელია თაღლითობით, მანიპულირებით ან ადამიანური შეცდომით, რაც მონიტორინგის მეთოდოლოგიის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს. შეტყობინების მაგალითები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს და უკავშირდებოდეს მომხმარებლის მიერ პროგრამის ცოდნას, მობილურ კავშირზე ან/და ინტერნეტზე წვდომას. ამგვარად, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა შეტყობინების გაგზავნამდე მოქალაქეებისგან სამოქალაქო განათლებასა და ინფორმირებას მოითხოვს.
დამატებით გამოწვევას ქმნის ტექნიკური შეზღუდვებიც. უშაჰიდის პლატფორმაზე, მაგალითად, მონაცემების სქესის მიხედვით ჩაშლა არ ხდება და მას არც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კონკრეტული ცვლადები ემატება.

სწორედ ამიტომ არის უმნიშვნელოვანესი ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა „უკან წაიღეთ ტექნოლოგია!“ ("Take Back the Tech!"), რათა არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პლატფორმების გამოყენება უშუალოდ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგისთვის მოხდეს.[180] ორგანიზაცია „უკან წაიღეთ ტექნოლოგია!“ 2006 წელს „პროგრესული კომუნიკაციების ასოციაციის ქალთა უფლებების პროგრამის“ მიერ შეიქმნა. ასოციაციის მიზანია ქალების და გოგოების წახალისება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქალთა მიმართ ძალადობაზე ორიენტირებული ინოვაციური გადაწყვეტილებების შესაქმნელად. ყოველწლიური ღონისძიების „16-დღიანი აქტივიზმი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ“ გარდა, ისინი რუკაზე მონაცემების ვიზუალიზაციის ინსტრუმენტს მართავენ, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მთელი მსოფლიოდან მიღებულ შეტყობინებებს რუკაზე განათავსებს.

## ე. საცდელი კვლევები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ

გასული ათწლეულის განმავლობაში, რამდენიმე დოკუმენტირებული პროექტით სცადეს როგორც პოლიტიკაში, ისე არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვება. ინიციატივებში სხვადასხვა პარტნიორი მონაწილეობდა, მონიტორინგი კი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობას ეფუძნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდოლოგიები თუ მონაცემთა შეგროვების ადგილები სხვადასხვა იყო და ფოკუსირებაც უშუალოდ არჩევნებზე არ ხდებოდა, ინიციატივებმა მცდელობების საინტერესო მაგალითები შემოგვთავაზა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ხასიათის, მიზეზებისა თუ შედეგების შესახებ უფრო ფართო წარმოდგენა შეგვიქმნა.

180 See https://www.takebackthetech.net/

## 2015 წელს, ტანზანიაში გამართული არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის რუკაზე გამოსახვა და გაზომვა

2015 წელს, ტანზანიაში გამართული საყოველთაო არჩევნების დროს ქვეყანაში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემთა შეგროვების პირველი ღონისძიების განხორციელება გახდა შესაძლებელი. ამ პროექტზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „ტანზანიის ქალთა პარტიათაშორისი პლატფორმა" (TWCP), გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით მუშაობდა. ინიციატივა გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული აქტივობების ნაწილი იყო. აღნიშნულ ღონისძიებებში შედიოდა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება კანდიდატ ქალებსა და ასპირანტებს შორის. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე პოლიციისა და უსაფრთხოების ძალებისთვის, ადგილობრივი დამკვირვებლებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის (NEC) ტრენინგები ჩატარდა. ამავე ღონისძიებების ნაწილი იყო შესაბამისი პოლიტიკის მხარდაჭერა და საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა.

სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, „ტანზანიის ქალთა პარტიათაშორისი პლატფორმა" არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგს 2015 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე, არჩევნების დროს და მის შემდეგ ახორციელებდა. სულ ეს პერიოდი 2015 წლის ივლისიდან ნოემბრამდე გაგრძელდა. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებში გადამზადებული 50 მონიტორი, რომლებსაც მხარს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგიონული საარჩევნო კოორდინატორები უჭერდნენ და რომლებიც მონიტორინგისთვის საჭირო საკითხების ჩამონათვალითა თუ მიზნობრივი კითხვარებით იყვნენ აღჭურვილები, ქვეყნის მასშტაბით 14 რეგიონში გადანაწილდა. ისინი ყოველდღიურად ესწრებოდნენ არჩევნებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს (მაგალითად, კამპანიის აქციები, შიდაპარტიული შეხვედრები და საჯარო განხილვების ფორუმები), აკვირდებოდნენ ადამიანების ქცევას, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებსა და ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას. ზოგადად, ისინი სულ 530 ღონისძიებას დაესწრნენ. მონიტორებმა ინტერვიუები 1,532 რესპონდენტთან გამართეს, რომლებიც მიზნობრივი და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მათი ხელმისაწვდომობითა და პასუხების გაცემის სურვილით შეარჩიეს. სულ მონაწილეობდა 647 ქალი და 540 კაცი ამომრჩეველი, საზოგადოების აზრის ადგილობრივი ლიდერები – რელიგიური წინამძღოლები, ადგილობრივი მთავრობის ხელმძღვანელები და საზოგადოების გავლენიანი წევრები (204), ასევე, საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატები (141).

კვლევის შედეგები:

- ქალი კანდიდატი რესპონდენტების 69 %-მა განაცხადა, რომ მათ შეურაცხმყოფელი ენით ესაუბრებოდნენ, მათ შორის იყენებდნენ სიტყვიერ შევიწროებასა და შეურაცხყოფას;
- ქალი კანდიდატი რესპონდენტების 17 %-მა ისაუბრა ფიზიკური თავდასხმაზე, მათ შორის ცემაზე, ქვების დაშენასა და ტანსაცმლის შემოხევაზე;
- ქალი კანდიდატი რესპონდენტების 13 %-მა აღნიშნა, რომ მათ სქესობრივი კავშირის დამყარება მოსთხოვეს;

- კენჭისყრის დღის შემდეგ ქალების 53 %-მა განაცხადა, რომ მათ ხმა რამდენიმე ფაქტორის გამო არ მისცეს. მათ შორის იყო: ძალადობის შიში, ამომრჩევლის სარეგისტრაციო ბარათის არქონა, ზეწოლა მეუღლის მხრიდან;
- ოჯახური ხმის მიცემა და ოჯახში ძალადობა ბევრ განცხადებაში ფიგურირებდა: ზოგიერთმა ქალმა აღნიშნა, რომ მათ ამომრჩევლის ბარათები ოჯახის წევრებმა წაართვეს; სხვებს ქმრებმა სცემეს და კენჭისყრაში მონაწილეობის საშუალება არ მისცეს, რის შედეგადაც, სხეულის მძიმე დაზიანებები იმ კანდიდატების მხარდაჭერისთვის მიიღეს, რომლებიც მათ მეუღლეებს არ მოსწონდათ; ზოგ შემთხვევაში, ქმრები, ძმები და ვაჟიშვილები ქალების არჩევანს აკონტროლებდნენ; ზოგმა ქალმა კი აღნიშნა, რომ მათ ნაცვლად, არჩევნებში ხმა ქმრებმა მისცეს და მოიმიზეზეს, რომ ცოლებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ.
- ასევე, საარჩევნო კამპანიებში ქალების ეფექტიანი მონაწილეობისთვის კამპანიის ჯგუფების შეხვედრების დრო და ადგილებიც შეუფერებელი აღმოჩნდა, რადგან ეს ღონისძიებები, როგორც წესი, გვიან ღამით იმართებოდა.

ტანზანიაში, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების რუკაზე გამოსახვისა და გაზომვის პირველი კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. ძირითადად კი, ფსიქოლოგიური ძალადობა დომინირებდა. ამას გარდა, 2015 წლის არჩევნების კონტექსტში, არჩევნებში ქალთა მიმართ მოძალადეები უმეტესად ოჯახის წევრები, მამრობითი სქესის კანდიდატები, პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები და პარტიის ოფიციალური პირები იყვნენ. ამ ღონისძიებამ გარკვეული, დადებითი შედეგებიც აჩვენა: მაგალითად, იყვნენ ქალები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პოლიტიკურ აქტივობაში მათ გვერდით მხარდამჭერი კაცები ედგნენ და ისინი პოლიტიკაში მონაწილეობისთვის ამხნევებდნენ კიდეც. თუმცა, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პირადი ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ოჯახური კონტექსტისა და ამ გარემოებასთან ასოცირებული სირცხვილის გამო, გამოწვევები იქმნება მონაცემთა შეგროვებისა და არჩევნებზე დაკვირვების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე მონიტორინგისა და მასზე რეაგირების კუთხით. 2015 წელს მიღებული გამოცდილების საფუძველზე, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის გაუმჯობესება ისეთ აქტივობებს გააერთიანებს, როგორებიცაა: მონიტორინგის არეალის გაფართოება და არჩევნებზე დაკვირვების ტრადიციულ მექანიზმებთან დაკავშირება; რეაგირების მექანიზმებთან უკეთესი კავშირები პოლიციის, სასამართლოს, საარჩევნო ადმინისტრაციებისა და სხვების მეშვეობით; უფრო მეტი ტრენინგი და ქალი ასპირანტებისა თუ კანდიდატების ცნობიერებისა და მგრძნობელობის ამაღლება; 2015 წლისა და შემდგომი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მომზადებული ანგარიშების ფართოდ გავრცელება პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ადმინისტრაციების, პოლიტიკური პარტიების ეროვნული რეგისტრატორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სხვა, შესაბამისი დაკავშირებული მხარეების მეშვეობით.[181]

181 Negrao, 2017.

## პოლიტიკაში მონაწილე ქალთა მიმართ ძალადობა აფრიკაში




2011 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამა და სამხრეთ აფრიკის დემოკრატიის ინსტიტუტმა (IDASA) საცდელი პროექტი დაიწყეს, რომელიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგს ეხებოდა. სხვადასხვა პარტნიორის მონაწილეობით შემუშავებული მოდელის მიზანი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ მტკიცებულებაზე დაფუძნებული, სისტემური და ინსტიტუციონალიზებული რეაგირების მექანიზმების სტიმულირება იყო. მოდელის სატესტო რეჟიმში გახორციელება პირველად უგანდაში, 2011 წლის თებერვლის არჩევნების მიმდინარეობისას მოხდა, ხოლო მოგვიანებით – ნიგერიასა და ზიმბაბვეში. სამივე შემთხვევაში, კვლევას ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, აქტივისტებისა და მოხალისეების კოალიცია, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და გაეროს განვითარების პროგრამასა და IDASA–სთან თანამშრომლობით ახორციელებდა. პროგრამის მეთოდოლოგიით შერჩეული ობიექტებიდან, ორი კითხვარის გამოყენებით, თითოეულ ქვეყანაში მიღებული იყო მონაცემები, რომლებიც აღწერდა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ასპექტებს კამპანიის განმავლობაში და კენჭისყრის დღეს. ანალიტიკოსებმა მონაცემები სხვადასხვა პროგრამის დახმარებით, რაოდენობრივი სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით გააანალიზეს. შემდეგ ეს ანალიზი, საჯარო ადვოკატირებისა და განცხადებებისთვის პარტნიორმა ორგანიზაციებმა გამოიყენეს. მონაცემების შეგროვებამ იმ ადგილებში, სადაც კითხვარი იყო გამოყენებული, გარკვეული ინფორმაცია გამოავლინა, მაგრამ შედეგები შემთხვევების შესახებ კარგი ანგარიშების მოსამზადებლად საკმარისად წარმომადგენლობითი არ იყო.[182]

## სამხრეთ აზიის პოლიტიკაში მონაწილე ქალთა ირგვლივ შექმნილ ვითარებაზე დაკვირვების სისტემა

2006 წელს სამხრეთ აზიის პარტნიორობამ (SAP), რომელიც პოლიტიკოსი ქალებისა და საზოგადოებრივი სადამკვირვებლო ჯგუფების რეგიონული ქსელია სამხრეთ აზიის ხუთ ქვეყანაში, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის რეგიონული დაკვირვების სისტემის (RSS) მეშვეობით ერთ–ერთი პირველი მონიტორინგის პროექტი დაიწყო. RSS სისტემის მიზანს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და ყველა დონეზე გავრცელება წარმოადგენდა. ძალადობის შემთხვევების შესახებ პირველადი ინფორმაცია სათემო და ეროვნული სადამკვირვებლო ჯგუფების მიერ უნდა შეგროვებულიყო და როდესაც შემთხვევა მოხდებოდა, სათემო სერვისცენტრებსა და ისეთ სტრუქტურებში გავრცელებულიყო, როგორებიცაა პოლიცია, შესაბამისი სამთავრობო უწყებები და სამხრეთ აზიის პარტნიორობის ეროვნული ოფისი.[183] ასევე, სისტემამ უზრუნველყო რეფერალური მექანიზმი დაზარალებულთა მხარდასაჭერად. იგი ოთხი ტიპის მონაცემების შეგროვებას

182 მონიტორინგის ინსტრუმენტი და კითხვარები, ასევე, საპილოტე კვლევები არ გამოქვეყნებულა.
183 South Asia Partnership International, December 2006. *Violence Against Women in Politics Surveillance System Guidebook*.

ისახავდა მიზნად: 1) ინფორმაცია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ, 2) ინფორმაცია პოლიტიკოსი ქალების მიერ მიღებული, ძალადობის შემცირების სტრატეგიების ან/და საუკეთესო პრაქტიკების შესახებ, 3) ინფორმაცია რეფერირებული შემთხვევების შესახებ 4) ინფორმაცია სასამართლოში შეტანილი საქმეების შესახებ.

რადგან RSS-ის მიზანი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფართომასშტაბიანი განხილვა იყო, პროგრამის ერთ-ერთ უნიკალურ ინოვაციას კითხვარი წარმოადგენდა, რომელიც სპეციალურად არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევისთვის შედგენილი ინდიკატორების ნაკრებს მოიცავდა. მაგალითად, შეგროვებულ მონაცემებში შედიოდა ძალადობის შემთხვევა „არჩევნებში კანდიდატის მონაწილეობისას“, „კანდიდატის წარდგენისას“, „არჩევნების მიმდინარეობისას“ და „არჩევნების შემდეგ.“[184]

## არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის რუკაზე გამოსახვისა და მონიტორინგის ინიციატივების შეჯამება:

| წინასაარჩევნო პერიოდი | არჩევნების პერიოდი | არჩევნების შემდგომი პერიოდი |
|---|---|---|
| • ქვეყნისა და რეგიონის დონეზე არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონაცემების რუკაზე ასახვა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვა არჩევნების მართვის საბჭოებსა და არჩევნების უსაფრთხოების შეფასებებში<br>• ინდიკატორების შემუშავება და განსაზღვრა<br>• ქალთა მიმართ ძალადობის არსებული ინდიკატორებისა და გაზომვის ინსტრუმენტების კორექტირება ან მათი განვითარება<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვის განხილვა შესაბამისი მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგში<br>• ქრაუდსორსინგისდა მონაცემების ვიზუალიზაციის ინსტრუმენტების გამოყენების განხილვა | • მონაცემების შეგროვება და გადამოწმება<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ადაპტირება და ინტეგრირება მონიტორინგის ინსტრუმენტებში | • შეგროვების ღონისძიებები შედეგების ანალიზი<br>• მონაცემების გაერთიანებისა და ანგარიშგების უზრუნველყოფა<br>• ნაკლოვანებების გამოვლენა და ინდიკატორების სრულყოფა, საჭიროებისამებრ<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვა არჩევნების შემდგომ ანგარიშებსა და მიგნებებში |

*184 დამატები ინფორმაციისთვის იხილეთ: http://peacewomen.org/sites/default/files/PartPol-VAW_Surveillance_SAPI-VAWP_2007_0.pdf*

# ღონისძიება № 2:
# არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების ინტეგრირება არჩევნებზე დაკვირვებასა და ძალადობის მონიტორინგში

არჩევნებზე დაკვირვებისა და ძალადობის მონიტორინგის პროგრამებს არჩევნებში ქალთა მონაწილეობისა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფის კუთხით დიდი პოტენციალი აქვთ. ამგვარ პროგრამებს ძალადობის შემცირებაში წვლილის შეტანაც შეუძლიათ. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიებისა და მონიტორინგის ინიციატივების მეშვეობით შესაძლებელია ანგარიშებში გენდერული განზომილების მიღება და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება, რაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საერთო მახასიათებლების გამოვლენისა და, შესაბამისად, მისი პროფილის შესაქმნელად გამოიყენება.

აღნიშნულ პროგრამებს ხშირად რამდენიმე სარგებლის მოტანა შეუძლია, მათ შორის:

- ქვეყანის რაც შეიძლება ბევრ რეგიონში გასვლა და სხვადასხვა საზოგადოებებთან დაკავშირება;[185]
- მონაცემთა შეგროვების სტანდარტიზებული მეთოდების, დოკუმენტაციისა და ანგარიშების გამოყენება;
- გადამზადებული მონიტორები, გენდერულად მგრძნობიარე მონაცემების შეგროვების მეთოდები;
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ტენდენციების შედარების შესაძლებლობა რეგიონების მასშტაბითა და ქვეყნებს შორის.

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების შეგროვებისას, საერთო მეთოდოლოგიის არარსებობა გამოწვევებს ქმნის. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას დიდად დაეხმარება საერთო ინდიკატორების მიღება, რაც დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანას შორის შედარებების გაკეთებისა და კვლევის შესაძლებლობას შექმნის.

## 2.1. არჩევნებზე დაკვირვების მისიები

არჩევნებზე დაკვირვების ადგილობრივი და საერთაშორისო მისიები, რომელთა დამკვირვებლებიც ხანმოკლე თუ ხანგრძლივი ვადით იმყოფებიან, შესაძლოა, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის წყაროდ იქცნენ. არჩევნებზე დაკვირვების მისიებს შეუძლიათ მოსახლეობას კონფლიქტისა და ძალადობის იმ სახეების გამოვლენის მიზნით დაუკავშირდნენ, რომლებიც სხვაგვარად ეროვნულ (ან საერთაშორისო) დონეზე ყურადღებას ვერ მიიპყრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც არჩევნებზე დაკვირვებას აწარმოებდა, შეეცადა, რომ მონაცემთა შეგროვების ფორმებში გენდერი გაეთვალისწინებინა, დამკვირვებლები კი გენდერულად მგრძნობიარე კვლევის მეთოდების კუთხით გადაემზადებინა, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონი-

185 Caroline Hubbard and Claire DeSoi/NDI, 2016. *Votes without Violence:* A Citizen Observer's Guide to Addressing Violence against Women in Elections. Washington, D.C. National Democratic Institute.

ტორინგის გაუმჯობესება მაინც საჭიროა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატების წარდგენისა და კამპანიის პერიოდების მონიტორინგს, რადგან ეს ის ეტაპია, როცა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი შემთხვევა ხდება. მაგალითად, ტანზანიაში არჩევნების მონიტორინგისა და დაკვირვების კოალიციამ (CEMOT) საკუთარ დამკვირვებლებს ასწავლა, თუ როგორ მიეღოთ და აესახათ დოკუმენტურად ინფორმაცია, რომელიც საარჩევნო პროცესში ქალების, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების მონაწილეობასთან იყო დაკავშირებული. ტანზანიის არჩევნების მონიტორინგისა და დაკვირვების კოალიციის მრჩეველმა გენდერულ საკითხებში უზრუნველყო, რომ გენდერულად მგრძნობიარე თვალსაზრისით მომხდარიყო დაკვირვება საკანონმდებლო ჩარჩოსა და საარჩევნო სისტემაზე (ამაში შედის TSM-ების არსებობა და სპეციალური ჯგუფებისთვის განხორციელება), საარჩევნო ადმინისტრაციაზე, პოლიტიკურ პარტიებზე, მასმედიასა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე.[186]

ბოლო წლების განმავლობაში ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), ევროკავშირი, ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია (OAS) და კარტერის ცენტრი, არჩევნებზე დაკვირვების პროცესში გენდერული საკითხების ინტეგრირება სცადეს. ამ მიზნით მათ დაიწყეს მონაცემების ჩაშლა, გრძელვადიანი დამკვირვებლების უფრო მეტად გამოყენება, ძირითად სადამკვირვებლო ჯგუფებში გენდერული მრჩევლების აყვანა, ასევე, არჩევნებში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მონიტორინგისთვის სპეციფიკური სახელმძღვანელო წესების შემუშავება. რასაკვირველია, გენდერული საკითხების მიმართ ინფორმირებული დაკვირვებით შესაძლებელია „გენდერული თანასწორობის პრინციპების ჩართვა მის სტრუქტურასა და ორგანიზაციულ პრინციპებში, გენდერული ბალანსის დაცვა სადამკვირვებლო ძალებსა და ლიდერობის პოზიციებზე.“ [187]

2004 წელს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა არჩევნებზე დაკვირვების ყველა მისიისთვის იმ სფეროებში, რომლებიც საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის მონიტორინგთან იყო დაკავშირებული, საბაზისო სახელმძღვანელო მითითება გასცა.[188] სახელმძღვანელო მითითებებში სადამკვირვებლო მისიებში გენდერული ანალიზის ინტეგრირებისთვის უამრავი იდეაა ასახული, თუმცა ის არ შეიცავს პოლიტიკასა თუ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებას. 2013 წელს ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა *„სახელმძღვანელო გენდერული პერსპექტივის ჩართვისთვის ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის საარჩევნო-სადამკვირვებლო მისიებში“.*[189] მისი მიზანია, ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის არჩევნებზე დამკვირვებელთა ჯგუფებს მიაწოდოს ტექნიკური ინსტრუმენტი, რომელიც მთელ საარჩევნო პროცესში კაცებისა და ქალების თანასწორი მონაწილეობის შემოწმების შესაძლებლობას შექმნის. მონიტორინგისთვის ის „გენდერული ინდიკატორების“ სასარგებლო მატრიცასა და

186 Negrao, Sara, 2017.
187 Hubbard and DeSoi, 2016.
188 OSCE/ODIHR, 2014. Handbook for Monitoring Women's Participation in Elections.
189 OAS, 2013. Manual for Incorporating a Gender Perspective into OAS Electoral Observation Missions.

ცვლადებს განსაზღვრავს, როგორც საარჩევნო პროცესებში ქალების ჩართულობის შეფასების საშუალებას, ასევე, მონაცემებისა და ინფორმაციის წყაროების ცვლადების გაზომვის შესაძლებლობას. კიდევ ერთი სახელმძღვანელო მითითება გულისხმობს გენდერული ექსპერტიზის უზრუნველსაყოფას მისიებში, დამკვირვებლების გადამზადებაში, მონაცემების შეგროვებასა და ანგარიშგებაში. სახელმძღვანელო მომხმარებლისთვის მარტივად გამოსაყენებელია და მასში მოცემულია მითითება, თუ როგორ უნდა შეფასდეს ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობაში, რომელშიც შედის 1994 წლის ინტერამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ. სახელმძღვანელოში მოცემულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის შესაბამისი რამდენიმე ინდიკატორი, მათ შორის „სამართლიანობა ამომრჩევლის სასურველი ვარიანტების ჩაწერისას“. მასში ერთიანდება „პოტენციური შეზღუდვების გათვალისწინება თავისუფალი და ფარული კენჭისყრის უფლებით სარგებლობისას, ასევე, გარე ზეწოლა ნებისმიერი სახის ძალადობის გამოყენებით“. აქვე მოცემულია მითითებითი ინსტრუმენტები, რომლებიც არჩევნებზე დამკვირვებლებს ეხმარება, რათა მათ კენჭისყრის დღეს სადამკვირვებლო კითხვარში გენდერული თანასწორობის ანალიზი და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სპეციფიკური შეკითხვები ჩართონ, მათ შორის: „რამდენჯერ დაინახეთ ძალადობა ან მანიპულაცია, რომელიც მიზნად ისახავდა რეგისტრირებული ქალებისთვის ხმის მიცემის პროცესში ხელის შეშლას“ და „ხომ არ შეგიმჩნევიათ სიტუაცია, როდესაც ხმას აძლევდა „ოჯახი“, „დელეგატი“ ან წარმომადგენელი, რამაც ზეგავლენა მოახდინა ქალ ამომრჩევლებზე?“[190]

აღნიშნული სიახლეები ის დადებითი ინოვაციებია, რომლებსაც არჩევნებზე დაკვირვების პროცესში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ინტეგრირების ხელშეწყობა შეუძლიათ. აღნიშნულის მისაღწევად არჩევნებზე დამკვირვებლებს ინვესტირება დასჭირდებათ, რათა მათ საკუთარ მისიებში გენდერული საკითხები ჩართონ. გენდერული ანალიტიკოსების ჩართვის გარდა, საჭიროა დამკვირვებლების ინფორმირება იმ საკითხებზე, რაც მოითხოვს ანგარიშგების თანმიმდევრულ სტანდარტებს დამკვირვებლების განაწილების სრულ ტერიტორიასა თუ არჩევნების ყველა ეტაპზე და ასევე, საარჩევნო პროცესებში, სხვა საკითხებთან ერთად, გენდერული საკითხებისადმი პრიორიტეტულობის მინიჭებას.

## 2.2. შიდა დაკვირვება და ადრეული შეტყობინების სისტემები

შიდა სადამკვირვებლო ჯგუფები, რომლებიც არჩევნებზე მოკლევადიან და გრძელვადიან დამკვირვებლებს გზავნიან, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დამატებით წყაროს წარმოადგენენ. აღნიშნული ჯგუფები მოსახლეობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უკავშირდებიან, რათა ის სხვადასხვა ტიპის კონფლიქტები და ძალადობის ფაქტები გამოავლინონ, რომლებიც სხვაგვარად შეტყობინების გარეშე დარჩებოდა და ახალ ამბებში არ გაშუქდებოდა.[191] როგორც საერთაშორისო

190 Hubbard and DeSoi, 2016.
191 Bardall/IFES, 2011.

სადამკვირვებლო მისიების შემთხვევაში, აქაც ბოლო პერიოდში დიდი ძალისხმევა დაიხარჯა მონიტორინგის საქმიანობებში გენდერული პერსპექტივის ჩართვაზე, რაც დამკვირვებლების გადამზადებას, გენდერულად მგრძნობიარე კვლევით მეთოდებსა და იმ ძალადობის გაშუქებას მოიცავდა, რომელიც საჯარო და კერძო სივრცეებში ხდება. ამ დაკვირვებათა შორის შესაძლოა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის ჩართვაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატების წარდგენისა და კამპანიის პერიოდებს, რადგან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი შემთხვევა სწორედ ამ დროს ხდება.

2016 წელს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო *„არჩევნები ძალადობის გარეშე: მოქალაქე დამკვირვებლის სახელმძღვანელო არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე“* გამოსცა. ამ ინსტრუმენტების ნაკრებში მოცემულია მითითებები მოქალაქე-დამკვირვებლების ჯგუფებისთვის (განსაკუთრებით გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის), რომლებშიც შესულია გენდერულად მგრძნობიარე შეფასების ინსტრუმენტები და ტრენინგი, თუ როგორ უნდა მოხდეს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და დაფიქსირება, რასაც შეუძლია წვლილი შეიტანოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებაში, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, მის პრევენციაშიც.[192] სახელმძღვანელო წარმოადგენს არსებული სახელმძღვანელო მითითებების დამხმარე საშუალებას და განკუთვნილია მოქალაქეების მიერ არჩევნებზე დაკვირვებისა და არჩევნებზე გენდერულად მგრძნობიარე დაკვირვებისთვის. იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის დამკვირვებლებს გენდერულად მგრძნობიარე დაკვირვების განსახორციელებლად, რომლის მიზანი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი და შემცირებაა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოს მიზანს ასევე წარმოადგენს მონიტორინგის პრაქტიკებში საარჩევნო ციკლის ყველა ეტაპის ჩართვა.

## პარტნიორობა არჩევნებზე დაკვირვების მისიებთან, „ხმის მიცემა ძალადობის გარეშე“ პრინციპის მხარდასაჭერად

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პროექტი და ინსტრუმენტების კრებული *„ხმის მიცემა ძალადობის გარეშე,“* უამრავი ქვეყნის არჩევნებზე მომუშავე სადამკვირვებლო მისიების ძალისხმევას ეფუძნებოდა. იგი მიანმარის, ნიგერიის, გვატემალის, ტანზანიის, ბირმისა და კოტ-დ'ივუარის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიქმნა. ამ ქვეყნებში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი სადამკვირვებლო მისიის ტრენინგებსა და საერთო სტრუქტურებში გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის განხორციელებაზე 2015 წლიდან მუშაობდა. აღნიშნული საქმიანობის




192 Hubbard and DeSoi, 2016.

განხორციელებისას ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი იმედოვნებს, რომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების აღიარება და მათ შესახებ შეტყობინებათა რიცხვი წინასაარჩევნოდ, უშუალოდ კენჭისყრის დროსა და არჩევნების შემდგომ პერიოდებში გაიზრდება. ყველა ჩაშლილი მონაცემი კი გადატანილი იქნება ონლაინ ვიზუალიზაციის ინსტრუმენტში, რათა საზოგადოებამ უკეთ გაიგოს, თუ როგორ „უშლის ხელს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ქალების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

მაგალითად, 2015 წელს, **გვატემალაში**, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი ორგანიზაცია Acción Ciudadana-სთან (მოქალაქეთა მოძრაობა) თანამშრომლობდა. აღნიშნული თანამშრომლობა კამპანიის დაფინანსებისა და არჩევნებზე ძალადობის მონიტორინგს გულისხმობდა და აქცენტს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე აკეთებდა. პროგრამის ფარგლებში, მისი ის ლიდერებისთვის არჩევნებში ქალთა მონაწილეობის თემაზე ტრენინგი განხორციელდა, საარჩევნო კონტექსტის გაგების მიზნით კი, დაკავშირებულ მხარეებთან სადისკუსიო სესიები მოეწყო. ერთ-ერთ პრობლემურ სფეროს, რომელიც ამ დროს გამოვლინდა, წარმოადგენდა არჩევანზე ზემოქმედების მიზნით განხორციელებული ძალადობა, განსაკუთრებით კი ქალების შემთხვევაში. აღნიშნული დისკუსიებით შესაძლებელი გახდა იმ მთავარი საკითხების გამოვლენა, რომლებზე დაკვირვებაც საჭირო იყო.[193]

**კოტ-დ'ივუარში** პროგრამას პარტნიორობას უწევდა ადგილობრივი ორგანიზაცია Plateforme des organisations de la société civile pour l'observation des élections (არჩევნებზე დამკვირვებელი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პლატფორმა, POECI). პარტნიორობა 2015 წლის ოქტომბრის არჩევნებში ქალი დამკვირვებლების რაოდენობის გაზრდას ისახავდა მიზნად. პროგრამამ 2010 წლის არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ განხორციელებული კვლევებიდან მიღებული გამოცდილება გაითვალისწინა. კერძოდ, იმ პერიოდში გამოვლინდა, რომ ქალებს ძალადობის შესახებ საუბარი არ სურდათ, რადგანაც ეშინოდათ, რომ მათ ოჯახის წევრი კაცები ან საზოგადოება გარიყავდა.[194] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მის შესახებ შეტყობინების მიზნით, POECI-ის სადამკვირვებლო ფორმებში სპეციფიკური შეკითხვები შევიდა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ინსტრუმენტების ნაკრებში ხაზგასმულია საარჩევნო ძალადობის *ადრეული შეტყობინების სისტემების* (EWS) მნიშვნელობა, რადგანაც ეს ფაქტორი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემსუბუქებას ნიშნავს. მოქალაქე დამკვირვებლები ოპტიმალურ მდგომარეობაში იმყოფებიან იმისთვის, რომ ძალადობის შემთხვევები არჩევნებში მონაწილე მხარეებს აცნობონ, რითაც ხელმისაწვდომი ხდება სწრაფი რეაგირების მექანიზმები ადრეული ეტაპის ძალადობაზე რეაგირებისა და მისი შემცირებისთვის.[195] რამდენიმე ორგანიზაციამ ადრეული შეტყობინების სისტემის ინსტრუმენტები ზოგადად არჩევნების დროს ძალადობის მონიტორინგისთვის შეიმუშავა, თუმცა უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა კონფლიქტის

193 იქვე, გვ 34.
194 იქვე, გვ 46.
195 იქვე, გვ 47.

პრევენციის სტრატეგიებში გენდერული პერსპექტივა იყოს ინტეგრირებული.[196] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ინსტრუმენტების ნაკრების მიზანი ამ დეფიციტის შევსებაა, რისთვისაც მან უნდა გამოავლინოს, თუ როგორ შეიძლება ადრეული შეტყობინების სისტემებმა სისტემატურად განიხილონ გენდერული საკითხები, მათ შორის, სადამკვირვებლო ჯგუფებში ქალებისა და კაცების თანასწორი მონაწილეობა, არჩევნებში ძალადობის გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორების შემუშავება და ადრეული შეტყობინების ნიშნების დოკუმენტირება. ინსტრუმენტებში მოცემულ ძირითად ნაბიჯებს შორისაა:

- გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორების გამოვლენა, რომლებშიც გააზრებული იქნება ძალადობის კონტექსტი და ძირეული მიზეზები, ასევე, ძალადობის მსხვერპლი ქალების სხვადასხვაგვარი გამოცდილება. აღნიშნული ინდიკატორები ქალთა ორგანიზაციებსა და იმ დამკვირვებლებთან კონსულტაციით უნდა შემუშავდეს, რომლებსაც ადგილობრივი კონტექსტი კარგად ესმით. ინსტრუმენტებში მოცემულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ძირითადი მიზეზების გასაგებად საჭირო მთავარი მიმანიშნებლებისა და პოტენციური ინდიკატორების ჩამონათვალი, რომლებიც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირებისთვისაა საჭირო. მათში მოცემულია მითითება, რათა ადრეული შეტყობინების სისტემები და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა იმ ანგარიშის ფორმებში, კრიტიკული შემთხვევის შეტყობინების ფორმებსა და საკონტროლო ჩამონათვალში შევიდეს, რომლებსაც დამკვირვებლები იყენებენ.
- ინსტრუმენტებში ხაზგასმულია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ფართოდ გაგების საჭიროება, არჩევნებზე დამკვირვებლებისა და დაკავშირებული მხარეების გადამზადების მეშვეობით: „ხშირად ისეთი გენდერული ძალადობის შეჩერება, როგორებიცაა გაუპატიურება ან სექსუალური შევიწროება, არ განიხილება, როგორც რელევანტური ქმედება არჩევნების სამართლიანობის მხარდაჭერისთვის. საზოგადოებასთან თავდაპირველი დაკავშირება მოითხოვს მიზნობრივ განათლებას, თუ რა არის არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა და რატომ არის ის რელევანტური დემოკრატიული არჩევნებისთვის. აღნიშნულ კომუნიკაციაში ასევე უნდა შევიდეს დისკუსიები, თუ რომელია შესაფერისი რეაგირება ინდივიდებისა და ინსტიტუციების მხრიდან პრევენციის, შემსუბუქებისა და დაზარალებულებთან მუშაობისთვის.“[197]
- ინსტრუმენტების ნაკრებში აღნიშნულია სწრაფი რეაგირების იმ პლატფორმის შექმნის მნიშვნელობა, რომელიც დამკვირვებლებს შესაძლებლობას უქმნის, შემთხვევები იმ შესაბამის დაკავშირებულ მხარეებს შეატყობინონ, რომლებიც მათ მოგვარებას ან რისკის შემსუბუქებას შეეცდებიან. ასევე, ამ პლატფორმით დამკვირვებლები დაზარალებულებს მათთვის საჭირო სამსახურებში გადაამისამართებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის არიან უსაფრთხოების სამსახურები (პოლიციის ჩათვლით), პოლიტიკური აქტორები (მაგალითად, პოლიტიკური პარტიები), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მასმედია და დაზარალებულთათვის მომსახურების მიმწოდებლები (იურიდიული და სამედიცინო

196 იქვე.
197 Hubbard and DeSoi, 2016. გვ 56.

მომსახურებების ჩათვლით), ისინი, ვისაც რეფერალის სისტემის ჩამოყალიბებაში თანამშრომლობა შეუძლიათ.[198]

- მითითებები ეხება მონაცემების დოკუმენტირებასა და შენახვას, მონაცემების გადაცემის მეთოდებს (მათ შორისაა ტექსტური შეტყობინებები, სატელეფონო ზარები, სპეციალიზებული აპლიკაციები, ამობეჭდილი დოკუმენტების ხელით მიწოდება), მონაცემებისა და დაზარალებულების დაცვას.[199]

ინსტრუმენტების კრებულში მოცემულია მითითება ნებისმიერი სახის მონიტორინგის ძალისხმევისთვის. მასში იგულისხმება უზრუნველყოფა, რომ არჩევნებში ქალთა მიმართ ნებისმიერი ძალადობის მონიტორინგმა განიხილოს, თუ როგორ ხდება ქალებსა და კაცებზე განსხვავებულად ზემოქმედება. ამასთან, კრებულში ყურადღება ექცევა ძალადობის იმ სპეციფიკურ ტიპებს, რომლებიც შეიძლება ქალებმა განიცადონ და აღნიშნულია, რომ ეს ინფორმაცია, როგორც ძალადობის შემცირების ღონისძიება, ფართოდ იქნება გაზიარებული.[200] მასში ასევე ნათქვამია, რომ სადამკვირვებლო პერიოდიდან გამომდინარე, დაკვირვების სხვადასხვა მეთოდოლოგია შეიძლება იყოს საჭირო.

## 2.3. არჩევნების დროს ძალადობაზე მონიტორინგის ინსტრუმენტები

შესაძლოა, ძალადობის მონიტორინგისა და შემსუბუქების სპეციალიზებული ინსტრუმენტები დამატებითი რესურსს წარმოადგენდნენ ქალთა მიმართ პოლიტიკურ კონტექსტში და არჩევნების დროს განხორციელებული ძალადობის მონიტორინგისთვის, მაგრამ საჭიროა, მხედველობაში მივიღოთ, თუ როგორ იყო ინტეგრირებული მათში გენდერული პერსპექტივა.[201] ტანზანიაში არჩევნების მონიტორინგისა და დაკვირვების კოალიციის (CEMOT) მიერ განხორციელებული დაკვირვების პროცესში, იმის მიუხედავად, რომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობია საკითხებში დამკვირვებლებისთვის ვრცელი ტრენინგები იყო ორგანიზებული, გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს, რომ არჩევნებზე დაკვირვების ტრადიციული, მათ ხელთ არსებული ინსტრუმენტები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე ზუსტი მონაცემების შეგროვების შესაძლებლობას არ იძლეოდა.[202] პრაქტიკოსთა წრეებში არჩევნების სამართლიანობისა და საარჩევნო რისკის საკითხები ყურადღებას იპყრობს, ამიტომ აუცილებელია, რომ საარჩევნო რისკი თავიდანვე განისაზღვროს, რათა მასში გაერთიანდეს ის „ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის საარჩევნო პროცესის მთლიანობას, მათ შორის ის სიტუაციები, რომლებიც აშინებს, ზღუდავს ან სხვაგვარად უშლის ხელს ქალების, როგორც ამომრჩევლების, კანდიდატების ან სხვა საარჩევნო როლის მქონე პირების მონაწილეობას."[203] ამ შემთხვევაში, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ უკეთესი მონაცემები იქნება ხელმისაწვდომი.

**საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) არჩევნებში ძალადობის შესახებ განათლებისა და გადაწყვეტის პროგრამა (EVER)** ძალადობის შესახებ კონკრეტული მიკრომონა-

198 იქვე, გვ 59.
199 იქვე, გვ 74.
200 იქვე.
201 იქვე.
202 Negrao, 2017.
203 Gabrielle Bardall, quoted in International IDEA, 2016. "Electoral risk management through a gender lens," 29 March.

ცემების შეგროვების ინსტრუმენტის მაგალითს წარმოადგენს. არჩევნებში ძალადობის შესახებ განათლებისა და გადაწყვეტის პროგრამა საჯაროდ გადამოწმებად მონაცემებსა და საზოგადოებრივი მონიტორების ქსელს ეყრდნობა. არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის შემთხვევების კვლევისა და დაფიქსირების მიზნით, პროგრამამ, სხვადასხვა ცვლადის მიხედვით (ადგილი, მოძალადე, მსხვერპლი, ტიპი, მეთოდი, ზეგავლენა, წყარო), 2003 წლის შემდეგ 13 ქვეყნის 15 არჩევნებს გაუწია მონიტორინგი, მაგრამ გენდერის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები მხოლოდ ექვს შემთხვევაში მოამზადა. არაგენდერული სპეციფიკური მონაცემების საბაზისო ჩაშლის შედეგად, რომელიც 2011 წლის კვლევის დროს განხორციელდა, არჩევნების დროს ძალადობის გამოცდილებების კუთხით ქალებსა და კაცებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა.[204] ცოტა ხნის წინ მეთოდოლოგიამ ადაპტაცია განიცადა, რითაც ამ ინსტრუმენტის გენდერული მგრძნობელობა გაიზარდა. მას მეტი პოტენციალი აქვს იმისთვის, რომ იგი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული რაოდენობრივი მონაცემების უფრო სანდო წყარო გახდეს.

2016 წელს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შეფასებისა და მონიტორინგისთვის მეთოდოლოგიების მთელი სერია და ტიპოლოგია გამოაქვეყნა. აღნიშნული ინსტრუმენტები არჩევნებში ძალადობის შესახებ განათლებისა და გადაწყვეტის პროგრამის პროექტის მეთოდოლოგიას, მის მიერ შეგროვებული მონაცემებიდან მიღებულ დასკვნებსა 2011 წლის პუბლიკაციაში წარმოდგენილ შედეგებს ეფუძნებოდა.[205]

ტიპოლოგია „მონაწილეობის ბარიერებს“ შემდეგნაირად განმარტავს:

*„ქმედება, გარემოება, სოციალური ნორმა, რეგულაცია, კანონი ან სისტემური მიკერძოება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული (არაოფიციალური მტკიცებულების, გამოქვეყნებული ანალიზის, ან თვითშეტყობინების მეშვეობით) საარჩევნო პროცესის რომელიმე ნაწილში ქალთა სრული ჩართულობისთვის ხელის შეშლასთან. მონაწილეობის მიმართ შექმნილ ბარიერებს შორისაა ინფორმაციაზე, რესურსებზე, ან შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის კუთხით დაბრკოლებების შექმნა და ის შეიძლება გამომდინარეობდეს კულტურული / სოციალური / რელიგიური პრაქტიკებიდან თუ რწმენებიდან, ასევე, იგი შეიძლება მანიფესტირებული იყოს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ან სამართლებრივ სისტემებში“.*[206]

აღნიშნული ბარიერები საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მეთოდოლოგიის საფუძველია და მასში შედის ის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ( USAID) და ორგანიზაცია „ქეას“ (Care) მიერ შექმნილი გენდერული და საარჩევნო უსაფრთხოების რისკის შეფასების ინსტრუმენტებს ეფუძნება.[207] აღნიშნული შეფასების მექანიზმი ყურადღებას ამახვილებს

204 IDEA საერთაშორისო, 2016.
205 IFES, August 2016. "Violence Against Women in Elections: An Excerpt from IFES' Framework." Arlington, VA. USAID, გვ 2.
206 იქვე, გვ 5.
207 იხილეთ USAID's Electoral Security Risk Framework ამ ბმულზე: https://www.usaid.gov/documents/2496/best-practices-electoral-security-guide-democracy-human-rights-and-governance . იხილეთ Care's Gender Analysis Framework ამ ბმულზე: http://gendertoolkit.care.org/Pages/GenderAreasofInquiry.aspx

„მონაწილეობის ბარიერების“ შეფასებაზე, რომლებშიც გაერთიანებულია: ურთიერთობა მოძალადესა და მსხვერპლს შორის, ადგილი, სადაც შემთხვევა მოხდა, ქალების სტატუსი ადგილობრივ და ეროვნულ კონტექსტებში, საარჩევნო პროცესის დროს მომხდარი და განცდილი ძალადობის ფორმები. აღნიშნული ბარიერების გააზრებით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი იმედოვნებს, რომ შესაძლებელი გახდება იმ რისკებისა და კომპლექსური ფაქტორების გაგება, რომლებმაც შეიძლება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა გაამწვავონ. ეს კი ხელს შეუწყობს რეაგირებისთვის საჭირო პრევენციული და შემსუბუქების ღონისძიებების მხარდაჭერას.

შესაბამისად, მონიტორინგის ინსტრუმენტი დამხმარე ფუნქციას ასრულებს შეფასების მეთოდოლოგიისთვის, რადგანაც მას საარჩევნო ციკლის სრული პერიოდის განმავლობაში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის საშუალებებს აძლევს. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ამონარიდში „არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა (VAWiE)“, რომელიც 2016 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა, განმარტებულია, რომ მონიტორინგის ინსტრუმენტი „მონიტორინგის აქტივობის“ რვა ტიპს მოიცავს: ობიექტზე ვიზიტები, საზოგადოებასთან დაკავშირება, შეგროვების ყუთები და დაკვირვება.[208] შეფასებისა და მონიტორინგის აქტივობების მეშვეობით, ასევე, არჩევნებში ძალადობის შესახებ განათლებისა და გადაწყვეტის პროგრამის მონაცემებიდან მიღებული მიგნებებით, პუბლიკაციის დასასრულს ყოვლისმომცველი პროგრამული რეკომენდაციებია შემოთავაზებული, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის სხვადასხვა ქვეყანასა თუ რეგიონულ კონტექსტში. აღნიშნული რეკომენდაციები სხვადასხვა საარჩევნო პარტნიორებს მოიცავს და ფოკუსირებას ახდენს მონაცემების საფუძველზე პროგრამირებასა და შემდგომ კვლევა / მონიტორინგზე არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ. თუმცა, აღნიშნული ინსტრუმენტები და ტიპოლოგია კვლავაც საჭიროებს საველე შემოწმებას. შესაბამისად, საჭირო იქნება მონაცემების შეგროვების პოტენციალის სამომავლო ანალიზი, რათა რეალურ დროში სრულად გაანალიზდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიერ წარდგენილი მეთოდოლოგიების ეფექტურობა და ზეგავლენა საარჩევნო კონტექსტებში.

## 2.4. ქალთა სათათბირო ცენტრები და არჩევნებთან დაკავშირებული კონფლიქტების პრევენცია

ქალთა სათათბირო ცენტრები (WSR) ქალთა ხელმძღვანელობით განხორციელებული ერთ-ერთი სამოქალაქო-საზოგადოებრივი ინიციატივაა, რომელიც აფრიკაში კონფლიქტის პოტენციალის მქონე არჩევნებს მონიტორინგს უწევს. ქალთა სათათბირო ცენტრები მიზნად ისახავს „მშვიდობიანი და გამჭვირვალე არჩევნების ხელშეწყობას, არჩევნებზე ძალადობის პრევენციისა და დემოკრატიული მონაწილეობის გაზრდას. ამის შედეგად, პრაქტიკულად ხორციელდება ის სტრატეგიები, რომლებიც ქალების, როგორც სამშვიდობო აქტივისტების გამოცდილებას ეფუძნება, ამავდროულად კი უზრუნველყოფს მათ აქტიურ პოლიტიკურ აქტივისტებად გადამზადებას, ჩართულობასა და გაძლიერებას“.[209] ქალთა სათათბირო ცენტრმა ფუნქციონირება 2011 წელს, ლი-

208 IFES,2016. გვ 9-10.

209 Paula Drumond, 2015. “Promoting Democracy in Preventing Electoral Violence: The Women's Situation Room.” Sustainable Development Solutions Network, 1 June. გვ 7-8.

ბერიაში გამართული საპრეზიდენტო და საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში დაიწყო და შემდეგ აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში გავრცელდა.

ქალთა სათათბირო ცენტრების ამოცანებს ადვოკატირება, სწრაფი რეაგირება, ტრენინგები, მონიტორინგი და საარჩევნო პერიოდების განმავლობაში მედიაცია წარმოადგენს. მათი დასაყრდენი კენჭისყრის დღეს განაწილებული „მონიტორების" ჯგუფია. ამ საქმიანობის პროცესში ქალთა სათათბირო ცენტრები პარტნიორობენ სათემო და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე, მათთან დაკავშირებულ მხარეებთან, განსაკუთრებით ქალებსა და ახალგაზრდებთან, რათა მონიტორინგი გაუწიონ არჩევნებს, დააფიქსირონ არჩევნებში ძალადობის შემთხვევები და საჭიროებისამებრ, მედიაციის ფუნქცია შეასრულონ. სათათბირო ცენტრი კენჭისყრის წინა დღეს იქმნება და იგი ცენტრალური ადგილია ველზე მომუშავე მონიტორებისგან ანგარიშების მისაღებად. ინფორმაცია შესაბამის უწყებებს ეგზავნება, რომელთა შორის არიან საარჩევნო ადმინისტრაციები და უსაფრთხოების ის ძალები, რომლებსაც შემთხვევებზე სწრაფი რეაგირება შეუძლიათ.

ქალთა სათათბირო ცენტრები მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის არჩევნების მიმდინარეობისას გენდერული ძალადობის შემთხვევების შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის. მოვლენებთან ახლო მდებარეობის გამო, ქალთა სათათბირო ცენტრებს შეუძლიათ, წვლილი შეიტანონ ძალადობის იმ შემთხვევების მიგნებაში, რომლებიც სხვაგვარად მასმედიაში ვერ გაშუქდებოდა, ან რომელთა შესახებ მსხვერპლი არ შეატყობინებდათ. მართალია, ქალთა სათათბირო ცენტრები შემთხვევებისა და საჩივრების შესახებ ინფორმაციას ხალხისგან სპეციალურად გამოყოფილი ცხელი ხაზის მეშვეობით აგროვებენ, მონაცემთა შეგროვების ფორმებში არჩევნებში ქალთა მიმართ, ან გენდერული ძალადობის შემთხვევები გამოტოვებულია, თუმცა ზოგიერთი მონაცემი სქესის მიხედვით მაინც არის ჩაშლილი.[210] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის მეთოდის სტანდარტიზება და ქალთა სათათბირო ცენტრებისინსტიტუციონალიზებისთვისმეთოდოლოგიური ჩარჩოს მომზადება დახმარებას გაუწევდა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემების საფუძვლის შექმნას. ამასთან, ამგვარი მიდგომა, ქალთა სათათბირო ცენტრების მიერ შეგროვებული მტკიცებულების მეშვეობით, უკეთ შეძლებდა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების მიმართ ყურადღება მიპყრობას.

რასაკვირველია, წინამდებარე სექციაში განხილული ყველა ინსტრუმენტი იმ დადებით ინოვაციებზე მიუთითებს, რომელთა მეშვეობითაც ხელი შეეწყობა არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის ინტეგრაციას არჩევნებზე დაკვირვებისა და ძალადობის მონიტორინგის პროგრამებში. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მონაცემებში არსებული ნაკლოვანების შესავსებად, სასარგებლო იქნება საერთო ინდიკატორების ან მიდგომების განხილვა-შეგროვების მეთოდოლოგიების შემუშავება. ანგარიშგების თანმიმდევრული სტანდარტების დამკვირვებლების განაწილების ადგილებსა და საარჩევნო ბაზებში დამკვიდრება მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა შემთხვევების შესახებ ანგარიშებისა და მტკიცებულების მიწოდებას არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ტიპების და ფორმების შესახებ.

210 Ballington, 2016.

## ქალთა სათათბირო ცენტრების მაგალითები სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის პროგრამებიდან

**ნიგერიაში**, 2015 წლის არჩევნების დროს მშვიდობის ხელშეწყობის მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, მენჯიბრუკსის საერთაშორისო ცენტრსა და დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკურ თანამეგობრობასთან ითანამშრომლა, რათა სამოქალაქო საზოგადოების თაოსნობით არჩევნებზე ძალადობის მონიტორინგისთვის გამართული მექანიზმი შეექმნათ. დამოუკიდებელი ეროვნული საარჩევნო კომისიისა და ნიგერიის პოლიციური ძალების წარმომადგენლებმა მჭიდროდ ითანამშრომლეს ორგანიზაციასთან „ნიგერიელ ქალთა პლატფორმა მშვიდობიანი არჩევნებისთვის“. აღნიშნული თანამშრომლობა მიზნად არჩევნებზე ძალადობის შესახებ შეტყობინებული შემთხვევების შემსუბუქებასა და დროული რეაგირებას ისახავდა. გაეროს ქალთა ორგანიზაციამ კი არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო მიიღო.

2013 წელს, **მალიში** ადგილობრივ უწყებებთან თანამშრომლობით სამშვიდობო პლატფორმები შეიქმნა, რომლებშიც მალელი ამომრჩეველი ქალებისთვის გამოიყო სპეციალური ადგილი, სადაც მათ არჩევნების შესახებ შეხედულებებისა და ინფორმაციის გაზიარება შეეძლოთ. მომხსენებლები ყოველდღიურად მიდიოდნენ და ერთმანეთთან დისკუსიებს მართავდნენ კრიტიკული მნიშვნელობის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ქალების ხმის მნიშვნელობა, არჩევნებზე ძალადობის ზეგავლენა მათ ხმაზე, ახალგაზრდების როლი არჩევნებში, მასმედიის როლი მშვიდობის შენარჩუნებაში და ა.შ. ასევე, განხილული იყო ხმის მიცემის პრაქტიკული ასპექტები, როგორებიცაა ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრისა და ამომრჩევლის ბარათების დარიგება, ხმების დათვლის სხვადასხვა ეტაპები. ჩრდილოეთ მალის რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გადაადგილებული ქალებისა და გოგოებისთვის ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური დახმარების პროექტის ერთ-ერთი კომპონენტის სახით დიალოგისა და გაზიარების 18 სივრცე შეიქმნა.

## ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ:

| წინასაარჩევნო პერიოდი | არჩევნების პერიოდი | არჩევნების შემდგომი პერიოდი |
|---|---|---|
| • არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ადაპტაცია და ინტეგრაცია საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ინიციატივებში<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ინტეგრირება არჩევნებზე ძალადობის ადრეული შეტყობინების სისტემებში<br>• გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება არჩევნებში ძალადობის მონიტორინგის არსებულ ინსტრუმენტებში<br>• ინდიკატორების გამოვლენა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგისა და შეტყობინების უზრუნველყოფა ქალთა სათათბირო ცენტრებსა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგის პროგრამებში<br>• მონაცემთა შეგროვებისა და დაფიქსირების ჰარმონიზებული ინსტრუმენტების შემუშავება | • არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ადაპტაცია და ინტეგრაცია სადამკვირვებლო ინსტრუმენტებში<br>• გენდერულად მგრძნობიარე ასპექტების ჩართვა დამკვირვებლებისთვის გამართულ ტრენინგებში<br>• გენდერული ბალანსის მიღწევა არჩევნებზე სადამკვირვებლო ჯგუფებში<br>• ანგარიშგების გაუმჯობესება არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ჯგუფებს შორის | • გაერთიანებისა და ანგარიშგებისუზრუნველყოფა<br>• ნაკლოვანებების გამოვლენა და რეკომენდაციების მიწოდება<br>• გენდერული განზომილების ჩართვა დაკვირვების ანგარიშებსა და დასკვნებში |

# ღონისძიება № 3:
# კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის

ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია ყოვლისმომცველ და მრავალდონიან სამართლებრივ და პოლიტიკურ ჩარჩოს მოითხოვს, რომელიც ადამიანის უფლებების შესახებ არსებულ კონვენციებსა და საერთაშორისო ნორმატიულ ჩარჩოებს ეფუძნება.[211] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ კანონმდებლობისა და პოლიტიკის რეფორმების მიზანი არჩევნებში ქალთა მონაწილეობის უსაფრთხოების ამაღლებაა ყველა სფეროში – მაგალითად, კანდიდატები, ამომრჩევლები, საარჩევნო უბნის თანამშრომლები ან ჟურნალისტები. ეს მიზანი ეფუძნება იმ კანონმდებლობის მიღებას, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით დაცვის მექანიზმებს აძლიერებს და ადგენს ჯარიმებს არჩევნების დროს, ეროვნულ საარჩევნო ინიციატივებსა და კანონის უზენაესობის პროგრამებში.

წინამდებარე სექციაში შეფასებულია ის სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოები, რომელთა დახმარებითაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაა შესაძლებელი. მათ შორისაა:

- არსებული საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩოს გამოყენება;
- ახალი კანონმდებლობის მიღება, ან არსებული კანონების შეცვლა;
- იმგვარი კანონების მიღება და ამოქმედება, რომელთა მეშვეობითაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია ხდება;
- საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ შესაბამისი ოქმების ან რეგულაციების გამოცემა;
- ქცევის კოდექსების მიღება პოლიტიკური პარტიებისთვის და საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით.

## 3.1. საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩოს გამოყენება

არსებობს საკმაოდ დიდი ნორმატიული ჩარჩო, რომელიც დეკლარაციებში, პაქტებსა და კონვენციებში ქალთა პოლიტიკურ უფლებებს აყალიბებს. იმ საერთაშორისო თუ რეგიონული შეთანხმებებისა და პოლიტიკის ინსტრუმენტების გარდა, რომლებიც უკვე განვიხილეთ (იხილეთ შესავალი), ნორმატიულ ჩარჩოში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის კიდევ რამდენიმე საკითხია დასმული (იხილე ცხრილი 3).

211 UNDP, 2012.

## ცხრილი 3: ნორმატიული ბაზა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის

| ნორმატიული ბაზა | |
|---|---|
| **ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო შეთანხმებები და პოლიტიკის ინსტრუმენტები** | ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948[212] |
| | კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1952[213] |
| | საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966[214] |
| | კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979[215] |
| | დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 4, 1993[216] |
| **საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტები** | პეკინის სამოქმედო პლატფორმა, 1995[217] |
| | უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, 2000[218] |
| | გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 66/130 ქალების და პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ, 2012[219] |
| | ადამიანის უფლებების საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/23/7 ყველა ადამიანის უფლების, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, მათ შორის, განვითარების უფლების მხარდაჭერისა და დაცვის შესახებ[220] |
| | ჩვენი მსოფლიოს ტრანსფორმაცია: მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030 წლამდე, 2015 (A/RES/70/1) |

212 UNGA, 1948. 217 A (III). Universal Declaration of Human Rights, 10 December.
213 UNGA, 1952. A/RES/640(VII). Convention on the Political Rights of Women, 20 December.
214 UNGA, 1966. *International Covenant on Civil and Political Rights. In the United Nations, Treaty Series*, Vol. 999, 16 December. გვ 171.
215 UNGA, 1979.
216 217 UNGA, 1993.
217 UN, 1995.
218 UNSC, 2000 October.
219 UNGA, 2011. A/66/130. *Resolution on Women and Political Participation*, 19 December.
220 https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G13/149/58/PDF/G1314958.pdf?OpenElement

| | |
|---|---|
| **რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტები, დეკლარაციები და კომუნიკეები** | ამერიკის ქვეყნების კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯის და მისი აღმოფხვრის შესახებ (ბელემდოპარა), 1994[221] |
| | კონვენცია ქალების და ბავშვების პროსტიტუციის მიზნით ტრეფიკინგის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (SAARC რეგიონი), 1997[222] |
| | აფრიკის ადამიანისა და ხალხთა უფლებების ქარტიის (2003) პროტოკოლი ქალების უფლებების შესახებ აფრიკაში[223] |
| | კატმანდუს დეკლარაცია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის უხილავი სახეების შესახებ, 2007[224] |
| | კიტოს კონსენსუსი, 2007 (მე-10 რეგიონული კონფერენცია ქალების შესახებ ლათინურ ამერიკასა და კარიბის ქვეყნებში)[225] |
| | ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2011[226] |
| | სანტოდომინგოს კონსენსუსი, ECLAC, 2013[227] |
| | MESEC VI დეკლარაცია ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროების და ძალადობის წინააღმდეგ, 2015[228] |
| | ParlAmericas პოლიტიკური ძალაუფლების დივერსიფიცირების ვალდებულების დეკლარაცია, ინკლუზიური საზოგადოების განვითარებისთვის, 2016[229] |

**რეგიონულმა დეკლარაციებმა და კომუნიკეებმა** არჩევნებსა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე აქცენტირება წარმატებით მოახერხეს, რადგანაც მონაწილე სახელმწიფოებმა და შესაბამისმა დაინტერესებულმა მხარეებმა ვალდებულება აიღეს, რომ პოლიტიკაში ძალადობის აღმოსაფხვრელად იმოქმედებდნენ. 2007 წელს „კატმანდუს დეკლარაციამ", რომელიც სამხრეთ აზიის საერთაშორისო პარტნიორობის, IDEA საერთაშორისო და გაეროს ქალთა ორგანიზაციის სპონსორობით გამართულ კონფერენციაზე მიიღეს, შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგინა:

- ადამიანის უფლებების საერთაშორისო შეთანხმების ყველა ორგანომ, როგორებიცაა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) კომიტეტი და ადამიანის უფლებათა კომისია, უნდა აღიარონ და იმოქმედონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმისა და ქალთა ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ;
- ეროვნული კანონები და პოლიტიკა ჰარმონიზებული უნდა იყოს არსებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებთან, მე-

221 *Inter-American Convention on the Prevention, Punishment and Eradication of Violence against Women (Belém do Pará)*, 1994.
222 SAARC, May 1997. *Convention on Preventing and Combating Trafficking in Women and Children for Prostitution.*
223 OAU, June 1995. *Protocol to the African Charter on Human and Peoples' Rights on the Rights of Women in Africa*. Presented at the Thirty-first Ordinary meeting of the Organization of African Unity.
224 SAP International, International IDEA, and UN Women, 2007. *Declaration of the South Asian Regional Conference on the Invisible Faces of Violence on Women in Politics: Breaking the Silence (Kathmandu Declaration)*. Kathmandu, Nepal, 18 — 20 September.
225 ECLAC, 2007. *Quito Consensus at the Tenth session of the Regional Conference on Women in Latin America and the Caribbean*. Quito, Ecuador.
226 Council of Europe, 2011. *Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence.*
227 ECLAC, 2013b. *Santo Domingo Consensus at the Twelfth session of the Regional Conference on Women in Latin America and the Caribbean. Santo Domingo, Dominican Republic*, 15 — 18 October.
228 MESECVI, 2015. *Declaration on Political Harassment and Violence Against Women*. Lima, Peru, 15-16 October.
229 ParlAmericas, 2016. *Declaration of Commitment at the Eighth Annual Gathering on Diversifying Political Power to Build Inclusive Societies*. Quito, Ecuador, 2-3 June.

ქანიზმებსა და სტანდარტებთან, რათა მათ უშუალოდ იმოქმედონ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ;
- მუდმივმა რეგიონულმა და ეროვნულმა ორგანოებმა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მასშტაბისა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული სტატისტიკა და ინფორმაცია არსებულ მონაცემთა ბაზებში უნდა შეიტანონ;
- მიღებული უნდა იყოს სპეციალური საარჩევნო კანონები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე სამუშაოდ;
- საარჩევნო კომისიები უნდა გაძლიერდეს, რათა მათ შეძლონ აღნიშნული კანონების ადმინისტრირება და აღსრულება საარჩევნო პერიოდების განმავლობაში;
- სახელმწიფოს მეთაურებმა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევის ოფიციალური ვალდებულება უნდა აიღონ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო / რეგიონულ ფორუმებზე.[230]

კიტოს კონსენსუსი

2007 წლის „კიტოს კონსენსუსი", რომლის მხარეებსაც ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის 33 ქვეყნის მთავრობები წარმოადგენენს, ცალსახად გმობს „სტრუქტურულ ძალადობას, რომელიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმაა და დაბრკოლებას წარმოადგენს თანასწორობისა და პარიტეტის მისაღწევად ეკონომიკურ, შრომით, პოლიტიკურ, სოციალურ, ოჯახურ და კულტურულ ურთიერთობებში და რომელიც ქალთა ავტონომიასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ სრულ მონაწილეობას აბრკოლებს".[231] მთავრობებმა კონკრეტულად, შემდეგი ვალდებულებები აიღეს:

*(x) „საკანონმდებლო ზომების მიღება და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება იმ ქალების პოლიტიკური და ადმინისტრაციული შევიწროების პრევენციის, სანქცირებისა და აღმოფხვრისთვის, რომლებმაც გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე არჩევნებით, ან დანიშვნით მიაღწიეს, ან პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებში მონაწილეობენ."*

1994 წლის შემდეგ, "MESECVI," შემდგომი რეაგირების მექანიზმი ამერიკის *ქვეყნების ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის კონვენციაზე* (ასევე მოიხსენიებენ, როგორც ბელემდოპარას კონვენციას), ფოკუსირებას ახდენს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე ლათინური ამერიკის რეგიონში. "MESECVI"-ს მიზანი ბელემდოპარას კონვენციის წევრი სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებების განხორციელებაა. იგი აღიარებს, რომ:

- „ქალთა მიმართ ძალადობა ... წარმოადგენს მათი ადამიანური უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევას და აბრკოლებს, შეუძლებელს ხდის ამგვარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ამ უფლებებით სარგებლობასა და განხორციელებას...'"[232]
- ქალები ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან კერძო და საჯარო სფეროებში, ასევე, სახელმწიფო აქტორების მიერ.[233]

---

230 ადაპტირებულია პუბლიკაციიდან SAP International, et al., 2007.
231 ECLAC, 2007. გვ 3.
232 იქვე.
233 OAS, 1994. *Inter-American Convention on the Prevention, Punishment and Eradication of Violence against Women ("Convention of Belem do Para").* http://www.oas.org/juridico/english/treaties/a-61.html.

1994 წლის დეკლარაციაში მოცემულია აღიარებული უფლებებისა და სახელმწიფოს ვალდებულებების ჩამონათვალი, რომლებშიც ერთიანდება საკანონმდებლო და მართლმსაჯულების რეფორმებზე ფოკუსირებული სხვადასხვა ვალდებულება როგორც ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერასთან, ისე ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციასთან დაკავშირებით. ექსპერტთა მეორე, 2016 წელს გამართულ შეხვედრაზე, "MESECVI" პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სამოდელო კანონპროექტი რეგიონულ აქტიორებთან ერთად შეიმუშავა.[234] ამგვარი კანონმდებლობა დაეხმარება ლათინური ამერიკის ქვეყნებს, რათა მათ 1994 წლის *ბელემდოპარას კონვენციის* საფუძველზე დაიწყონ მოქმედება და კონკრეტულად პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული კანონები მიიღონ.

ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციის (OAS) დეკლარაცია ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროებისა და ძალადობის შესახებ (2016) კიდევ ერთხელ ადასტურებს „MESECVI"-ის ვალდებულებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ იგი:

- „ხელს შეუწყობს და განახორციელებს კვლევას, რომელიც ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის ან/და შევიწროების ბუნებასა და მახასიათებლებს ითვალისწინებს. ასევე, მოამზადებს ამ საკითხზე სტატისტიკურ მონაცემებს..."
- „ხელს შეუწყობს, რომ საჯარო პოლიტიკა აგებული იყოს ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროების, ან ძალადობის წინააღმდეგ და დაეხმარება არსებითი თანასწორობის მიღწევას. ამას გარდა, გააძლიერებს ქალთა ლიდერობას, ხელს შეუწყობს მათ წარმოჩენას გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და მათ დასაქმებას ეროვნულ თუ ქვეეროვნულ დონეებზე..."
- ხელს შეუწყობს, რომ საარჩევნო ინსტიტუტებმა და სხვა საჯარო უწყებებმა, შესაბამის შემთხვევებში, ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროების ან ძალადობის საკითხი საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში გააერთიანონ, რაც უკავშირდება არჩევნების ორგანიზებას, პოლიტიკურ-საარჩევნო სამოქალაქო უფლებების დაცვას, ასევე, სამოქალაქო განათლების პოლიტიკის განვითარებასა და პოლიტიკურ პარტიებთან მათ მუშაობას..."
- ხელს შეუწყობს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა ორგანიზაციებმა და პროფკავშირებმა საკუთარი, შიდა ინსტრუმენტები და მექანიზმები შექმნან ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის ან შევიწროების პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრისთვის. ეს ხელშეწყობა ასევე შეეხება ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიებისა და ამ საკითხებზე ტრენინგების გამართვას..."[235]

234 სამოდელო კანონი ითვალისწინებს „სამოდელო ტექსტს", თუ სახელმწიფოები ისურვებენ კანონმდებლობის მიღებას არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. 235 MESECVI, 2015. Pp. 8–11.
235 MESECVI, 2015. გვ 8–11.

2013 წელს, სანტო დომინგოში, დომინიკის რესპუბლიკაში, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკურმა კომისიამ (ECLAC) მე-12 რეგიონული კონფერენცია მოიწვია ქალთა საკითხებზე. პოლიტიკურ და საჯარო სფეროებში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები „სანტო დომინგოს კონსენსუსში“[236] განსაკუთრებით იყო განხილული, მათ შორის, ტექნოლოგიისა და მასმედიის მეშვეობით. დოკუმენტი მოუწოდებს ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნების ეკონომიკური კომისიის ყველა წევრ ქვეყანასა და ასოცირებულ წევრებს,[237] რომ ხელახლა აიღონ ვალდებულება იმ ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც რეგიონში გენდერულ თანასწორობას აამაღლებს და განსაკუთრებით კი შეეხება კონფერენციის აქტუალურ ფოკუსს – საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT).[238] აღნიშნული შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- „არჩევნებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის მექანიზმების, როგორც ინსტრუმენტების გაძლიერება გენდერული პერსპექტივით, რომელიც ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს...“ (მუხლი 104, გვ 12)
- „კანონმდებლობის მიღება და აღსრულება იმ ქალთა მიმართ პოლიტიკური და ადმინისტრაციული ძალადობის ან შევიწროების პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრისთვის, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებს ყველა დონეზე მიაღწევენ...“ (მუხლი 105, გვ 12)
- „მედიის წახალისება, რათა მათი საქმიანობა დადებითად აისახოს ქალების უფლებებსა და ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობისა და პარიტეტის მღწევაზე. აღნიშნული გულისხმობს გენდერულ პარიტეტს პოლიტიკურ პროცესებსა და თანამდებობის დასაკავებელ არჩევნებში მონაწილეობისას.“ (მუხლი 107, გვ 13)

2016 წელს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკურმა კომისიამ გამოაქვეყნა დოკუმენტი „თანასწორობა და ქალთა ავტონომია მდგრადი განვითარების დღის წესრიგში“[239] და „მონტევიდეოს სტრატეგია“[240] (ECLAC-ის მე-13 *რეგიონული კონფერენციის შემდეგ, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნებში ქალთა საკითხებს განიხილავდა*). ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური კომისიის პოზიციის დოკუმენტი 1977 წელს გამართული პირველი რეგიონული კონფერენციის შემდეგ მიღწეულ პროგრესს განიხილავს და რეგიონის განვითარებისთვის „თანასწორობის მხარდამჭერი პოტენციური პოლიტიკის“[241] რეკომენდაციას იძლევა. მონტევიდეოს სტრატეგია წარმოადგენს რეგიონული განხორციელების გეგმას ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ 2030 წლის დღის

---

236 ECLAC, 2013b.

237 ECLAC-ის წევრი ქვეყნების წევრებისა და ასოცირებული წევრების სრული ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: http://www.cepal.org/en/estados-miembros

238 იხილეთ: ECLAC, 2013a. "Objective of the XII session of the Regional Conference on Women in Latin America and the Caribbean."

239 ECLAC, 2016a. "Equality and Women's Autonomy in the Sustainable Development Agenda" at the *Thirteenth Regional Conference on Women in Latin America and the Caribbean. Montevideo, Uruguay*, 25 — 28 October.

240 ECLAC, 2016b. *Montevideo Strategy for Implementation of the Regional Gender Agenda within the Sustainable Development Framework by 2030 (Montevideo Strategy) at the Thirteenth Regional Conference on Women in Latin America and the Caribbean*. Montevideo, Uruguay, 25 — 28 October.

241 ECLAC, 2016a. "Equality and Women's Autonomy in the Sustainable Development Agenda." გვ. 9.

წესრიგით აღებული ვალდებულებების.[242] ეს დოკუმენტები ასახავს და ახალ ძალისხმევას მატებს „სანტო დომინგოს კონსენსუსით“, „კიტოს კონსენსუსითა“ და „MESECVI“-ის 2015 წლის დეკლარაციით მიღწეულ შეთანხმებებს. დოკუმენტში „თანასწორობა და ქალთა ავტონომია მდგრადი განვითარების დღის წესრიგში“ „პოლიტიკური შევიწროება“ განსაზღვრულია, როგორც ბარიერი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის, რომელიც დაძლეული უნდა იყოს:

*„რეგიონული გამოცდილება აჩვენებს, რომ ქალთა პოლიტიკური შევიწროების ბუნება და სიმწვავე განსხვავდება; დაწყებული იმით, რომ კამპანიის პერიოდებში ქალებს ანაწილებენ ოლქებში, რომელთა მოგებაც შეუძლებელია, დასრულებული მატერიალური და ადამიანური რესურსის ნაკლებობით, ან მათ მიმართ თავდასხმებითა და მუქარებით. არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელია, ქალები დაინიშნონ ნაკლებად მნიშვნელოვან კომისიებში, ან ტერიტორიებზე, რომელთაც მცირე ბიუჯეტი აქვთ ან ის საერთოდ არ გააჩნიათ; დისკრიმინაციული მოპყრობა მასმედიის მიერ; მეტი მოთხოვნა ანგარიშვალდებულებაზე მათ მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით; დაშინება, მუქარა ან ფიზიკური ძალადობა პირადად ან მათი ოჯახების მიმართ, რაც უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა, გულისხმობდეს გაუპატიურებასა და მკვლელობასაც“. (ECLAC, 2015j. გვ 125)*

დოკუმენტიდან გამომდინარე, მონტევიდეოს სტრატეგია ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური კომისიის სახელმწიფოებს მთელ რიგ ღონისძიებებს სთავაზობს, რათა განხილული იყოს ის „საჯარო, ინსტიტუციური, პოლიტიკური და კიბერძალადობა“, რომელთა წინაშეც რეგიონში ქალები შეიძლება აღმოჩნდნენ.[243] სტრატეგიის შესავალში საუბარია: პარიტეტზე დაფუძნებულ, წარმომადგენლობით და მონაწილეობით დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე ძალადობისგან, როგორც ხუთიდან ორი სახელმძღვანელო მიდგომაზე.[244] მასში ასევე შედის მასმედიასა და ტექნოლოგიებზე მიმართული სტრატეგია, საკანონმდებლო რეფორმები და პროგრამული ძალისხმევები გენდერული საკითხების მონიტორინგის ასამაღლებლად:

- „ყოვლისმომცველი და კონკრეტული კანონებისა და რეგულაციების მიღება გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, მათ შორის ის კანონმდებლობა, რომელიც გენდერული ძალადობის ყველა ფორმისგან თავისუფალი ცხოვრების უფლებას ეხება, მათი სრული და ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა.“ (მუხლი 1.დ, გვ 13)
- „პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ქალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნითა და საჯარო სფეროში მონაწილეობისას გენდერული პარიტეტის განმტკიცებისთვის, კანონებისა და ნორმების მიღება.“ (მუხლი 7.ა, გვ 19)
- „ტექნოლოგიების ეფექტიანობის პერიოდული, პირველადი, შუალედური და საბოლოო შეფასებები, რომლებიც ტექნოლოგიური საშუალებებით ქალთა შევიწროებასა და ძალადობას ეხება....“ (მუხლი 7.ა, გვ 19)
- „გენდერული უთანასწორობის გაზომვისთვის ინსტრუმენტების შემუშავება და

242 გეგმა მოიცავს სავალდებულო და ნებაყოფლობით შემდგომ ანგარიშგებას ყოველწლიურად, მდგრადი განვითარების შესახებ ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნების ფორუმისა და ლათინურ ამერიკასა და კარიბის ქვეყნების ქალების შესახებ რეგიონული კონფერენციის თავმჯდომარე ოფიცრების მეშვეობით. (ECLAC, 2016b.)

243 243ECLAC, 2016b. გვ 6.

244 იქვე, გვ 5.

გაძლიერება, მათ შორის, კვლევები ქალთა მიმართ ძალადობაზე, სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და საჯარო სივრცეების თანაბრად გამოყენებაზე. მათი დაფინანსების უზრუნველყოფა და პერიოდულობა." (მუხლი 9.გ, გვ 21)

- „მონიტორინგის სისტემების შექმნა ან გაძლიერება იმ შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც სრულყოფილად და პერიოდულად შეაფასებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ არსებული კანონების, ნორმების, პოლიტიკის, გეგმებისა და პროგრამების განხორციელების ხარისხს რეგიონულ, ეროვნულ და ქვეეროვნულ დონეებზე." (მუხლი 10.ა, გვ 22).[245]

## 3.2. საკანონმდებლო რეფორმა ეროვნულ დონეზე

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სიმწვავისა და მასშტაბის შესახებ ინფორმირებულობის სწრაფად ამაღლება ის ცვლილებაა, რომელმაც სამართლებრივი რეაგირების მზარდი მოთხოვნა მოიტანა. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, მისგან დაცვისა და მოძალადის დასჯის მიზნით. სამართლებრივი რეფორმის განხორციელების 3 მთავარი გზა არსებობს:

ა. ახალი კანონმდებლობის შემოღება სპეციალური, ინდივიდუალური კანონების ფორმით, რომლის მიზანიც პოლიტიკაში (და არჩევნებში) ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევაა;

ბ. პოლიტიკაში (და არჩევნებში) ქალთა მიმართ ძალადობის აღმკვეთი მუხლების შემოტანა იმ არსებულ კანონებში, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას ითვალისწინებს;

გ. რეფორმების დაწყება, საარჩევნო კოდექსის ან სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილება.

### ძალადობაზე რეაგირება ლათინურ ამერიკაში

ძალადობის პრევენცია, მისგან დაცვა და მოძალადეთა მიმართ სამართლებრივი რეაგირება ლათინურ ამერიკაში ადრეც არსებობდა. აღნიშნულ რეგიონში განსაკუთრებული დისკუსია უფრო მეტად პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაზე მიმდინარეობდა, ვიდრე უშუალოდ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე. პოლიტიკაზე ფოკუსირება აქტივისტებს შესაძლებლობას უქმნის, ხაზი გაუსვან იმ დისკრიმინაციულ და ზიანის მომტან ქმედებებს, რომლებსაც ქალები განიცდიან, როგორც კანდიდატები და არჩეული ოფიციალური პირები.[246] ამავდროულად, ამგვარი ფოკუსირება ეფუძნება ლათინური ამერიკის ქვეყნების გენდერული კვოტებისა და პარიტეტის შესახებ კანონების მიღებისა და აღსრულების ათწლეულების გამოცდილებას. კანდიდატებად ყოფნის დროსა და თანამდებობების დაკავების შემდეგ ქალები მუდმივად განიცდიან დისკრიმინაციასა და შევიწროებას, რაც მიანიშნებს, რომ მხოლოდ კვოტები და პარიტეტი ვერ იძლევა ქალებისთვის საკუთარი პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების თანასწორად გამოყენების გარანტიას. ლათინურ ამერიკაში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა აღიარეს და მას დაუპირისპირდნენ იგივე ქსელები, რომლებიც თავდაპირველად კვოტების მიღების უზრუნველსაყოფად შეიქმნა. ესენია: Mujeres en Plural მექსიკაში და ACOBOL ბოლივიაში.

245 იგივე.
246 Piscopo, 2016.

## ა. დამოუკიდებელი კანონები

ერთ-ერთი გზა, რომელსაც ლათინური ამერიკის ქვეყნები გაჰყვნენ, იყო სპეციალური, დამოუკიდებელი კანონების მიღება, რომლებიც ექსკლუზიურად პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას ეხება. დღემდე ბოლივია ლათინურ ამერიკის ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც 2012 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით კანონი მიიღო. 243-ე კანონი მექსიკის სენატმა 2013 წელს მიიღო, მაგრამ ორივე პალატის კანონმდებლები სხვადასხვა წინადადებების შესახებ მსჯელობას კვლავ განაგრძობენ. ეკვადორის კონგრესმა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონი 2011 წელს არ მიიღო, თუმცა 2012 წლის საარჩევნო კოდექსმა გენდერულად ნეიტრალური დებულება შემოიტანა, რომელმაც განაცხადა, რომ კანდიდატების ან არჩეული ოფიციალური პირების სისტემატური შევიწროება სისხლის სამართლის კოდექსის სანქციებს ითვალისწინებს. ეკვადორში ქალთა ასამბლეის წევრებმა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობა 2016 წელს თავიდან შეიტანეს. კოსტა რიკამ, პერუმ და ჰონდურასმა, სხვა ქვეყნების მსგავსად, ასევე განიხილეს კანონები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.[247]

| კანონმდებლობა და შემოთავაზებული ინდივიდუალური კანონები |
|---|
| **ბოლივია**<br>კანონი ქალთა შევიწროებისა და მათ მიმართ პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ, 2012[248] |
| **კოსტა რიკა**<br>კანონპროექტი ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროების / ძალადობის წინააღმდეგ, 2013[249] (პროექტი) |
| **ეკვადორი**<br>ორგანული კანონის პროექტი გენდერულ ნიადაგზე პოლიტიკური დისკრიმინაციის, შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ, 2011 (პროექტი);<br>ორგანული კანონის პროექტი, არჩევნების შესახებ ორგანული კანონის, დემოკრატიის შესახებ კოდექსის რეფორმირებისთვის, გენდერულ ნიადაგზე პოლიტიკური შევიწროების პრევენციისა და დასჯის მიზნით, 2016 (პროექტი) |
| **ელ სალვადორი**<br>სპეციალური ერთიანი კანონი ქალების ძალადობისგან თავისუფალი სიცოცხლისთვის, 2011[250] (პროექტი) |
| **პერუ**<br>კანონპროექტი ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროების წინააღმდეგ, 2012[251] (სამუშაო ვერსია) |

247 იქვე.
248 ALP, 2012. Ley Contra el Acoso y Violencia Politica Hacia Las Mujeres, No. 0026.
249 ALRCR, 2013. *Proyecto de Ley Contra Acoso y/o Violencia Politica Contra Las Mujeres,* No. 18.719.
250 კანონის შექმნის დროს ელ სალვადორის მთავრობამ აღიარა, რომ, ქალთა მიმართ ძალადობის გამო, მათ არ შეუძლიათ „საკუთარი უფლებების სრულად განხორციელება სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ოჯახურ სფეროებში." (ALES, 2011. *Ley Especial Integral Para Una Vida Libre De Violencia Para Las Mujeres*, No. 520.)
251 CRP, 2012. *Proyecto de Ley Contra el Acoso Politico Hacia Las Mujeres,* No. 1903.

ბოლივიის კანონი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის 17 განსხვავებულ აქტს განმარტავს. იგი (როგორც სხვა კანონპროექტების უმრავლესობა) ორ ტერმინს განასხვავებს: *acoso político*-ს (პოლიტიკური შევიწროება) და *violencia política*-ს (პოლიტიკური ძალადობა). შევიწროება ნაკლებად სერიოზული დანაშაულია და შედარებით მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს, ხოლო ძალადობა უფრო სერიოზულ დანაშაულს წარმოადგენს და მას მეტად მკაცრი სასჯელი მოჰყვება. ბოლივიის კანონი acoso-ს ახასიათებს, როგორც „ზეწოლას, დევნას, შევიწროებას ან მუქარებს", ხოლო violencia-ს, როგორც „ქმედებას, ქცევას, ასევე, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ აგრესიას."[252] ბოლივიის კანონში, ასევე, კოსტა რიკისა და ჰონდურასის კანონპროექტებში, სხვადასხვა სიმძიმის ქმედებებისთვის მინიმალური და მაქსიმალური სასჯელები ნათლადაა დადგენილი. ყველა სხვა ქვეყანაში კი კანონპროქტები სასჯელის დიაპაზონს ითვალისწინებს (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა სამი თვიდან ექვს წლამდე ვადით, მექსიკის ერთ-ერთ კანონპროექტში), თუმცა, მინიმალური ან მაქსიმალური სასჯელები კონკრეტულ ქმედებებზე მიბმული არ არის. ბოლივია განსაკუთრებით კრძალავს შერიგებას მსხვერპლსა და მოძალადეს შორის, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევის დროს.[253]

## ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობისა და შევიწროების წინააღმდეგ კანონის განვითარება ბოლივიაში[254]

სამართლებრივი რეფორმა სათავეს 2000 წლიდან იღებს და ის რესპუბლიკის ხალხთა მონაწილეობის კომისიის კონგრესის სესიით იწყება. ამ სესიაზე „გენდერის, თაობებისა და ოჯახის საკითხებში მინისტრის მოადგილესთან ერთად, საბჭოს წევრმა ქალებმა საჯაროდ დაგმეს ის შევიწროება და პოლიტიკური ძალადობა, რომლებიც მათ წინააღმდეგ ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ხორციელდებოდა."[255] 2001 წელს გენდერულ ნიადაგზე შევიწროებისა და პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ კანონის პირველი პროექტი შემუშავდა.

2002-2004 წლებში პირველი კანონპროექტი იმ სხვადასხვა ინსტიტუციაში გადამოწმდა, რომლებიც გენდერული თანასწორობის სფეროში მუშაობდნენ. ეროვნულ დონეზე სამუშაო შეხვედრების მეშვეობით, ეს ნაბიჯი მის სისტემატიზაციასა და გავრცელებას ისახავდა მიზნად. აღნიშნულ პროცესს 2004 წელს თან მოჰყვა ეროვნული კონგრესის სენატორთა პალატაში ლობირება. ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის მოქმედი კომიტეტი, რომელიც გენდერულ საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა ინსტიტუციის წარმომადგენლებისგანაა დაკომპლექტებული (რომელთა შორისაა ACOBOL, ქალების ვიცე-მინისტრი, იუსტიციის ვიცე-მინისტრი, ხალხის ჩართულობის ვიცე-მინისტრი, ომბუდსმენი, ქალი პარლამენტარების კავშირი და ქალთა ეროვნული პოლიტიკური ფორუმი), მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდა და კატალიზატორის ფუნქციას ასრულებდა მომდევნო ცვლილების განხორციელების პროცესში. კომიტეტის მუშაობის შედეგად, სხვადასხვა საჯარო ორგანოში ქალები უფრო მეტად გახდნენ

252 ALP, Law 243/2012. მუხლი 7.
253 Piscopo, 2016.
254 ადაპტირებულია პუბლიკაციიდან: UNDP, et al. "Gender-Based Political Violence: Bolivia." In *Advancing Gender Equality: Promising Practices.*
*255 2009. "Incidencia política para la Aprobación de ACOBOL." La Paz, Bolivia, გვ 11.*

ინფორმირებულები შევიწროებისა და პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ.

იმ ფონზე, როცა მასმედიის ყურადღება საკმაოდ გაიზარდა, ხოლო ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის შესახებ ინფორმირებულობა ამაღლდა, საბჭოს წევრი ქალის ხუანა კისპეს მკვლელობის შემდეგ, 2012 წლის 28 მაისს, 243-ე კანონის ამოქმედებისთვის შესაფერისი დრო დადგა. კანონის გამოყენების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ საჯარო თანამდებობაზე მყოფი ქალებით. მისი მასშტაბი ნებისმიერ იმ ქალზე ვრცელდება, რომელიც რაიმე საჯარო ფუნქციას ასრულებს. კანონი შევიწროებისა და პოლიტიკური ძალადობის აქტების კლასიფიკაციას გვთავაზობს და მათ შემდეგ კატეგორიებად ანაწილებს: მსუბუქი, მძიმე და ძალიან მძიმე. ასევე, იგი აყალიბებს სანქციებს თითოეული კატეგორიისთვის, რაც ამ აქტებისა და მათი შესაბამისი სანქციების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა.

შევიწროების ან პოლიტიკური ძალადობის შემთხვევებში, ანგარიში შეიძლება სიტყვიერად ან წერილობით თავად დაზარალებულმა ქალმა, მისი ოჯახის რომელიმე წევრმა ან ნებისმიერმა „ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა“ მოამზადოს. შემდეგ კი იგი კომპეტენტურ უწყებებს წარუდგინოს. ანგარიშების წარდგენის სამი გზა არსებობს: ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და საკონსტიტუციო. სისხლის სამართლებრივი გზის არჩევის შემთხვევისთვის ამ კანონის მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ბოლივიის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ახალი კატეგორიების შემოღება. აღნიშნული გზა კრძალავს შერიგებას, რათა თავიდან იყოს აცილებული შემდგომი ზეწოლა შევიწროებისა და პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლზე.

კოსტა რიკის, ეკვადორისა და მექსიკის კანონპროექტები, ბოლივიის მსგავსად, შევიწროებასა და ძალადობას განასხვავებს. კოსტა რიკის კანონპროექტი ძალადობის ბოლივიურ განმარტებას ეყრდნობა („ქმედებები ან ქცევები, რომლებიც ფიზიკურ, სქესობრივ ან ფსიქოლოგიურ დაზიანებას, ტანჯვას ან სიკვდილს იწვევს“); შევიწროებას კი სამ სხვადასხვა კატეგორიად ჰყოფს.[256] კოსტა რიკის კანონპროექტი „შევიწროებაში“ აერთიანებს პოლიტიკურ შევიწროებას (ამ ტერმინის ბოლივიური განმარტებით), ფსიქოლოგიურ შევიწროებას (ამას ემატება დანაშაულებისკატეგორიები,რომლებიცქალი პოლიტიკოსების სისტემატურ დამცირებას ან ბულინგს უკავშირდება) და ბოლოს, ცალკე გამოყოფს სიტყვიერ პოლიტიკურ ძალადობას (რაც გულისხმობს სიტყვიერ თავდასხმებს, როგორც ცალკე კატეგორიას).[257] იმის მიუხედავად, თუ რა ტერმინებია გამოყენებული, ყველა შემოთავაზებული კანონმდებლობა ყურადღებას ამახვილებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სქესობრივ შეურაცხყოფაზე, ასევე, სისტემატურ შევიწროებასა და დისკრიმინაციაზე.

ლათინურ ამერიკაში მიღებული ან განხილვის პროცესში მყოფი თითქმის ყველა საკანონმდებლო ჩარჩო მსხვერპლთა შორის იმ ქალებს მოიაზრებს, რომლებიც

256 Piscopo, 2016.
257 ALRCR, 2013. მუხლი 5.




*შეხვედრა ბოლივიაში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის შესახებ საარჩევნო ტრიბუნალის სადამკვირვებლო საბჭოს გადაწყვეტილების განხორციელების განსახილველად*

ოფიციალურ საარჩევნო პოლიტიკაში იღებდნენ მონაწილეობას, ან ოფიციალურ, პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობდნენ.[258] ბოლივიის კანონი მოიცავს „ყველა ქალ კანდიდატს, არჩეულ ან დანიშნულ თანამდებობის პირს, ან მათ, ვინც პოლიტიკურ-საჯარო ფუნქციას ახორციელებს“ და, ასევე, მათი ოჯახის წევრებსაც.[259] 243-ე კანონში გაწერილი დაცვის მექანიზმები არ ახსენებს არაოფიციალურ პოლიტიკაში ჩართულ ქალებს, არც მათ, ვინც აქტივისტების ჯგუფში, პროფკავშირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში მონაწილეობს. კოსტა რიკის კანონპროექტით ძლიერდება იმ ქალების დაცვა, რომლებიც პოლიტიკურ მოძრაობებში, სოციალურ და შრომით ორგანიზაციებში მონაწილეობენ.[260] არც ბოლივიური კანონი და არც შემოთავაზებული სხვა კანონები არ ახსენებს ამომრჩეველს ან საჯარო მოხელე ქალებს.[261]

თუმცა, აღნიშნულის საპირისპიროდ, მოძალადეების კატეგორიზაცია უფრო ფართოდ ხდება. ბოლივიის კანონი პოლიტიკური შევიწროების ან პოლიტიკური ძალადობის აქტებს მოიხსენიებს, როგორც ქმედებებს, რომლებიც განახორციელა „ერთმა ადამიანმა, ან ადამიანების ჯგუფმა პირდაპირ, ან სხვა მხარის მეშვეობით.“[262] მექსიკის კანონპროექტი კონკრეტულად აცხადებს, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა შესაძლოა, საარჩევნო პროპაგანდის პერიოდში მოხდეს, ამიტომ ამ დებულებაში შეიძლება მოძალადეებად შევიდნენ მასმედიის წარმომადგენლები და პოლიტიკური პარტიები.[263] თუმცა, ბოლივიის კანონმდებლობა და კანონპროექტები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაზე პასუხისმგებელთა შორის პოლიტიკურ პარტიებს კონკრეტულად არ ასახელებს. ბოლივიის 243-ე კანონი პოლიტიკურ პარტიებს

258 Piscopo, 2016.
259 ALP, კანონი 243/2012. მუხლი 5.
260 როგორც უნდა მომხდარიყო 2011 წლის ეკვადორული პროექტის მიმართ, რომელიც ჩავარდა.
261 ამოღებულია პუბლიკაციიდან Piscopo, 2016.
262 ALP, კანონი 243/2012. მუხლი 5.
263 Laura Albaine, 2015. “Marcos normativos contra el acoso y/o violencia política en razón de género en América Latina.” Presented at, *Violencia Política contra las mujeres en América Latina: diagnósticos, diálogos y estrategias*, Mexico City, as quoted in Piscopo, 2016.

მხოლოდ ერთხელ ახსენებს: მოძალადეებს, ასევე, მათი პარტიის თავმჯდომარეებს, მაქსიმალური სასჯელი დაეკისრებათ.[264] აღნიშნულის მსგავსად, კოსტა რიკაში კანონპროექტი კონკრეტულ სასჯელებს ადგენს იქიდან გამომდინარე, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდა მოძალადეს და ადგენს, რომ პარტიის დირექციის იმ წევრებს, რომლებიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას განახორციელებენ, სისხლის სამართლის სანქციები დაეკისრებათ და ისინი თანამდებობს დატოვებენ.[265]

## ბ. კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ

სამართლებრივი რეფორმა, რომელიც პოლიტიკაში და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს ეხება, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ არსებულ კანონებში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის დამატებას გულისხმობს. ასევე ზოგადი დებულებების აღსრულებას იმ საჯარო ან სათემო ძალადობის წინააღმდეგ, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კანონებში უკვე არსებობს. ლათინური ამერიკის ქვეყნები ამგვარი საკანონმდებლო ინიციატივების ბევრ მაგალითს გვთავაზობენ.[266] *ამერიკის ქვეყნების კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ* (1994), რომელშიც ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანაა გაწევრიანებული, აღიარებს ქალთა უფლებას, ხელი მიუწვდებოდეთ საჯარო სამსახურზე და მონაწილეობას იღებდნენ საჯარო საქმიანობაში (მუხლი 4), რაც ქალებს საკუთარი პოლიტიკური უფლებებით თავისუფლად და სრულად სარგებლობის უფლებას აძლევს (მუხლი 5). აღნიშნული კონვენციიდან გამომდინარე, ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანამ ქალთა მიმართ ძალადობისაღმოფხვრასთანდაკავშირებული კანონების რეფორმირება მოახდინა. 1990-იანი და 2000-იანი წლების განმავლობაში შექმნილ ახალ კანონმდებლობებში ქვეყნების უმრავლესობამ სპეციალიზებული, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დამოუკიდებელი კანონი მიიღო, თუმცა ზოგმა სახელმწიფომ სისხლის სამართლის კოდექსებში შესწორებები შეიტანა და მათში ქალთა მიმართ ძალადობის კონკრეტული დანაშაული გაითვალისწინა.[267]

აღნიშნული რეფორმები ძირითადად კონვენციაში მოცემულ ნორმატიულ ჩარჩოში ჯდება. თითქმის ყველა კანონმდებლობა ნათლად განმარტავს, რომ ასეთი ძალადობა საჯარო სივრცეში ან დასაქმების ადგილას შეიძლება მოხდეს და განმარტავს, რომ ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, პატრიმონიული და არავერბალური/სიმბოლოების/ვიზუალის გამოყენებით[268] ასევე, მათ უმეტესობაში აღნიშნულია, რომ ქალთა მიმართ მოძალადეები არიან სახელმწიფო ან მისი აგენტები. მექსიკის 2007 წლის ზოგადი კანონი „ძალადობის გარეშე ქალების სიცოცხლის შესახებ“ კრძალავს „საზოგადოებრივ ძალადობას“, რომელიც მოიცავს იმ „ინდივიდუალურ ან კოლექტიურ აქტებს, რომლებიც ქალების ძირითად უფლებებს არღვევს და რაც იწვევს მათი სახელის

264 ALP, კანონი 243/2012. მუხლი 17.
265 ALRCR, 2013. მუხლი 32.
266 ეს მონაკვეთი ამოღებულია პუბლიკაციიდან Piscopo, 2016.
267 კონვენციის შემდეგ მხოლოდ დომინიკის რესპუბლიკამ ვერ მიიღო ახალი კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ და ვერც სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმირება ვერ განახორციელა. (იგივე.)
268 OAS, 2014. "Informe Hemisférico 2014."

შელახვას, დისკრიმინაციას, მარგინალიზებას და საჯარო სივრციდან გარიყვას.“[269] ელ სალვადორსა (2011 წელი) და პანამაში (2013 წელი) ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ მიღებული კანონები ცალსახად მიმართულია ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და ქალთა პოლიტიკურ უფლებებზე. სალვადორის კანონი კრძალავს „განათლების მიღების, პოლიტიკაში მონაწილეობის, დასაქმებულთა რიგებში შესვლის, ან ჯანდაცვის მოძიების პროცესებში ქალთა ჩართულობის დაბრკოლებას, შეზღუდვას, ან მათთვის წინააღმდეგობის შექმნას“. ასევე, კრძალავს ამ სივრცეებში ქალების „დაცინვას, მათ დისკრედიტაციას, დამცირებას, ან იზოლირებას“.[270] პანამის კანონში შედის violencia política, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფორმა და განმარტებულია, როგორც დისკრიმინაცია შესაძლებლობებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, რაც ასოცირებულია პარტიული, საჯარო ან არჩევითი თანამდებობის დაკავებასთან.[271]

რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის ფართო განმარტება, რომელიც წარმოდგენილია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ კანონებში, გვთავაზობს მოსაზრებას, რომ ქვეყნებს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევა ახალი კანონმდებლობის მიღების გარეშე შეუძლიათ. იმის აღიარება, რომ ძალადობა საჯარო სივრცეში და დასაქმების ადგილას ხდება, დაიცავს არა მხოლოდ ქალ კანდიდატებსა და არჩეულ ოფიციალურ პირებს, არამედ ქალ ამომრჩევლებსა და საჯარო მოხელეებს. ქალთა მიმართ ძალადობის ის ექსპანსიური განმარტებები, რომლებიც ასახავს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ თავდასხმებსა და სისტემატურ შევიწროებას საჯარო სფეროში, ქალი პოლიტიკოსების მდგომარეობის გამოსწორების საშუალებებს იძლევა.

2017 წლის მაისში მეხიკოს საკანონმდებლო ასამბლეამ „ძალადობის გარეშე სიცოცხლეზე ქალთა ხელმისაწვდომობის შესახებ“ ადგილობრივ კანონში[272] ცვლილებები შეიტანა. აღნიშნული ცვლილებების ფარგლებში, კანონს დაემატა გენდერული ნიშნით პოლიტიკური ძალადობის განმარტება და 19 სამართლებრივი დათქმა ქალთა მიმართ პოლიტიკური ძალადობის დასამტკიცებლად. მათი მიხედვით, პოლიტიკური ძალადობა მოიცავს იმ ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, რომლის მიზანი ან შედეგი ქალთა პოლიტიკური ან საარჩევნო უფლებების აღიარების, ხელმისაწვდომობის, სარგებლობის ან განხორციელების პროცესში მიკერძოება, დაბრკოლება, შეზღუდვა, შეჩერება, ხელის შეშლა, გაუქმება, ბარიერების წარმოქმნა, გარიყვა ან ზემოქმედებაა. ასევე, აღნიშნული ვრცელდება საჯარო სამსახურში დასაქმებული ქალების თანამდებობისა თუ ფუნქციების შესაბამისი მოვალეობების სრულად შესრულებაზე. აღნიშნული შესწორების მიზანია ქალთა პოლიტიკური უფლებების დაცვა და მხარდაჭერა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, საარჩევნო პროცესსა და მათ მიერ საჯარო თანამდებობების მოვალეობების შესრულებისას.[273]

### გ. საარჩევნო კანონმდებლობა

შესაძლოა, საარჩევნო კანონებმა არჩევნებში ძალადობასთან დაკავშირებით სა-

269 CGEUM, 2007. *Ley General de Acceso de las Mujeres a una Vida Libre de Violencia.* მუხლი 16.
270 Law 520/ALES, 2011. მუხლი 55.
271 LNRP, 2013. Ley 82. მუხლი 4.
272 ქალაქ მეხიკოს მთავრობა. ოფიციალური გაზეთი №112, გამოქვეყნებულია 2017 წლის 17 ივლისს.
273 იგივე.

მართლებრივი შეზღუდვები დააწესოს და საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის უსაფრთხოების მანდატები და უფლებამოსილებები დაადგინოს. ამგვარი კანონები ქმნის საფუძველს იმ საარჩევნო ქცევის კოდექსის შემოღებისთვის, რომელშიც შეთანხმებულია სიძულვილის ენისა და იმ სხვა ძალადობრივი აქტივობების პრევენცია, რომლებმაც შეიძლება, ძალადობა ან პოლარიზება წააქეზოს.[274] საარჩევნო კოდექსები შეიძლება დაკავშირებული იყოს სისხლის სამართლის ისეთ დებულებებთან, როგორებიც მაგალითად, პაკისტანში მოქმედებს. პაკისტანში დადგინდა, რომ სადამსჯელო აქტივობები ნებისმიერი იმ პირის მიმართ შეიძლება დაწესდეს, ვინც ქალს ხმის მიცემის შესაძლებლობას არ მისცემს.[275] ამას გარდა, ქალთა საარჩევნო უფლებები, კანდიდატურის წამოყენებისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება საარჩევნო კანონებშია განსაზღვრული. იმის მიუხედავად, რომ რეგისტრაციისა და კანდიდატურის კანონები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ წესებს პირდაპირ არ ადგენს, მათი დახმარებით თანაბარი პირობები იქმნება ქალი კანდიდატებისთვის, განსაკუთრებით კი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში. მაგალითად, იქ, სადაც ქალები თანამდებობის დასაკავებლად დაშინებას ან ძალადობრივ წინააღმდეგობას აწყდებიან, კანონით დადგენილი, კვოტირებული საარჩევნო სისტემები, რომლებიც ხელს ქალების არჩევას უწყობს, მათ შეიძლება საჯარო თანამდებობების დაკავებაში დაეხმაროს.

საარჩევნო კანონები ქმედითი შეიძლება ოჯახური ხმის მიცემის პრევენციისთვისაც იყოს. ამ საკითხთან დაკავშირებით მითითებებს სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტის სახელმძღვანელო იძლევა. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია აცხადებს, რომ „ხმის მიცემა ინდივიდუალური უნდა იყოს. ოჯახური ხმის მიცემა და ერთი ამომრჩევლის მხრიდან მეორე ამომრჩევლის არჩევანზე კონტროლის განხორციელების სხვა ნებისმიერი ფორმა აკრძალული უნდა იყოს.[276] IDEA საერთაშორისო *„სახელმძღვანელო წესები არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვისთვის“* რეკომენდაციას იძლევა, რომ „ოჯახური ხმის მიცემის პრაქტიკა – როდესაც ოჯახის უფროსი ოჯახის სხვა წევრების სახელით აძლევს ხმას – უნდა აღმოიფხვრას.“[277]

თუმცა, საარჩევნო ან სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილი ცვლილებები, როგორც წესი, მცირე მოცულობისაა. 2011 წელს ეკვადორის კონგრესმა არ მიიღო კანონმდებლობა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, თუმცა 2012 წლის საარჩევნო კოდექსით შემოიღო დებულება, რომელიც აცხადებს, რომ კანდიდატების, ან არჩეული ოფიციალური პირების მიმართ სისტემატური შევიწროება სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება.[278] ეკვადორის საარჩევნო კოდექსში შესული გენდერულად ნეიტრალური დებულება ლაკონიურად იყო ფორმულირებული: „ადამიანის მიმართ ზეწოლის, შევიწროების, მუქარის, ან რაიმე სხვა იძულებითი ქმედების სისტემატურად

274 K. Höglund and A.K. Jarstad, 2010. "Strategies to Prevent and Manage Electoral Violence: Considerations for Policy." In *Policy and Practice Brief: Knowledge for Durable Peace*, No. 1, Uppsala University.

275 UN Women Pakistan, 2016.

276 Council of Europe Venice Commission, 2002. *Code of Good Practice in Electoral Matters: Guidelines and Explanatory Report*. Strasbourg: Council of Europe.

277 International IDEA, 2002. International Electoral Standards: Guidelines for Reviewing the Legal Framework of Elections. Stockholm.

278 Piscopo, 2016.

განხორციელება, რომლის მიზანია შეზღუდოს, ან დააბრკოლოს მათი ხელმისაწვდომობა ხალხის მიერ არჩეულ თანამდებობებზე სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი იქნება.“[279]

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ამგვარი ცვლილებების ლაკონიურობის გამო, ისინი შეიძლება უფრო მარტივად იყოს მიღებული. ლათინურ ამერიკაში გენდერული კვოტების შესახებ კანონების დიდი უმეტესობა მიღებულია არა როგორც დამოუკიდებელი კანონები, არამედ, როგორც უფრო ფართო საარჩევნო რეფორმების ნაწილი. აღნიშნული სტრატეგია საზოგადოების ყურადღებას უფრო გლობალურ საკითხებზე მიაპყრობს, მაგალითად, არჩევნების ხარისხისა და სამართლიანობის ამაღლებაზე. არსებულ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანით შესაძლებელი გახდება, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა მთავარ მიმართულებად დაინერგოს. მაგალითად, მექსიკას საარჩევნო კოდექსში ცვლილებები ისეთი საარჩევნო პროპაგანდის აკრძალვის მიზნით შეაქვს, რომელიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას წააქეზებს. ამავდროულად, ეს ცვლილებები ჩაანაცვლებს 2007 წლის კანონს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, რათა მასში დამატებითი აკრძალვები შევიდეს (მაგალითად, ქალებისთვის სამსახურში გასვლის აკრძალვა საშვებულებო პერიოდების შემდეგ).[280]

დამოუკიდებელი კანონების მიღებასა და არსებულ კანონებში ცვლილების შეტანას შორის არჩევანი რამდენიმე კომპრომისს შეიცავს. სპეციალიზებული კანონები ფოკუსირებულია, რომ საზოგადოების ყურადღება სპეციფიკურ პრობლემაზე მიაპყროს. შესაძლოა, მათ პრობლემა უფრო სიღრმისეულად განიხილონ, რაც ქვეყნებს დაეხმარება, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით უფრო მეტი ტიპობრივი კანონი მოამზადონ.[281] მაგალითად, ბოლივიის დამოუკიდებელი კანონი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის 17 ცალკეულ ქმედებას მოიცავს და აერთიანებს როგორც გენდერული სტერეოტიპების თავსმოხვევას, ისე საქმიან შეხვედრებზე ქალებისთვის საუბრის აკრძალვას.

### საკანონმდებლო ცვლილებების შემოღება ლათინურ ამერიკაში[282]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და დასჯაზე მიმართული ძალისხმევები აქტიურად ხორციელდება. ქვეყნები დამოუკიდებელ კანონებს იღებენ, აფასებენ ცვლილებებს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ არსებულ კანონებში, საარჩევნო და სისხლის სამართლის კოდექსებში, შეიმუშავებენ პროტოკოლებს საკუთარი საარჩევნო ადმინისტრაციების მეშვეობით. 2012 წელს ბოლივიამ რეგიონში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სპეციალიზებული კანონი მიიღო პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. თუმცა, 243-ე კანონის აღსრულება არათანაბრად მიმდინარეობდა: 2016 წელს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ განახორციელა წესების გაწერის აუცილებელი პროცესი და საზოგადოებრივმა სამინისტრომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის არც ერთი საქმე არ განიხილა. ის ფაქტი, რომ ქალებს არ შეეძლოთ დაყრდნობოდნენ სისხლის სამართლებრივ გზებს, ზრდიდა რისკს, რომ ადმინისტრაციული მექანიზმების იურისდიქცია საარჩევნო ფარგლებს გასცდებოდა და სისხლის სამართლის წარმოებაში გადაიზრდებოდა. ამას გარდა, განხილული საქმეების მცირე რაოდენობა ხელს დაუსჯელობის დამკვიდრებას უწყობდა.[283]

279 ALE, 2012. Código de la Democracia. Article 285.
280 Piscopo, 2016.
281 Albaine, 2015.
282 ინფორმაცია მოწოდებულია ჯენიფერ პისკოპოს მიერ.
283 La República (Peru), 2016. “JNE atenderá actos de discriminación contra mujeres en elecciones.” 3 March.

ლათინურ ამერიკაში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევაზე მიმართულმა ყველა სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს ის დაკავშირებული გამოწვევები, რომლებიც სახელმწიფოს მცირე შესაძლებლობებიდან, ან დაუსჯელობიდან გამომდინარეობს. ბოლივიის 243-ე კანონი ამბიციურ დღის წესრიგს გვთავაზობს, მაგრამ, არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამო, მისი განხორციელება შეიძლება შეიზღუდოს. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევისთვის მუშაობა, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ამჟამად არსებული, ან შესწორებული კანონების მიხედვით, შესაძლებლობას შეუქმნის ლათინური ამერიკის ქვეყნებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად უკვე არსებული სისხლის სამართლებრივი, ან ადმინისტრაციული პროცედურებით ისარგებლონ. იმის მიუხედავად, რომ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ კანონები არასათანადოდ ხორციელდება, ბევრი რეგულაცია, სერვისები და პროგრამები უკვე არსებობს (მაგ. სპეციალიზებული სასამართლოები, გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგი). საარჩევნო ადმინისტრაციის პროტოკოლები არსებულ პროცედურებს ეფუძნება, რადგანაც საარჩევნო უწყებები უკვე ამუშავებენ და განიხილავენ საქმეებს კვოტებსა და პარიტეტის კანონებთან დაკავშირებით. იქ, სადაც ახალი კანონმდებლობა ჩიხში შევიდა, აქტივისტებსა და პოლიტიკის შემმუშავებელ პირებს მაინც აქვთ ინსტრუმენტები, რომ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას დაუპირისპირდნენ.

## 3.3. კანონების განხორციელება

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობისგან დაცვისა და ამგვარი ქმედების დასჯისთვის საჭირო პოლიტიკის შემმუშავებელ პირებს სხვადასხვა საკანონმდებლო არჩევანი აქვთ. კანონები და ინიციატივები, განსაკუთრებით კი ლათინური ამერიკიდან, გვთავაზობს პრეცედენტებსა და მაგალითებს, რომლებიც შეიძლება სხვა ქვეყნებმა გამოიყენონ. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული ნორმატიული ჩარჩო შემუშავებულია, საკანონმდებლო გარემო ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სუსტია. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ასევე, კანონმდებლების მგრძნობელობის ამაღლება, თუ რამდენად საჭიროა საკანონმდებლო დაცვა, მიზნობრივი კანონმდებლობის შემუშავების შემდგომ ბარიერებს წარმოადგენს. ამგვარად, მართლმსაჯულების რეფორმები და კანონების საფუძვლიანი განხორციელება ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, რათა მათ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეფორმებში სამომავლო წვლილი შეიტანონ. ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის *„დეკლარაცია ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროებისა და ძალადობის შესახებ“* (2016) მოიცავს რეკომენდაციას რეგულაციებისა და მექანიზმების მიღებაზე პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის. იგი „ამგვარი ქმედების სათანადო დასჯისა და კომპენსაციის შესაძლებლობას ქმნის ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, საარჩევნო ნორმების სფეროში, შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების გათვალისწინებით.“[284]

284 MESECVI, 2015. გვ. 8-9.

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პროგრამები პოლიტიკის განხორციელების აუცილებელი კომპონენტია. საქმის განმხილველი ქალების არსებობა, გენდერული მგრძნობელობა საქმის განმხილველ ორგანოში, ოფიციალური გასაჩივრების პროცესზე ხელმისაწვდომობა და კანონების აღსრულება – ეს ყველაფერი საარჩევნო მართლმსაჯულების ასპექტებს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია, რათა არჩევნებში ქალთა მიმართ მოძალადე პირებმა პასუხი აგონ და ასევე მომსახურება მიეწოდოს იმ ქალებს, რომლებმაც არჩევნებში ძალადობა განიცადეს.[285]

განხორციელების უზრუნველყოფა და მართლმსაჯულების აღსრულება შეიძლება შემდეგი ფაქტორების მიერ შეფერხდეს ან ვერ მოხერხდეს:

- იმ სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა, რომელიც ოფიციალურად აღიარებს და კანონით აწესრიგებს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას;
- იმ სამთავრობო უწყების არარსებობა, რომელსაც სანქციების აღსრულების უფლებამოსილება ან პოლიტიკური ნება ექნებოდა;
- მოძალადეების დაუსჯელობის კულტურა, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს დამნაშავეების დევნის ნაკლებობით ან/და დაზარალებულებისთვის კომპენსაციის არარსებობით;
- გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგებისა და ქალი თანამშრომლების ნაკლებობა პოლიციასა და მართლმსაჯულების სისტემაში;
- სასამართლოს ან პოლიციის ჩამორჩენა საკანონმდებლო რეფორმების შემოღების შემდეგ, რის გამოც აღსრულება სუსტია, ან საერთოდ არ ხდება;
- საქმეების განმხილველი ორგანოს ნაკლები მგრძნობელობა. შედეგად, ქალებმა, სირცხვილის, შიშის ან სოციალური მიუღებლობის გამო, შეიძლება შემთხვევების შესახებ ოფიციალურად არ განაცხადონ;
- შესაძლოა, ქალებმა არ იცოდნენ საკუთარი უფლებების, ან გასაჩივრების მექანიზმების, ან იმ ფაქტის შესახებ, რომ მათთვის სასამართლო სისტემები ხელმისაწვდომია.

ასევე, პოლიტიკასა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებულ კანონმდებლობას მხარს უნდა უჭერდეს მკაფიო ეროვნული სამოქმედო გეგმები და განხორციელების სხვა ინსტრუმენტები. ლათინურ ამერიკაში ქალი პარლამენტარების პარლამერიკას (ParlAmericas) ჯგუფმა 2014 წელს შეიმუშავა *„ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის მექანიზმი – სამოქმედო გეგმა პარლამენტარებისთვის“*, რომელიც რეკომენდაციებს აწვდის წევრ ქვეყნებს სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებით, მათ შორის:

- სანქციების გამოყენება და მართლმსაჯულების სექტორის კოორდინირებული რეაგირებები;
- კონკრეტული კანონმდებლობის შემუშავება საერთაშორისო და რეგიონული ვალდებულებების საფუძველზე (მაგალითად, CEDAW, ბელემდოპარას კონვენცია) და მათი განხორციელების მექანიზმები;
- სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული ერთობლივი საშუალებების უზრუნველყოფა პოლიტიკური შევიწროების/ძალადობის შესახებ საჩივრების მიღებისთვის, მათი გამოძიებისა და რეაგირებისთვის, ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად (მაგალითად,

285 La República (Peru), 2016. "JNE atenderá actos de discriminación contra mujeres en elecciones." 3 March.

ომბუდსმენის ოფისის, ან მსგავსი სამსახურის მეშვეობით);

- უსაფრთხო და სწორხაზოვანი პროცესების პრიორიტეტებად დასახვა იმ პირებისთვის, რომლებმაც ძალადობა განიცადეს და ოფიციალური საჩივრის წარდგენას გადაწყვეტენ.

## ბოლივიის 243-ე კანონის განხორციელება

ბოლივიის კანონმდებლობა პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ 243-ე კანონის აღსრულების სრულ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი საკითხების სამინისტროს აკისრებს, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილება აქვს. დაზარალებულებს შეუძლიათ, რომ სამართალდამცავ ორგანოებს პირდაპირ მიმართონ, ან ის ადმინისტრაციული გზა აირჩიონ, რომელიც იმ სახელმწიფო დაწესებულების უწყებებს მიმართავს, სადაც სამართალდარღვევა მოხდა.[286] მაგალითად, მუნიციპალური საბჭოს წევრმა ქალებმა შეიძლება ჯერ საჩივარი საბჭოს ლიდერებთან შეიტანონ. 243-ე კანონი ყველა სახელმწიფო დაწესებულებას მითითებას აძლევს, რომ მათ საკუთარი ადმინისტრაციული არხები შეიმუშაონ იმ საჩივარზე რეაგირებისთვის, რომელიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას ეხება. საზოგადოებრივ საკითხთა სამინისტრო იღებს იმ ყველა საჩივარს, რომელიც პირდაპირ სამართალდამცავ უწყებაში შეიტანეს და ზედამხედველობს გასაჩივრებას ადმინისტრაციული მექანიზმებით. ამას გარდა, ბოლივიური კანონი შესაძლებლობებს უქმნის დაზარალებულებს, რომ მათ გვერდი აუარონ საზოგადოებრივ საკითხთა სამინისტროს და საქმე პირდაპირ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანონ. ლათინური ამერიკის ყველა სხვა ქვეყანაში არსებული კანონპროექტები უპირველეს პასუხისმგებლობას სამინისტროებსა და დაკავშირებულ სამართალდამცავ ორგანოებს ანიჭებს, თუმცა ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო არხები უნიკალურია და მხოლოდ ბოლივიაში არსებობს.[287]

243-ე კანონი საარჩევნო ადმინისტრაციას ორ კონკრეტულ ფუნქციას ანიჭებს და ზიანის ასანაზღაურებლად დამატებით სამართლებრივ საშუალებას ქმნის. გადადგომის მოთხოვნები საარჩევნო დაწესებულებას უნდა წარედგინოს. დაწესებულებას შეუძლია „განსაზღვროს საჯარო პოლიტიკა და კულტურათაშორისი სტრატეგიები გენდერული თანასწორობის საკითხებში დემოკრატიული განათლებისთვის, რაც ყველა ადამიანის, განსაკუთრებით კი ქალების, პოლიტიკური უფლებების, ძირითადად ქალებსა და კაცებს შორის თანაბარი შესაძლებლობების გარანტიას იძლევა.[288] მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა საარჩევნო ადმინისტრაციას საჩივრების მიღებას ან განხილვას არ ავალდებულებს, იგი ამ როლს მაინც ითავსებს: 2010-2014 წლებში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ის საქმე, რომელზეც გადაწყვეტილება იქნა მიღებული (272-დან 13, ანუ 4.7%), მუნიციპალურ საბჭოებში ადმინისტრაციული არხებით იყო განხილული და შეფასებას საარჩევნო ინსტიტუტი ახორციელებდა.[289] საარჩევნო ადმინისტრაციების საქმეების განხილვაში დასახმარებლად გამოყენება საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მართლმსაჯულების სამინისტროები და სამართალდამცავი უწყებები 243-ე კანონის აღსრულებისთვის ჯერ არ არიან მზად.

---

286 Piscopo, 2016.
287 იქვე.
288 ALP/ კანონი 243, 2012. მუხლი 10.
289 La Razón (Bolivia), 2015. “Sólo 13 casos de acoso político se resolvieron en cinco años,” 4 January; ACOBOL, 2014. Concejala, No. 7, December.

რეფორმირებული კანონმდებლობის შინაარსის გასაგებად აუცილებელია, სასამართლოს და უსაფრთხოების სექტორის თანამშრომლების გადამზადება. საჭიროა, ადეკვატური ფინანსური რესურსების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რათა დროულად განხორციელდეს რეფორმები და დაწესდეს შესაფერისი სასჯელები შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევისთვის.

## სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა და ადვოკატირება კანონმდებლობის დაცვის მიზნით

ლათინურ ამერიკაში ნორმატიული ჩარჩოს და ეროვნული კანონმდებლობის განხორციელების ადვოკატირებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, თუ რა ღონისძიებებს მიმართეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ამ რეგიონში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და შემსუბუქებისთვის.

ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ადგილობრივ თვითმმართველობებში თანამდებობებზე არჩეული ქალების ქსელი *[La Red Latinoamericana y del Caribe de Mujeres Autoridades Electas de Gobiernos Locales (RedLamugol)]*, რომელიც 2008 წელს შეიქმნა, ერთ-ერთი ორგანიზაციაა, რომელიც აქტიურად მუშაობს კიტოს კონსენსუსის ეფექტიანად განხორციელებისთვის. „რედლამუგოლის“ ერთ-ერთი პრიორიტეტი – ადვოკატირება „რომის კანონმდებლობის“ მიხედვით, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობაში თანამდებობებზე არჩეული ქალების მიმართ შევიწროებასა და პოლიტიკურ ძალადობას გმობს, გადმოტანილი უნდა ყოფილიყო საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში.[290]

აკობოლი, Asociación de Concejalas de Bolivia (ACOBOL), ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ბოლივიის 243-ე კანონით გათვალისწინებული პოლიტიკური ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასა და შემდგომ ზედამხედველობას ახორციელებს. ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა პროტოკოლის შემუშავების პროცესში, რომელიც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ანგარიშების მიღებას, გამოძიებასა და მათზე რეაგირებას აწესრიგებს. მაგალითად, „აკობოლის“ კვლევით გამოვლინდა, რომ 243-ე კანონის მიღების მიუხედავად, 2014 წელს 170 მუნიციპალიტეტში საბჭოს წევრების მიმართ ძალადობის შესახებ 272 საჩივარი შევიდა.[291] ამას გარდა, აკობოლი 2004 წლიდან „პოლიტიკური უფლებები ქალებისთვის“ სამოქმედო კომიტეტის წევრია.

ორგანიზაციამ Asociación de Mujeres Municipalistas del Ecuador „აკობოლის“ მაგალითი გამოიყენა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა დაგმო, რისთვისაც პოლიტიკასა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეკვადორის მიერ შემოთავაზებულ კანონმდებლობას მხარი დაუჭირა.[292]

---

290 RedLamugol შედგება ასოციაციებისგან 11 ქვეყნიდან: ბოლივია, ეკვადორი, კოლუმბია, პერუ, ელ სალვადორი, გვატემალა, კოსტა რიკა, ჰონდურასი, დომინიკის რესპუბლიკა, პარაგვაი და არგენტინა.

291 ECLAC, 2016a. გვ 125.

292 ACOBOL. "Asociación de Mujeres Municipalistas del Ecuador (AMUME)."

კენიაში დიდი დრო დასჭირდა რეპარაციასა და დამნაშავეთა დევნას 2007-2008 წლებში არჩევნების დროს მომხდარი ძალადობის შემდეგ, რაც „არჩევნების შემდგომ პერიოდში ძალადობის მოკვლევის კომისიისა“ და „სიმართლის, მართლმსაჯულებისა და შერიგების საბჭოს“ (TJRC) ჩამოყალიბებით დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ მთავრობამ იძულებით გადაადგილებულ პირებს 2008 წლის შემდეგ გარკვეული მხარდაჭერა გაუწია და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების კომპენსაციისა თუ მხარდაჭერისთვის რამდენიმე ძალისხმევა განხორციელდა, მსხვერპლთა უმეტესობა ქალია. 2012 წელს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშიდან გამოვლინდა, რომ არჩევნებთან დაკავშირებული სექსუალური დანაშაულების გამო მხოლოდ 23 მოძალადეს მიუსაჯეს. 2015 წელს იმ კენიელ ქალებს, რომელთა მიმართაც არჩევნების დროს ძალადობა განხორციელდა, იმედი გაუჩნდათ, რომ მართლმსაჯულების აღსრულებისკენ მიმართული ძალისხმევები უფრო გაძლიერდებოდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა უჰურუ კენიატამ პირობა დადო, რომ აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის 10 მილიარდ კენიურ შილინგს გამოყოფდა. აღნიშნული განცხადება TJRC-ის დასკვნების შედეგად გაკეთდა, რომლებშიც გამოვლინდა, რომ ბევრი დაზარალებული, განსაკუთრებით კი სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი, წინა რეპარაციების დროს იგნორირებული იყო.[293]

## 3.4. საარჩევნო ადმინისტრაციის პროტოკოლები პრევენციისა და აღსრულებისთვის

საარჩევნო ადმინისტრაციამ (და საარჩევნო ტრიბუნალებმა) პრევენციისა და აღსრულების ფუნქციის შესრულება დაიწყო. საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიძლება თავისი უფლებამოსილება პარტიული პრაქტიკისა და საარჩევნო პროცესების მიღმა ქმედებების განსახორციელებლად გამოიყენოს. ამგვარი მიდგომის მაგალითია მექსიკა. ეროვნულმა საარჩევნო ინსტიტუტმა (მექსიკის საარჩევნო ადმინისტრაცია), ფედერალურმა საარჩევნო ტრიბუნალმა, ფედერალურმა პროკურატურამ საარჩევნო დანაშაულებისთვის, ქალთა ეროვნულმა ინსტიტუტმა და სხვა სახელმწიფო უწყებებმა ერთმანეთთან კოორდინაციით 2016 წელს „პროტოკოლი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ“ გამოსცეს.[294] 81-გვერდიანი დოკუმენტი განსაზღვრავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც გენდერულ ნიადაგზე განხორციელებულ ქმედებას მაშინ, როცა ქალი საკუთარ პოლიტიკურ-საარჩევნო უფლებებს ახორციელებს და რომლის მიზანიც ქალებისთვის მათი უფლებების, ან მათი თანამდებობრივი მოვალეობების განხორციელების ხელის შეშლა, ან გაუქმებაა.[295] დოკუმენტში გაწერილია მსხვერპლთა უფლებები და დადგენილია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების პასუხისმგებლობები: მაგალითად, ეროვნულმა საარჩევნო ინსტიტუტმა უნდა ჩაატაროს საგანმანათლებლო კამპანიები, მოიპოვოს და გამოაქვეყნოს მონაცემები, უზრუნველყოს, რომ პარტიის დოკუმენტები და პრაქტიკა ხელს არ უწყობდეს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას. ასევე, იგი ზედამხედველობას უწევს პარტიის დაფინანსების სამართლიან გადანაწილებას. ფედერალურ საარჩევნო ტრიბუნალსა და საარჩევნო დანაშაულების განმხილველ ფედერალურ პროკურატურას შეუძლიათ

---

293 HRW, 2016. “Summary.” In ‘*I Just Sit and Wait to Die*’: *Reparations for Survivors of Kenya’s* 2007-2008 *Post-Election Sexual Violence*. Report, 15 February

294 Piscopo, 2016.

295 INE et al., 2016. “Protocolo para Atender la Violencia Política hacia las Mujeres.” გვ. 21.

მოისმინონ და განიხილონ საქმეები, გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნონ ნებისმიერი ის საქმე, რომელიც მათ კომპეტენციას სცდება.[296]

მექსიკის პროტოკოლი ლათინურ ამერიკაში ყველაზე ყოვლისმომცველია, თუმცა გარკვეული ქმედებები სხვა საარჩევნო ადმინისტრაციებმაც განახორციელეს. 2013 წელს ელ სალვადორში უზენაესმა საარჩევნო ტრიბუნალმა გამოსცა „სახელმძღვანელო თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობისთვის საარჩევნო კამპანიების დროს", რომელიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზეა ფოკუსირებული. სახელმძღვანელო მოიცავს ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და არავერბალურ / სიმბოლურ / ვიზუალური მასალის გამოყენებით ძალადობასთან დაკავშირებულ პრაქტიკებს. მაგალითად, კაცი და ქალი კანდიდატებისთვის ინტერვიუს თანაბრად მიცემის შესაძლებლობის უზრუნველყოფას, ასევე, ქალებსა და კაცებს შორის ვალდებულებების გადანაწილებისას გენდერული სტერეოტიპების თავიდან აცილებას. 2016 წელს, პერუში გამართული არჩევნების დროს, ეროვნულმა საარჩევნო საბჭომ თავის „აქტივისტ-კოორდინატორებს", რომლებიც ქვეყნის მასშტაბით მუშაობენ, სთხოვა, რომ, სასამართლოში შესაძლო განხილვის მიზნით, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ შეეტყობინებინათ.[297]

მას შემდეგ, რაც ევროპაში ოჯახური ხმის მიცემა პრობლემად აღიარეს, მაკედონიაში სახელმწიფო საარჩევნო კომიტეტმა (SEC) მუნიციპალური საარჩევნო კომისიებისა (MEC) და საარჩევნო საბჭოების (EB) მუშაობისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელო გამოსცა, რომელშიც მოცემული იყო მკაცრი მითითება ოჯახური, ან წარმომადგენლის მეშვეობით ხმის მიცემის პრევენციისთვის. სახელმწიფო საარჩევნო კომიტეტმა მუნიციპალური საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო საბჭოების წარმომადგენლებისთვის დამატებითი ტრენინგი გამართა.[298]

ყველა შემთხვევაში საარჩევნო ინსტიტუტებში წარდგენილი საჩივრების შეტყობინებისა და განხილვისთვის პროცედურების დადგენა მნიშვნელოვანია. ლათინური ამერიკის ქვეყნებში საარჩევნო ადმინისტრაციების გამოყენება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და დასჯისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიაა. აღნიშნულ ინსტიტუტებს აქვთ პარტიის ქცევისა და საარჩევნო პროცესების მიმართ იურისდიქცია. საარჩევნო ადმინისტრაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გენდერულკვოტის შესახებ კანონების განხორციელებასა და აღსრულებაში. ქალი აქტივისტების ქსელებს, როგორებიცაა ალკობოლი (ACOBOL) ბოლივიაში და Mujeres en Plural მექსიკაში, მჭიდრო ურთიერთობები აქვთ არჩევნების მარეგულირებელ პირებთან, რაც აქტივისტებისთვის აღნიშნულ ინსტიტუტებზე ხელმისაწვდომობას უწყობს ხელს. კანდიდატების მოხსნის და პარტიის ლიდერების თუ წევრების მიმართ სანქციებისა და წესების უფლებამოსილება საარჩევნო ადმინისტრაციებს აქვთ. თუმცა, საარჩევნო ადმინისტრაციებს არ შეუძლიათ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებში სანქციების დაწესება, თუ მოძალადეები პოლიტიკური პარტიის წევრები არ არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები არ შეიძლება

296 Piscopo, 2016.
297 La República (Peru), 2016, ციტატა მოყვანილია პუბლიკაციაში Piscopo, 2016.
298 iKNOW Politics, 2009. "Consolidated Response on the Prevention of Family Voting."




*მკვიდრი ქალები მექსიკიდან არჩევნების მმართველ ორგანოში*

წარმოადგენდნენ ერთადერთ სახელმწიფო უწყებებს, რომლებსაც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების განხილვის უფლებამოსილება გააჩნიათ.[299]

## 3.5. ქცევის კოდექსების გამყარება კანონმდებლობით

ხშირად არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი შემთხვევა პოლიტიკური პარტიების თანამდებობის პირების, კანდიდატებისა და მხარდამჭერების მიერაა ჩადენილი. კანონმდებლობით გამყარებული ქცევის კოდექსები შეიძლება შეეხოს არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა მხარეს, რომელთა შორის არიან პოლიტიკური პარტიები, დამოუკიდებელი კანდიდატები, კოალიციები და მოძრაობები, ასევე, მასმედიის წევრები, რათა აიკრძალოს ძალადობის გამომწვევი ქცევები. პოლიტიკურ პარტიებში ქცევის კოდექსების დამკვიდრების მიზანი პარტიის ლიდერების, ოფიციალური პირების, კანდიდატების, წევრების, აქტივისტებისა და სხვა წარმომადგენლების ქცევების რეგულირებაა. „აღნიშნული კოდექსების პირობები შეიძლება სამართლებრივად დადგინდეს, სავალდებულო იყოს და სამართლებრივი სანქციების მეშვეობით აღსრულდეს."[300] ქცევის კოდექსები ნაკლებად იყო ხოლმე გამოყენებული ქალების პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების მხარდაჭერის, ასევე, ძალადობისგან დაცვისთვის. თუმცა, ეუთომ ბოსნია და ჰერცეგოვინასა (1996) და კოსოვოში (2000) გარკვეული საერთაშორისო პრეცედენტი შექმნა, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ძალისხმევა განახორციელა პარტიის კოდექსის რეფორმირების მხარდაჭერისთვის ერაყში (2004), ავღანეთსა (2005) და სიერა ლეონეში (2007).

299 Piscopo, 2016
300 პუნქტი ადაპტირებულია პუბლიკაციიდან UNDP, 2012.

## დებულებები საარჩევნო ქცევის კოდექსში

ნიგერიაში 2013 წელს მიღებული ქცევის კოდექსი აღნიშნავს: „არცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა მიმართოს რაიმე სახის ძალადობრივ ქმედებას, როგორც საკუთარი ძალის დემონსტრირების საშუალებას. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ საჯაროდ უნდა დაგმოს ნებისმიერი ფორმის პოლიტიკური ძალადობა" (მუხლი 6). ამას გარდა, მე-9 მუხლში აღნიშნულია, რომ: „ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო პროცესებში ქალების, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა. შესაბამისად, ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ:

ა. უნდა დაიცვას ქალების, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები, რომ მათ თავისუფლად შეძლონ კომუნიკაცია პარტიებსა და კანდიდატებთან;

ბ. ხელი შეუწყონ ქალების, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სრულ და თანასწორ მონაწილეობას პოლიტიკურ აქტივობებში;

გ. უზრუნველყონ ქალების, ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თავისუფალი წვდომა ყველა საჯარო პოლიტიკურ შეხვედრაზე, მსვლელობებში, დემონსტრაციებში, აქციებსა და სხვა საჯარო პოლიტიკურ ღონისძიებებში;

დ. გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა უზრუნველყონ, რომ ქალებს, ახალგაზრდებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს თავისუფლად შეეძლოთ პოლიტიკურ აქტივობებში ჩართვა."[301]

ნეპალში ქცევის კოდექსი დაყოფილია რეგულაციებად, რომლებიც არჩევნებში მონაწილე მხარეების ოთხ კატეგორიას ეხება:[302] 1) კანდიდატებს, პოლიტიკურ პარტიებსა და იმ სხვა „დაინტერესებულ პირებს", როგორებიცაა კამპანიის წევრი ან პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი; 2) ნეპალის ცენტრალური თუ ადგილობრივი მთავრობა და საჯარო უწყებები; 3) სამთავრობო / საჯარო სექტორის თანამშრომლები და 4) მასმედია, არასამთავრობო ორგანიზაციები და არჩევნებზე დამკვირვებლები. ამგვარად, არჩევნებში ქალებთან დაკავშირებული წესები, სხვადასხვა კატეგორიიდან გამომდინარე, ასე ჩამოყალიბდა:

- პირველი კატეგორიის წევრებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ღონისძიებაში, რომელიც „წააქეზებს სიძულვილს ან მტრობას ... სქესებს... შორის" (მუხლი 4).
- მასმედიის წარმომადგენლებს ევალებათ, რომ ინფორმაცია „მიუკერძოებლად" გაავრცელონ, „თანაბარი შესაძლებლობები შეუქმნან პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს", არ დაარღვიონ „ჰარმონია და ურთიერთობა სხვადასხვა ... სქესს შორის" (მუხლი 14).
- დამკვირვებლებს ეძლევათ მითითება, რომ პატივი სცენ „სხვადასხვა... სქესის... წარმომადგენლებს" და მიუკერძოებელნი დარჩნენ საარჩევნო პროცესის განმავლობაში (მუხლი 16).

ჩადიში ქცევის კოდექსის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ ხელმომწერებს ეკრძალებათ ძალადობის ყველა ფორმის გამოყენება და ევალებათ, რომ დაუყოვნებლივ და საჯაროდ დაგმონ ძალადობისა და დაშინების ნებისმიერი გამოვლინება. ისინი ვალდებულებას იღებენ, რომ არ ჰყავდეთ, არ დააფინანსონ და არ გამოიყენონ შეიარაღებული დაჯგუფებები, თვითნებური დაცვისა და გასამხედროებული ჯგუფები საკუთარი დაცვის მიზნით, არ დააშინონ, ან არ ჩაიდინონ ძალადობისა და შევიწროების აქტები, არ მოახდინონ ძალის დემონსტრირება და არ გამოავლინონ სხვების მიმართ თავიანთი უპირატესობა.

301 INEC, 2013. "Political Parties Code of Conduct."
302 ნეპალის საარჩევნო კომისია, 2015. "Election Code of Conduct."

ისინი ვალდებულებას იღებენ, რომ მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში თავშე-კავებულები იქნებიან მოხსენებებში, წერილობით პუბლიკაციებში, მიდგომებსა და ქცევებში. ისინი უარს ამბობენ წამქეზებელი და შეურაცხმყოფელი კომენტარების გამოყენებაზე, რომლებიც „ძალადობას, ან რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ან გენდერულ სიძულვილს გამოიწვევს."[303]

სამხრეთ აფრიკის საარჩევნო ქცევის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი კონკრეტულად ადგენს, რომ აკრძალულია გენდერული დისკრიმინაცია პარტიებისა და კანდიდატების მიერ. მოცემულია დირექტივები ქალების აქტიური ჩართულობისთვის და ამ მიზნით გაცხადებულია: „პარტიებმა და კანდიდატებმა პატივი უნდა სცენ ქალების უფლებებს, თავისუფლად შეძლონ კომუნიკაცია პარტიებსა და კანდიდატებთან, ხელი შეუწყონ მათ სრულ და თანასწორ მონაწილეობას პოლიტიკურ აქტივობებში, უზრუნველყონ ქალების თავისუფალი დასწრება ყველა საჯარო პოლიტიკურ ღონისძიებაზე და ყველა გონივრული ნაბიჯი გადადგან, რათა ქალებმა თავისუფლად შეძლონ ნებისმიერ პოლიტიკურ აქტივობაში ჩართვა."[304]

## არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემამსუბუქებელი საკანონმდებლო ინიციატივების შეჯამება:

| წინასაარჩევნო პერიოდი | არჩევნების პერიოდი | არჩევნების შემდგომი პერიოდი |
| --- | --- | --- |
| • კანონებისა და პოლიტის მიღება, რომლებიც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას განსაზღვრავს და მისგან დაცვას ითვალისწინებს<br>• ქალთა მიმართ ძალადობის არსებული კანონმდებლობის ადაპტაცია, ან სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა, რათა ცალსახად გაიმიჯნოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა და უზრუნველყოფილი იყოს მისგან დაცვის მექანიზმები<br>• საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ მიღებული პროტოკოლები და რეგულაციები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის საარჩევნო პროცესში<br>• არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიის ქცევის კოდექსები ითვალისწინებს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას<br>• გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგების უზრუნველყოფა საქმის განმხილველი პირებისთვის, მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის და ა.შ. ვინც შეიძლება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები განიხილოს | • საარჩევნო მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ქალებისთვის და მართლმსაჯულების აღსრულება მსხვერპლებისთვის, ასევე, მოძალადეების წინააღმდეგ დევნა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების უსაფრთხოდ / კონფიდენციალურად შეტყობინების მეთოდების დადგენა | • არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არსებული კანონებისა და პოლიტიკების განხორციელების უზრუნველყოფა<br>• კანონებისა და პოლიტიკების გადასინჯვა, საჭიროების მიხედვით მათში შესწორების შეტანის მიზნით<br>• საარჩევნო დავების განხილვა, სადაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა ფიგურირებს<br>• პოლიტიკაში ქალთა მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევის საქმეებში დევნის განხორციელება<br>• მსხვერპლების დახმარების ახალი რესურსების ადაპტაცია და ინტეგრირება ქალთა მიმართ ძალადობისთვის არსებულ სერვისებში |

303 *Chad Electoral Code of Conduct*, 2011. Available at https://www.eisa.org.za/pdf/chad2011code.pdf
304 ციტირებულია პუბლიკაციიდან UNDP, 2012.

# ღონისძიება № 4:
# არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და შემცირება საარჩევნო მექანიზმების გამოყენებით

არჩევნების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროცედურებს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. არჩევნების მართვასთან დაკავშირებით მთავარი მოქმედი პირი საარჩევნო ადმინისტრაციაა, რომელიც შეიძლება დამოუკიდებელი უწყება, ან სახელმწიფო ადმინისტრაციის ერთ-ერთი შტო (როგორიცაა შინაგან საქმეთა სამინისტრო ან იუსტიციის დეპარტამენტი) იყოს, ან შერეულ მოდელს წარმოადგენდეს. საარჩევნო ადმინისტრაციები ყველაზე მნიშვნელოვან მოქმედ მხარეებს წარმოადგენენ არჩევნების დამაჯერებლობისა და უსაფრთხოების განსაზღვრაში, რადგანაც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის კონტექსტს მათი გადაწყვეტილებები ქმნის. მაგალითად, პროცედურებმა, რომლებსაც ისინი კანდიდატის რეგისტრაციისთვის ადგენენ, შეიძლება შექმნას გარემო ასპირანტი ან კანდიდატი ქალებისთვის დამატებითი დაბრკოლებების შესაქმნელად. ტრენინგსა და ხელმძღვანელობას, რომლებსაც ისინი საარჩევნო უბნის თანამშრომლებსა და უსაფრთხოების სამსახურებს უწევენ, შეუძლიათ მოწყვლადი ჯგუფების კონკრეტული საფრთხეებისგან დაცვა, ან ამომრჩევლებისთვის უსაფრთხოებისა და მანიპულირების კლიმატის გაღრმავება.[305]

თუმცა, საარჩევნო ადმინისტრაციის როლი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და შემცირებაში, დროისა (საარჩევნო ციკლის ყველა ფაზის განმავლობაში) და მასშტაბის (მოიცავს ქვეყნის ტერიტორიასა და საარჩევნო უბნებზე მომუშავე ასობით ათას თანამშრომელს) ფაქტორებიდან გამომდინარე, მაინც გამოწვევებს უკავშირდება. განსაკუთრებით კომპლექსური შეიძლება იყოს პერსონალის განათლება ორგანიზაციის ყველა დონეზე, რათა მათ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის განსხვავებული გამოვლინება და ფორმები ამოიცნონ. ორგანიზაციის ადმინისტრაციული მოდელისა და ზომის მიუხედავად, საარჩევნო ადმინისტრაციამ გამორჩეული როლი უნდა ითამაშოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაში, რისთვისაც მისთვის ცნობილი უნდა იყოს გენდერულად სპეციფიკური საფრთხეები საარჩევნო ჩართულობის ყველა სფეროში და პროაქტიულად უნდა მოახდინოს მათზე რეაგირება.

*OAS-ის დეკლარაცია ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ* (2016) მოიცავს სამოქმედო მიზანს, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციებზეა მიმართული, რათა „საარჩევნო ინსტიტუტებმა და სხვა საჯარო უწყებებმა ... [არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის] საკითხები გაითვალისწინონ როგორც საკუთარი ფუნქციების ფარგლებში, რაც არჩევნების ორგანიზებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ-საარჩევნო უფლებების დაცვასა

305 UNDP/UN Women, 2015.

და სამოქალაქო განათლების პოლიტიკის შემუშავებას უკავშირდება, ისე პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობაში.“ [306]

არსებობს ბევრი სფერო, სადაც საარჩევნო საკითხების სწორმა ორგანიზებამ შეიძლება ქალები არჩევნებში ძალადობისგან დაიცვას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიებში შედის:

- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის რისკის შეფასება და რუკაზე გამოსახვა;
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გათვალისწინება ამომრჩევლისა და კანდიდატის რეგისტრაციის პროცედურებში;
- ქალების დაცვა პოლიტიკური კამპანიის პერიოდში;
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის ჩართვა ტრენინგსა და მოსახლეობასთან კომუნიკაციაში;
- კენჭისყრის დღეს უსაფრთხოებისთვის მიღებულ ზომებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გათვალისწინება;
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების ჩართვა არჩევნების შემდგომ ანალიზსა და ანგარიშებში.

## 4.1. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის რისკების შეფასება და რუკაზე გამოსახვა

როგორც პირველ სამოქმედო მიზანში იყო განხილული, შესაძლოა, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის საჭირო გახდეს პრობლემური სფეროების რუკაზე გამოსახვა, ან შეფასება მათი გამოვლენის, სათანადო შემცირებისა და მონიტორინგის მექანიზმების შესამუშავებლად. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები შეიძლება არჩევნების ზოგადი უსაფრთხოების შეფასებებში ძირითად თემებად შევიდეს, ან შესაძლოა, საჭირო გახდეს სხვებთან კოორდინაცია. მაგალითად, საარჩევნო ადმინისტრაციებმა, რისკის შეფასების მასშტაბის გაფართოების მიზნით, შესაძლოა, გამოიყენონ პარტნიორობები საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მაგალითად, IDEA-მ რამდენიმე ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციასთან ითანამშრომლა, რომელთა შორის იყო ბოსნია და ჰერცეგოვინა, კენია, ნეპალი და ნიგერია *არჩევნებზე რისკის მართვის ინსტრუმენტთან* (ERM) დაკავშირებით. საარჩევნო ადმინისტრაციებმა ეს ინსტრუმენტი არჩევნებზე ძალადობის პრევენციის სტრატეგიაში ჩართეს. „არჩევნებზე რისკის მართვის ინსტრუმენტის“ მიზანია შესაძლებლობების ამაღლება, არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის შემთხვევების გაგება, ანალიზი, პრევენცია და შემცირება, რითაც საარჩევნო ადმინისტრაციას და სხვა ორგანოებს საჭიროების მიხედვით რეაგირების შესაძლებლობა ექმნებათ.[307] ამგვარმა ინსტრუმენტებმა უნდა უზრუნველყონ გენდერული თანასწორობის პერსპექტივის ჩართვა და ძალადობის იმ ტიპების გათვალისწინება, რომლებიც არჩევნების დროს კაცებს ან ქალებს შეიძლება შეექმნათ.

306 MESECVI, 2015.
307 Leena Rikkila Tamang, 2012. “Elections in Nepal remain vulnerable to violence.” International IDEA, 9 October.

## საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ძალადობის გამოვლენის მაგალითები

**ინდოეთი:** ინდოეთის საარჩევნო კომისია „მოწყვლადობის შეფასებას“ ატარებს, „რათა გამოვლინდეს, ხომ არ დგას რომელიმე ამომრჩეველი ან ამომრჩევლების კატეგორია (იმის მიუხედავად, ცხოვრობენ თუ არა ისინი გეოგრაფიულად დადგენად ტერიტორიაზე) რისკის წინაშე, რომ უკანონოდ ჩამოართვან ხმის თავისუფლად და სამართლიანად მიცემის უფლება, ან ზეგავლენა მოახდინონ მათზე რაიმე სახის დაშინების, არამართებული ზეგავლენის, ან ძალის გამოყენების გზით.“ მასში შედის მონაცემები მოწყვლადი ოჯახების, იმ ინდივიდებისა და ჯგუფების შესახებ, რომლებიც ამომრჩევლებს აშინებენ ან მათი სისუსტეებით სარგებლობენ. ამგვარი ანალიზის მეშვეობით საარჩევნო ადმინისტრაცია უფრო მეტად ხდება ინფორმირებული იმ ქალების შესახებ, რომლებიც არჩევნებში ძალადობის რისკის წინაშე დგანან.[308]

**ავღანეთი:** საწყისი შეფასების გარდა, შესაძლოა, საარჩევნო ადმინისტრაციებმა დაიწყონ მიმდინარე მონიტორინგი და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინებათა შეგროვება რეგიონული წარმომადგენლების მეშვეობით. შეიძლება, მათ საარჩევნო ადმინისტრაციის რეგიონულ და ადგილობრივ ოფისებსაც მიმართონ, რათა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ტენდენციები გამოავლინონ და, შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, მათ შესახებ შეტყობინება გააგზავნონ. ავღანეთში საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერის განყოფილების მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდის შედეგად გაიცა რეკომენდაცია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციებმა შექმნან მექანიზმი ქალი კანდიდატებისა და ამომრჩევლების საფრთხეების შესახებ დეტალების შეგროვების და გაერთიანების შესახებ.[309]

## 4.2. ამომრჩევლებისა და კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურები

საარჩევნო ადმინისტრაციებს შესაძლებლობა აქვთ, გააანალიზონ ის ზოგიერთი პოტენციური ფაქტორი, რის გამოც ქალები ამომრჩევლად დარეგისტრირებას ვერ ახერხებენ. საარჩევნო ადმინისტრაციებმა უნდა გააცნობიერონ, რომ უსაფრთხოების დაცვა ქალებისთვის საჭიროა რეგისტრაციის პროცესამდე, პროცესის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქალებს დიდი მანძილის გავლა უხდებათ სარეგისტრაციო ცენტრებამდე მისასვლელად. თუ ადამიანს ეშინია, რომ საჯაროდ ხმის მიცემამ შეიძლება მას საფრთხე შეუქმნას, ქვეყნებს შეუძლიათ „ანონიმური“ რეგისტრაცია განახორციელონ (რომელსაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ჩუმ“ ან „კონფიდენციალურ“ რეგისტრაციას).[310] ამომრჩევლების სახელებისა და საიდენტიფიკაციო მახასიათებლების გამოქვეყნებაზე უარის თქმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს.

კანდიდატის დასახელებისა და რეგისტრაციის პროცედურებიც უნდა შემოწმდეს, რათა დადგინდეს ხომ არ არის არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პოტენციური საფრთხეები საზოგადოებისგან, ან მათსავე პარტიებში. ქალებმა შეიძლება არ იცოდნენ, თუ რა ვადებში უნდა მოხდეს კანდიდატურის წარდგენა ან შეიძლება ეს ვადები ხანმოკლე იყოს, რაც არახელსაყრელ მდგომარეობას შეუქმნის ქალებს, თუ მათი ფინანსური

---

308 UNDP/UN Women, 2015; UNDP, 2012.

309 Independent Election Commission of Afghanistan, 2010. “Getting the Grade? Lessons Learnt on Women’s Participation in the 2010 Afghan Parliamentary Elections.”

310 UNDP, 2012.

რესურსები, გადაადგილება ან მგზავრობის შესაძლებლობა შეზღუდულია. აღნიშნული რისკების შემცირების მიზნით, კანდიდატის სარეგისტრაციო ოფისების მიმართ არსებული ადმინისტრაციული მოთხოვნები და ადგილი, გახსნის საათები და უსაფრთხოების პროტოკოლი უნდა შეთანხმდეს, რათა ქალი კანდიდატების მიმართ კონფლიქტის ან ძალადობის რისკები შემცირდეს.

შეიძლება საარჩევნო ადმინისტრაციებმა სტიმული მისცენ პარტიებს, რომლებსაც ქალების გაძლიერების ვალდებულება აქვთ აღებული, რათა მათ მკაცრი პოზიცია დაიკავონ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და, ასევე, სანქციების დამრღვევების მიმართ. მაგალითად, ლიბერიაში ეროვნული საარჩევნო კომისია პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მუშაობდა ქცევის კოდექსის შემუშავებაზე. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მიზანი „ძალადობის, დაშინებისა და თაღლითობის გზით ქალების მარგინალიზების“ თავიდან აცილება იყო. პარტიები შეთანხმდნენ, რომ „დაიცავდნენ დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს, არ გამოიყენებდნენ შეურაცხმყოფელ ენას და არ განახორციელებდნენ აგიტაციას სქესისა და გენდერის საფუძველზე.“[311] (იხილეთ ღონისძიება 5 უფრო მეტი მაგალითისთვის.)

## 4.3. პოლიტიკური კამპანიის პერიოდი

ზოგ ქვეყანაში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დაახლოებით 75% კამპანიის პერიოდში, ქალი კანდიდატების ან პარტიის მხარდამჭერების მიმართაა ჩადენილი.[312] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის მეთოდების შემუშავებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით, უნდა მოხდეს პოლიტიკურ პარტიებში ძალადობის პოტენციურ სივრცეებზე ყურადღების გამახვილება და მათ მიერ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება იმ ნებისმიერი პირის მიმართ, ვინც ეცდება, რომ ქალები პოლიტიკური თანამდებობის დასაკავებლად გამართული პროცესებიდან იძულებით ჩამოაშოროს. შესაძლოა, საარჩევნო ადმინისტრაციებმა გამოიყენონ საკონტაქტო პირები გენდერულ საკითხებშიც, რათა მათ ქალი კანდიდატების მიმართ უსაფრთხოების პოტენციური რისკების შესახებ მონაცემები შეაგროვონ.

საარჩევნო ადმინისტრაციებს გამორჩეულად უპირატესი მდგომარეობა აქვთ, რადგან საშუალება აქვთ, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები აღიარონ და იმ შესაბამის უწყებებში გადაამისამართონ, რომლებმაც შეიძლება დამნაშავეებს სისხლის სამართლის ბრალი წაუყენონ. ამას გარდა, შესაძლოა, საარჩევნო ადმინისტრაციებმა შესაბამის სიტუაციებში პირდაპირი სანქციები დააწესონ. „აქ შეიძლება გაერთიანდეს სანქციები, რომლებიც გენდერული კვოტების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაშია დაწესებული (მაგალითად, ფინანსური სახდელები, ცენზურა და წერილობითი ან სიტყვიერი სანქციები), კანდიდატის დამტკიცებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის ან რეგისტრაციისთვის საჭირო ხელმოწერების ან მხარდაჭერის არასრული რაოდენობა“.[313] (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ღონისძიება 3).

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად, საარჩევნო

311 DPKO/DFS-DPA, October 2007.
312 Bardall/IFES, 2011.
313 UNDP/UN Women, 2015.

ადმინისტრაციებმა შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საარჩევნო განათლების ხელშეწყობისთვის ითანამშრომლონ,განსაკუთრებითკი,თემისდონეზე. ამას გარდა, საარჩევნო ადმინისტრაციებმა შეიძლება მედია საშუალებებთანაც ითანამშრომლონ, რათა წინასაარჩევნო პერიოდში, ქალი კანდიდატების გაშუქების დროს, გამჭვირვალობისა და გენდერული პრობლემისადმი მეტი მგრძნობელობის ხელშესაწყობა მოხდეს. განათლების კუთხით პარტნიორობები შეიძლება უფრო განმტკიცდეს საარჩევნო ადმინისტრაციის უკვე არსებულ სამოქალაქო და ამომრჩევლების განათლების პროგრამებში გენდერული მგრძნობელობის ამაღლების გზითა და პოლიტიკაში ან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის თემების ჩართვით.

და ბოლოს, საარჩევნო ადმინისტრაციებმა, პერსონალის დაკომპლექტების პროცესებსა და საოპერაციო სტრუქტურებში გენდერულად მგრძნობიარე პრაქტიკისა და პოლიტიკის ინტეგრირების გზით, წამყვანი როლი უნდა ითამაშონ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის სფეროში,. იქ, სადაც ცალსახად გამოკვეთილი პოლიტიკა არ არსებობს, საარჩევნო ადმინისტრაციებმა შეიძლება ქცევის კოდექსები მიიღონ, რომლებიც შევიწროებასა და ქალთა მიმართ ძალადობაზე იქნება მიმართული. შეიძლება, საარჩევნო ადმინისტრაციებში საჭირო გახდეს გენდერულ საკითხებში მრჩევლების დაქირავება ან გენდერული განყოფილებების შექმნა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის, პრევენციისა და რეაგირების შესახებ განათლების დაწყების ან გაგრძელებისთვის. მაგალითად, ტანზანიაში 2015 წელს გამართული არჩევნების დროს „დემოკრატიული გაძლიერების პროექტის" (DEP) ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამამ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და იუნესკოსთან ერთად, ერთობლივი პროგრამა განახორციელა. ეროვნულმა საარჩევნო კომისიამ (NEC) და ზანზიბარის საარჩევნო კომისიამ (ZEC) სცადეს, ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის პოტენციალი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ჩატარებულ ღონისძიებებთან შეჯერებით შეემცირებინათ, რაშიც შედიოდა საარჩევნო ქცევის კოდექსის გადასინჯვა, გენდერულად მგრძნობიარე სახელძღვანელო წესების შემუშავება როგორც არჩევნებზე დამკვირვებლებისთვის, ისე ამომრჩევლების განათლებისთვის. ასევე, ზანზიბარის საარჩევნო კომისიამ საერთო „გენდერული და სოციალური ინკლუზიის პოლიტიკა" მიიღო.[314]

## 4.4. ტრენინგი და საზოგადოების ინფორმირების პროგრამები

საარჩევნო ციკლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო პერიოდში, ინფორმაცია არჩევნებში ქალთა მიმართ არსებული ძალადობისა და მისი შემცირების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ შეიძლება მიმდინარე სასწავლო პროგრამებში იყოს ინტეგრირებული. მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის საარჩევნო ციკლის მხარდაჭერის გლობალურმა პროგრამამ (GPECS) არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ აქტივობა BRIDGE-ის ტრენინგის კურიკულუმში – გენდერისა და არჩევნების მოდულს **(რესურსების განვითარება დემოკრატიაში, მმართველობასა და არჩევნებში)** დაამატა, რათა საარჩევნო ადმინისტრატორები და BRIDGE-ის სხვა მონაწილეები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას უფრო ფართო საარჩევნო ტრენინგის პროგრამის კონტექსტში გასცნობოდნენ. სასწავლო მოდული მოიცავს არჩევნების დროს ქალთა

314 UN Women, 2017

მიმართ ძალადობის მიზეზებს, ტიპებსა და შესაძლო რეაგირებებს, რითაც მონაწილეებს ეხმარება, საკუთარ თემებში ამ საკითხის გადაჭრის გზები გამოავლინონ. პაკისტანში, ბურუნდიში, ჰაიტიზე, ნიგერიასა და სხვა ქვეყნებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მოდულში რამდენიმე ჯგუფი ჩაერთო. მოხდა მისი ადაპტაცია, რამაც წვლილი შეიტანა არჩევნებზე მონიტორებისა და ძალადობაზე დამკვირვებლების გადამზადებაში როგორც ბურუნდიში, ისე სხვა ქვეყნებში.

## მაგალითები BRIDGE-ს ტრენინგის პროგრამიდან

2012 წელს, UNDP–GPECS–მა ახალი პროგრამა შექმნა BRIDGE–ს გენდერული და საარჩევნო კურსისთვის, რათა მონაწილე მხარეებისთვის არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი გაეცნო. სასწავლო პროგრამა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზებს, ტიპებსა და შედეგებს, ასევე, შესაძლო შემცირების მექანიზმებს მოიცავს. აღნიშნული კურსი გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაწილეობით განხორციელდა.

- **ჰაიტიზე,** 2013 წელს, ჰაიტის საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებმა ჯგუფური სამუშაო განახორციელეს ქვეყანაში ძალადობის სხვადასხვა ფორმების – ფიზიკურის, სექსუალურისა და ფსიქოლოგიურის – გაანალიზებისთვის. ამავდროულად, ეს სამუშაო მიზნად ისახავდა ამ პრობლემის დაძლევის შესაძლო გზების გამოსავლენას საარჩევნო ადმინისტრაციის მისიის ფარგლებში.
- **ბურუნდიში,** 2014 წელს, საარჩევნო კომისიის წევრებმა წინა არჩევნების სტატისტიკა ჩაშლილი სახით წარმოადგინეს, რათა ამ პრობლემის განსაკუთრებული მახასიათებლები დაედგინათ, შეედგინათ პრევენციის სტრატეგია, დაეგეგმათ იგი 2015 წლის არჩევნებისთვის და გაეგოთ ამ სფეროში სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული შესაძლებლობები და შეზღუდვები.
- **სამხრეთ სუდანსა და სუდანში,** 2010 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ მგრძნობელობის ამაღლების სესიები გამართა სამხრეთ სუდანის საარჩევნო კომისიისა და სახელმწიფოს უმაღლესი საარჩევნო კომიტეტებისთვის. სესიები ჩატარდა სუდანის კონფლიქტურ რეგიონებში – გედარეფის, წითელი ზღვის, კასალასა და სამხრეთ დარფურის ჩათვლით, სადაც, სახელმწიფოს უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე, ტრენინგში შესული იყო ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და შესაძლო საარჩევნო ძალადობისგან ქალი კანდიდატების დაცვის შესახებ.[315]
- **პაკისტანში** ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენების შესახებ (მაგალითად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის და პოლიტიკური კანდიდატის, ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობა) სიღრმისეული განხილვების დახმარებით, საარჩევნო კომისიის წევრებმა ძალადობის რამდენიმე შემთხვევის გენდერულად სპეციფიკური მხარე გამოიკვლიეს. ამან წვლილი შეიტანა სტრატეგიულ დაგეგმვაში, რაც საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერული განყოფილების შექმნას ითვალისწინებდა.

315 UN Women. *Final Project Report: Support to Sudanese Women's Effective Participation in the 2010 Elections.*

ქალი ამომრჩევლები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე ხშირი სამიზნეები არიან. ამ თემაზე ქალების მასობრივი განათლება უნიკალურ, კონტექსტისთვის დამახასიათებელ გამოწვევებს ქმნის.

წიგნიერების დაბალი დონე, პოლიტიკური მგრძნობელობა ტრადიციული სფეროების მიმართ, კულტურული ტაბუები, საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრების შესაძლებლობის არქონა და შიში/დაშინება შეიძლება ქალების ინფორმირებულობის ამაღლებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები იყოს. ადგილობრივ დონეზე ნაკლებად განათლებულ დიდ აუდიტორიებთან მუშაობის სტრატეგია შეიძლება ადაპტირებული იყოს, რათა იგი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის თემებს მოერგოს. ამ ადაპტაციაში შედის რადიო და სატელევიზიო სიუჟეტები, ბილბორდები, პოსტერების კამპანიები, ახალგაზრდა ელჩების კამპანიები, სათემო თეატრი, პროგრამირების საკლასო სესიები და სხვა. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასა და გენდერული ძალადობის სხვა ფორმებს შორის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე, უფრო მეტი განათლების მხარდასაჭერად, მომსახურების მიმწოდებლებს შორის პარტნიორობები უნდა განვითარდეს. მაგალითად, სამედიცინო კლინიკებმა, რომლებიც მომსახურებას არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს უწევენ, შეიძლება, თავიანთ საგანმანათლებლო მასალებში, ბროშურებსა და კონსულტაციებში შეიტანონ ინფორმაცია არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ.

## 4.5. კენჭისყრის დღე და არჩევნებისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები

კვლევებმა აჩვენა, რომ კენჭისყრის დღეს ქალმა ამომრჩევლებმა შეიძლება უფრო მეტად განიცადონ დაშინება და ძალადობა, ვიდრე კაცებმა (განსაკუთრებით სოფლად).[316] საარჩევნო ადმინისტრაციებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ საარჩევნო უბნის განთავსებას, საარჩევნო უბანზე თანამშრომლების განაწილებას, მათ უსაფრთხოებას, ასევე, ტრენინგს არჩევნებზე ქალთა მიმართ პოტენციური ძალადობის შემთხვევების შესამცირებლად. საარჩევნო უბნები, განსაკუთრებით სოფლად, ისე უნდა განთავსდეს, რომ მგზავრობას გამოვლენილი ცხელი წერტილების, ან იმ „ადგილების გავლით, რომლებიც ცნობილია თავისი პოლიტიკურად მგრძნობიარე ეთნიკური ან რელიგიური ასოციაციებით“,[317] მინიმალური დრო დასჭირდეს. უბანზე მომუშავე და უსაფრთხოების თანამშრომლები ხშირად პირველები არიან, ვინც არჩევნებზე ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას ახდენენ. კრიტიკული მნიშვნელობისაა ისიც, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის პერსონალმა არჩევნებზე ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა გამოვლინების შესახებ შეიტყოს. ასევე, მნიშვნელოვანია მათზე რეაგირებისა და მათი შემცირების გზები კენჭისყრის დღეს.

ამ ტრენინგების ნაწილი შეიძლება ეხებოდეს საარჩევნო ადმინისტრაციაში უფრო მეტი ქალის დაქირავებას და კაცი და ქალი პოლიციელებისთვის დაძაბულ სიტუაციაში

316 Bardall/IFES, 2011.
317 UNDP/UN Women, 2015.

ინტერვენციის შესაძლებლობისთვის მომზადებას. ავღანეთში, არჩევნების დროს გამოვლენილი უსაფრთხოების რისკების შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციები რეგიონულ და ცენტრალურ პარტნიორებთან ერთად მოქმედებდნენ, რათა მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნებზე 11,000 ქალზე მეტი დაექირავებინათ და გადაენაწილებინათ. ამ ქალების მოვალეობა იყო ბურკის მატარებელი ქალების ჩხრეკა – ძალისხმევა, რომელიც კენჭისყრის დღეს ავღანელი ქალი ამომრჩევლებისა და საარჩევნო უბნების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებაში უსაფრთხოების ძალების როლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მომდევნო სექციაშია განხილული.

გენდერულად მგრძნობიარე უსაფრთხოების სხვა ღონისძიებები შეიძლება კაცი და ქალი ამომრჩევლებისთვის ცალკე რიგების გამოყოფას მოიაზრებდეს. საარჩევნო უბანზე რიგების გაყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ტერიტორიებზე, სადაც ოჯახური ხმის მიცემა ფართოდ გამოიყენება, ან სადაც კულტურულ-რელიგიური ნორმები კაცსა და ქალს შორის ინტერაქციას კრძალავს. აღნიშნული გაყოფა ქალებს იცავს პოტენციური დაშინებისა თუ ძალადობისგან და ქმნის სივრცეს, რათა მათ საკუთარი არჩევანის შესახებ გადაწყვეტილება თავად, ოჯახის ზეწოლის გარეშე მიიღონ. რიგში ჩადგომასთან დაკავშირებით პრიორიტეტი, დამატებითი დაცვის უზრუნველსაყოფის მიზნით, შეიძლება მოწყვლად ჯგუფებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ხანდაზმულ ქალებს მიეცეთ. კენჭისყრის შემდეგ საარჩევნო ადმინისტრაციებმა და უბანზე მომუშავე პერსონალმა უნდა მიიღოს ზომები ხმების კონფიდენციალურობისთვის. სხვადასხვა რიგები შეიძლება საარჩევნო კანონის ფარგლებში სამართლებრივად იყოს შემოღებული, ან სისტემურად იყოს მიღებული ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, ან საჭიროების მიხედვით, საარჩევნო უბნის თავმჯდომარის დისკრეციის საფუძველზე, სპონტანურად განხორციელდეს.




*ქალები ელოდებიან თავიანთ რიგს ეგვიპტის 2011 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად*

## ოჯახური ხმის მიცემა

ოჯახური კენჭისყრა იმ სიტუაციას ასახავს, რომელშიც ოჯახის უფროსი (ხშირად კაცები, ან დიდი ოჯახის უფროსები) ხმის მიცემასთან დაკავშირებით ოჯახის სხვა წევრებზე ზეწოლას ახდენს. ზოგადად, ოჯახური ხმის მიცემა იმ ადგილებში ხდება, სადაც დიდი ოჯახების ტრადიცია არსებობს და იგი ოჯახის უფროსს უფლებას აძლევს, გადაწყვეტილებები მან მიიღოს, ან ოჯახთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელოს. ოჯახური ხმის მიცემა შეიძლება სერიოზული დარღვევა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ბოროტი მიზნებით ხდება და ძალადობის მუქარას შეიცავს. მაგალითად, როცა მისი მიზანია ამომრჩევლის თავისუფალ არჩევანზე ზემოქმედება, ან ამ უფლების წართმევა.[318] ამ შემთხვევებში, ოჯახური ხმის მიცემა ამომრჩევლის კონფიდენციალურობის ცენტრალურ პრინციპს არღვევს. მისი აღსრულება შეიძლება იძულებითა და დაშინებით, რაშიც შედის ქალების დაშინება განქორწინებით, თუ ისინი ხმის მიცემის დროს მათი ოჯახის, ტომის ან კლანის მითითებებს არ გაითვალისწინებენ.[319] ამას გარდა, რწმენა, რომ კაცისთვის სამარცხვინოა, თუ ოჯახის წევრები მისი საარჩევნო სურვილების წინააღმდეგ წავლენ, ოჯახური ხმის მიცემის ნორმებს ამტკიცებს. ზოგ შემთხვევებში ქალებმა შეიძლება იგრძნონ, რომ მათ რეგისტრაციისა და ხმის მიცემისთვის ოჯახის ნებართვა სჭირდებათ, ამიტომ ისინი იღებენ მითითებებს არჩევანის შესახებ. შეიძლება აღნიშნულს განაპირობებდეს ქალების აღზრდა, რადგან მათ ასწავლიან, რომ ამგვარი მითითებების წინააღმდეგ წასვლა ცოდვა იქნება, რამაც შესაძლოა ფიზიკური დასჯა, განქორწინება, სოციალური გარიყვა და, სავარაუდოდ, მშობლის უფლების დაკარგვა გამოიწვიოს.[320]

როცა ოჯახური ხმის მიცემა კულტურული ნორმაა, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის შეიძლება საჭირო იყოს შემდეგი გარემოების გათვალისწინებაც: ხომ არ იქნებიან საარჩევნო უბნის თანამშრომლები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობიდან არიან შერჩეულებ,ი კულტურული ზეწოლის ქვეშ, რათა ხელი შეუწყონ ოჯახში ძალადობას, ან შეიძლება ისინი ფიქრობდნენ, რომ ქალებისთვის უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება, თუ ისინი ოჯახს ხმის გაკონტროლების საშუალებას არ მისცემენ.[321] ქვემოთ მოცემულია ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება საარჩევნო უბნის მართვასთან დაკავშირებით განხორციელდეს. მათი მიზანია იმ სხვადასხვა საკითხის მოგვარება, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნისთვის იყოს დამახასიათებელი:

- ხმის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, საარჩევნო კოდექსის გამკაცრება არჩევნების წინ ან ნათლად განსაზღვრული საოპერაციო ინსტრუქციების ამოქმედება, რომლებშიც შედის სპეციფიკური ზომების მიღება საარჩევნო უბნების სათანადოდ ფუნქციონირებისთვის, საარჩევნო უბნებში საკმარისი სივრცისა და გამოყოფილი ჯიხურების უზრუნველყოფა, იზოლირებულ ჯიხურებში მხოლოდ ერთი ამომრჩევლის დაშვება, ერთ ადამიანზე მხოლოდ ერთი ბიულეტენის გაცემა:
- კონფიდენციალურობის პრინციპების შესასრულების მიზნით, საარჩევნო უბნების თანამშრომლების გადამზადებისთვის პრიორიტეტის მინიჭება;

318 იქვე.
319 Bardall/IFES, 2011
320 იქვე.
321 iKNOW Politics, 2009.

- მიზნობრივი საზოგადოებრივი საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, რათა ამომრჩევლებმა მიიღონ ინფორმაცია ხმის კონფიდენციალურად მიცემის უფლების შესახებ, განსაკუთრებით კი ისეთ მოწყვლად პოპულაციებში, როგორებიც არიან ქალები და წერა-კითხვის უცოდინარი ამომრჩევლები;
- ნდობისა თუ გამჭვირვალობის დამკვიდრების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა, რომ ხმის მიცემის შემდეგ საარჩევნო ადმინისტრაციები ამომრჩევლების კონფიდენციალურობას დაიცავენ და მათი არჩევანი არასდროს გამჟღავნდება.[322]

მაგალითად, **მაკედონიის** სახელმწიფო საარჩევნო კომისიამ ოჯახში ძალადობის პრაქტიკის შემცირების მიზნით, შემდეგი სტრატეგია შეიმუშავა და განახორციელა: ინიციატივის მიზანი იყო ოჯახური ხმის მიცემის პრევენცია და მის ფარგლებში სახელმწიფო საარჩევნო კომიტეტმა ყველა თანამშრომელს მისცა მითითება, რომლის მიხედვითაც ოჯახის ან წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემის პრევენცია მნიშვნელოვანი იყო.[323] ასევე, კომიტეტმა გამოაქვეყნა სტრატეგია ოჯახისა და წარმომადგენლის სახელით ხმის მიცემის წინააღმდეგ, რომლის მიზანს სამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ ამ პრობლემის დაძლევისთვის განხორციელებული ყველა პროექტისთვის თანმიმდევრული ჩარჩოს შექმნა წარმოადგენდა. ჩარჩოში გათვალისწინებულია, რომ ამ საკითხის მოგვარება უწყვეტი აქტივობების გამოყენებით, მთელი საარჩევნო ციკლის განმავლობაში უნდა მოხდეს.[324]

**პაპუა გვინეაში** საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ ქალები „ოჯახური“ და „თემის“ მიერ ხმის მიცემის დროს არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულები. ოჯახის ან თემის კაცი ლიდერი ქალებს მითითებას აძლევდა, თუ რა არჩევანი გაეკეთებინათ. გამოვლინდა, რომ აღნიშნული პრაქტიკა საფრთხეს უქმნიდა ამომრჩევლის კონფიდენციალურობას. 2012 წელს კი საარჩევნო კომისიამ ქალებისა და კაცებისთვის გამოყოფილი საარჩევნო ჯიხურები განათავსა. კომისიის მოტივაციას წარმოადგენდა ვარაუდი, რომ ქალები თავისუფლად შესძლებდნენ ხმის მიცემას მაშინ, როცა კაცები მათ გვერდით არ იქნებოდნენ.“[325]

შესაძლოა, ადმინისტრაციებმა პარტიების პრაქტიკისა და საარჩევნო პროცესების მიმართ საკუთარი უფლებამოსილება გამოიყენონ და პროტოკოლები თუ რეგულაციები მიიღონ (იხილეთ ღონისძიება 3.4 უფრო მეტი ინფორმაციისთვის). მექსიკაში რამდენიმე სახელმწიფო უწყებამ, მათ შორის ეროვნულმა საარჩევნო ინსტიტუტმა და ფედერალურმა საარჩევნო ტრიბუნალმა, 2016 წელს გამოაქვეყნა „პროტოკოლი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სამოქმედოდ“. დოკუმენტი განმარტავს, თუ რას წარმოადგენს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, განსაზღვრავს მსხვერპლის უფლებებსა და სპეციფიკურ პასუხისმგებლობებს ადგენს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისთვის. მექსიკის საარჩევნო ადმინისტრაციამ საგანმანათლებლო კამპანიები უნდა ჩაატაროს, მონაცემები მოაგროვოს და გამოაქვეყნოს. შემდეგ კი უზრუნველყოს, რომ პარტიის დოკუმენტები თუ პრაქტიკა ხელს არ უწყობდეს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას. მან, ასევე, ზედამხედველობა უნდა გაუწიოს პარტიის ფინანსების სამართლიან გადანაწილებას. ფედე-

322 UNDP/UN Women, 2015.
323 Macedonia State Election Commission, 2010. *Strategy against Family and Proxy Voting of the State Election Commission*.
324 სექცია ადაპტირებულია პუბლიკაციიდან: UNDP/UN Women, 2015.
325 UNDP, 2012; UNDP/UN Women, 2015.



*ქალი ხმას აძლევს ლიბიის არჩევნებში*

რალურმა საარჩევნო ტრიბუნალმა და საარჩევნო დანაშაულების განმხილველმა ფედერალურმა პროკურატურამ შეიძლება საქმეები განიხილოს და გადაწყვეტილებები მიიღოს. ეს უკანასკნელი გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნის იმ ნებისმიერ საქმეს, რომელიც მის განსჯადობას სცდება.[326]

## 4.6. თანამშრომლობა პოლიციასა და უსაფრთხოების ძალებთან

პოლიციასა და უსაფრთხოების ძალებს საარჩევნო ციკლის განმავლობაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეუძლიათ, თუმცა მათი ფუნქციები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით ყველაზე მეტად,უშუალოდ საარჩევნო პერიოდში იკვეთება. საარჩევნო უსაფრთხოების მიზნით, აუცილებელია ოპერაციული დაგეგმვა, რათა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკი შეფასდეს და მასზე რეაგირება მოხდეს, თუ ამ რისკს არჩევნებში ქალების – ამომრჩევლებისა თუ კანდიდატების – სრული მონაწილეობის დაბრკოლება შეუძლია. გენდერულად სპეციფიკური ისეთი რისკების შეფასება, როგორიცაა უსაფრთხოების რისკების გამოვლენა სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, შეიძლება პოლიციის ან სამხედრო დაგეგმვის ნაწილიც გახდეს. როგორც გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტმა აღნიშნა, „არჩევნებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შერეული (ქალი და კაცი) სამხედრო ჯგუფების გაგზავნას შეუძლია ხელი შეუწყოს ქალ ამომრჩევლებთან დაკავშირებას, თუ არჩევნებთან დაკავშირებით უსაფრთხოების პრობლემა ექნებათ.“ აღნიშნულის მსგავსად, იმ ქვეყნებში, სადაც ქალი კანდიდატებისთვის უსაფრთხოების მუქარები რისკს წარმოქმნის, „არჩევნებზე უსაფრთხოების დაგეგმვაში როგორც ქალი, ისე კაცი კანდიდატებისთვის უსაფრთხოების რისკების შეფასება უნდა შევიდეს.“[327]

326 La República (Peru), 2016.
327 DPKO, 2010. "DPKO/DFS Guidelines: Integrating a Gender Perspective into the Work of the United Nations Military Peace- keeping Operations."

იმ კონკრეტულ ქმედებებში, რომლებიც პოლიციურ ძალებს შეუძლიათ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ განახორციელონ, შედის:

- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის გათვალისწინებით, ახალი სამოქმედო პრაქტიკისა და შეფასების მეთოდების დანერგვა;
- უფრო მეტი ქალი ოფიცრის დაქირავება და ქალების წახალისება, რათა მათ მიმართ ძალადობის შემთხვევები პოლიციას შეატყობინონ;[328]
- გენდერულ საკითხებში საკონტაქტო პირების გამოყოფა ან გენდერული საკითხების მაგიდების შექმნა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების მათთან გადამისამართება;
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებისას სწრაფი, სიღრმისეული და დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფა;
- პოლიციის გადამზადება გენდერული მგრძნობელობის შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების ჩათვლით;
- უზრუნველყოფა, რომ გამოვლენილი დამნაშავეების მიმართ დაიწყება დევნა და ადეკვატური სანქციები დაწესდება; არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის განმახორციელებელი თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალები კი დათხოვნილი იქნება;
- იმ ქალებისთვის, რომლებმაც ძალადობა განიცადეს, ინფორმაციისა და მხარდაჭერის სერვისების მიწოდება. აღნიშნული აერთიანებს ჯანდაცვის, ფსიქოსოციალურ, უსაფრთხოების /პოლიციის და იურიდიული სექტორებს;[329]
- გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება თავდაცვისა და სამხედრო ინსტიტუტების კვლევაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში.[330]

---

328 UNDP/UNIFEM, 2007. “Policy brie ng paper: Gender Sensitive Police Reform in Post Con ict Societies”; UNDP, 2012.

329 წინამდებარე პუბლიკაცია არ მოიცავს აუცილებელი სერვისების მიწოდებას, რამდენადაც სხვაგან ხელმისაწვდომია ყოვლისმომცველი რესურსები ამ თემაზე. მაგალითად, იხილეთ *Essential services package for women and girls subject to violence*, at http://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/12/essential-services-package-for-women-and-girls-subject-to-violence

330 UNDP, 2005. *Gender Mainstreaming in Practice: A Handbook*. 2nd ed. გვ. 125

## პოლიციასა და უსაფრთხოების სამსახურებთან მუშაობა არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობის ტრენინგის ინიციატივებზე

**კენია:** გაეროს ქალთა ორგანიზაციის კენიის ოფისმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერით, ტრენინგის ფასილიტატორის სახელმძღვანელო მოამზადა (სამუშაო ვერსია 2017წ.), რომელიც განკუთვნილია იმ სახელმწიფო მოხელეებისთის, ვისაც „განსაკუთრებულად ევალება ადამიანის უფლებების დაცვა, მხარდაჭერა თუ რეალიზება და ადამიანის უფლებების დარღვევების აღკვეთა". სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, არსებული პროტოკოლების და მექანიზმების გამოყენებით, იმ ქალების მხარდაჭერას, რომლებმაც არჩევნებში ძალადობა განიცადეს, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებას, მათზე რეაგირებას, გამოძიებასა და მოძალადეთა დევნას. აღნიშნული სახელმძღვანელო კენიაში, 2007 წელს, არჩევნების შემდგომ ქალებისა და გოგოების მიმართ განხორციელებული გენდერული ძალადობის საპასუხოდ შეიქმნა. იგი იყო ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ფარგლებში მიმდინარე უფრო ფართო ინიციატივის ნაწილი, და შედგება შემდეგი ელემენტებისგან (i) ნაკლოვანებების აღმოფხვრა „მტკიცებულების ჯაჭვის მართვაში", (ii) ინფორმირებულობის ამაღლება როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს, ასევე ძალადობა გამოვლილი პირებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ, და (iii) პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე სათანადო რეაგირების შესახებ შესაბამისი უწყებების მიერ. დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომით, სახელმძღვანელო ისეთ კომპლექსურ საკითხებს მოიცავს, როგორებიცაა: რა უნდა გაკეთდეს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამომჟღავნებისას და როგორ გავუწიოთ პირდაპირი მხარდაჭერა ამგვარი ძალადობით დაზარალებულ პირებს. ასევე, სახელმძღვანელო მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავს კენიაში არსებული შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ და დეტალურ ცნობებს გვთავაზობს, თუ რა რეაგირებას ახორციელებს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორი გენდერული ნიშნით ძალადობის აღსაკვეთად არჩევნების დროს.[331]

**ტანზანია:** ტანზანიის პოლიციის სამსახურიდან ქალი პოლიციელების ქსელთან პარტნიორობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და გაეროს განვითარების პროგრამამ 2015 წლის არჩევნებამდე შეიმუშავეს სატრენინგო სახელმძღვანელო „გენდერი, ადამიანის უფლებები და პოლიციის როლი არჩევნების დროს." აღნიშნულის სასწავლო გეგმა მოიცავდა კომპონენტებს ძალადობის იმ სხვადასხვა ფორმის შესახებ, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს საარჩევნო კამპანიების დროს. სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს იმ განსხვავებულ ზემოქმედებაზე, რომელსაც ის კაცებსა და ქალებზე, ასევე სოციალურ ჯგუფებზე ახდენს. პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურებისთვის გამართულმა ტრენინგმა განამტკიცა სამართლებრივი ვალდებულება, რომ ისინი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას სერიოზულად მოეკიდონ, ასევე, მისცა მათ მკაფიო სახელმძღვანელო წესები, თუ როგორ მოახდინონ სათანადო რეაგირება. ტრენერთა მუშაობის შედეგად, 103 პოლიციელი მომზადდა, რომლებმაც მთელი ქვეყნის მასშტაბით კიდევ 6,000 პოლიციელი გადაამზადეს. პროგრამას მხარს უჭერდა ტანზანიის პოლიციის სამსახური (TPF), რათა ქალთა მიმართ ძალადობა და მოწყვლადი ჯგუფები ინტეგრირებულები ყოფილიყვნენ შემთხვევის შეტყობინებისა და რეაგირების სისტემაში (IRRS). ეს უკანასკნელი წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამას, რომელიც, ქალთა მიმართ ძალადობის ტიპოლოგიისა და გენდერული ძალადობის საკონტროლო ჩამონათვალთა საფუძველზე, ხელს უწყობს არჩევნების განმავლობაში ძალადობის შემთხვევებზე სწრაფ რეაგირებას, რაც პოლიციელ ქალთა ქსელთან თანამშრომლობით შემუშავდა.[332]

331 UN Women et al. 2017. Electoral Gender Based Violence Training Facilitators Manual, ადაპტირებულია სამუშაო სახელმძღვანელოს პროექტიდან.

332 Negrao, 2017.

## 4.7. არჩევნების შემდგომი პერიოდი

იმ ქვეყნებში, სადაც შესაბამისი მანდატი აქვთ, საარჩევნო ადმინისტრაციები (და საარჩევნო ტრიბუნალები) შეიძლება კარგად იყვნენ პოზიციონირებულები და ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ ძალისხმევა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და შემცირებისათვის არჩევნების დასრულების შემდეგაც განაგრძონ. ამ ძალისხმევაში შეიძლება გაერთიანდეს გამოძიებების დაწყება და სანქციების აღსრულება არჩევნებში ქალთა მიმართ მოძალადეებზე (მათი მანდატის ფარგლებში). საარჩევნო ადმინისტრაციებს შეუძლიათ გარკვეული როლი შეასრულონ სასამართლო საქმეებში, რადგანაც მათ აქვთ მტკიცებულების წარმოდგენის უფლებამოსილება და შეუძლიათ, საარჩევნო მართლმსაჯულების მიზნით, მხარი დაუჭირონ კონფლიქტის მართვასა და სხვა სტრატეგიებს.

ზამბიაში, მაგალითად, საარჩევნო კომისიამ კონფლიქტის მართვის კომიტეტები ჩამოაყალიბა, რომლებშიც კონფლიქტის მართვის ეროვნული კომიტეტი (NCMC) და მასთან აფილირებული კონფლიქტის მართვის საუბნო კომიტეტები ერთიანდებიან. კონფლიქტის მართვის ეროვნული კომიტეტი 24 პირს აერთიანებს. მათ შორის არიან როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც ქალი კანდიდატებისა და ამომრჩევლების მიერ წარდგენილ საჩივრებს განიხილავენ. მოსმენების შემდეგ კომიტეტებს მოძალადეების მიმართ სასჯელის დაწესება შეუძლიათ, თუ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას, ან სხვა საარჩევნო დარღვევებს ჰქონდა ადგილი.[333]

არჩევნების შემდეგ, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სამუშაოს გარდა, საარჩევნო ადმინისტრაციებს შეუძლიათ უზრუნველყოფა, რომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები ინტეგრირებული იყოს და შევიდეს არჩევნების შემდგომ მომზადებულ მიმოხილვებში. საარჩევნო ადმინისტრაციებმა შეიძლება განაგრძონ პროექტები ძალადობის შემთხვევების შესახებ მონაცემების შეგროვებისა და მონიტორინგის მიზნით, რომლებიც მომავალში შეიძლება საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებში იყოს გამოყენებული. აღნიშნული კვლევის ნაწილში უნდა შევიდეს საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის სფეროში ადრე განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა და გაუმჯობესების სტრატეგიები.

333 UNDP, 2012. See also http://www.elections.org.zm/conflict_management.php

## საარჩევნო საკითხების შეჯამება, რომლებსაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირება შეუძლიათ

| წინასაარჩევნო პერიოდი | არჩევნების პერიოდი | არჩევნების შემდგომი პერიოდი |
|---|---|---|
| • საარჩევნო ადმინისტრაციები უზრუნველყოფენ, რომ ძალადობის მონიტორინგი ან რისკის შეფასებები არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს მოიცავს<br>• საარჩევნო ადმინისტრაციის პერსონალის გადამზადება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობისა და მასზე რეაგირების საკითხებში<br>• ღონისძიებების მიღება ოჯახური ხმის მიცემის შემცირებისთვის, საჭიროებიდან გამომდინარე<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ინტეგრირება ამომრჩევლის განათლებაში, ინფორმირებულობის ამაღლება ბიულეტენის კონფიდენციალურობისა და ოჯახური ხმის მიცემის შესახებ<br>• საარჩევნო ადმინისტრაციებში შესაფერის განყოფილებებს დავალებული აქვთ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასა და გენდერულ საკითხებზე რეაგირება<br>• დაცვის უზრუნველყოფა ქალი კანდიდატებისთვის<br>• პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების ტრენინგი არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე<br>• პოლიციის სამსახურებში ქალების რაოდენობის გაზრდა, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობებზე | • ხმის ფარულად მიცემის საჭირო ზომების მიღება ამომრჩევლებისთვის<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ მგრძნობიარე საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა კენჭისყრის დღეს (სქესის მიხედვით გაყოფილი საარჩევნო უბნები, უსაფრთხოების ქალი თანამშრომლები / არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მომზადებული პოლიციის სამსახურები მაღალი რისკის ტერიტორიებზე, მომზადებული საარჩევნო უბნის თანამშრომლები)<br>• სქესის მიხედვით გაყოფილი საარჩევნო უბნებიძალადობისა და ოჯახური ხმის მიცემის შესამცირებლად<br>• ქალი პოლიციელი ოფიცრების განაწილება მხოლოდ ქალებისთვის გახსნილ საარჩევნო უბნებზე<br>• არჩევნებზე მომუშავე პირების დაცვის უზრუნველყოფა | • გენდერული განზომილების ჩართვა არჩევნების შემდგომ განხილვებში<br>• სანქციების აღსრულება გენდერულ ნიადაგზე მოძალადეებისთვის |

# ღონისძიება № 5:
## პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და შემცირებისთვის

ბევრ ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართ არსებული ერთ-ერთ უდიდესი გამოწვევა, რომლის წინაშეც შეიძლება ქალები კანდიდატურის წამოყენების ან საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გამო დადგნენ, ძალადობა და მუქარაა.

არჩევნებში ქალთა მიმართ ძალადობას ყველაზე ხშირად პოლიტიკური პარტიები ახორციელებენ, ამიტომ ისინი ამ ტიპის ძალადობის შემცირებასა და პრევენციაში უმთავრეს როლს თამაშობენ.[334] როგორც „ა" ნაწილში იყო განხილული, არჩევნების დროს პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ როგორც საკუთარი და ოპოზიციური პარტიის ქალი წევრების მიმართ ძალადობის განხორციელება, ისე მისგან დაცვაც. პოლიტიკურ პარტიებს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევადა და ქალთა გაძლიერების მხარდასაჭერად ბევრი ქმედების განხორციელება შეუძლიათ.

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია პარტიის შიგნით ვალდებულების აღებით უნდა დაიწყოს, მათი დამფუძნებელი დოკუმენტების დონეზე თუ ხელმძღვანელებს შორის. საკანონმდებლო ჩარჩომ და პოლიტიკური პარტიების მარეგულირებელმა დოკუმენტებმა მტკიცედ უნდა უკუაგდონ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა როგორც მათი წევრების მიმართ, ისე მათი წევრების მიერ. დარღვევების შემთხვევაში, დროული და გონივრული სანქციები უნდა დაწესდეს. სპეციალური დანაყოფები, მაგალითად, ქალთა ორგანიზაციები, ყურადღებით უნდა იყვნენ ამ საკითხის მიმართ და ის რეგულარულად უნდა განიხილონ. პარტიის დოკუმენტაციის წარმოებისას არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირებაა საჭირო, რაც მომავალში მის პრევენციასა და ქალი წევრების დაცვას ისახავს მიზნად. პოლიტიკურ პარტიებს არჩევნებში ქალების ძალადობისგან დაცვისთვის ქმედებების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით შეუძლიათ, თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- კანდიდატებისა და მხარდამჭერების მხრიდან კანონით გათვალისწინებული ქცევის კოდექსის დაცვის უზრუნველყოფა;
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გათვალისწინება პარტიის შიდა რეგულაციებსა და მონიტორინგის პროცესში;
- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია კანდიდატების წარდგენის დროს;
- პოლიტიკურ დაფინანსებაზე ქალი კანდიდატების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

---

334 Bardall/IFES, 2011. 335 UNDP, 2012.

- არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე პარტიის წევრების გადამზადება და მათი მგრძნობელობის ამაღლება;
- პარტიის მონიტორინგის საქმიანობებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის ჩართვა;
- არჩეულ თანამდებობებზე ქალების მხარდაჭერა და თანამდებობიდან იძულებით გადადგომის პრევენცია;
- იმ ქალებისთვის, რომლებმაც ძალადობა განიცადეს, ინფორმაციის მიწოდება საკუთარი უფლებების, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე არსებული მხარდამჭერი რესურსებისა და სერვისების შესახებ, რომელთა შორის შედის ჯანდაცვა, ფსიქოსოციალური, უსაფრთხოების, პოლიტიკური და იურიდიული სექტორები.

## 5.1. ქცევის კოდექსების დაცვა

როგორც მე-3 ღონისძიებაში აღინიშნა, საარჩევნო ქცევის კოდექსები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კამპანიის პერიოდში პარტიის ხელმძღვანელების, ოფიციალური პირების, კანდიდატების, წევრებისა და აგიტატორების ქცევის რეგულირებისთვის. ამგვარი კოდექსები შეიძლება ეხებოდეს არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ მხარეს, რომელთა შორის არიან: პოლიტიკური პარტიები, დამოუკიდებელი კანდიდატები, კოალიციები და მოძრაობები. ისინი შეიძლება ითვალისწინებდეს იმგვარი პოლიტიკური ქცევების აკრძალვას, რომლებიც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობას იწვევს.[335] ქცევის კოდექსის პირობები პოლიტიკურ შეთანხმებას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება კანონმდებლობით დაწესდეს, ან ნებაყოფლობით იყოს მიღებული.

### ქცევის კოდექსების მაგალითები

**ლიბერიაში** ეროვნულმა საარჩევნო კომისიამ რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან პარტნიორობით ქცევის კოდექსი შეიმუშავა. მისი ერთ-ერთი მიზანი „ძალადობის, დაშინებისა და თაღლითობის გზით ქალების მარგინალიზაციის თავიდან აცილება" იყო. მხარეები შეთანხმდნენ „დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპზე, რომ არ გამოიყენებდნენ შეურაცხმყოფელ ენას და არ განახორციელებდნენ აგიტაციას სქესისა და გენდერის საფუძველზე."[336]

**მაკედონიაში** პოლიტიკური პარტიები ქცევის კოდექსზე 2006 წელს შეთანხმდნენ. მასში გაცხადებულია, რომ პარტიები:
- ხელს შეუწყობენ არჩევნებში მოქალაქეების სრულ მონაწილეობას, ქალებისა და სხვა უმცირესობის ჯგუფების ჩათვლით;
- უზრუნველყოფენ მოქალაქეების თავისუფალ წვდომას კამპანიის ყველა ღონისძიებაზე, ქალებისა და სხვა უმცირესობის ჯგუფების ჩათვლით;

335 UNDP, 2012.
336 DPKO/DFS-DPA, 2007.

- ზოგადად, მოერიდებიან მოქალაქეების იძულებას, მხარი დაუჭირონ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ან კანდიდატებს, ან სხვაგვარად ჩაერთონ, ან არ ჩაერთონ რომელიმე პოლიტიკურ აქტივობაში, თუ ეს მათ თავისუფალ არჩევანთან არ არის თანხვედრაში;
- „ერთიარის თანხ – ერთიარის“ უნივერსალურიხვედრციპის მხარდაჭერა და წარმო-მადგენლის მიერ კოლექტიურიუხმისედრციპის მხარდაჭერა.“[337]

საარჩევნო ქცევის კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით მრავალპარტიული შეთანხმების მიღწევაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებსაც შეუძლიათ. სამხრეთ აფრიკაში, „აფრიკაში მდგრადი დემოკრატიის ინსტიტუტმა“ მხარდაჭერა რამდენიმე ქვეყანას გაუწია. ამ მიზნით მან წინასაარჩევნო პერიოდში კოდექსთან დაკავშირებით პარტიები შეკრიბა. 2008 წელს კი ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა დისკუსიებსა და კოდექსის შემუშავებისთვის გამართულ სამუშაო შეხვედრებს უხელმძღვანელა. მათი მიზანი პარტიის ქცევის კოდექსის მიღება იყო. საბოლოო ჯამში, აღნიშნული კოდექსი 41 პოლიტიკურ პარტიას შორის შეთანხმდა. „კოდექსის შემუშავების მიმართ მსგავსი მიდგომის შედეგად, პარტიის წარმომადგენლების თითქმის 87%-მა აღნიშნა, რომ ამ კოდექსით არჩევნების მშვიდობიანი ჩატარება იყო შესაძლებელი.[338]

პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა შეიძლება განაცხადონ, რომ არჩევნების დროს, ძალადობის შემცირების მიზნით, ისინი საარჩევნო ქცევის კოდექსის დებულებების შესრულებას აპირებენ და თავიანთ წევრებს შესაბამისი გზავნილი გადასცენ. საჭიროების შემთხვევაში, პარტიებმა შეიძლება გაითვალისწინონ იმ მხარდამჭერებისა და კანდიდატების მიმართ სანქციების შემოღება, რომლებიც ამგვარი ქცევის კოდექსის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

მაგალითად, **სამხრეთ აფრიკაში,** 2016 წლის მუნიციპალური არჩევნების გამართვამდე, პარლამენტში წარმოდგენილი 13 პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა და წევრებმა „ვალდებულება აიღეს, რომ 2016 წლის მუნიციპალური არჩევნების განმავლობაში ისინი, მათი პარტიები, კანდიდატები და წევრები საარჩევნო ქცევის კოდექსის დებულებებს დაემორჩილებოდნენ.“[339] ამ პირობის დადების პარალელურად, პარტიის ლიდერებმა შემდეგი ვალდებულებებიც აიღეს:

- უხელმძღვანელონ პარტიებს ისე, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა სხვა პარტიის მიმართ ტოლერანტობა განამტკიცონ;
- პარტიის სიებში მოცემული ყველა კანდიდატისთვის რჩევის მიცემა და კონსულტაციის გაწევა, რათა თითოეულმა კანდიდატმა მაქსიმალური ტოლერანტობის გზავნილი გაავრცელოს;
- სიძულვილის ენასა და იმ აქციებში მონაწილეობაზეუარისთქმა,რომლებმაც შეიძლება პარტიის მხარდამჭერების, ან, ზოგადად, საზოგადოების წევრების მხრიდან არატოლერანტული ან გამაღიზიანებელი ქმედება წააქეზონ.[340]

---

337 NDI. “Republic of Macedonia: Code of Conduct of Political Parties for Free and Fair Parliamentary Elections.”
338 პუნქტი ადაპტირებულია პუბლიკაციიდან: UNDP, 2012.
339 Government of South Africa, 2016. “Electoral Commission on signing of Electoral Code of Conduct by national political parties.” 16 May.
340 იქვე.

## 5.2. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დებულებების ჩართვა პარტიის შიდა რეგულაციებში და მონიტორინგის განხორციელება

პოლიტიკური პარტიების შიდა ფუნქციონირებასა და საქმიანობას ისეთი სამართლებრივი რეგულაციები აწესრიგებს, როგორებიცაა: კონსტიტუცია, საარჩევნო კანონი ან პოლიტიკური პარტიის შესახებ კანონი. უმეტეს შემთხვევებში კი ამ ფუნქციას პარტიის შიდა რეგულაციები ასრულებს. პოლიტიკური პარტიის ოფიციალური დოკუმენტები და განცხადებები მნიშვნელოვანია არა მარტო მისი ხედვის გასაცნობად, არამედ იმ წესების დადგენისთვისაც, რომლებიც აღნიშნულ ხედვას ამყარებს. ამასთან, მათ შეიძლება გენდერული თანასწორობის ჩარჩოც გაითვალისწინონ.[341] პოლიტიკური პარტიებისთვის, მათი წევრებისა და მხარდამჭერებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია პარტიის წესებში იმ ცვლილებების შეტანა, რომლებიც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებისა და დაძლევის შესახებ განზრახვის მკაფიოდ და ნათლად გაცხადებას ისახავს მიზნად. იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული კანონები მიღებულია, პარტიებს შეუძლიათ უზრუნველყონ შიდა წესების, საარჩევნო კოდექსებისა და ეროვნული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისობა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასთან.

პარტიების რეგულაციებში არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ განცხადებების მიღება მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია, თუმცა არსებითი როლი პარტიის წევრებისა და კანდიდატების მხრიდან ამ რეგულაციების დაცვის მონიტორინგსა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დაფიქსირებას ენიჭება.

ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის *დეკლარაცია პოლიტიკური შევიწროებისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ* (2016) პოლიტიკურ პარტიებზეა მიმართული და რეკომენდაციას იძლევა, რომ მათ „საკუთარი ინსტრუმენტები და მექანიზმები შექმნან არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრისთვის", რაც, სხვა ღონისძიებების გარდა, ტრენინგებისა და ცნობიერების დონის ამაღლებითაც უნდა მოხდეს.[342]

აღნიშნული ქმედების განხორციელება პარტიის ქალთა ორგანიზაციას ან მსგავს ორგანოს შეუძლია.

ქალთა ორგანიზაციები წარმოადგენენ პარტიის შიგნით არსებულ ჯგუფებს, რომელთა მიზანი ქალთა წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გაძლიერებაა როგორც პარტიის შიგნით, ისე მთლიანად პოლიტიკურ პროცესებში. მათივე ფუნქციაა პარტიის დღის წესრიგში არსებული საერთო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება.[343] საკუთარ წესდებებსა და რეგულაციებში გენდერული თანასწორობის საკითხების შეტანის გარდა, კოსტა რიკის „მოქალაქეთა სამოქმედო პარტიამ" გენდერული თანასწორობის საკითხებში პროკურატურა ჩამოაყალიბა, რომლის უფლებამოსილებაში შედის მონიტორინგი, შეტყობინება და რეკომენდაციის მიცემა, თუ როგორ ხდება შესაბამისი რეგულაციების განხორციელება.[344]

341 UNDP/NDI, 2012. *Empowering Women for Stronger Political Parties: A Guide to Promote Women's Political Participation*.
342 MESECVI, 2015.
343 iKNOW Politics, 2007. Consolidated Response on Establishing Women's Party Sections.
344 Beatriz Llanos and Kristen Sample, 2009. *From Words to Action: Best Practices for Women's Participation inLatin AmericanPolitical Parties, International IDEA.*

## 5.3. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აკრძალვა კანდიდატების დასახელების პროცესში

არჩევითი თანამდებობის დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული გადაწყვეტილებაა ნებისმიერი პოლიტიკური კანდიდატისთვის განსაკუთრებით კი ქალების შემთხვევაში. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შედეგები შეიძლება კანდიდატის დასახელების პროცესში გამოიკვეთოს. ქალებისთვის უსაფრთხო, შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანესია მათ მიერ საკუთარი კანდიდატურის წარმოდგენისთვის. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად პოლიტიკური პარტიების მხრიდან ყველა ძალისხმევა უნდა იყოს გამოყენებული. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც არჩევნებში ქალთა მონაწილეობაზე ახდენს ზეგავლენას, კანდიდატურის წარდგენაა: ქალები შეიძლება შეავიწროონ, შეურაცხყონ, დააშინონ ან დაემუქრონ მათ, რომ არ წამოაყენონ საკუთარი კანდიდატურა, ან, საბოლოო ჯამში, მოხსნან ის.

ზოგიერთი პარტია ქალ კანდიდატებს უარს ღიად ეუბნება. მაგალითად, პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან მდებარე პროვინციაში ქალებს ძალის გამოყენებით არ მისცეს ხმის მიცემისა და არჩევნებში კანდიდატურების წარდგენის შესაძლებლობა. სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ შეთანხმება გააფორმა და განაცხადა, რომ ისინი ქალებს არც კანდიდატად წარდგენის და არც ხმის მიცემის საშუალებას არ მისცემდნენ. გაეროს განვითარების პროგრამის თანახმად, „ხელმომწერი მხარეები იმუქრებოდნენ, რომ იმ 25 ქალის წინააღმდეგ, რომლებმაც საკუთარი კანდიდატურა წარადგინეს, ნეგატიურ კამპანიას დაიწყებდნენ. აიძულებდნენ მათ, რომ მოეხსნათ კანდიდატურები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კი გააფრთხილეს, რომ შეეჩერებინათ ქალების მობილიზება და შეეწყვიტათ არჩევნებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა... შედეგად, ქალი კანდიდატები და მათი ოჯახები შეავიწროვეს და აიძულეს, რომ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ.

პარტიებს ქალ კანდიდატებზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობების შემცირება შეუძლიათ. ამ მიზნით საჭიროა, რომ პარტიამ კანდიდატების დასახელების წესები ცალსახად დაადგინოს. „ქალებისთვის მნიშვნელოვან უპირატესობას ქმნის ის ბიუროკრატული სისტემები, რომლებშიც დადგენილია წესები ქალთა გარანტირებული წარმომადგენლობისთვის. დაუწერელი წესების შემთხვევაში, გაცილებით რთულია სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. თანაც, როცა წესები უგულებელყოფილია, არანაირი ანგარიშვალდებულება არ არსებობს.“[345] იმ პოლიტიკურ პარტიებში, რომლებშიც შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა სუსტია, შერჩევის წესები კი მკაფიო არ არის, პარტიის კანდიდატებს შორის შესაძლოა მაღალი კონკურენცია იყოს, ქალების შესაძლებლობები კი შეიზღუდოს. იდეალურ შემთხვევაში, კანდიდატების დასახელების პროცესი ოფიციალურად დადგენილი და გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს ფაქტორი წარდგენასა და კონკურენციას უფრო მეტ სამართლიანობას შესძენს.[346]

345 UNDP/NDI, 2011.
346 იქვე.

პოლიტიკური პარტიის ლიდერების დახმარებით, შესაძლებელია ძალადობისა და დაშინების შემცირება კანდიდატის შერჩევის პროცესში, ან პარტიის პირველადი არჩევნების დროს. საჭიროა, მკაფიო მითითებები მიეცეთ პარტიის წევრებს, რომ ძალადობის მიმართ ტოლერანტობა არ იქნება, მოხდეს შესაბამისი სანქციების მიღება და მათი აღსრულების უზრუნველყოფა.

## 5.4. პოლიტიკური დაფინანსება

ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორი, რომელიც ქალების პოლიტიკაში მოსვლას უშლის ხელს, პოლიტიკურ დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობაა. თანხების ნაკლებობის გამო, ქალებმა შეიძლება ვერ მოახერხონ პოლიტიკურ პარტიებში საკუთარი კანდიდატურისთვის ფინანსების შეგროვება. ასევე, თანხის ნაკლებობა ზღუდავს კამპანიის აქტივობებს მაშინ, როცა ისინი არჩევნებში მონაწილეობისთვის არიან შერჩეულნი. ეს შეიძლება განსაკუთრებული გამოწვევა იყოს, რადგანაც ქალებს, როგორც წესი, არათანაბარი და უფრო დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობები და სტატუსი აქვთ, ვიდრე კაცებს. გენდერული სოციალიზაცია ხშირად მათ იმ უნარების შეძენის ინტერესს უკარგავს, რომლებიც მათ საკუთარი დაფინანსების მოძიებაში დაეხმარებოდა.[347] პოლიტიკური კამპანია დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე დიდად არის დამოკიდებული. დაფინანსების ნაკლებობამ ან ოჯახსა და შინამეურნეობის ხელმძღვანელ კაცებზე ეკონომიკურმა დამოკიდებულებამ შეიძლება შეზღუდოს ქალების შესაძლებლობა პოლიტიკური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა ქმრები ან ოჯახის წევრები ამგვარ ხელმისაწვდომობას გამიზნულად აფერხებენ, ან თუ ოჯახის წევრები ღიად უშლიან ხელს ქალებს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაში, რათა მათზე დამოკიდებულება გაძლიერდეს, ან ქალებმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ შეძლონ, უკვე ადგილი აქვს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ეკონომიკური ხასიათის ძალადობას. „ეკონომიკური ზიანი, იძულება ან შეურაცხყოფა შეიძლება საარჩევნო ძალადობის კატეგორიას წარმოადგენდეს, თუ ის საარჩევნო ქცევაზე ან არჩევანზე ზემოქმედებისთვის გამოიყენება.“[348]

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის ფორმები განსაკუთრებით ხშირად თავს კანდიდატის დასახელებისა და შერჩევის დროს იჩენს. ეს შეიძლება იყოს ქურდობა, რის გამოც მეუღლეს რესურსებზე ხელი აღარ მიუწვდება, ქალების იძულებით შეზღუდვა, რომ თანხა აუცილებელ საგნებზე არ დახარჯონ; მეუღლის რესურსების დახარჯვა მათი თანხმობის გარეშე, ვალის აღება ან მეუღლისთვის კამპანიის დასაფინანსებლად სამუშაო პოვნაში ხელის შეშლა. „ტრადიციულ, პატრიარქალურ შინამეურნეობებში ქალის პოლიტიკური მონაწილეობა ან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვაც კი შეიძლება დაისაჯოს იმით, რომ ქალებს მოემატოთ შრომა, მათ აღარ მისცენ თანხები, შეუმცირონ მზითევი ან საკვების რაციონიც კი.“[349]

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობის ფორმების შემცირება კანდიდატის შერჩევისა და კამპანიის დროს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებში უნდა მოხდეს. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მიდგომა ქალი ასპირანტებისა და კანდიდატების პარტიის ხაზინიდან და საჯაროდ ხელმისაწვდომი

*347* Ballington and Kahane, 2014.
348 Bardall/IFES, 2011.
349 Adams et al, 2008; Saunders, 2006 in Bardall/IFES, 2011.

ფონდებიდან დაფინანსებაა. ასევე, ერთ-ერთ გზას წარმოადგენს პოტენციური ქალი კანდიდატების განათლება, რათა მათ საკუთარი კამპანიის დაფინანსების ვარიანტების შესახებ გაიგონ და ეს ბარიერი დაძლიონ. ამას გარდა, პოლიტიკური პარტიების მიერ კანდიდატის დასახელებისა თუ შერჩევისთვის მკაფიო წესების შემოღებით შესაძლებელია შემცირდეს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზეგავლენა ქალ კანდიდატებზე.

### დაფინანსების შესაძლებლობების გათანაბრების მაგალითები ქალი კანდიდატებისთვის

- **კანადაში** ლიბერალურმა პარტიამ ჯუდი ლამარშის ფონდი ჩამოაყალიბა. იგი წარმოადგენს პარტიის მექანიზმს თანხების მოზიდვისა და ქალი კანდიდატების დასაფინანსებლად, რათა დაეხმაროს მათ პარლამენტში არჩევას. ლიბერალური პარტია პირდაპირ აკონტროლებს, თუ როგორ იხარჯება თანხები და რომელი ქალი კანდიდატები არიან პრიორიტეტულები დაფინანსების მიღებისას.[350]
- **კოსტა რიკასა და პანამაში** ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ქალი აქტივისტებისთვის ფინანსური რესურსებს გამოყოფა გადაწყვიტა. ამავდროულად, პარტიების ქალთა ორგანიზაციები ამ სფეროში ლიდერობას უზრუნველყოფენ.[351]
- **ნიკარაგუაში** პარტია Partido Liberal Constitucionalista-ს ქალთა კომისიამ ქალებისთვის ლიდერობის სკოლა გახსნა. პარტია Partido Frente Sandinista de Liberación Nacional-მა ქალთა ორგანიზაციასთან სამუშაოდ მექანიზმები შექმნა, რომლებიც ქალების გადამზადებასა და საარჩევნო აქტივობების ორგანიზებას ისახავს მიზნად.[352] პარტიამ დაადგინა, რომ სახელმწიფო სუბსიდიების 30 % ქალთა პოლიტიკური ტრენინგისთვის უნდა გამოყოფილიყო.[353]

## 5.5. ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ

კამპანიის პერიოდში ქალებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო სივრცეები, რომელთა დახმარებითაც ისინი ამომრჩევლებთან კომუნიკაციას შეძლებენ, რეპუტაციას გაიმყარებენ, აღიარებას მოიპოვებენ და პოლიტიკურ ღონისძიებებს მოაწყობენ. კანდიდატის ტრენინგმა, რომელიც ქალებისთვის ტარდება, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი უნდა მოიცვას. სასწავლო გეგმა ისე უნდა შედგეს, რომ ქალმა კანდიდატებმა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა ამოიცნონ და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები გამოავლინონ.

ამას გარდა, პოლიტიკური პარტიების ინტერესებში ამომრჩევლების განათლებაც შედის, რათა მათმა მხარდამჭერებმა რეგისტრაცია გაიარონ და კენჭისყრის დღეს არჩევნებზე მივიდნენ.[354] პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლების ინფორმირების კამპანიებში დიდი რაოდენობის ფინანსურ და დროის რესურსს ხარჯავენ, რაც შესაძლებლობას

350 UNDP/NDI, 2011.
351 Ballington and Kahane, 2014.
352 იქვე.
353 იქვე.
354 UNDP/NDI, 2011.

ქმნის, მხარდამჭერებმა უფრო ღრმად გააცნობიერონ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობა და მისი ფორმები, მიიღონ მკაფიო შეტყობინება, რომ ამგვარი ძალადობის მიმართ პარტია ტოლერანტული არ იქნება. ამომრჩევლის ინფორმირების კამპანიებმა ხაზი უნდა გაუსვან ქალი ამომრჩევლების მნიშვნელობას ზოგადად საზოგადოებისთვის და აქცენტი გააკეთონ ქალების იმ უფლებაზე, რომელიც მათი, როგორც ამომრჩევლებისა და კანდიდატების, ძალადობის, შიშისა და დაშინების გარეშე, თანასწორად მონაწილეობას გულისხმობს. ამგვარი კომუნიკაციით შესაძლებელია ხაზი გაესვას ოჯახური ხმის მიცემის პრაქტიკებსაც და ხმის მიცემის კონფიდენციალურობას, როგორც ოჯახური ხმის მიცემის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას.

პოლიტიკური პარტიების საინფორმაციო კამპანიებისა და ტრენინგების განხორციელებისას აუცილებელია გზავნილების მორგება თითოეული ქვეყნის კონკრეტულ კონტექსტზე, კულტურაზე, წიგნიერების დონეებსა და პოლიტიკურ სიტუაციაზე. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც ქალებს არ შეეშინდებათ. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ტრენინგების მოწყობა მხოლოდ ქალებისთვის. ზოგ თემში ქალები კაცებისგან იზოლირებულები არიან და მათი გადაადგილების თავისუფლება და განათლების დონე სხვადასხვაა.[355] საჭიროა, ამომრჩევლის საგანმანათლებლო ჯგუფებში ქალების ჩართვა, ხოლო თუ აუცილებლობა არსებობს, შესაძლებელია, რომ ეს ჯგუფები მხოლოდ ქალებისგან შედგებოდეს.[356]

## 5.6. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის ჩართვა პარტიის მონიტორინგის ღონისძიებებში

პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი ფუნქცია დაკვირვების წარმოებაა. მათი მნიშვნელოვანი ამოცანა საარჩევნო პროცესზე ყურადღებით დაკვირვება და დარღვევების გამოვლენაა. ამომრჩევლის მოსყიდვა და დაშინება, ბიულეტენებით თაღლითობა და დაბალ დონეზე ორგანიზება საფრთხეს არჩევნების სამართლიანობას უქმნის. არასათანადო უსაფრთხოება, კაცებთან შედარებით, ქალ ამომრჩევლებსა და კანდიდატებზე განსხვავებულ ზეგავლენას მოახდენს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც გენდერულ ნიადაგზე ძალადობის მაღალი საფრთხე არსებობს, რაც შეიძლება კონფლიქტის შემდგომ გამართული არჩევნების დროს კიდევ უფრო აქტუალური იყოს.[357]

პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, არჩევნებს ყურადღებით აკვირდებიან. ამ მიზნით, მათი პარტიის აქტივისტები ან დამკვირვებლები რეგისტრაციისა და ხმის მიცემის პროცესებს ესწრებიან, რათა დარწმუნდნენ, რომ ამომრჩევლებს ხმის მიცემა დაშინების გარეშე შეუძლიათ.[358] ამ პროცესში, რასაკვირველია, შედის არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე დაკვირვება და მონიტორინგში გენდერული პერსპექტივის უზრუნველყოფა. აღნიშნული გულისხმობს შემდეგს: დამკვირვებლების მიერ შესავსებ კითხვარში მოცემულია შეკითხვები ოჯახური ხმის მიცემის, ძალადობისა და დაშინების, ან სხვა სახის ძალადობის შესახებ, რაც არჩევნებში ქალების თავისუფლად მონაწილეობაზე ზეგავლენას ახდენს.[359]

355 DPKO/DFS, 2007. გვ 28. Quoted in UNDP/NDI, 2011.
356 იგივე.
357 358 DPKO/DFS, 2007, გვ 31. Quoted in UNDP/NDI, 2011.
358 UNDP/NDI, 2011.
359 OSCE/ODIHR, 2004. გვ 40.

პოლიტიკურ პარტიებს აქტივისტების შერჩევასა და გადამზადებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ. შესაბამისად, პარტიებმა შეიძლება დამკვირვებლებად, ამ ფუნქციის შესასრულებლად, ქალები შეარჩიონ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საარჩევნო უბნებზე, რომლებიც მხოლოდ ქალებისთვის შეიქმნა. ამგვარ საარჩევნო უბნებზე კაცების დასწრება უნდა აიკრძალოს იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება ქალი ამომრჩევლები დააშინოს. პარტიის დამკვირვებლების დასწრებამ შეიძლება სხვა სარგებელიც მოიტანოს: მათ წვლილი შეაქვთ არა მარტო იმიტომ რომ ისინი უბანზე არიან და ხმის მიცემის დროს ქალების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, არამედ საკუთარი პარტიის მხარდამჭერებსაც აკვირდებიან, რათა მათი მხრიდან ამომრჩევლების დაშინება არ მოხდეს და თუ ამგვარი ფაქტი დაფიქსირდება, შესაბამისი შეტყობინებები გაავრცელონ.[360]

## 5.7. არჩეული ქალების მხარდაჭერა

უსაფრთხო პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფა მხოლოდ საარჩევნო პროცესით არ შემოიფარგლება. ძალისხმევის მიმართვა ძალადობისა და დაშინების წინააღმდეგ ბრძოლისკენაცაა საჭირო, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩეული ქალებისა და პოლიტიკური მანდატის მქონე ქალების გადინებისა თუ გადადგომის მაჩვენებლები საკმაოდ იზრდება. პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი როლი უნდა შეასრულონ და არჩეული პარტიის შიდა სხდომაზე ძალადობის პოტენციალი განიხილონ. ამ ფაქტმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ქალ წარმომადგენლებზე და იყოს მკაფიო გზავნილი, რათა ქალებზე პარტიის შიგნით ზეწოლა არ მოხდეს და ამ ზეწოლის გამო, მათ კაცების სასარგებლოდ საკუთარი მანდატები არ დათმონ.

### პოლიტიკური პარტიების იმ ღონისძიებების შეჯამება, რომლებსაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემცირება შეუძლიათ:

| წინასაარჩევნო პერიოდი | არჩევნების პერიოდი | არჩევნების შემდგომი პერიოდი |
|---|---|---|
| • კანონით გათვალისწინებული ქცევის კოდექსის დაცვა და პარტიის წევრების ინფორმირებულობის ამაღლება<br>• პარტიის რეგულაციების და წესდებების განახლება, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გათვალისწინების მიზნით<br>• პარტიის პოლიტიკისა და პრაქტიკების მონიტორინგი და აღსრულება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით<br>• კანდიდატის შერჩევისა და პოლიტიკურ დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გამჭვირვალე წესების უზრუნველყოფა<br>• არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის შეტანა ტრენინგებსა და ამომრჩევლის საინფორმაციო მასალებში | • პარტიის აქტივისტების / დამკვირვებლების გადამზადება, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის მიზნით<br>• პოლიტიკური პარტიის აქტივისტებს შორის უფრო მეტი ქალის შერჩევა და გაგზავნა | • არჩეული ქალი წარმომადგენლებისთვის მათი ფუნქციების განხორციელებაში მხარდაჭერის უზრუნველყოფა<br>• უზრუნველყოფა, რომ არცერთ ქალს არ აიძულებენ მანდატის კაცების სასარგებლოდ დათმობას |

360 ეს ნაწილი მოცემულია პუბლიკაციაში UNDP/NDI, 2011.

# ღონისძიება № 6:
# ცნობიერების ამაღლება და ნორმების ცვლილება

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა ვერ მოხდება, თუ ადამიანები ვერ გააცნობიერებენ იმ ზეგავლენას, რომელსაც იგი საზოგადოებაზე ახდენს; ვერ გაიაზრებენ, რომ ამ სახის ძალადობა ლახავს ქალების უფლებებს და არღვევს დემოკრატიულ პროცესს. სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებულმა მხარემ შეიძლება საკუთარი როლი შეასრულოს არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის გავრცელებაში. არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების, ფორმებისა და პრევენციის საშუალებების საერთო და ყოვლისმომცველი გაგების უზრუნველყოფა წინასამოქმედო ღონისძიების მიზნებს განამტკიცებს.

ინფორმირებულობის ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის სტრატეგიის ნაწილია, თუმცა მას თან უნდა ახლდეს ის სხვა ინტერვენციებიც, რომელთა მიზანი გენდერულ სტერეოტიპებზე, სოციალურ ნორმებზე, მიდგომებზე, ქცევებსა და იმ პრაქტიკაზე ზემოქმედებაა, რომლებიც ამგვარი ძალადობის მიმართ შემწყნარებელია და რომლებიც კაცებსა და ქალებს შორის გენდერულ უთანასწორებასა და დაუბალანსებელი ძალაუფლების პირობებში ღრმადაა გამჯდარი. ფაქტები ადასტურებს, რომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ეფექტური ინტერვენცია სხვადასხვა ურთიერთდამხმარე მეთოდს (მასმედია და ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიები, გენდერული თანასწორობის თემაზე გამართული ჯგუფური ტრენინგები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ინიციატივები), სხვადასხვა დონეზე (საზოგადოების, თემის, ოჯახისა და დ აინდივიდის ურთიერთობები) იყენებს.[361] იმის მიუხედავად, რომ ამგვარი ინტერვენციების განხილვა შეიძლება წინამდებარე სახელმძღვანელოს ფარგლებს სცდებოდეს, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა პრევენციულ ზომებს პოლიტიკისა და არჩევნების სფეროების მიღმაც მოითხოვს და ისინი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმებთან შეძლებისდაგვარად უნდა იყოს დაკავშირებული.

ინფორმირებულობის ამაღლების ღონისძიებებში შეიძლება შევიდეს:

- ინფორმირებულობის ამაღლება კამპანიების მეშვეობით;
- მასმედიასთან მუშაობა ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით:
- კანონმდებლებისა და საპარლამენტო ქსელების ჩართვა;
- კაცების ჩართვა არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასა და მისი პრევენციისთვის განკუთვნილ ღონისძიებებში.

361 UN Women, 2015a. *A Framework to Underpin Action to Prevent Violence Against Women*. http://www.unwomen.org/en/ digital-library/publications/2015/11/prevention-framework

## 6.1. ინფორმირებულობის ამაღლება კამპანიების მეშვეობით

ინფორმირებულობის ამაღლება არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის შესახებ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ყველა მხარისთვის მნიშვნელოვანია. მათ შორის, ასპირანტებისთვის, კანდიდატებისთვის, პარტიის წევრებისა თუ არჩეული ლიდერებისთვის, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციისა და მისი თანამშრომლებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ ქალებმა, რომლებმაც არჩევნების დროს ძალადობა განიცადეს, ხმამაღლა ისაუბრონ საკუთარი გამოცდილების შესახებ, რადგან ეს არის შესაძლებლობა, რათა სხვა ქალი ლიდერები ან კანდიდატები უფრო მეტად გახდნენ ინფორმირებულები აღნიშნული საკითხის შესახებ. კამპანიების განხორციელებასა და არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებელი სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში უმნიშვნელოვანეს როლს სხვადასხვა ორგანიზაცია ასრულებდა. განსაკუთრებით ღირებულია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ მუშაობენ ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები არჩევნებში ძალადობის წინააღმდეგ კამპანიების მხარდასაჭერად.

### ცნობიერების ამაღლების კამპანიების მაგალითები

**ბოლივიაში,** 2014 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, ავტონომიების სამინისტროსა და სოფლად მცხოვრები ქალების ეროვნულ კონფედერაცია – ბარტოლინასისასთან ერთად, მუნიციპალური უწყებებისა და ქალი ლიდერებისთვის რამდენიმე საინფორმაციო და სასწავლო სემინარი გამართა. აღნიშნული აქტივობა მიზნად ისახავდა იმ შესაძლებლობების გაძლიერებას, რომლებიც დაკავშირებული იყო კოჩაბამბასა და სანტა-კრუზის დეპარტამენტებში პოლიტიკური შევიწროებისა და ძალადობის დაძლევასთან. 243-ე კანონის განხორციელებისთვის წინადადებები მუნიციპალურმა უწყებებმა და იმ ქალმა ლიდერებმა შეიმუშავეს, რომლებმაც პოლიტიკური შევიწროება და ძალადობა პირადად გამოსცადეს.

2010 წელს, **ბურუნდიში,** საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ძალადობის გაზრდილი საფრთხის გამო, ქალთა ასოციაციებმა არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის პრევენციისა და შემცირების მიზნით, გარკვეული ზომები მიიღეს. ორგანიზაციამ Le Collectif des Associations et ONGs Féminines du Burundi and Dushirehamwe კამპანია „თეთრი შარფები მშვიდობისთვის" წამოიწყო, რომლის მთავარ თემა „ქალები მნიშვნელოვანია მშვიდობისთვის ბურუნდიში" წარმოადგენდა. კამპანიის ამოცანა იყო, ეჩვენებინა ბურუნდიელი ქალების მიერ ძალადობის დაგმობა და, ძალადობის პრევენციის მიზნით, მათი თემებში ჩართულობა. აღნიშნული კამპანიის მხარდასაჭერად, გაეროს განვითარების პროგრამა Panos Paris-ს, გაერთიანებული ერების ოფისს ბურუნდიში და International Alert-ს დაუკავშირდა. კამპანია ადგილობრივ ტელევიზიასა და რადიოსადგურებში ფართოდ გაშუქდა და არჩევნების დაძაბულ პერიოდში ძალადობის პრევენციისთვის საკუთარი როლი შეასრულა.[362]

**განაში,** 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამართვამდე, ეროვნულმა სამშვიდობო საბჭომ (განას ეროვნული ორგანო, რომლის მიზანი კონფლიქტების არაძალადობრივი სტრატეგიით აღმოფხვრასთან დაკავშირებით, კავშირების, კოორდინაციისა და კამპანიის მეშვეო-

362 363 UN Security Council, 2010, S/2010/608. *Seventh report of the Secretary-General on the United Nations Integrated Of ce in Burundi, 30 November; UNDP, 2014. Promoting Gender Equality in Electoral Assistance: Lessons Learned in Comparative Perspective. Country Report for Burundi.*

ბით ინფორმირებულობის ამაღლებაა), საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საზოგადოების ჩართულობით, ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სამშვიდობო შეთანხმებას აკრას დეკლარაციით (Accra Declaration) მიაღწია. ისეთი კრიტიკული საკითხები, როგორებიცაა არჩევნების დროს ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით იქნა განხილული.[363]

**კენიაში,** გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ინფორმირებულობის ამაღლებისთვის სხვადასხვა დაინტერესებული ორგანიზაციის ინიციატივა გაიზიარა. ეს ორგანიზაციები იყვნენ: „ეროვნული ერთიანობისა და ინტეგრაციის კომისია“, „დამოუკიდებელი საარჩევნო და საზღვრების დადგენის კომისია“, მასმედია, ორი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა (UWIANO და USALAMA), ინიციატივის ფარგლებში, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე რეაგირების მიზნით, მუშაობა განათლების ამაღლებისა და მექანიზმების ინტეგრირებაზე მიმდინარეობდა.[364]

**სიერა ლეონეში,** 2007 წელს, ქალთა სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მზარდი პოლიტიკური ძალადობის საპასუხოდ, ძალადობისგან თავისუფალი საარჩევნო კამპანიის ადვოკატირება დაიწყეს. იგი პოლიტიკურ პარტიებზე იყო მიმართული. კამპანია სამხრეთში მდებარე ქალაქ ბოში დაპირისპირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ძალადობრივი შეტაკებების ფონზე დაიწყო. ქალთა ჯგუფებმა, ჩასაბერი ინსტრუმენტების ანსამბლის თანხლებით, ქალაქში სამშვიდობო გზავნილების მსვლელობა მოაწყვეს. მსვლელობის დასასრულს კი მათ ქალაქის მერმა მიმართა. ამის შემდეგ მონაწილეებმა სამშვიდობო გზავნილები პოლიტიკური პარტიების სათავო ოფისებში სიერა ლეონეს ოთხ პროვინციაში გადააგზავნეს. დედაქალაქ ფრიტაუნში პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებმა და მათმა წარმომადგენლებმა პირობა დადეს, რომ ძალადობისგან თავისუფალ არჩევნებს გამართავდნენ. აღნიშნული ინიციატივა სხვა მონაწილე მხარეებმაც გაიზიარეს. სიერა ლეონეში მისი მასშტაბი გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს მისიის მიერ გაფართოვდა.[365]

**ზიმბაბვეში,** 2010 წლის არჩევნების დაწყებამდე, ქვეყნის ადგილობრივმა ორგანიზაციამ „ეროვნული საკონსტიტუციო ასამბლეა“ (NCA) კამპანია „იმოქმედე ახლა პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ“ ჩაატარა. ეს იყო ერთწლიანი პროექტი ქალებზე მიმართული პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ. როგორც თავად ეროვნული საკონსტიტუციო ასამბლეა აღწერს, „სხვა საკითხებს შორის, კამპანიის მიზანია, მზარდი პოლიტიკური ძალადობის დაგმობის შესახებ რეგიონული გამოცდილების გაზიარება იმ დროს, როცა ქვეყანაში მალე კიდევ ერთი არჩევნები უნდა გაიმართოს. ინფორმირებულობის ამაღლებით, მხარდამჭერი სტრუქტურების შექმნით, მოძალადეთა გამოვლენითა და შერცხვენით, ასევე, ქალებისა და საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერებით, არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობასთან გასამკლავებლად.[366]

363 მაგალითი მოიყვანა ტომას როსინიოლმა, გაეროს განვითარების პროგრამა, 2017 წლის აპრილი.
364 UN Women. *Kenya Annual Work Plan for* 2012. არ გამოქვეყნებულა.
365 კორესპონდენცია ჯებეჰ ფოსტერთან, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მრჩეველთან მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ESA-ში, 2017 წლის 30 იანვარი.
366 National Constitutional Assembly, 2010. “Campaign Against Violence Targeting Women Launched.” December 14.




2016 წლის მარტში ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა გლობალური კამპანია №NotTheCost დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოწოდება კონკრეტულად არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობაზე ფოკუსირებული არ იყო, იგი მიზნად ისახავდა პოლიტიკაში ქალების მიმართ ძალადობის შეჩერების შესახებ საერთო პლატფორმის შექმნასა და გლობალურ დონეზე დისკუსიის დაწყებას, რაც ითვალისწინებდა განმარტებას, თუ რას წარმოადგენს ამგვარი ძალადობა და რა გამოსავალი არსებობს მის აღსაკვეთად.[367] მოწოდებაში ერთიანდება სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემულია ის მთავარი აქტივობები, რომელთა განხორციელებაც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია. მათ შორის არიან: გლობალური და რეგიონული ინსტიტუტები, მთავრობები და პარლამენტები, პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოება, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სექტორი, არჩევნების დამკვირვებლები და უწყებები. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ვებგვერდზე (https://www.ndi.org/not-the-cost) მოცემულია ბმული, სადაც დაინტერესებულ მომხმარებლებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ და შეუერთდნენ გლობალურ მოწოდებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შეჩერებისთვისა და პოლიტიკურად აქტიური ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისთვის.

## 6.2. მასმედიასთან მუშაობა

OAS-ის *„დეკლარაცია ქალთა მიმართ პოლიტიკური შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ“* (2016) აღნიშნავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „მოსახლეობის ჩართვა პოლიტიკური შევიწროების ან ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიებში“ და, ასევე, მასმედიის როლი ამ პროცესში. ამგვარ ღონისძიებებში შედის მასმედიის წარმომადგენლების განათლება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, ასევე მასმედიის, სარეკლამო კომპანიებისა და სოციალური ქსელების წახალისება, რომ შეიმუშაონ ეთიკის კოდექსი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, რომელშიც ხაზგასმული იქნება, თუ რამდენად საჭიროა ქალების წარდგენა-წარმოჩენა „სამართლიანად, პატივისცემითა და დადებითი კუთხით... სექსისტური სტერეოტიპების გარეშე“.[368] აღნიშნული დეკლარაცია სასარგებლო სტარტია მედიაორგანიზაციების ჩართულობისთვის.

გენდერულად მგრძნობიარე თემების გაშუქების პოპულარიზაციის მიზნით, მასმედიასთან მუშაობა სხვადასხვა ორგანიზაციამ დაიწყო. მაგალითად, 2013 წელს, იორდანიაში, იორდანიის მედიაინსტიტუტმა,

*367* NDI, 2016. №NotTheCost: Action Plan.
368 MESECVI, 2015.

იუნესკოსთან პარტნიორობით, არჩევნების დროს გენდერულად მგრძნობიარე თემების გაშუქების სასწავლო სემინარი გაიმართა. ტრენინგის მიზანი იყო „გენდერული თანასწორობის შესახებ დიალოგის დაწყება და მონაწილეების ჩართვა აღნიშნულ კონტექსტზე მორგებულ პროცესში. ასევე, ჟურნალისტების მიერ იმგვარი გონივრული ნაბიჯების გადადგმა, რომლებმაც შეიძლება დადებითი პრაქტიკული შედეგი მოიტანოს გენდერულად მგრძნობიარე თემების გაშუქების კუთხით."[369]

IDEA საერთაშორისო ორგანიზაციამ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ 2011 წელს პუბლიკაცია *„არჩევნების გაშუქება გენდერული პერსპექტივით: მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო"* მოამზადეს. მასში აისახა, თუ როგორ შეუძლია გენდერული ცვლადების მონიტორინგს არჩევნების გაშუქებისას მოგვაწოდოს ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციების მუშაობის შესახებ და მასში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებიც არის მოცემული.[370] არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და შეტყობინებაში მასმედიის როლი შეიძლება ინტეგრირებული იყოს არჩევნების თემაზე გამართულ სხვა ტრენინგებში. მაგალითად, როგორიცაა BRIDGE ტრენინგპროგრამა საარჩევნო ადმინისტრატორებისთვის. თუმცა, მონიტორინგის აღნიშნულმა ტაქტიკამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის რეალობა, რომ შეტყობინებები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, კაცების მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ შეტყობინებებთან შედარებით, მედიისთვის ნაკლები ალბათობით გახდება საინტერესო.[371]

ამას გარდა, ონლაინ და მობილური მედიაპლატფორმების მეშვეობით პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მომატება ქალი პარლამენტარებისთვის სულ უფრო მეტად ყურადსაღები ხდება: „მაგალითად, ბრიტანელი პარლამენტარების: სტელა ქრიზისა და (2013) დჯეს ფილიპსის (2016) საქმეები სწრაფად გავრცელდა. ქრიზი 12 საათის განმავლობაში საათში დაახლოებით 50 ონლაინმუქარას იღებდა, ხოლო ფილიპსმა აღნიშნა, რომ მან გაუპატიურების 600 მუქარა მიიღო. ხალხი ტვიტერზე დაახლოებით 5,000 შეტყობინებაში განიხილავდა, განახორციელებდნენ თუ არა მასზე სექსუალურ თავდასხმას."[372] კამპანია, როგორიცაა „უკან წაიღეთ ტექნოლოგია!" ("Take Back the Tech!") შეეცადა, რომ მონაცემების რუკაზე ვიზუალიზაციით ყურადღება ქალთა მიმართ მედიაში შევიწროების სხვადასხვა ფორმის გამოვლენაზე გაემახვილებინა.[373] მაშინ, როცა ვებგვერდზე კონკრეტულად პოლიტიკასა თუ არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობის შემთხვევების კატეგორიებად დაჯგუფება არ ხდება, რუკა ფოკუსირებულია ონლაინ მედიასივრცეში ძალადობაზე და ხაზს უსვამს კიბერსივრცისა და მობილური პლატფორმების როლს, როგორც უფრო მზარდ სივრცეებს ძალადობის პრევენციისთვის.

## 6.3. კანონმდებლებისა და საპარლამენტო ქსელების ჩართვა

არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ დუმილის დარღვევაში პარლამენტარები წამყვან როლს თამაშობენ და ამ მიზნით თავიანთი საარჩევნო ოლ-

---

369 UNESCO, July 2013. *Media and Elections Journal*, No. 1.
370 International IDEA and UN Women, 2011. *Election Coverage from a Gender Perspective. A Media Monitoring Manual.*
371 Bardall/IFES, 2011.\
372 L.Döing,2013."Britishbanknotepromptshazingonsocialmedia."*DeutschWelle*.4August;LauraHughes,2016."LabourMP Jess Phillips receives more than 600 rape threats in one night." *The Telegraph.*
373 იხილეთ: https://www.takebackthetech.net/mapit/


Issue Brief

Sexism, harassment and violence against women parliamentarians

Introduction

ქებისა და კოლეგა კანონმდებლების ინფორმირებულობის ამაღლებაზე მუშაობენ. აღნიშნული მიზნად ისახავს გადაწყვეტის გზების მოძიებისა და შესაფერისი საკანონმდებლო რეაგირების ადვოკატირებას. ქალი პარლამენტარების ქსელები ეროვნულ თუ რეგიონულ დონეებზე სწრაფად ფართოვდება. აღნიშნული ქსელებით კი იქმნება ერთგვარი ფორუმი, სადაც არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი პრიორიტეტული ხდება.

**საპარლამენტთაშორისი კავშირი** (IPU) კანონმდებლების ჩართვის მიზნით აქტიურად მუშაობს, რისთვისაც სხვადასხვა რეგიონიდან პარლამენტარებს არჩევნების დროს თუ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე დისკუსიისა და განხილვისთვის კრებს. მაგალითად, 2012 წლის მარტში, საპარლამენტთაშორისმა კავშირმა და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, ქალების სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის 57-ე სესიასთან დაკავშირებით, საპარლამენტო ღონისძიება „საპარლამენტო სტრატეგიები ქალების და გოგოების მიმართ ძალადობის დასაძლევად“ გამართეს. ღონისძიებამ რეგიონის ყველა ქვეყნიდან 100-ზე მეტ პარლამენტარს მოუყარა თავი. მონაწილეები განიხილავდნენ, თუ როგორ შეუძლიათ ქალ კანონმდებლებს, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, მათ შორის არჩევნების დროს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა.

